რ. კაკულია

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო მეთოდები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი—1978

336/
ა—179

წიგნში განხილულია განვითარებული სოციალიზმის დროს სამეურნეო მართვის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა იმ ამოცანების შუქზე, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა დასახა მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის სახალხო მეურნეობის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად. დიდი ადგილი ეთმობა სახალხომეურნეობრივი რეზერვებისა და მათ შორის საფინანსო რეზერვების გამოვლინებას, მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩასმას.

წიგნი განკუთვნილია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელების, მეცნიერი, პრაქტიკოსი ეკონომისტებისათვის და სხვ.

К——————————61—78
М 601 (08)—78

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა და დასახა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში აღინიშნა, რომ ჩვენი დიადი სამშობლო დღეს განვითარების ისეთ სტადიაზე იმყოფება, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბაზაზე შექმნილი კოლოსალური ეკონომიკური პოტენციალი სოციალისტური მეურნეობრივი მართვის რაციონალური ფორმების განხორციელების საფუძველზე ქმნის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების აუცილებლობასა და საშუალებას.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდა უპირატესად ისეთი ხარისხობრივი ფაქტორების მეშვეობით ხორციელდება, როგორიცაა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპებით განვითარება; შრომის ნაყოფიერების ზრდა; საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; წარმოებაში არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რეზერვების, საბრუნავი და ძირითადი საწარმოო ფონდების უფრო სრულად გამოყენება; სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული თითოეული მანეთის ეფექტიანად გამოყენებით მისი უკუგების მაქსიმალური გადიდება.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძი, რომელიც საფუძვლად დაედო მეათე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერსპექტივას ის არის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სსრ კავშირის ეკონომიკური ძლიერება, გაიზარდოს და ძირეულად გაახლდეს საწარმოო ფონდები, უზრუნველყოფილ იქნეს მძიმე მრეწველობის ეკონომიკის საფუძვლის მყარი, შეწონასწორებული ზრდა.

სკკპ XXV ყრილობამ, სსრ კავშირის კონსტიტუციამ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების უზრუნველსაყოფად წინა პლანზე წამოაყენა ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის ეკონომიკური სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, სახელდობრ: „ეს არის — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში“[1].

ეს ნაშრომი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის როლისა და მნიშვნელობის განხილვის პირველი ცდაა ქართულ ენაზე. მასში შეძლებისდაგვარად გაანალიზებულია სამეურნეო მართვის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა დასახეს მეათე ხუთწლედში და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის სახალხო მეურნეო-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 54.

ბის მაღალი ტემპებით განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელდობრ, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ფაქტორების სრულყოფილად გამოყენების საქმეში.

ამ პრობლემისათვის ინტერესი თანამედროვე პერიოდში მეტად დიდია. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითღირებულების, სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების გარეშე, რომელშიც საფინანსო-საკრედიტო მექანიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ნაშრომში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა მდგომარეობის ანალიზისა და სრულყოფის საკითხები გადმოცემულია პარტიის მიერ საფინანსო და საკრედიტო სისტემის წინაშე დასმული უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესაბამისად — გაძლიერდეს საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მატერიალური და ფინანსური რესურსების უფრო სრულად გამოყენების საქმეში.

მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელება სისხლხორცეულადაა დაკავშირებული სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფასთან.

„ჩვენი სახალხო მეურნეობის გაზრდილმა მასშტაბმა, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე, — და სირთულემ დააყენა მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის, მთელი სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს... ეს მუშა-

ობა არ უნდა დაყოვნდეს — პარტია მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს"[1].

სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმია. სწორედ საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის მთელი მუშაობის ხარისხისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და განვითარების ბაზაზე.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ქმედითობა ნიშნავს საწარმოო რესურსების რაციონალურად გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მოგებისა და წარმოების რენტაბელობის ზრდის სტიმულირებას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლების, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაციის, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების ბაზაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავლების გადიდებას და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

შრომაში დიდი ადგილი ეთმობა სახალხომეურნეობრივი რეზერვების, მათ შორის საფინანსო რეზერვების გამოვლინებას და მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას. სამეურნეო და საფინანსო რეზერვები განხილულია როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების აუცილებელი ელემენტი და მისი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1977 წლის 22 მარტი.

თავი I

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მისი ამაღლების მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის

§ 1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება მეათე ხუთწლედში

პარტიის XXV ყრილობამ მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით განიხილა სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებული ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც მოიცავენ სამეურნეო ხელმძღვანელობისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გლობალურ პრობლემებს. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც გაწეულია მეცხრე ხუთწლედში სამეურნეო რეფორმის ცხოვრებაში გატარების საქმეში.

„თუ მხედველობაში მივიღებთ მეცხრე ხუთწლედის ზოგად შედეგებს, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე, — მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ხალხის თავდადებულმა შრომამ, პარტიის წარმმართველმა, ორგანიზატორულმა საქმიანობამ უზრუნველყვეს ეკონომიკის მყარი ზრდა. ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები გადაწყვეტილია“[1].

მეცხრე ხუთწლედში მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 28 პროცენტით გაიზარდა (აქედან 3/4 გამოყენებული იყო მოხმარებისათვის) და მერვე ხუთწლედთან შედარებით ზრდამ 34 პროცენტი შეადგინა. ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით 80 პროცენტი მიღებულია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 34 პროცენტით, სოფლის მე-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 48.

ურნეობაში —22 პროცენტით, მშენებლობაში —29 პროცენტით; რკინიგზის ტრანსპორტზე — 24 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა 43 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის: მოხმარების საგნებისა — 37 პროცენტით.

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა.

ფართო მასშტაბით ხორციელდება კაპიტალური დაბანდებები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა დაგეგმვისა და მართვის, მეურნეობრიობის მეთოდების გაუმჯობესების, გაერთიანებათა შექმნის, მართვის ორგანოების სტრუქტურის სრულყოფის მისაღწევად; უფრო სრულად კმაყოფილდებოდა მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი." მოცემულია მეათე ხუთწლედში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელზეც ისტორიული სიტყვით გამოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. პლენუმმა მოიწონა და მიიღო 1976—1980 წლების სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

მეათე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანაა ჩვენი პარტიის კურსის თანამიმდევრულად განხორციელება საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე მიღწეულ იქნეს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

„პარტიის ეკონომიური სტრატეგიის ღერძი, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომელიც საფუძვლად უდევს როგორც მეათე ხუთწლედს, ისე ხანგრძლივ პერსპექტივასაც, ის არის, რომ **კიდევ უფრო გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, გავაფართოოთ და ძირეულად გავაახლოთ საწარმოო ფონდები, უზრუნველვყოთ მძიმე მრეწველობის — ეკონომიკის საძირკვლის მყარი შეწონასწორებული ზრდა**“[1].

მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ორგანულად აერთიანებს განვითარებული სოციალისტური ეკონომიკის ზრდის ძირითად მიმართულებებს: საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის მყარ და დინამიკურ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებითა და წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავებით წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას.

მეათე ხუთწლიან გეგმაში ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს აგრეთვე წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავებას არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, არამედ მომჭირნეობის ყოველმხრივი რეჟიმის საფუძველზე.

პარტიის XXV ყრილობაზე მკვეთრად აღინიშნა, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალწახნაგოვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთადერთი გზაა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა და წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება.

1976—1980 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში შრომის ფონდაღჭურვა იზრდება მაღალი ტემპებით, მკვეთრად მცირდება ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის წილი, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას — ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გადიდების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

სსრ კავშირში შრომის პირობების ცვალებადობაზე ნათელ სურათს იძლევა პირველი ცხრილი[2].

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 56—57.

2 См. Сорокин Г. М. Советская экономика в десятой пятилетке, журнал «Вопросы экономики», № 5, 1976, стр. 5.

ცხრილი 1

	1960 წელთან შედარებით %-ში		
	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
ერთი მუშაკის ფონდაღჭურვის ზრდა:			
მთელი მატერიალური წარმოება	212	304	425
მრეწველობა .	187	244	370
სოფლის მეურნეობა	246	374	690
ერთი მუშაკის ელექტროაღჭურვის ზრდა:			
მრეწველობაში	175	220	330
სოფლის მეურნეობაში .	410	712	1008
რეალური შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით:	159	197	236—240
მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი .	151	181	210—214
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება .	202	253	313—321

ბა განაპირობებს სოციალისტური საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის ამაღლებას.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გაიზრდება 16—18 პროცენტით და მეათე ხუთწლედის დასრულებისათვის მიაღწევს 170 მანეთამდე თვეში. კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობისაგან წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე საშუალოდ 24—27 პროცენტით გაიზრდება, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან სახსრების გაცემა, დახმარება და შეღავათები — 28—30 პროცენტით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპი მიაღწევს 27—29 პროცენტს, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდება 545—550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები; კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამ უკანასკნელის მოცულობა გადიდდება 1,5-ჯერ, ხოლო სოფლად — 1,7-ჯერ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ადამიანების შემოსავლის სისტემატური ზრდა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს სამუშაო ძალის

კვლავწარმოებაზე. მშრომელთა რეალური შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის გაწეულ ხარჯებს, მას ზრდის ტენდენცია გააჩნია. სწორედ ეს არის ადამიანის ყოველმხრივი განვითარების რეალური გარანტია, როდესაც თანდათანობით ისპობა განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის.

„თუ სოციალურ პროგრამის მასშტაბზე ვილაპარაკებთ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე, — იგი შეგვიძლია დავახასიათოთ ასეთი ციფრებით: ხუთწლედში მოხმარების ფონდი თითქმის 76 მილიარდი მანეთით გაიზრდება. ეს თითქმის 12 მილიარდი მანეთით ჭარბობს მის მატებას მეცხრე ხუთწლედში. 100 მილიარდი მანეთი გამოიყოფა საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის, 20 მილიარდი მანეთი — ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის მატერიალური ბაზის განვითარებისათვის“[1].

სოციალური პროგრამის განხორციელება დადებითად მოქმედებს მატერიალური წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის განვითარების გეგმების შესრულებაზე. ექსპლუატაციისაგან თავისუფალი მუშაკის შრომა, როდესაც წარმოების საშუალებათა მეპატრონე თვითონაა, კეთილისმყოფელად მოქმედებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და სახალხო მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

მეათე ხუთწლედის მანძილზე ეროვნული შემოსავალი, რომელიც დაიხარჯება დაგროვებისა და მოხმარებისათვის 24—28 პროცენტით გაიზრდება, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა — 35—39 პროცენტით, კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში — 24—26 პროცენტით.

მეათე ხუთწლედში ძირითადი ყურადღება დაეთმობა წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანად გაძღოლის საკითხებს.

მეათე ხუთწლედში, როგორც არასდროს, ეფექტიანად და მომჰირნეობით უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ეროვნული შემოსავალი და საბოლოო სახალხო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. „...ჩვენს

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 7.

სახალხო-სამეურნეო გეგმებში, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა, — განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ისეთებს, როგორიცაა ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხვედრითი ხარჯების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, ყველა სახეობის პროდუქციისა და ნაწარმის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება"[1].

მიმდინარე ხუთწლედში მთავარი ყურადღება ექცევა რა ეფექტიანობასა და ხარისხს, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ეკონომიკური ზრდის წყაროები, გაუმჯობესდება ეკონომიკის შეწონასწორება და ამით სასურველი ნიადაგი მომზადდება ქვეყნის სახალხო მეურნეობის ოთხმოციან წლებში განვითარებისათვის.

ეკონომიკის მაღალი ტემპებისა და შეწონასწორებული განვითარების უზრუნველსაყოფად მეათე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერიოდში აუცილებელია სოფლის მეურნეობის აღმავლობა, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საქონლის, მომსახურების სფეროს გაფართოება.

მრეწველობის „ა" ჯგუფის პროდუქციის მატება ხუთწლედის ბოლოს მიაღწევს 38—42 პროცენტს, ხოლო „ბ" ჯგუფის პროდუქციისა — 30—32 პროცენტს.

მეათე ხუთწლედში დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ამაღლდეს სახალხო მეურნეობის საბაზო დარგების — მომპოვებელი მრეწველობის, ენერგეტიკისა და მეტალურგიის ეფექტიანობა.

ჩვენი სახალხო მეურნეობის გიგანტური მასშტაბი და მისი განვითარების დინამიზმი მიმდინარე ხუთწლედში მოითხოვს დიდი ოდენობით ნედლეულს, სათბობს, მასალებს. იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილება უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მათი წარმოება, პარტია უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად სახავს მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვასა და მატერიალური რესურსების ხარჯვის მკაცრი კოეფიციენტის შემოღებას. „მაგრამ ნედლეულსა და სათ-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 161.

ბობზე, ენერგიასა და ლითონზე მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებების შეუფერხებელი დაკმაყოფილების პრობლემის ძირფესვიანი გადაწყვეტა, მათი წარმოების შემდგომ გადიდებასთან ერთად, მძიმე ინდუსტრიის ყველა დარგის ეფექტიანობის გადიდების დიდ ღონისძიებებს მოითხოვს"[1].

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები" ითვალისწინებს მასალატევადობის შემცირებას. შავი ლითონის ნაგლინი მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში დაიზოგება 14—16 პროცენტით, მშენებლობაში — 5—7 პროცენტით, ხოლო ამ უკანასკნელში ცემენტი —5—6 პროცენტით, ხე-ტყე —12—14 პროცენტით, ელექტრო და თბოენერგია — 5 პროცენტით; ბენზინი და დიზელის სათბობი საავტომობილო ტვირთზიდვაში — 8 პროცენტით; მრეწველობაში ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები შემცირდება 4—5 პროცენტით, მათ შორის, მანქანათმშენებლობაში — 9—10 პროცენტით.

ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მათი დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა, მანქანების კონსტრუქციების შემსუბუქება, ნარჩენებისა და წუნის შემცირება.

მეათე ხუთწლედში წარმოების რეკონსტრუქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ გზით უნდა იქნეს მიღწეული მოქმედი ობიექტების საწარმოო სიმძლავრეთა მატების ნახევარზე მეტი ისეთ უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ დარგებში, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება, თუჯის, ორთქლისა და გაზის ტურბინების, მოწყობილობათა, ავეჯისა და სხვა სახის პროდუქციის წარმოება.

წარმოების ტექნიკური აღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების გაფართოება და დანახარჯების ზრდა მოითხოვს მათი განხორციელების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას ამ პრობლემების მეცნიერულ-თეორიული დამუშავების გაუმჯობესებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ოპტიმალური გზების ჩვენებით. სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოგვარე-

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 17.

ბული მოქმედ საწარმოებში წარმოების გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ახალი ობიექტების მშენებლობის ზუსტი საზღვრები, ამასთან აუცილებელია წარმოების გაფართოება-რეკონსტრუქციისას გათვალისწინებულ იქნეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა გახდეს ამ სამუშაოთა განხორციელების ამოსავალი პუნქტი, რასაც სამწუხაროდ ზოგჯერ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

სამეურნეო პრაქტიკაში წარმოების რეკონსტრუქცია-გაფართოება ხშირად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოთა წინასწარი სრულყოფილი დამუშავების გარეშე, ირღვევა მათი ექსპლუატაციაში გაშვებისა და სიმძლავრეთა სრულად ამოქმედების ვადები, რის გამოც ობიექტის სრულად ამოქმედებამდე ის ხელმეორედ მოითხოვს აღჭურვას საწარმოო ფონდების მორალურად მოძველებაგაცვეთის გამო.

წარმოების ინტენსიური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე მშენებლობის საქმის გაუმჯობესება დასახა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. სამშენებლო წარმოების დამახასიათებელ თავისებურებათაგან განსაკუთრებით მისი მაღალი მასალატევადობა უნდა დავასახელოთ. კაპიტალურ მშენებლობაზე იხარჯება მთელი სამშენებლო მასალები, ლითონკონსტრუქციისა და სანტექნიკური მოწყობილობის 80—90 პროცენტი, ხეტყის—50 პროცენტი; ამ დარგშია მოქცეული სახალხო მეურნეობის საწარმოო ფონდების 20 პროცენტი და მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მეხუთედი.

პარტიის XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 630 მილიარდი მანეთით განსაზღვრა, ანუ იგი 25 პროცენტით გაიზრდება.

კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება. პროფესორ ფ. დრონოვის გაანგარიშებით, ყოველწლიურად სამშენებლო წუნისა და დეფექტების გამოსასწორებელ დანახარჯთა მოცულობა საშუალოდ 700—800 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ თანხებით

შეიძლება აშენდეს საცხოვრებელი ბინები 450—500 ათასი კაცისათვის[1].

ამასთან პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით მეათე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი ძირითადად მიმართული უნდა იქნეს გასაშვები ობიექტების დასამთავრებლად, რათა სახალხო მეურნეობაში ამაღლდეს ფონდუკუგება. ფონდუკუგების ერთი პროცენტით ამაღლება ნიშნავს 8 მილიარდი მანეთის მოცულობის კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიას, ამასთან სახალხო მეურნეობაში მატერიალურ დანახარჯთა ერთი პროცენტით შემცირება 3 მილიარდი მანეთის ეკონომიას იძლევა, სწორედ ამიტომაა, რომ პარტია ამ პრობლემებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამრიგად, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ დასახული სოციალური და ეკონომიკური ამოცანები მთლიანად შეესაბამება პარტიის პოლიტიკას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

§ 2. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის არსი

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, რაც მეათე ხუთწლედის უმთავრესი ამოცანაა.

რა იგულისხმება ეფექტიანობაში? რა არის მისი არსი? ფართო გაგებით ეფექტიანობა ნიშნავს განსაზღვრულ შედეგს, რომელიც საწარმომ, გაერთიანებამ, დარგმა, სახალხო მეურნეობამ მიაღწია დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ეკონომიკური ეფექტიანობა წარმოების ისეთი კატეგორიაა, რომელიც მის შედეგიანობას გამოხატავს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ წარმოებაში მიღწეული ყოველგვარი შედეგი მას მივაწეროთ. წარმოების შედეგები შეიძლება მიღწეულ იქნეს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მრავალმხრივი გამო-

[1] См. Дронов Ф. Проблемы эффективности производства в экономической стратегии партии. Журнал «Экономические науки», № 1, 1977, стр. 93.

ყენებით. ამიტომ ამას არ შეუძლია თავისთავად წარმოების ეკონომიკური ეფექტის მატება. მხოლოდ წარმოების შედეგების შესაბამის დანახარჯებში შეტანა იძლევა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დახასიათებას. წარმოების შეფასების ეს პრინციპი არავისთვის არ არის საეჭვო, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა მისი სირთულის გამო განხილული უნდა იქნეს კომპლექსურად, როგორც კატეგორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის ეკონომიის კანონთან, როგორც გაფართოებული კვლავწარმოების ყველა ფაზის გამოსახვა.

წარმოების ეფექტიანობის ქვეშ გულისხმობენ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, რგოლის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომელიც გამომდინარეობს წარმოების საერთო მიზნებიდან, დროის უმოკლეს პერიოდში და საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით[1]. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრით, არის საზოგადოებრივი შრომის ეკონომია კვლავწარმოების პროცესში, რაც სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნეობით უფრო მეტი ეფექტის მიღება.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას დიდი ამოცანა — საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების და მაჩვენებლების ღრმა თეორიული და მეთოდოლოგიური დამუშავება. ამ საკითხებზე ამჟამად არ არსებობს ერთიანი აზრი. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის მიხედვით, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი დაწყებული საწარმოდან და დამთავრებული საზოგადოებრივ წარმოებამდე საერთოდ ერთნაირია. ამასთან ასეთ კრიტერიუმებად ასახელებენ მოგებას, ეროვნულ შემოსავალს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას, მოხმარების ფონდებს და ა. შ. ეკონომისტების მეორე ჯგუფის მოსაზრებით, წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი არ შეიძლება ერთნაირი იყოს საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა საფეხურზე. ერთი კი ნათელია: წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს და გამოდიოდეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების

[1] См. «Организация, планирование и управление деятельностью промышленных предприятий», под редак. С. Каменицера, М., 1976, стр. 50.

მოთხოვნებიდან, ამასთან განზოგადებული კრიტერიუმი უნდა ახასიათებდეს წარმოების ამა თუ იმ დარგის მთავარ მომენტებს და გამოხატავდეს სამეურნეო ურთიერთობის ძირითად ამოცანებს, უზრუნველყოფდეს წარმოების შედეგების ხარჯებთან ოპტიმალურ შეწონასწორებას, რათა მინიმალური დანახარჯებით მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი.

მეცნიერული თვალსაზრისით კრიტერიუმი არის ნიშანი, რომელიც ახასიათებს შესასწავლი პროცესის ან მოვლენის თვისობრივ, ძირითად არსს და წარმოადგენს მოვლენის შეფასების გასაღებს. იმის გამო, რომ არც ერთი ეკონომიკური მოვლენა არ არსებობს წარმოებითი ურთიერთობისაგან განყენებულად და, პირიქით, გამოხატავს ამ ურთიერთობის ამა თუ იმ მხარეს, კრიტერიუმებმა უნდა მოგვცეს ამ წარმოებით ურთიერთობათა თავისებურებების ახსნა, ე. ი. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობასთან, ეს ნიშნავს, ის მჭიდრო კავშირშია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებთან.

როგორც წესი, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გეგმის შეფასება პრაქტიკულად წარმოებს ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კრიტერიუმის საფუძველზე. ეს იმდენად მართებულია, რამდენადაც სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების მიზანი სახალხო მეურნეობის მართვის ყველა საფეხურზე ერთიანია, ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მიზანი დაკონკრეტებული უნდა იყოს საწარმოს (გაერთიანების) დონემდე, მით უმეტეს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა საბოლოო ჯამში ნიშნავს წარმოების შედეგიანობას.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსი ყველაზე მეტად ვლინდება დროის ეკონომიის კანონში, რომლის მოქმედება საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონეზე ერთიანია. ცნობილია, რომ წარმოების მართვის ყველა დონეზე ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების გამოყენების მეთოდიკა ერთიანი და ყოვლისმომცველია.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობისა და მისი კრიტერიუმების განსაზღვრა მეტად რთულია.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის პრობლემისადმი ინტერესი ჩვენს ქვეყანაში ძალზე დიდია. ამის ნათელი დადასტუ-

რებაა ჟურნალ „ვოპროსი ეკონომიკაში“ 1974 წლის მაისში დაწყებული დისკუსია, რომელიც გაგრძელდა 1975 წლის ივლისამდე. ამ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 45 ავტორმა.

გამოქვეყნებული მასალები იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები აღელვებს არა მარტო ეკონომისტებს, არამედ იმათაც, ვინც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარების საკითხებითაა დაინტერესებული.

სადისკუსიო მასალებში ნათლადაა ხაზგასმული, რომ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მეურნეობის მაღალი ტემპები მჭიდრო კავშირშია წარმოების ინტენსიფიკაციასთან, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან. ეკონომიკური ზრდის მიღწევის ასეთი საშუალებები იმით არის განპირობებული, რომ მეათე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერიოდში მოსალოდნელი სამუშაო ძალის შემცირება მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარება დაეყრდნოს ტექნიკურ პროგრესსა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას. ეკონომიკის ინტენსიფიკაცია ლოგიკურად იწვევს ნედლეულისა და მასალების მოხმარების გადიდებას, რაც მათი მოპოვების ხარჯებს ზრდის. ამიტომ გახდა მეათე ხუთწლედში სამეურნეო საქმიანობის დევიზად — ეფექტიანობა და ხარისხი, რომლებიც „...გამოხატავს სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელი ეტაპის ობიექტურ მოთხოვნილებებს“[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში აღინიშნა, რომ ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ნიშნავს: უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მიღწევას; საწარმოო დისციპლინისა და მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრად დაცვას; წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების დანერგვას; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გატარებას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ეკონომიკური ზრდის წყაროები და გა-

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს. თბ., 1976, გვ. 13.

უმჯობესდება სახალხო მეურნეობის შეწონასწორებული განვითარება.

ავტორთა უმრავლესობის აზრით, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალწახნაგოვანი ცნებაა. წარმოების ეფექტიანობა გამოხატავს სოციალისტური წარმოების წესის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს, რის გამოც სოციალიზმის დროს მასში გამოხატულებას პოულობს მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების სოციალისტური დაკმაყოფილების პრინციპი. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის საერთო კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იქნეს საზოგადოებრივი განვითარების თითოეული ეტაპის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების უსწრაფესი განხორციელება, რათა აშენდეს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი გადაიზარდოს კომუნისტურში[1].

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა ყველაზე ოპტიმალურად გამოისახება ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელში[2], რომელშიც შედარებით კარგადაა მოცემული წარმოების ეფექტი და შეესაბამება სოციალისტური წარმოების მიზანს — საზოგადოების მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას[3].

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი კრიტერიუმების საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ბ. პლიშევსკის, მ. ატლასს, ი. ზლობინს, ვ. კომაროვს, ვ. ლოგინოვს, ა. მატლინს, მ. ვილენსკის, მ. როსინსკის, პ. სოკოლოვს, ს. როგაჩევსკის, ე. დროზდოვსკის, კ. მაქსიმოვს, ა. სერგეევს, ფ. მარტინკევიჩს, მ. კუნიავსკის, გ. ოჭინიკოვს, პ. პავლოვს, დ. ტრიფონოვს, ბ. ეგიაზარიანს, ვ. ანდრიენკოს, ა. ჟურავლიოვს, ა. შიხოვს, ვ. კორნიაკოვს, ლ. ანიჩინს და სხვ.

ჟურნალ „ვოპროსი ეკონომიკის“ დისკუსია შეაჯამა აკადემიკოსმა ტ. ხაჩატუროვმა, რომელმაც ხაზი გაუსვა წარმოების ეფექ-

---

[1] См. Сорокин Г. М. К теории экономической эффективности при социализме — «Вопросы экономики», № 4, 1975.

[2] См. Ноткин А. Критерий экономической эффективности социалистического производства — «Вопросы экономики», № 5, 1974.

[3] См. Чистяков М. Планирование эффективности общественного производства. «Вопросы экономики», № 8, 1974.

ტიანობის მთელ რიგ პრობლემებში მიღწეულ წარმატებებს, დაასაბუთა წარმოების ეფექტიანობისა და მისი არსების საკითხები და დასახა კვლევის პრობლემები[1].

სადისკუსიო მასალებში ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მისი კრიტერიუმი არ შეიძლება ერთი რომელიმე მაჩვენებლით გამოისახოს. იმის გამო, რომ წარმოების ეფექტიანობა მრავალმხრივი ეკონომიკური კატეგორიაა, მისი კრიტერიუმები და მაჩვენებლებიც მრავალმხრივია. მეცნიერ ეკონომისტთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ეფექტიანობის კრიტერიუმები განხილული უნდა იქნეს ცალკე მის მთლიანობაში და ცალკე კვლავწარმოების ფაზებისათვის.

სოციალისტური წარმოების მთლიანობაში ეფექტიანობის კრიტერიუმებად წარმოდგენილია შეფარდება საერთო საზოგადოებრივ პროდუქტსა და წარმოების ხარჯებს შორის; ეროვნულ შემოსავალსა და ხარჯებს შორის; საბოლოო პროდუქტსა და ხარჯებს შორის; მოხმარების ფონდსა და ხარჯებს შორის; ეროვნულ სიმდიდრესა და ხარჯებს შორის; საერთო საზოგადოებრივ პროდუქტსა და საწარმოო რესურსებს შორის; ეროვნულ შემოსავალსა და რესურსებს შორის; საბოლოო პროდუქტსა და რესურსებს შორის. ამ საერთო ეკონომიკურ კრიტერიუმებს უნდა დაემატოს წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები კვლავწარმოების ფაზებისათვის, სამეურნეო საქმიანობისათვის, როგორიცაა ძირითადი ფონდების განახლება და გაფართოება, ახალი ტექნიკის დანერგვა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი, სახალხო მეურნეობის დარგები, საწარმოები და ა. შ.

იმის გამო, რომ კვლავწარმოების შედეგები წინასწარ არის განსაზღვრული სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული საწარმოო დანახარჯებისა და საწარმოო რესურსების სიდიდით, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება ორი მიმართულებით: დანახარჯებისა (წარმოების ხარჯების) და საწარმოო რესურსების გამოყენების ეფექტიანობით.

პროფ. ნ. ცაგოლოვი იხილავს რა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმების პრობლემას, მიუთითებს, რომ სო-

---

[1] Хачатуров Т. С. Эффективность общественного производства, «Вопросы экономики», № 6, 1975, стр. 140.

ციალიზმის დროს უნდა გამოიყოს მეურნეობრივი გაძღოლის ორი საფეხური, რომლებსაც შეესაბამება ეფექტიანობის ორი კრიტერიუმი. ჯერ ერთი, ეს კრიტერიუმები დამახასიათებელია მთლიანად საზოგადოებისათვის, რომელიც გამომდინარეობს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებიდან და გამოხატავს საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების აუცილებლობას მინიმალური დანახარჯებით: მეორე, წარმოების ეს კრიტერიუმები დამახასიათებელია საწარმოსათვის, რომელიც სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მუშაობს და მისი საქმიანობა საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით მოგების მოცულობის გადიდებაზეა დამოკიდებული[1].

უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განზოგადებულ მაჩვენებლად მიიჩნევენ წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობას, ე. ი. საზოგადოების წმინდა პროდუქტს. ეს მაჩვენებელი სხვებთან შედარებით უკეთ გამოხატავს სოციალისტური წარმოების შესაძლებლობებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მთავარი მიზნის მისაღწევად, ამასთან ის გულისხმობს, საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკის ზრდას.

ვფიქრობთ, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის დამახასიათებელ კრიტერიუმებს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეროვნული შემოსავლის მოცულობას, ტემპებსა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. სწორედ ეროვნული შემოსავლის მოცულობაზეა დამოკიდებული ეკონომიკური რესურსებისა და ფულადი საშუალებების მთელი სიდიდე, რომელიც შეუძლია საზოგადოებას გამოიყენოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული ტემპებით განვითარების უზრუნველსაყოფად. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი მიზნის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული შემოსავლის გადიდებითა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდით მიიღწევა. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ ეს მაჩვენებლები სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმად.

წარმოების ეფექტიანობის ამ მთავარი კრიტერიუმების გვერ-

---

[1] См. «Экономические науки», 1975, № 10, стр. 112—114.

დით სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნილებათა განსახორციელებლად აუცილებელია ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი სისტემის გამოყენება. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა პერსპექტიული დაგეგმვა მოითხოვს ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მთელი სისტემის აუცილებელ გამოყენებას, რომლებმაც უნდა დაახასიათოს ცოცხალი შრომისა და მატერიალური რესურსების გამოყენების დონე და მათი უკუგება.

ეკონომიკური ეფექტიანობის გასარკვევად წარმოების პროცესის ძირითადი ელემენტების — შრომის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს კერძო მაჩვენებლებიც, რომლებიც ახასიათებენ წარმოების ეფექტიანობის ამა თუ იმ მხარეს, სახელდობრ, ცოცხალი შრომა განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებას, შრომის საშუალებები — ფონდუკუგებას ან ფონდაღჭურვას, ხოლო შრომის საგნები — მასალატევადობას ან მასალაუკუგებას. ამასთან სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების სრულად გამოსავლინებლად და სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად საჭიროა ამ მაჩვენებლის ფართოდ გამოყენება.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განზოგადებულ მაჩვენებელთან ერთად საჭიროა კერძო მაჩვენებელთა განხილვა, რომლებიც წარმოების ცალკეულ მხარეებს ახასიათებენ.

ცალკეული საწარმოების მეურნეობრივი ეფექტიანობის კრიტერიუმებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოგება და რენტაბელობა. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილ სამრეწველო საწარმოთა პრაქტიკული გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ ამ მაჩვენებლებმა დროის გამოცდას გაუძლეს. ეს მაჩვენებლები აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგებიან სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნილებას, პირიქით, თითოეულ საწარმოს ბიძგს აძლევენ საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების გაუმჯობესებისაკენ. სამეურნეო რეფორმით მოგების როლი გაიზარდა, მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ის არ შეიძლება მეურნეობის რეგულატორი იყოს. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობა ქმნის კაპიტალიზმისათვის უცხო სახალხომეურნეობრივი რენტაბე-

ლობის მაჩვენებელს, რომელიც მთელი ეკონომიკის მასშტაბით უზრუნველყოფს მყარი შემოსავლების მიღებას.

ამასთან სამეურნეო რეფორმამ მოითხოვა რენტაბელობის გაანგარიშების მეთოდიკის შეცვლაც. თუ რეფორმამდე რენტაბელობა განისაზღვრებოდა, როგორც მოგების შეფარდება პროდუქციის თვითღირებულებასთან, ამჟამად მას განსაზღვრავენ, როგორც მოგების შეფარდება საწარმოო ფონდების ღირებულებასთან. რეფორმამდელი რენტაბელობის მაჩვენებელი სრულად არ გამოხატავდა საწარმოს განკარგულებაში არსებულ მთელ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობას, საწარმოს რენტაბელობის დღევანდელი მაჩვენებელი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უფრო ნათელ სურათს იძლევა და მის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიიჩნევა.

ისმის კითხვა: რამდენად შეეფერება რენტაბელობის მაჩვენებელი იმ მოთხოვნებს, რაც მასზეა წაყენებული, როგორც ინტეგრალურ მაჩვენებელზე? სადაო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მოგების შეფარდება საწარმოო ფონდებთან უფრო სრულად ასახავს წარმოების ინტეგრალურ ეფექტიანობას, რესურსების გამოყენების ხარისხს, ვიდრე მოგების პროდუქციის თვითღირებულებასთან შეფარდება. მიუხედავად ამისა, საერთო და გაანგარიშებით რენტაბელობას არ შეუძლია გადაწყვიტოს ყველა ის ამოცანა, რომელიც წარმოების ეფექტიანობის შეფასების მთავარი მაჩვენებლების წინაშე დგას და აგრეთვე გამოსაყენებელი რესურსების ფაქტიური და ნორმატიული ეფექტიანობის შედარება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რენტაბელობის გამოყენების მიუხედავად, საწარმოო ფონდების საფასური არ წარმოადგენს მატერიალური სტიმულირების სისტემაში მძლავრ ელემენტს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ამჟამად გავრცელებულ მოსაზრებებს შორის საყურადღებოა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს ან გაერთიანების საქმიანობის შეფასება მოვახდინოთ რესურსების ეფექტიანად გამოყენების წმინდა მოგების ან მისი მატების მაჩვენებლის მოშველიებით. ეს მაჩვენებელი მრავალი დადებითი თვისებით ხასიათდება — გამოხატავს წარმოების საბოლოო შედეგს, იძლევა წარმოების მოცულობისა და თვითღირებულების დონის ცვლილებებს, ხოლო დასაბუთებული ფასების პირობებში პროდუქციის ხარისხის შესახებ ინფორმაციას, რესურსების გადასახდელის ოპტიმალურ ეფექტიანობას. საყურადღებოა, რომ ფონდების

საფასურის ოპტიმალობა მიიღწევა სწორი ფასწარმოქმნის პირობებში, რაც მას დაეხმარება მთლიანად შეცვალოს წმინდა შემოსავლის განაწილების ისეთი არამეურნეობრივი ფორმა, როგორიც არის მოგების თავისუფალი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღება.

ჯერ კიდევ სადისკუსიო პრობლემად რჩება საწარმოს, გაერთიანების საქმიანობის შეფასება მოხდეს სახელმწიფო გეგმების შესრულების კვალობაზე თუ წარმოების ეფექტიანობის მიღწეული დონით? წარმოების ეფექტიანობის გეგმის შესრულების მიხედვით შეფასება ხელს უწყობს საგეგმო დავალებათა შემცირებისათვის ბრძოლას. ამასთან რესურსების გამოყენების მხოლოდ ეფექტიანობის მიღწეული დონით შეფასებაში იმალება ცენტრალიზებულად დაწესებული სახალხომეურნეობრივი პროპორციების დარღვევის საშიშროება.

ამრიგად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმების საკითხი ჯერჯერობით არ არის ოპტიმალურად გადაწყვეტილი. მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭიროა საწარმოს, გაერთიანების დონეზე მოვახდინოთ შეფასება ორი მთავარი მაჩვენებლით — სახალხო მეურნეობის გეგმისა და წმინდა მოგების სიდიდეებით. სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებით შეიძლება საზოგადოებრივ მოთხოვნათა უფრო სრული აღრიცხვა, ხოლო წარმოების ეფექტიანობის წმინდა მოგებით შეფასება ხელს შეუწყობს მინიმალური დანახარჯებით მეტი ეფექტის მიღებას. ამ ორი მაჩვენებლით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შეფასება უზრუნველყოფს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ცხოვრებაში განხორციელებას და მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებას.

§ 3. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი მიმართულების — სოციალისტური ეკონომიკის დინამიკური განვითარებით ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების მისაღწევად მეათე ხუთწლედში დასახულია ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვე-

ბის, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მატების ოპტიმალური საზღვრები. 1976 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირში წარმატებით მოქმედებდა 48 ათასი სამრეწველო და დაახლოებით ამდენივე სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ათეული ათასობით სამშენებლო, სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციები. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვმა გადააჭარბა 104 მილიონ ადამიანს, რომელთაგან 75 პროცენტი მოდიოდა მატერიალური წარმოების სფეროზე. სადღეისოდ სსრ კავშირის ეროვნული სიმდიდრე შეფასებულია 1 ტრილიონ 900 მილიარდ მანეთად.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია შრომის ფონდაღჭურვის ზრდა. მეათე ხუთწლედში ფონდაღჭურვა სახალხო მეურნეობაში მთლიანად 36 პროცენტით გადიდდება, მათ შორის: მრეწველობაში — 34 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 60 პროცენტზე მეტად. სწორედ ეს იწვევს წარმოების სწორ ორგანიზაციასთან ერთად შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ასეთმა მასშტაბებმა განაპირობეს სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება და შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპები. უკანასკნელი —20 წლის მანძილზე (1955—1975) სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 8—8.5 პროცენტს შეადგენდა. სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრეები 1975 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარება — 3.1-ჯერ. მეცხრე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება 23 პროცენტით გადიდდა, რითაც 20 მილიონი მუშაკის შრომის ეკონომია იქნა მიღებული. მეშვიდე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიღწეულ იქნა პროდუქციის მატების 62 პროცენტი, მეცხრე ხუთწლედში — 84 პროცენტი, ხოლო მეათე ხუთწლედში დაგეგმილია — 90 პროცენტი და 25 მილიონზე მეტი მუშაკის შრომის ეკონომია.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების კურსი ორი გარემოებითაა ნაკარნახევი: ჯერ ერთი, არსებობს მთელი რიგი ობიექტური წინაპირობები — მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მრავალდარგოვანი საწარმოო აპარატი, მშრომელთა პროფესიული და კულტურული დონის ზრდა და მეო-

რე. წარმოების განვითარების ისეთი ექსტენსიური ფაქტორების განსაზღვრა, როგორიცაა წარმოებაში დამატებითი მუშახელის ჩართვა და კაპიტალური დაბანდებანი.

გასულ, მეცხრე ხუთწლედში საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: 1. საწარმოებზე (გაერთიანებებზე) დაყვანილ იქნა საწარმოო პროგრამის ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის თითოეული წლების ჩვენებით; 2. მატერიალური წახალისების ფონდის 60 პროცენტი მიმართულ იქნა რენტაბელობის დონის სტიმულირებისათვის, ხოლო 40 პროცენტი — პროდუქციის რეალიზაციის სტიმულირებისათვის; 3. მატერიალური წახალისების ფონდი დამატებით გაიზარდა ხელფასის ფონდის 0,3 პროცენტის ოდენობით შრომის ნაყოფიერების თითოეული პროცენტით გადიდებისათვის; 4. გეგმაში ცალკე გამოიყოფა ახალი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, რაც მატერიალური წახალისების დროს გაითვალისწინება ხოლმე; 5. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მაშინ ითვლება შესრულებულად, როცა მიღწეულია პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის დაწესებული დავალებების შესრულება.

მეათე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერიოდში გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი დაუკავშირდება მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების მომჭირნეობის მკაცრ რეჟიმს.

წარმოების ეფექტიანობა რაოდენობრივ გამოხატულებაში არის წარმოების შედეგების შეფარდება საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებთან, ე. ი. ეროვნული შემოსავლის ან შექმნილი სამრეწველო პროდუქციის შეფარდება ცოცხალი შრომისა და ძირითად საწარმოო ფონდებში, ნედლეულში, მასალებსა და სათბობში განივთებული შრომის დანახარჯების ჯამთან.

აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ წარმოების ეფექტიანობასთან სახალხომეურნეობრივი და ლოკალური მიდგომა. საჭიროა წარმოების ეფექტიანობა შესწავლილ იქნეს მთელი ქვეყნისა და ცალკეული დარგების, ქვედარგების, გაერთიანებებისა და საწარმოთა მასშტაბით.

წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე განსაკუთრებით მოქმედებს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონე. პარტიის XXV ყრილობამ წარმოების ინტენ-

სიური განვითარების გზას უპირატესობა იმიტომ მიანიჭა, რომ სრულყოფილად გამოვიყენოთ წარმოების ეფექტიანობის ზრდის საშუალებანი მეურნეობრივი მართვის ყველა რგოლში.

წარმოების ინტენსიფიკაცია ნიშნავს მატერიალური წარმოების ყველა დარგში შრომის ეფექტიანი და ტექნიკურად სრულყოფილი საშუალების გამოყენებას და წარმოების გადიდებას შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდით.

——საბალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება გულისხმობს უფრო პროგრესული, მოწინავე წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიის, წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფილი ფორმების გამოყენებას, მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

წარმოების ინტენსიფიკაცია დაფუძნებულია ცოცხალი შრომის მაღალ ნაყოფიერებაზა და განივთებული შრომის ეკონომიაზე.

ინტენსიფიკაცია გულისხმობს ღრმა, ხარისხობრივ ცვლილებებს წარმოების პროცესში და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოვლენის ძირითად ფორმას წარმოადგენს. წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად ადგილი აქვს წარმოების ტექნიკური შედგენილობის ზრდასა და მისი ორგანული შედგენილობის ამაღლებას — ცოცხალ შრომას მოძრაობაში მოჰყავს წარმოების საშუალებების დიდი მასა, იცვლება პროპორცია წარმოების ნივთობრივ და პიროვნულ, აგრეთვე მატერიალურ-ნივთობრივ ფაქტორებს შორის. წარმოების ფონდუკუგების სისტემატური ზრდისათვის საჭიროა შრომის საშუალებების მოცულობის უცვლელობის ან შემცირების პარალელურად ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული შრომის საგნების უფრო მეტი მასა.

წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის განხორციელების გზებია: 1. წარმოებაში სულ უფრო მდიდარი ბუნებრივი რესურსების ჩართვა; 2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ახალი ტექნიკის წარმოებაში დანერგვის მასშტაბების გადიდება; 3. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; 4. არსებული შრომის საშუალებების, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის გამოყენების ხარისხობრივი გაუმჯობესება; 5. სამუშაო ძალის გამოყენების ამაღლება.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მოქნილად გამოყენება.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაზე ფინანსების ზემოქმედება უპირატესად ვლინდება მატერიალური წარმოების სფეროს ფულადი საშუალებების განაწილება-გადანაწილებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებასა და შრომის შემდგომი განსაზოგადოების პროცესს.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაზე ფინანსები საკონტროლო ფუნქციის მეშვეობითაც ზემოქმედებს, რომელიც უპირატესად მანეთით კონტროლში ვლინდება. მაგრამ არ იქნება მართებული საფინანსო კონტროლის მხოლოდ მანეთით კონტროლზე დაყვანა. მისი განხორციელება ხდება მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოთა საფინანსო გეგმების შედგენა-დამტკიცებისა და შესრულების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების გაცემისა და ბიუჯეტში გადასახდელების ამოღების, აგრეთვე ბანკიდან ფულადი თანხების გადარიცხვისა და ნაღდი ფულის გამოტანის პროცესში.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი, როგორც ფულად ურთიერთობათა სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, დიდად მოქმედებს იმ ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური გზით განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი არის საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების, სოციალისტურ მეურნეობაში გამოყენებული დაფინანსებისა და დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია სასაქონლო-ფულად ურთიერთობებზე.

იმისათვის, რომ შეიქმნას ისეთი ეკონომიკური პირობები, რომლებიც დააინტერესებენ საწარმოებსა და გაერთიანებებს ოპტიმალური შემხვედრი ვალდებულებების ასაღებად, დაასტიმულირებენ ტექნიკურ პროგრესს და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი თვითღიროებულებების შემცირებას და აქედან გამომდინარე, წარმოების ინტენსიფიკაციას, აუცილებელია საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის შემდგომი სრულყოფა.

ამჟამად დღის წესრიგში დგას პრობლემა: ფინანსები და კრედიტი რა დონით უწყობს ხელს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის

განხორციელებას, როგორია მისი როლი საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი დინამიკური და პროპორციული განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში?

პარტიის XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ასამაღლებლად, შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდისა და მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი გადიდების უზრუნველსაყოფად გრანდიოზული ამოცანები დასახა.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი წარმოების მოცულობა ორ ფაქტორზეა დამოკიდებული — მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვსა და მათი შრომის ნაყოფიერების დონეზე. მაგრამ იმის გამო, რომ მეათე ხუთწლედშივე შრომისუნარიანი მოსახლეობის 92—93 პროცენტი უკვე დასაქმებულია საზოგადოებრივ წარმოებაში, ერთადერთ გზად შრომის ნაყოფიერების ზრდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება დარჩა. სწორედ აღნიშნულზე მიუთითებდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე: „ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ეკონომიური და სოციალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთადერთი გზაა **შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება**“[1].

ამასთან მოქმედ საწარმოებში გათვალისწინებულია პროდუქციისა და სამუშაოთა მთელი მატება მიღწეულ იქნეს მუშაკთა იგივე ან ნაკლები რიცხვით.

მეათე ხუთწლედისა და უახლოესი ათწლეულისათვის დასახულ ამ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელება მოითხოვს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევას სამეურნეო ანგარიშის მძლავრი ბერკეტების დანერგვის ხაზით, რათა მატერიალურად დავასტიმულოთ დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის შემცირება. ამ უკანასკნელის მისაღწევად აუცილებელია ხელფასის ფონდის ფორმირების ნორმატიული მეთოდის (მაგალითად, ერთ მანეთ წმინდა

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 58.

პროდუქციაზე) გამოყენება ფაქტიურად დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობაზე.

პარტიის XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით შეიძლება გადაიჭრას სსრ კავშირის მთავარი ამოცანა — აშენდეს კომუნისტური წარმოების წესი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციისა და მუშაობის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დაჩქარებული დანერგვაა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებათა შორის, რომლებიც წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედებენ, აღსანიშნავია: ახალი ტექნიკის დანერგვის დაჩქარება და მოწყობილობათა პარკის სტრუქტურის გაუმჯობესება, ერთეული მანქანებისა და აგრეგატების ნაცვლად მანქანათა სისტემებსა და კომპლექსებზე გადასვლა, ეფექტიანი და პროგრესული მასალების შექმნა, წარმოების ახალ ტექნოლოგიურ პროცესებსა და ორგანიზაციაზე გადასვლა, მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების ბაზაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა ეს მიმართულება ზრდის შრომის ნაყოფიერებას და წარმოების ინტენსიურ განვითარებას.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული ტემპით განვითარებას. პარტიის XXIV და XXV ყრილობებმა ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებები დასახეს. კიდევ უფრო გაიზრდება მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის როლი, ამაღლდება მისი ეფექტიანობა ფუნდამენტური გამოკვლევების გაფართოებით და მეცნიერთა მთელი ყურადღება დაეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე დიდმნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებებს. პარტიის XXV ყრილობამ ახალი მეცნიერული იდეების პრაქტიკული განხორციელება უდიდესი მნიშვნელობის ამოცანად დასახა.

ამასთან ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმატებას, მის კეთილნაყოფიერ ზემოქმედებას ეკონომიკაზე, საზოგადოების

ცხოვრების ყველა სფეროზე ვერ უზრუნველყოფს მარტო მეცნიერ მუშაკთა მეცადინეობა. სულ უფრო დიდი როლი ენიჭება ამ ისტორიული მნიშვნელობის პროცესში საზოგადოებრივი წარმოების ყველა მონაწილის, სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის ჩაბმას"[1].

პარტიის მიერ დასახული ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან ორგანულად დაკავშირების საქმეში, განხორციელება მოითხოვს წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებას, რაც შეუძლებელია უძრაობითა და რუტინიორობით, საჭიროა მათ მკაცრი ბრძოლა გამოვუცხადოთ, სრულყოფილ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, „...რათა შეიქმნას პირობები, რომლებიც ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ახალი იდეების უსწრაფესად გავლას მთელ ჯაჭვში — გამოგონებიდან მასობრივ წარმოებამდე, საიმედო ეკონომიურ დაბრკოლებებს შეუქმნიან მოძველებული პროდუქციის გამოშვებას"[2].

საქართველოს კპ XXV ყრილობაზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ბევრი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია, რომელიც არ ხვეწს ახალი ტექნიკის ნიმუშებს და ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს წარმოებაში დასანერგად. „მეცხრე ხუთწლედში ახალი ტექნიკის დასანერგად განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საანგარიშო მოხსენებაში, — აგრეთვე აშკარად გაწეული ფაქტიური დანახარჯები თითქმის ერთისამად გაიზარდა, ხოლო ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიური ეფექტი 3,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ კავშირში"[3].

დაბალია გამოყენებითი მეცნიერული გამოკვლევების წარმოებაში დანერგვისა და კვლევის ეფექტიანობა, სუსტია გამოსაკვლევი თემების კოორდინირება. რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს მეცნიერულ-ტექ-

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 65—66.

2 იქვე, გვ. 66.

3 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კპ XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 66.

ნიკური პროგრესის წარმოებასთან ორგანული შეხამება. „მთელი ჩვენი მეცნიერება, — ხაზგასმულ იქნა ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში, — უნდა ჩავაყენოთ ხალხის ინტერესების სამსახურში, იგი ერთგულად უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, მზრუნველობით უფრთხილდებოდეს ადამიანისათვის და ადამიანის საკეთილდღეოდ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს"[1].

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გავლენა წარმოების ეფექტიანობასა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე იწვევს წარმოების უფრო დინამიკურ განვითარებას, რაც მოითხოვს ყველგან და ყველაფერში მის რეკონსტრუქციას და ეს უკანასკნელი ობიექტური მოთხოვნილება ხდება. წარმოების ხელახალი აღჭურვა, მისი ინტენსიფიკაცია უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებაზე უმცირესი დანახარჯებით ფონდუკუგების ამაღლებას.

§ 4. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მისი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსი **„რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე"**[2].

აღნიშნული ამოცანების განხორციელება შეუძლებელია წარმოების ეფექტიანად გაძღოლის გარეშე. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. „ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ეკონომიური და სოციალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთადერთი გზაა, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრი-

---

[1] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კპ XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 69.

[2] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 223.

ლობაზე, — შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. მთელი ჩვენი ეკონომიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ის, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეფექტიანობას, და ამაზე ლაპარაკი გვიხდება კვლავ და კვლავ"[1].

პარტიის XXV ყრილობის მიერ მეათე ხუთწლედის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის გამოცხადება საბჭოთა ხალხის წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს, რისთვისაც აუცილებელია ფართო საზოგადოებრიობა ნათლად გაერკვეს, ინფორმირებულ იქნეს წარმოების ეფექტიანობის არსში, მის შინაგან, იმანენტურ თავისებურებებში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და ინტენსიფიკაცია მიიღწევა მრავალი ფაქტორის მოქმედებით.

ამ ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია სოციალური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების განვითარების წანამძღვრებს და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაცია-მართვის სისტემას. ამ უკანასკნელის მეშვეობით წარმოების განვითარების წანამძღვრები გადაიქცევიან რეალურ სინამდვილედ.

წარმოების ორგანიზაცია-მართვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი უპირატესობანი ოპტიმალურად შეათანაწყოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საწინდარია.

პარტიის XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოთხმოციან წლებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის უნდა დაველოდნოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას და არა დამატებითი მუშახელის მიზიდვას. „ხელის შრომის წილის მკვეთრი შემცირება, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ეკონომიური ზრდის აუცილებელი პირობა ხდება"[2].

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის მთავარ დარგებში წარმოების მოცულობის ზრდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებით დამატებითი მუშახელის გამოყენების გარეშე.

მეათე ხუთწლედში დასახულია შრომის ნაყოფიერების გადი-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 58.

[2] იქვე.

დების გზით მივიღოთ ეროვნული შემოსავლის წარმოების მატების 85—90 პროცენტი, სამრეწველო პროდუქციის მატების 90 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელი მატება და რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის მოცულობის მატების სულ ცოტა 95 პროცენტი.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მეათე ხუთწლედსა და შემდგომ პერიოდში უნდა მივაღწიოთ რესურსების რაციონალური გამოყენებით, სახელდობრ, უფრო იაფი და ეფექტიანი მასალების მომჭირნეობით და პროდუქციის მასალატევადობის შემცირებით.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მიღწეული უნდა იქნეს, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ნაკლები დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღებით. სწორედ ეს არის განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის განმსაზღვრელი თავისებურება. სოციალისტურმა წარმოებამ რაც შეიძლება სრულად და რენტაბელურად უნდა გამოიყენოს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები.

დღეს ისე, როგორც არასდროს ჩვენი წინსვლისათვის მთავარია მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვა, რომელიც საბოლოო ჯამში სამუშაო დროის დაზოგვას და შრომის ნაყოფიერების ზრდას ნიშნავს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური აუცილებლობა უპირატესად იმით არის გამოწვეული, რომ გარდა ამისა მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების სხვა საშუალება არ არსებობს.

სსრ კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების სამეურნეო მშენებლობის მთელი გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ სახალხო მეურნეობის ეფექტიანად გაძღოლის გარანტიას მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება იძლევა.

სოციალისტური წარმოების წესის ეს თავისებურება იმას ნიშნავს, რომ ეს ავტომატურად გამოვლინდება და წარმოების ეფექტიანობა თავისთავად მაღალი იქნება. არა! საჭიროა მშრომელთა თავდადებული, საერთო-სახალხო ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ასაშენებლად.

სწორედ ამიტომ გამოაცხადა პარტიამ წარმოების ეფექტიანობის ამაღლება საერთო-სახალხო ამოცანად.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებებიდან და ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

I. ცოცხალი შრომის ეკონომია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონეს. ეს უკანასკნელი ზრდის საზოგადოებრივი წარმოების მოცულობასა და მასშტაბებს. სამუშაო დროის ეკონომიისათვის ბრძოლა უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით — 1. სამუშაო დროის ფონდის რაციონალური გამოყენებისა და 2. შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციით პროდუქციის ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯთა შესაძლო შემცირების მიღწევის გზით:

II. სამუშაო დროის ეკონომია, რომელიც დახარჯულია მოქმედი წარმოების საშუალებათა შესაქმნელად.

ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობის სწრაფი ტემპებით ზრდისა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მორალური ცვეთის დაჩქარებამ წინა პლანზე დააყენა ძირითადი ფონდების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა, რაც უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის ზრდას დამატებითი კაპიტალური დაბანდებებისა და ცოცხალი შრომის დანახარჯების გარეშე, ეს კი სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა პროდუქციის ერთეულზე თვითღირებულების შემცირებას (არსებული ძირითადი წარმოების საშუალებების ბაზაზე პროდუქციის წარმოების გადიდება იწვევს პროდუქციის ერთეულზე ამორტიზაციის თანხის შემცირებას). იზრდება ფონდუკუგებაც. ამასთან თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია დღის წესრიგში აყენებს მოძველებულ მანქანა-მოწყობილობათა განახლებასა და შეცვლას, საქმე ეხება შრომატევადი სამუშაოების ფართო მექანიზაციას, ხელის შრომის მანქანებით მაქსიმალურად შეცვლას.

როგორც ცნობილია, წარსული შრომა განივთებულია აგრეთვე შრომის საგნებში და სამუშაო დროის ეკონომია, რომელიც დახარჯულია ამ საგნების შექმნაზე, თავის გამოხატულებას პოულობს პროდუქციის მასალატევადობის შემცირებაში, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიის XXV ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია

ახალი კონსტრუქციული მასალების წარმოება და გამოყენება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ტრადიციული მასალების ხარისხის გაუმჯობესებას და ახალი შემცვლელი ხელოვნური მასალების შექმნას. ამ უკანასკნელის უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ბუნებრივი ნედლეული მცირდება და მისი მოპოვების ხარჯები სისტემატურად იზრდება.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება, მაგრამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების მოდუნებამ, ამასთან სამინისტროებსა და უწყებებზე, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებზე მიცემულმა უფლებებმა, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე დააწესონ თვითღირებულების შემცირების დავალებანი, უარყოფითი შედეგები გამოიღო, ბევრი მათგანი ამ დავალებას არც კი აძლევს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით გამოყენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ეხებოდა რა ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის პრობლემებს, მიუთითებდა: „პრობლემების მეორე, ასევე ძალიან არსებითი მხარეა ლითონის მომჭირნეობა დარგებში, რომლებიც მისი მთავარი მომხმარებლები არიან. ასეთი მომჭირნეობა შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ლითონის დამუშავების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის, მანქანების კონსტრუქციების შემსუბუქების, ნარჩენებისა და წუნის გადაჭრით შემცირების, წარმოებაში ლითონის ეკონომიურად ეფექტიანი შემცვლელების ფართოდ დანერგვის გზით“[1].

ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვის მისაღწევად აუცილებელია მეორადი რესურსების მაქსიმალური გამოყენება და ბუნებრივი მასალების ხელოვნურით შეცვლა.

ნედლეულისა და მასალების ეკონომიის რეზერვი ყველა საწარმოს გააჩნია. ამ რეზერვების გამოყენება კი ერთ-ერთი უდიდესი

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 18.

მნიშვნელობის ამოცანაა. თითოეულ სამუშაო ადგილზე მასალებისა და ნედლეულის ხარჯვის ეკონომია იწვევს სახალხო მეურნეობაში სხვა მატერიალურ-ფასეულობათა ეკონომიას. მაგალითად, მთელი ქვეყნის მასშტაბით 1 მილიონი ტონა შავი ლითონის ნაგლინის ეკონომია გამოიწვევს 20 ათასი ტონა მაზუთის, 300 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის, 60 მილიონი კუბური მეტრი გაზის, სხვა მასალისა და ნედლეულის ეკონომიას.

III. დროის ეკონომია მთელი წარმოებისა და მიმოქცევის დროის შემცირებით. ცნობილია, რომ წარმოების დრო მოიცავს თვით სამუშაო პერიოდს, მასალების საწარმოო მარაგებში შენახვისა და ბუნებრივი პროცესების დროს. სამუშაო დროის ეკონომიისათვის აუცილებელი ფაქტორია წარმოების სპეციალიზაციის განვითარება, ხოლო მასალების საწარმოო მარაგებში შენახვის პერიოდის შემცირება შეიძლება მომწოდებელ და მყიდველ ორგანიზაციებთან ოპტიმალური ხელშეკრულებების დადებით, ბუნებრივი პროცესების დროის შემცირება ხდება ქიმიზაციის გამოყენებით;

IV. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, რომლის მეშვეობითაც საერთაშორისო მასშტაბით ხდება სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაცია.

ამრიგად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მთავარია მომჭირნეობის რეჟიმის ყველა შესაძლებლობის კომპლექსური გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომის იარაღებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, ნედლეულისა და მასალების წარმოების გადიდება და მისი გამოყენების გაუმჯობესება.

წარმოების ეფექტიანობის შედარებით განზოგადებული მაჩვენებელია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა, ამიტომაც მას მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა განხორციელების კვალობაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების ნივთობრივი ფაქტორების როლი და მნიშვნელობა.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში წარმოების ეფექტიანობისა და ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამაღლების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლე-

მები პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხებია. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობაში ამ მხრივ ბევრი გაკეთდა, საწარმოებსა და სამრეწველო გაერთიანებებში ჯერ ძრავლად გვხვდება გამოუყენებელი წარმოების შესაძლო ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები. პარტია მიუთითებს: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეექმნათ პირობები დაძაბული გეგმების ასაღებად და მუშაობის უკუგების ასამაღლებლად; საზოგადოებისათვის ყოველთვის სასარგებლოა საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ დაძაბული გეგმების აღება, რომელიც სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მთავარი მოთხოვნაა.

რას გულისხმობს დაძაბული გეგმა? ამ საკითხზე საბჭოთა ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ცნობილია, ეს ის გეგმაა, რომელიც შედგენილია მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივებით და რომელიც ითვალისწინებს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას. დაძაბული გეგმის ყველა განმარტებაში ხაზგასმულია საწარმოო რესურსების გამოყენების დონე[1].

გეგმების დაძაბულობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მაქსიმალურად გავითვალისწინოთ შიდასამეურნეო რეზერვები, რისთვისაც საჭიროა გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები: პროდუქციის წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტები, ფონდუკუგების გადიდება, მასალატევადობის შემცირება, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯთა შემცირების ტემპები, პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები.

ჩვენი აზრით, დაძაბულია ის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალ ტემპებს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების ბაზაზე. თუ რესურსების ოპტიმალურად გამოყენება არ უდევს საფუძვლად წარმოების განვითარებას, ან

---

[1] См. Бачурин А. В. Планово-экономические методы управления, М., 1973, стр. 244, Веленков Ф. С. Стимулирование напряженных плановых заданий в промышленности, М., 1973, стр. 10, Силуанов Г. М. Методы стимулирования повышения эффективности производства, М., 1976, стр. 54—55, Иванченко В. М. Интенсификация производства, формы и ее стимулирование, М., 1973, стр. 116.

შრომის ნაყოფიერების ზრდას, შეიძლება როგორც ამ მაჩვენებლების, ასევე საბოლოო სახალხომეურნეობრივი დადებითი შედეგები მიღწეულ იქნეს სხვა ფაქტორების გავლენითაც. აქ წინა პლანზე დგება დაძაბული გეგმის კრიტერიუმების გარკვევაც. ასეთი მაჩვენებლებია: საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე, პროდუქციისა და მოგების მოცულობის ზრდის ტემპები, არსებული სიმძლავრეების ეფექტიანად გამოყენება დამატებითი სამუშაო ძალისა და კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე, უმაღლესი ხარისხის ან ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდება წარმოებულ პროდუქციის მთელ მასასთან, პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები.

დაძაბული გეგმის კრიტერიუმია ხუთწლიანი გეგმა, რომლის თითოეული მაჩვენებელი უნდა შევუდაროთ ანალოგიური წლიური კორექტირებული გეგმის მაჩვენებლებს. სწორედ ამ უკანასკნელის გადახრა მოგვცემს წლიური გეგმის დაძაბულობის ხარისხს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ მარტო ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლების დაძაბული გეგმის კრიტერიუმად გამოცხადება ხელს არ უშლის გამოვიყენოთ ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლებიც; ისინი უფრო სრულყოფილს გახდიან დაძაბულ გეგმებს.

საწარმოს კოლექტივში სახალხომეურნეობრივი გეგმების სტიმულირებისათვის საჭიროა დაძაბული გეგმების დასაბუთებული კრიტერიუმების შემოღება. გეგმის დაძაბულობა უნდა განისაზღვროს მოწყობილობათა და საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვისა და შრომის ნაყოფიერების დონით, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის, სათბობის, კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანად გამოყენებით. გეგმის დაძაბულობის ხარისხი კი გაიზომება გეგმის მაჩვენებლების შეფარდებით მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმატივებთან და მოწინავე საწარმოს მუშაობის მაჩვენებლებთან. ამასთან აღნიშნული ნორმატივები ხანგრძლივი და მდგრადი უნდა იყოს, რაც საწარმოო კოლექტივის მასტიმულირებელია.

პარტიის მიერ დასახული წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემის კომპლექსურ შესწავლას.

წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი შრომის ეკონომიის მიღწევა, რაც თავის მხრივ

განაპირობებს საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის გადიდებას ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნის — სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდისა და სრულყოფის გზით ზედმეტი პროდუქციის შექმნას[1].

წარმოების ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებლებია:

1. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა;
2. მოგების მოცულობა და წარმოების რენტაბელობა;
3. პროდუქციის ხარისხი;
4. შრომის ნაყოფიერება;
5. დეფიციტური მასალების ეკონომიურად ხარჯვა.

მატერიალური წარმოების სფეროს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სოციალისტური საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქტის რეალიზაციის მოცულობა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი დაგეგმილ ასორტიმენტთან და ხარისხთან. სწორედ ჩვენს მიერ სოციალისტური საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქტის ხაზგასმა განაპირობა იმან, რომ ზოგჯერ, არც თუ ისე იშვიათად, წარმოების მესვეურები პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შესრულებას აღწევენ პროდუქციის საგეგმო ნომენკლატურისა და ხარისხის დარღვევით, საზოგადოებისათვის ნაკლებად საჭირო და მეორეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით; მოძველებული, დიდი ხნის წინათ ათვისებული, მაგრამ მაღალრენტაბელური პროდუქციის წარმოების გადიდებით, რაზედაც უმიზნოდ იხარჯება ფონდირებული მატერიალური და ფულადი რესურსები. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეალობის დასადგენად ასეთი პროდუქცია რეალიზაციის მოცულობიდან უნდა გამოითიშოს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოგების მოცულობის გადიდების უზრუნველყოფა. საწარმოს მიერ მიღებული დაგროვება (მოგება) სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავლებისა და თვით საწარმოს შემდგომი განვითარების წყაროა. საყურადღებოა, რომ მოგებიდან ეკონომიკური

---

[1] См. «Политическая экономия», учебник, под редакцией акад. А. Румянцева, М., 1975, стр. 92.

სტიმულირების ფონდების ზრდა საბოლოო ჯამში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაა. საწარმოს მიერ გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად გამოყენება განსაზღვრავს წარმოების რენტაბელობას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პროდუქციის ხარისხი. „ხარისხის პრობლემა, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენ ძალიან ფართოდ გვესმის. იგი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. მაღალი ხარისხი — ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა, ხოლო საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზანს უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვისა და მართვის მთელი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისების მთელი სისტემა, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მეცადინეობა, მუშების ოსტატობა“[1].

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასმული ხარისხის პრობლემა ბევრ ამოცანას უყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოები ჯერ კიდევ ვერ უშვებენ მაღალხარისხოვან პროდუქციას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების წევრთა გაზრდილი მოთხოვნები, ძალზე მცირეა წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხის ნიშნით გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წონა.

რესპუბლიკაში ჩატარებული პროდუქციის ატესტაციის მონაცემებით, 1976 წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ჰქონდა 400 დასახელების პროდუქციას 196.8 მილიონი მანეთის საერთო ღირებულებით, ანუ მთელი პროდუქციის საერთო მოცულობის 3,7 პროცენტს ნაცვლად საკავშირო — 8.3 პროცენტისა, ხოლო პირველი კატეგორია მინიჭებული ჰქონდა 2,6 მილიარდი მანეთის ღირებულების პროდუქციას, ანუ 48,3 პროცენტს ნაცვლად 1975 წლის 50,7 პროცენტისა.

1976 წელს, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 17 მარტის კრებაზე, — „1975 წელთან შედარებით ხარისხის სახელმწიფო ნიშნი-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 60.

ანი პროდუქცია 71,1 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ერთიორად და მეტად ჩამორჩა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს"[1].

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ მკაცრად გააფრთხილა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომ შემდგომში უხარისხო პროდუქციის გამოშვება შეფასებული იქნება როგორც უთაობის, გულგრილობისა და პროდუქციის ხარისხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგი.

გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს „იერიშობანა", რაც განპირობებულია ცუდი შრომითი და საგეგმო დისციპლინით. ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები, არარიტმული მუშაობა, ცუდია საწარმოო დისციპლინა, დიდია კადრების დენადობა, მატერიალური და ფინანსური რესურსების უყაირათოდ ხარჯვა და სხვ.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პროდუქციის ხარისხის ამაღლებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, იგი ღებულობს კომპლექსურ ხასიათს და ამ პრობლემის გადასაწყვეტად სისტემურ მიდგომას.

აუცილებელია ოპტიმალურად იქნეს შეთანაწყობილი წარმოება და მისი ყველა რგოლის მართვა დაპროექტების, პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების მთელ პროცესში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნედლეულისა და მასალების, მზა პროდუქციის თავისებურებათა და მოთხოვნილებათა შეთანაწყობას, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს დამატებითი ხარჯების გაღებას, ურომლისოდაც შეუძლებელია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ მეათე ხუთწლედში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რესპუბლიკაში შექმნილია ხარისხის კატეგორიების მიხედვით პროდუქციის ნომენკლატურისა და მისი წარმოების გეგმის დასადგენად პროდუქციის ხარისხის მდგომარეობის კოორდინირების სპეციალური ორგანო.

ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების ზრდა. სსრ კავში-

[1] იხ. „კომუნისტი", 1977 წლის 20 მარტი.

რის სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მასშტაბებში შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით ამაღლება გამოიწვევს სამრეწველო პროდუქციის ზრდას 5 მილიარდი მანეთით. ეს მაშინ, როდესაც 1940 წელს შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გადიდება იძლეოდა დამატებით 300 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხოლო 1950 წელს 500 მილიონი მანეთისას. მეათე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთლიანად სახალხო მეურნეობაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების 25 პროცენტით ამაღლებას, რაც უდიდეს ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

დასახული შრომის ნაყოფიერების ამაღლების პროგრამის განსახორციელებლად მთავარი ყურადღება მიექცევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპების ამაღლება და უზრუნველვყოთ ხელის შრომაზე დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის შემცირება 15—20 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი დიდი რეზერვია შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მინიმუმამდე შევამციროთ მუშაკთა დენადობა, მოცდენები და შრომის არამწარმოებლური დანახარჯები, განვამტკიცოთ შრომითი, ტექნოლოგიური და საშემსრულებლო დისციპლინა, ავამაღლოთ მუშაკთა კვალიფიკაცია.

წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება მოითხოვს მთელი სამეურნეო მექანიზმის შეუფერხებელ, აწყობილ მუშაობას, სამუშაო დროის თითოეული წუთის უკუგების ზრდას, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია და მთავრობა. „...განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შრომის დისციპლინის მდგომარეობას, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრია გაცდენები, დაგვიანებები, მოცდენები. ეს დიდი ბოროტებაა, რის გამოც გვეკარგება მილიონობით კაცდღე. მის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დავრაზმოთ ყველა პარტიული ორგანიზაცია, მთელი საზოგადოებრიობა“[1].

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 დეკემბერს, თბ., 1976, გვ. 26.

სამუშაო დროის სრულყოფილი გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შრომით კოლექტივებში შეიქმნას ნორმალური მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, თვით კოლექტივმა მოსთხოვოს მკაცრი პასუხი გამცდენებსა და შრომის დისციპლინის დამრღვევებს. აქ საზოგადოებრივი აზრის ძალა ძალზე ეფექტიანი და შედეგის მომტანია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამუშაო დროის, მისი თითოეული წუთის ეფექტიანად გამოყენების ინტერესებიდან გამომდინარე, ამაღლდეს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, კოლექტივის საერთო კრებების, ამხანაგური სასამართლოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის სისტემაში მეცადინეობების როლი და მნიშვნელობა.

„საბჭოთა ადამიანი, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1977 წლის 21 მარტს სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე, — თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია. იგი საზოგადოების ძლიერებისა და სიმდიდრის ერთადერთი შემოქმედია. ჩვენში ხალხის გარდა არავის არ მიუწვდება ხელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფზე, მაგრამ არც ჩვენს მაგივრად იშრომებს არავინ. ეს ნიშნავს, რომ ყოველმა ჩვენგანმა ისე უნდა იმუშაოს, რომ შემდეგ საკუთარი თავისა არ შეგვრცხვეს, შეგვეძლოს ალალი გულით გავუსწოროთ თვალი ამხანაგებს“[1].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე პირობებში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გაგვაჩნია მაღალგანვითარებული სახალხო მეურნეობა, შრომის, საგეგმო, საფინანსო, საშემსრულებლო, ტექნოლოგიური დისციპლინის ყოველი დარღვევა განუზომლად დიდ ზარალს გვაყენებს. სწორედ ამიტომ მოითხოვს პარტია მთელი გულისყურით მოვეკიდოთ დისციპლინის განმტკიცებას მუშაკებში პასუხისმგებლობისა და შეგნებულობის ჩანერგვით, მატერიალური და მორალური სტიმულების ოპტიმალური შეთანაწყობით, კოლექტივის თითოეულ წევრზე ყოველდღიური ზემოქმედებით.

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 22 მარტი.

ხებ. ამ ისტორიულ დოკუმენტში მეცნიერულად არის შეფასებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული დიდი და მიზანსწრაფული მუშაობა რესპუბლიკის მოწინავე მიჯნებზე გასაყვანად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ მიღებულმა დადგენილებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს მშრომელებში, რომლებიც მჭიდროდ დაირაზმნენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გარშემო პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

ამ საქმეში მეტად დიდია რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის გავრცელებისა და პროპაგანდის მნიშვნელობა, „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა“ და „კოლექტივში არც ერთი ჩამორჩენილი და შრომის დისციპლინის დამრღვევის“ დევიზით მუშაობა გულისხმობს სამუშაო დროის ეფექტიანობისათვის ბრძოლას, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აწევლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რა რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივა, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა შეიმუშაონ ღონისძიებათა ისეთი კომპლექსი, რომელიც გაითვალისწინებს მშრომელთა კოლექტივების ორგანიზაციულ, მორალურ, პოლიტიკურ და საქმიან მომზადებას, მიიღონ მონაწილეობა დისციპლინის განმტკიცებაში, რათა შეიქმნას ობიექტური მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები და სტიმულები შეგნებული დისციპლინისა და წესრიგის დასამყარებლად.

დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი საბჭოების ყურადღება მიექცა იმას, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფო, შრომითი, საწარმოო, საგეგმო, ტექნოლოგიური, საფინანსო, სახელშეკრულებო, საშემსრულებლო დისციპლინის ობიექტური მაჩვენებლების სისტემა, რომლებიც გასათვალისწინებელია სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ ათეული წლების ჩამორჩე-

ნები დასძლია და მეცხრე ხუთწლედის ბოლოს მიაღწია პარტიის XXV ყრილობის დირექტივებით დასახულ მიჯნებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობამ განვითარების ტემპების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის მეცხრე ხუთწლიანი და სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებამ დადებითად იმოქმედა სახელმწიფო ცენტრალიზებული ფულადი შემოსავლების გეგმის შესრულებაზე, რითაც უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკამ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეასრულა 101,8 პროცენტით, 1972 წელს —101,4-ით, 1973 წელს —103,0-ით, 1974 წელს —103,7-ით, 1975 წელს — 104,2-ით, 1976 წელს — 103,4 პროცენტით[1].

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების შედეგად 1973—1975 წლებში გამოშვებულ იქნა 100 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, რაზედაც სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით მიიღო 26 მილიონი მანეთის შემოსავალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს რესპუბლიკის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად. დღეს, როდესაც საქართველოს სსრ გააჩნია დიდძალი საწარმოო ფონდები, მათი ეფექტიანად გამოყენებით და წარმოების ხელმძღვანელიდან რიგით მუშაკამდე დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებით მივიღებთ იმ უკუგებას, რომელიც მოგვცემს მეათე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების გარანტიას.

სახალხო მეურნეობის ეფექტიანად წარმართვას ხელს უშლის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაშვებული რეალიზაციის გარეშე ზარალები და არამწარმოებლური ხარჯები. ბევრი მათგანი სისტემატურად არღვევს სახელშეკრულებო პირობებს და მათ

[1] См. «Государственный бюджет СССР...». Стат. сборник, М., 1976, стр. 139.

ხშირად გულგრილად განიხილავს. საწარმოთა ხელმძღვანელობის ნაწილი ვერ ერკვევა ჯარიმების, საპირგამტეხლოების ეკონომიკურ ბუნებაში, მასში ხედავს სახელმწიფო სახსრების მხოლოდ უბრალო გადანაწილებას და ვერ ამჩნევს მის გამომწვევ მიზეზებს და იმ დიდ ზიანს, რასაც მთლიანად ამით სახალხო მეურნეობა ღებულობს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთერთი არსებითი ფაქტორია ფონდუკუგების ზრდა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. იგი გაიზომება წმინდა პროდუქტის, სააკონლო (საერთო) პროდუქციის თუ რა მოცულობა მოდის ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების 1 მანეთზე.

ფონდუკუგებაზე დიდად მოქმედებს დღე-ღამეში მანქანა-მოწყობილობების, დაზგების და სხვა ტექნიკის გამოყენების სიდიდე. უმნიშვნელოვანეს დარგებში დაზგები და სხვა ტექნიკა დღე-ღამეში მხოლოდ 10—11 საათია გამოყენებული, რის გამოც ცვლადობის კოეფიციენტი არ აღემატება 1,3—1,4-ს. მეათე ხუთწლედი ითვალისწინებს კოეფიციენტის 20—30 პროცენტით გადიდებას. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას მხოლოდ ის საწარმო, გაერთიანება შეძლებს, რომელიც დროულად მოახდენს წარმოების რეკონსტრუქციას, რაც ახალ მშენებლობაზე მნიშვნელოვნად იაფი ჯდება, ხელის შრომის მექანიზირებას და გამოთავისუფლებული მუშაკებით მიაღწევს წარმოების ცვლადობის კოეფიციენტის ამაღლებას.

ფონდუკუგების ზრდის დიდი რეზერვია მოწყობილობათა არაგეგმური მოცდენების ლიკვიდაცია და გეგმური მოცდენების შემცირება, წარმოების უკეთესი ორგანიზაციით მოწყობილობათა უფრო სრული დატვირთვა და მათი რემონტთაშორისო პერიოდების გახანგრძლივება. დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ფონდების განახლებას მორალურად მოძველებული ტექნიკის ახლით შეცვლით, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეების ათვისებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადების შემცირებას.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდეგი ფაქტორია — მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ავამაღლოთ მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. ყოველნაირად შევამციროთ პროდუქციის მასალატევადობა პროგრესული საკონსტრუქტორო გადაწყვეტების

უფრო ფართო გამოყენების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, ეკონომიურ სახეობათა ნედლეულისა და მასალების გამოშვების გადიდებისა და მათი ხვედრითი ხარჯის შემცირების, მათი უფრო საფუძვლიანი და კომპლექსური გადამუშავების, მეორეული რესურსების გამოყენების გაფართოების გზით"[1]. მეათე ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული ნედლეულის, მასალებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ხარჯვის ნორმირებისა და აღრიცხვის სისტემის სრულყოფისათვის, უყაირათობის გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნედლეულისა და მასალების ყაირათიანი ხარჯვა თითოეული საბჭოთა ადამიანის საპატიო მოვალეობაა.

ამრიგად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ნიშნავს სიმდიდრის ზრდას როგორც მთელი საზოგადოებისათვის, ისე მისი თითოეული წევრისათვის.

ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა და დგას ქვეყნის ეკონომიკური მშენებლობის ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ეკონომიკის ხელმძღვანელობისა და ეკონომიკური მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებანი მიიჩნია უმნიშვნელოვანეს სარეზერვო წყაროდ, რომლის გამოყენება მეათე ხუთწლიანი გეგმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა.

პარტიის XXV ყრილობის მიერ მეათე ხუთწლედის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად გამოცხადება დიდ ამოცანებს უყენებს ეკონომიკური სამსახურის მუშაკებს, რომლებმაც უნდა ეძებონ სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის გზები, აგრეთვე შეიმუშაონ ეფექტიანი ღონისძიებანი მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის უზრუნველსაყოფად.

„ჩვენი მაღალი პარტიული მოვალეობაა, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ზუსტად ვიანგარიშოთ და ეფექტიანად გამოვიყენოთ თითოეული მანეთი, თითოეული სამუშაო საათი, თითოეული ტონა პროდუქცია, ბოლომდე აღმოვფხვრათ უყაირათობა და დოყლაპიობა, რადგან ამ მომჭირნეობის მიზანია ჩვენთვის ყველაზე ძვირფა-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 227.

სი — სამშობლოს სიმდიდრე და ძლიერება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა და აყვავება"[1].

ამ ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური როლი უნდა შეასრულონ საგეგმო და ეკონომიკურმა სამსახურებმა. სახალხომეურნეობრივი გეგმების წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური და საკონტროლო მუშაობის დონის ამაღლებაზე, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სახელმწიფოს ცენტრალიზებული წმინდა შემოსავლის სრულყოფილად განსაზღვრას და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებას, საბიუჯეტო ასიგნებების ეფექტიანად გამოყენების და სახალხო მეურნეობის სამეურნეო და საფინანსო ანალიზის მაღალ დონეზე ჩატარებას.

1977 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა გადააჭარბეს ორ მილიარდ მანეთს. აქედან სახელმწიფო საწარმოებიდან შემოსავლები ბრუნვის გადასახადისა და მოგების ანარიცხების სახით ერთ ნახევარი მილიარდი მანეთია. ეს ნიშნავს, მობილიზება გაუკეთოთ დიდი მოცულობის ფულად სახსრებს, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულებაშია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის დავალებათა შესრულებაზე.

ამრიგად, პარტიის XXV ყრილობის მიერ სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს დამატებითი რეზერვების გამოვლინებას და მათ სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას, რაც ეკონომიკისა და მისი ცალკეული საწარმოების ღრმა ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

საფინანსო ორგანოები მოწოდებული არიან ისე ააწყონ მუშაობა, რომ ყოველი საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია დროულად და პირნათლად ასრულებდეს სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება, განახორციელონ მკაცრი კონტროლი მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ხარჯვაზე.

მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იქნეს უდიდესი მოცულობის მატერიალუ-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 61.

რი და ფინანსური რესურსები, რისთვისაც საჭიროა მათი ეფექტიანად და მომჭირნეობით ხარჯვა, სამეურნეო ანგარიშის, სახელფინფოს და საფინანსო დისციპლინის განმტკიცება, დაგეგმვის გაუმჯობესება, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დასაცავად პასუხისმგებლობის ამაღლება.

ამასთან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრია რეზერვი, რომელთა სრულად გამოყენება გაზრდიდა მატერიალურ დოვლათს და სახელფინფოს შემოსავლებს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ნოემბრის პლენუმმა პარტიის XXV ყრილობის მითითებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რეზერვების ამოქმედებას.

პლენუმზე ითქვა: წარმატებით რომ შევასრულოთ მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარების დიდი პროგრამა, საჭიროა გადაჭრით ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი მეურნეობის ყველა რგოლში. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება უნდა გახდეს მომჭირნეობის რეჟიმი ყველგან და ყველაფერში.

პლენუმზე მოიყვანეს გაყინული რეზერვების, სახსრების უყაირათოდ ხარჯვის მრავალი ფაქტი, ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ახერხებს საგეგმო დავალებების შესრულებას, უშვებს არამწარმოებლურ ხარჯებსა და წუნის შედეგად ზეგეგმურ დანაკარგებს.

1976 წელს, ხუთწლედის პირველ წელს, რესპუბლიკის 59 სამრეწველო საწარმომ 27,8 მილიონი მანეთის ოდენობით ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, 21,5 პროცენტმა — შრომის ნაყოფიერების გეგმა, ბევრმა სამეურნეო ორგანიზაციამ კი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებები.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეურნეობის ეფექტიანად გაძღოლას, ეს არის ჩვენი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყარო. სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმად უნდა გახდეს საწარმოო ფონდების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობის რაციონალურად გამოყენებისას დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის, ფასეულობათა მომჭირნეობით ხარჯვის საქმე.

ცნობილია, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პირობაა გამომუშავებისა და ნედლეულის ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების შემუშავება. ყოველდღი-

ური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ასეთი ნორმებია დანერგილი, მატერიალური და შრომის საშუალებები მომჭირნეობით გამოიყენება, მაგრამ ასე როდი იქცევიან ყველგან. ნორმები ბევრგან მოძველებულია, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ არის გადასინჯული, რაც იწვევს ნედლეულისა და მასალების ზეგეგმურ ხარჯვასა და უყაირათობის, მფლანგველობის ფაქტებს.

§ 5. წარმოების საზოგადოებრივი ეფექტიანობა და სახალხო მეურნეობის მართვის არსი

სახალხო მეურნეობის მართვის ხარისხის გაუმჯობესება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება ეკონომიკის დინამიკური, მყარი განვითარების უმნიშვნელოვანესი რეზერვია. სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა პარტიის XXV ყრილობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პირველხარისხოვანი პრობლემაა მართვის სრულყოფა. სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგში, მრეწველობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მართვის ორ და სამრგოლიან სისტემაზე გადასვლა. „...უფლება გვაქვს, უფრო მეტიც — ვალდებული ვართ, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებები მივიჩნიოთ როგორც უმნიშვნელოვანესი რეზერვი, რომლის გამოყენება დაგვეხმარება წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლიანი გეგმა, უახლოეს მომავალშივე მივიღოთ ეფექტი...“[1].

მატერიალური წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებისა და საზოგადოებრივი შრომის დანაწილების გაფართოების შედეგად სისტემატურად რთულდება მართვის პრობლემები, რომელთაგან აღსანიშნავია — სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, მათი განხორციელების გზებისა და ვადების შემუშავება, სახალხო მეურნეობის დინამიკური და პროპორციული განვითარების მიღწევა, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გამოყენება, მატერიალური წარმოების სფეროს ყველა რგოლის ოპერატიული რეგულირება და კოორდინაცია, საზოგადოებრივი წარმოე-

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976. გვ. 84.

ბისა და კოლექტივის მატერიალური სტიმულირება, დამტკიცებული გეგმების შესრულებისადმი კონტროლი და მიღწეული სამეურნეო-საფინანსო შედეგების ანალიზი.

სახალხო მეურნეობის მართვის პრობლემების გადაწყვეტის მთავარი საშუალებაა სახალხო მეურნეობის დაგეგმვა. ამასთან საყურადღებოა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ეფექტიანობა, რომელიც საშუალებას იძლევა შევადაროთ ერთმანეთს წარმოების შედეგები და მასზე გაწეული დანახარჯები, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის შრომის ანაზღაურება და შრომის ნაყოფიერება.

სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის მართვა, როგორც წესი, მეცნიერულ საფუძველს ეყრდნობა. სახალხო მეურნეობის მეცნიერულ საფუძველზე მართვა ეს არის ობიექტურ კანონზომიერებათა და ეკონომიკის განვითარების პროგრესულ ტენდენციათა ყოველმხრივი გათვალისწინება, რათა დროულად შეიმჩნეს და გამოსწორდეს ეკონომიკაში არსებული წინააღმდეგობანი და შეუსაბამობანი.

ეკონომიკის მეცნიერულ ნიადაგზე მართვა სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა ცენტრალიზებული საერთო-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის შეთანაწყობას ადგილობრივ ინიციატივასთან, რომლის დროსაც სახალხო მეურნეობის დარგებსა და დარგს შიგნით, საწარმოებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირება წარმოებს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა მოითხოვს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის სწორად გამოყენებას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიის XXV ყრილობამ. ამ პოზიციიდან სავსებით მართებულად მიგვაჩნია პროფ. ვ. შელქაძის მოსაზრება, რომ „საერთო-საკავშირო და რეგიონალური ეკონომიკური სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეურნეობის მართვის ლენინური პრინციპის ორი ასპექტის — ცენტრალიზმისა და დემოკრატიზმის სწორ შეხამებასთან“[1]. ავტორი აკრიტიკებს ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტის იმ დებულებას, რომ მართვის სრულყოფა პირველ რიგში მოასწავებს ცენტრალიზებული საწყისის ცალმხრივ გაძლიერებას.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“. 1977 წლის 14 იანვარი.

სახალხო მეურნეობის მართვის ფორმების სრულყოფა დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის შესაბამისად თანდათან, მოფიქრებით უნდა ხდებოდეს, რათა მას ჰქონდეს სათანადო ეფექტი და უკუგება. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ცენტრალური კომიტეტი სამმართველო სტრუქტურის, მეურნეობრიობის დამკვიდრებული მეთოდების ნაჩქარევი, მოუფიქრებელი გარდაქმნების წინააღმდეგია. აქ, როგორც იტყვიან, ასჯერ კი არა, უფრო მეტჯერაც უნდა გაზომო, ვიდრე ერთხელ მოსჭრიდე. მაგრამ თუ უკვე გავზომეთ, თუ მივხვდით, რომ განუწყვეტლივ განვითარებადი სახალხო მეურნეობა ველარ ეტევა არსებული სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში, იგი გადაჭრით უნდა სრულვყოთ“[1].

სსრ კავშირში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა წარმოების მართვის სრულყოფის გაუმჯობესებისათვის; სახელდობრ, მრეწველობაში დარგების მართვის გენერალური სქემების დამუშავება და დანერგვა, საწარმოო გაერთიანებებისა და მსხვილი საწარმოების შექმნა; გამოთვლითი ტექნიკის ფართო ქსელი და მისი გამოყენება წარმოების დაგეგმვის პრაქტიკაში. ყოველივე ამის შედეგად შესამჩნევი წარმატებებია მოპოვებული მართვის სრულყოფის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1973 წლის 2 მარტს მიღებულ დადგენილებაში — „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ხაზგასმულია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მრეწველობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა სამრეწველო საწარმოთა გამსხვილების, საწარმოო გაერთიანებების, საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების შექმნის, სამეურნეო მართვის ხელმძღვანელი ორგანოების წარმოებასთან დაახლოების, მართვის რგოლებს შორის უფლება-მოვალეობათა ოპტიმალურად განსაზღვრის, სამმართველო აპარატის გაიაფებისა და ამ გზით ოპერატიულობისა და მოქნილობის ამაღლების მეშვეობით.

გაერთიანებებისა და უმსხვილესი საწარმოების შექმნამ განაპირობა წარმოების კონცენტრაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ. 1976. გვ. 83—84.

თუ 1970 წელს საწარმოო გაერთიანებათა რიცხვი არ აღემატებოდა 608-ს და თითოეულზე მოდიოდა საშუალოდ 4,7 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, 593 მუშაკი და 7,2 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 1975 წელს საწარმოო გაერთიანებათა რიცხვმა გადააჭარბა 2315-ს და თითოეულის წილად მოდიოდა 7,2 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, 656 მუშაკი და 10,4 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

1977 წლის დასაწყისისათვის საქართველოს სსრ მრეწველობაში ითვლებოდა 94 საწარმოო გაერთიანება, რომელშიც შედიოდა 350-ზე მეტი საწარმო, საწარმოო გაერთიანებათა წილად — გამოშვებული პროდუქციის 34 პროცენტი, რეალიზებული პროდუქციის — 32,2 პროცენტი, მუშაკთა მთელი ოდენობის — 29,4 პროცენტი.

ზემოთ აღნიშნულმა დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. საწარმოო და სამრეწველო გაერთიანებათა შექმნით შესაძლებელი გახდა ამა თუ იმ დარგის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლება, საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება; გაერთიანებებში წარმოების, მეცნიერებისა და საპროექტო ორგანიზაცია-დაწესებულებათა თავმოყრა-შეერთებამ განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური პრორგრესის დაჩქარება, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესება, მისი თვითღირებულების შემცირება, რენტაბელობის დონის ამაღლება და წარმოების საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

შესამჩნევად გაიზარდა სამრეწველო გაერთიანებათა პასუხისმგებლობა წარმოების ტექნიკური დონის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება-ათვისების, სახელმწიფო, შრომითი, საგეგმო, საფინანსო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფის საქმეში.

სკკპ XXV ყრილობაზე სავსებით მართებულად აღინიშნა იმ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენ ამ დარგში მივაღწიეთ, მაგრამ გასაკეთებელი ბევრია, საჭიროა დაჩქარდეს სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, „მეტად დიდმნიშვნელოვანი რგოლი ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომი-

ტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის **მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მეთოდების სრულყოფა.** ჩვენ ერთდროულად უნდა განვამტკიცოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის ორივე საწყისი. ერთი მხრივ, უნდა განვავითაროთ ცენტრალიზმი, და ამით გზა გადავუღობოთ უწყებრივ და კუთხურ ტენდენციებს. მეორე მხრივ, უნდა განვავითაროთ დემოკრატიული საწყისები, ადგილობრივი ინიციატივა, განვტვირთოთ ხელმძღვანელობის ზედა ეშელონები წვრილმანი საქმეებისაგან, უზრუნველვყოთ ოპერატიულობა და მოქნილობა გადაწყვეტილებათა მიღებაში"[1].

ყრილობაზე ხაზგასმულ იქნა, რომ მიღწეული წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, რომ ჩვენს მუშაობაში ადგილი არ ჰქონოდა ნაკლოვანებებს როგორც წარმოების ორგანიზაციის, ასევე წარმოების მართვის საქმეში. „...ყოველთვის და ყველგან როდი ვმუშაობდით ისე, როგორც ამას ჩვენივე საკუთარი გადაწყვეტილებანი მოითხოვდნენ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე, — დაგეგმვის სრულყოფა, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, წარმოების ინტენსიფიკაციის გეზი ხორციელდებოდა დასახულზე უფრო ნელა... ჯერ კიდევ თავიდან ვერ ავიცილეთ საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის დარღვევები"[2].

სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და ეკონომიკურ სტიმულირებაში არსებული ნაკლოვანებების შედეგად სამრეწველო საწარმოთა დიდ ნაწილში ხშირად ცვლიან გეგმებს, ეწევიან საგეგმო დავალებათა სისტემატურ კორექტირებას, უშვებენ მოძველებული სახეობის პროდუქციას და მაინც უკეთეს პირობებში რჩებიან იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც სიახლეთა ძიებაში არიან და სისტემატურად ანახლებენ პროდუქციას და აწარმოებენ უმაღლესი და მაღალი ხარისხის საქონელს. ეს იმიტომ ხდება, რომ საწარმოთა მუშაობის შეფასების არსებული კრიტერიუმები სრულიად ვერ ასახავენ საზოგადოების სადღეისო მოთხოვნებს. პარტიის XXV ყრილობამ სამართლიანად მიუთითა, რომ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ნიშნავს — შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვას და საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მოთხოვნათა უფრო სრულად და უკეთ დაკმაყოფილებას.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები," თბ., 1976, გვ. 82.

[2] იქვე, გვ. 52—53.

სწორედ ამიტომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზანს, მუშაობის ყველა უბანზე ხარისხის ზრდას უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვისა და მართვის მთელი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისების მთელი სისტემა, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მეცადინეობა, მუშაკების ოსტატობა.

რესპუბლიკის სამრეწველო გაერთიანებათა მუშობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. სახელმწიფო საგეგმო დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი მაგალითია დამტკიცებული წლიური გეგმების კორექტირების მავნე პრაქტიკა. ყურადსაღებია, რომ კორექტირება უმეტესად გეგმის შემცირებაში გამოიხატება. მხოლოდ 1976 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა 74 მილიონი მანეთით შემცირდა. გეგმების შემცირება ზოგჯერ ეკონომიკურად გაუმართლებელი და მიუღებელია. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დასკვნით, 1976 წელს არც ერთი საწარმო და გაერთიანება არსებითად არ საჭიროებდა გეგმის შემცირებას.

მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარებით მიღწეული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობაში დაგეგმვის სრულყოფა, პერსპექტიული გეგმების როლის შემდგომი ამაღლება, წარმოების მართვაში ავტომატური სისტემებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა და შემდგომი განმტკიცება.

პარტიის XXV ყრილობაზე დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ხაზგასმულია: „გავაძლიეროთ გეგმის, ეკონომიური ბერკეტებისა და სტიმულების, მართვის მთელი სისტემის კომპლექსური გავლენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევაზე. ავამაღლოთ მუშაკებისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა მუშაობის შედეგებისა და ხარისხისათვის“[1].

მეათე ხუთწლედში უფრო სრულყოფილი გახდება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. მრეწველობაში მართვის გენერალუ-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 230.

რი სქემების შესაბამისად უნდა დამთავრდეს გაერთიანებების შექმნა. გაგრძელდება მუშაობა მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და შუალედური რგოლების რიცხვის შესამცირებლად. სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა შექმნასთან დაკავშირებით, განხორციელდება სამინისტროების, დარგთაშორისი, ფუნქციური ორგანოების აპარატის სტრუქტურისა და ფუნქციების შემდეგი სრულყოფა.

პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე სამართლიანად აღინიშნა, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვა შეუძლებელია სახალხო მეურნეობის მართვის პროცესის სრულყოფის გარეშე, წვრილ და საშუალო საწარმოებს არ შეუძლიათ ტექნიკური პროგრესის ურთულესი პრობლემების განხორციელება. ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა, რომ „...მომწიფდა მსხვილი საერთო-სახელმწიფო დარგთშორისი და ტერიტორიული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მეთოდების სრულყოფის საკითხი. აქ საჭიროა ერთიანი, ცენტრალიზებული პროგრამები, რომლებიც მოიცავენ მუშაობის ყველა ეტაპს — დაპროექტებიდან პრაქტიკულ რეალიზაციამდე“[1].

მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფა შესამჩნევად გააუმჯობესებს ძირეული რგოლების — საწარმოების მუშაობას. ისინი შეასრულებენ მართვის ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს ავტომატური სისტემების დანერგვით, ხოლო მართვის შუალედი რგოლის მთავარ ფუნქციად გახდება ახალი პროდუქციის წარმოებაში დანერგვისა და მისი ხარისხის, წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რთული საკითხები.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში, განსაკუთრებით სამრეწველო დარგის სამინისტროებში. საქართველოს სსრ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში შემუშავდა და წარმატებით დაინერგა მართვის გენერალური სქემები, ეს დარგები გადასულია მართვის ორ- და სამრგოლიან სისტემაზე, მოხდა საწარმოთა გამსხვილება და წარმოების სპეციალიზაციის დონის ამაღლება. ყურადსაღებია, რომ ამ სამინისტროებმა სრულყოფილად შეისწავლეს და გაითვალისწინეს დარგის

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 83.

თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ სამრეწველო გაერთიანებების ფორმირებაზე და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და წარმოების კონცენტრაციის დონეზე.

ამასთან რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის.

მეურნეობის ცალკეულ დარგებში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მართვის მრავალსაფეხურიან სისტემას და ხშირად ქმნიან პარალელურად მოქმედ ან არაეფექტიან საწარმოო გაერთიანებებს.

ანალიზით ირკვევა, რომ რესპუბლიკის სამშენებლო წარმოების მართვის არსებული სტრუქტურა რთული და მოუქნელია. ამ დარგის წამყვან სამინისტროებსა და უწყებებში მშენებლობის მართვა ხორციელდება 4—5-რგოლიანი სისტემით. ხშირად სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირში არ არის შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობასთან. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით 1975 წელს ტრესტების, გაერთიანებებისა და სამმართველოების რაოდენობა 1974 წელთან შედარებით გაიზარდა 20,8 პროცენტით, ხოლო მაშინ როდესაც საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გადიდებულია მხოლოდ 1,3 პროცენტით.

მშენებლობის ჭრელსაფეხურიანი მართვა უარყოფითად მოქმედებს წარმოების საბოლოო სამეურნეო და საფინანსო შედეგებზე, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხარჯების გაუმართლებელი ზრდა იწვევს მშენებლობის ღირებულების გაძვირებას, არარენტაბელურ მუშაობას და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის გაუარესებას.

მართვის რთული და მოუქნელი სტრუქტურა გააჩნიათ ავტოტრანსპორტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, გაერთიანება „საკოოპტექნიკას“.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხაზით ქალაქ თბილისში მოქმედებს სამი დამოუკიდებელი მექანიკური ქარხანა, რომელიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებს. ეს საწარმოები თანამედროვე პირობებში ვერ ახერხებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას. ანალოგიურ ფაქტებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით.

პარტიის XXV ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა ხაზი გაუსვეს მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა არასრულყოფილ შემუშავებას. საჭიროა შემდგომში გაძლიერდეს ამ მიმართებით მუშაობა, რომელმაც უნდა მიაქციოს მართვის სტრუქტურის გამარტივებისა და ზედმეტი რგოლების შემცირების საკითხებს.

„...უნდა ავამაღლოთ, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — სამინისტროების როლი და პასუხისმგებლობა, დავამთავროთ საწარმოო გაერთიანებების შექმნისათვის მუშაობა და გავაუმჯობესოთ მათი საქმიანობა“[1].

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში მთავარია, მეათე ხუთწლედში ეფექტიანად იქნეს გამოყენებული შრომითი რესურსები. ამასთან დაკავშირებით 80-იანი წლებისათვის საჭიროა სახალხო მეურნეობაში დაჩქარდეს საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპი, მნიშვნელოვნად ამაღლდეს შრომის ენერგოაღჭურვილობა და შემცირდეს ხელის შრომის ხვედრითი წონა. შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით, სამუშაო დროის უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენებით, მოცდენებისა და არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში შრომის ორგანიზაციის სრულყოფით „მოქმედ საწარმოებში უზრუნველვყოთ პროდუქციისა თუ სამუშაოთა მთელი მატება, როგორც წესი, მომუშავეთა იგივე ან ნაკლები რიცხვით, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ არასაწარმოო სფეროს მუშაკთა შრომა“ — ჩაწერილია „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“[2].

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფის ერთერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება. ძირითადი საწარმოო რგოლი–გაერთიანებანი სამრეწველო მართვის ახალი მოვლენაა თანამედროვე პირობებში. 1976 წლის დასაწყისისათვის სსრ კავშირში მოქმედებდა 2300-ზე მე-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“. თბ., 1976, გვ. 83.

[2] იქვე, გვ. 225.

ტი საწარმოო გაერთიანება, რომელმაც 1975 წელს რეალიზაცია გაუკეთა 90 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, რაც შეადგენს რეალიზებული მთელი სამრეწველო პროდუქციის 19 პროცენტს.

ისმის კითხვა: საწარმოო გაერთიანებები როგორ აღწევენ წარმოების ასეთ მაღალ ეფექტიანობას? ასეთ წარმატებებს მათ მიაღწიეს შემდეგი ფაქტორების მეშვეობით:

1. საწარმოო გაერთიანებათა განკარგულებაში არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მანევრირებით სწრაფად და ეფექტურად წყდება საწარმოთა ძირითადი ფონდების განახლება, რეკონსტრუქცია და ტექნიკური აღჭურვა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საწარმოო ფონდების სრულად გამოყენება;

2. გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა შორის ხანგრძლივი და სტაბილური კავშირების დამყარების შედეგად მიიღწევა მატერიალური რესურსების დროული მოწოდება და წარმოების რიტმული მუშაობა;

3. გაერთიანებაში, წარმოების ხასიათიდან გამომდინარე, ფართოდ ხორციელდება სპეციალიზაცია, რომელიც საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;

4. გაერთიანებებში იქმნება იმის ყოველგვარი პირობა, რომ სრულყოფილ მართვის სისტემა სახალხო მეურნეობის პირვანდელ, ძირითად რგოლში, რაც ქმნის რეალურ წინაპირობას, რათა ეფექტიანად გამოვიყენოთ ეკონომიკური ბერკეტები და წარმატებით დავნერგოთ სრული სამეურნეო ანგარიში.

ამასთან მეათე ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული მართვის რგოლების შესამცირებლად. საწარმოო, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური გაერთიანებების შექმნით ტარდება სამმართველო აპარატის შემცირება-სრულყოფისა და გაიაფების ხელშემწყობი ღონისძიებები.

ამ ღონისძიებებში გათვალისწინებულია ფუნქციათა განაწილება და მკაცრად გამიჯვნა სამინისტროს, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებასა და საწარმოებს შორის, სპეციალიზაციის გაღრმავება და მმართველობითი შრომის დანაწილება, მმართველობითი აპარატისა და სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა.

საწარმოო გაერთიანებებში ცენტრალიზებულია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფუნქცია. მათ დიდი უფლებები მიეცემათ დაგეგმვის, გამოსაშვებ პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლისა და დარგის ან საწარმოთა ჯგუფის ოპერატიული მართვის საკითხებში. გაერთიანებებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დანერგვით იზრდება მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვების, საწარმოო ფონდების გამოყენების, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესრულების, სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმეში. გაერთიანებებს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვისა და მისი ეფექტიანად, მოხდენილად გამოყენებით გაიზარდოს კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯების დასაფინანსებლად საკუთარი წყაროების ხვედრითი წონა.

არსებითად იცვლება მართვის უმაღლესი რგოლის — სამინისტროს ფუნქციები და უფლებები. ძირითად და საშუალო რგოლებში იზრდება წარმოების ოპერატიულად მართვის როლი და ამოცანები. სამინისტრო მუშაობს დარგის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებზე, ტექნიკურ გადაიარაღებაზე, რისთვისაც სამინისტრო იღებს საინვესტიციო პროცესებისა და პროდუქციის ხარისხის მართვის საკითხებს, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის პრობლემებს, მართვის ავტომატიზებული სისტემის შემდგომ განვითარებას.

საწარმოო გაერთიანებათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემაა, რომელთა მოგვარება მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოების ეფექტიანობას და მშრომელთა მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

მართვის სრულყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რომელშიც შედის კადრების შერჩევა და მომზადება, მმართველობითი შრომის ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვა, მართვის სრულყოფისათვის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და სხვ.

სახალხო მეურნეობის მართვის რაც არ უნდა ოპტიმალური სისტემა შემუშავდეს, შესაბამისი კადრების გარეშე ვერ მოგვცემს დადებით შედეგებს. პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში პარტიის ყურადღება ყო-

ველთვის იყო მიქცეული სამეურნეო კადრების ხარისხობრივ გაუმჯობესებისაკენ, კადრების ინიციატივისა და თაოსნობის განვითარებისაკენ. ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა ყრილობაზე აღნიშნა, რომ „ახალი მეცნიერული და ტექნიკური გადაწყვეტების, შრომის ორგანიზაციისა და მართვის მოწინავე ხერხების აქტიური გამოყენება. წარმოების რეზერვების შემოქმედებითი ძიება, ცვალებადი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნის ყურადღებით გათვალისწინება — აი რა მოეთხოვება თანამედროვე საბჭოთა სამეურნეო მუშაკს“[1].

სამეურნეო მუშაკი პარტიული პოზიციიდან უნდა ხედავდეს წარმოების დარგის განვითარების პერსპექტივებს და იღებდეს სათანადო გადაწყვეტილებებს, გააჩნდეს მას ახლის გრძნობა, იყოს წარმოების ორგანიზატორი — აი, ასეთი ხელმძღვანელი უზრუნველყოფს განვითარებული სოციალიზმის დროს წარმოების ეფექტიანად გაძღოლას და სამეურნეო საქმის უკუგების ამაღლებას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

„თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაში, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ორგანულად უნდა იყოს შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინირებულობა და საქმისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი მიდგომა. ამავე დროს ყოველ უბანზე ხელმძღვანელი მოვალეა ითვალისწინებდეს სოციალურ-პოლიტიკურ, აღმზრდელობით ასპექტსაც, იყოს გულისხმიერი ადამიანებისადმი, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, მაგალითს იძლეოდეს მუშაობასა და ყოფა-ცხოვრებაში“[2].

ყველა ამ თვისებებით აღჭურვილი სამეურნეო მუშაკი უზრუნველყოფს მართვის რთულ და მრავალმხრივ პრობლემათა ოპტიმალურ გადაწყვეტას.

წარმოების მართვის სრულყოფა შეუძლებელია კადრების მომზადების გარეშე. ამიტომ პარტია ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა დიდ ყურადღებას აქცევს კადრების მომზადება-გადამზადების უკეთ ორგანიზაციას, რომ მათ მისცეს აუცილებელი ცოდნა სახალხო მეურნეობის გაძღოლის უზრუნველსაყოფად. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სპეციალური ინსტიტუტები და ფაკულტეტები, კურსე-

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 178.

2 იქვე, გვ. 96.

ბი და სემინარები, რომლებშიც ეკონომიკურ ცოდნას იმაღლებს მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

წარმოების მართვის სრულყოფის უზრუნველმყოფელ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მთავარია მმართველობითი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის შემდგომი სრულყოფა. პარტია მოითხოვს ეკონომიკური სტიმულირებისა და ბერკეტების უფრო მარჯვედ გამოყენებას და იმ მაჩვენებელთა მთელი სისტემის დახვეწას, რომლებიც საფუძვლად უდევს სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის, მათი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასებას. „ეს მაჩვენებლები, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უნდა აერთიანებდნენ მუშაკისა და საწარმოს ინტერესებს, საწარმოსა და სახელმწიფოს ინტერესებს, აძლევდნენ სტიმულს, რომ მიიღონ (რა თქმა უნდა, შეასრულონ კიდეც) დაძაბული გეგმები, დაზოგონ რესურსები,, შეამცირონ თვითღირებულება და ამავე დროს რაც შეიძლება სწრაფად აითვისონ ახალ სახეობათა ნაწარმი, გამოუშვან მაღალი ხარისხისა და საპირო ასორტიმენტის პროდუქცია“[1].

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე უთუოდ დადებითად იმოქმედებს სამინისტროების (უწყებების), გაერთიანებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების მატერიალური სტიმულირება მოვახდინოთ დაძაბული გეგმების მიღების, ახალი ტექნიკის დანერგვის, ძირითადი ფონდების გამოყენების, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონისა და სხვა მაჩვენებელთა გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არსებული ინფორმაციის დამუშავება და მისი გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას. ამასთან საზოგადოებრივი წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას თან სდევს ინფორმაციის მოცულობის კოლოსალური გადიდება. ამ პირობებში დღის წესრიგში დგას ინფორმაციის ოპტიმალური გამოყენების პრობლემა, რაც პირდაპირ კავშირშია მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნასთან.

მეათე ხუთწლედში უზრუნველყოფილი იქნება მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ცენტრების შემდგომი

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 81.

განვითარება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, ამასთან აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვისათვის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ერთიან საერთო-სახელმწიფო ცენტრებად გაერთიანება.

§ 6. მმართველობითი შრომის ეფექტიანობის საკითხისათვის

განვითარებული სოციალიზმის პირობებში განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგება სამმართველო აპარატის მუშაკის შრომა. სოციალისტური ეკონომიკის განვითარება მოითხოვს მმართველობითი შრომის ეფექტიანობის ამაღლებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელ პროცესზე მისი ზემოქმედების გაძლიერებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა განხორციელდა მმართველობის აპარატის სრულყოფა-გაიაფებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ქვეყნის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს მმართველობითი აპარატის შემცირებას სამინისტროებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში 800 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან პარტია მოითხოვს ხელმძღვანელი მუშაკებისაგან აითვისონ მართვის ხელოვნება, სრულყონ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდები, განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა, დანერგონ მეურნეობრივი ხელმძღვანელობის პარტიული სტილი.

სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა მოითხოვეს მეათე ხუთწლედში მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

მართვის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული მმართველობითი შრომის ეფექტიანობის განსაზღვრა-შეფასების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებზე. შრომის ეფექტიანობის სწორი შეფასება დადებით გავლენას ახდენს მუშაკის მატერიალურ და მორალურ დაინტერესებაზე, რომ სოციალიზმის დროს ყოველგვარი შრომის ანაზღაურება წარმოებს მხოლოდ მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. ამასთან შრომის ანაზღაურება პირადი შემოსავლებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის მთავარი წყაროა. მმართველობითი შრომის ეფექტიანობის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს

ერთმანეთს შევადაროთ მმართველობითი აპარატის ერთგვაროვანი რგოლები, კონტროლი დავაწესოთ სხვადასხვა რგოლის მუშაობაზე და ვეძიოთ მათი მუშაობის გაუმჯობესების გზები.

მმართველობითი შრომა არის საზოგადოებრივი საქმიანობის სპეციფიკური სახე, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მართვის ობიექტის სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ნაწილების შეთანხმებული მუშაობა. იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ წლებამდე ყურადღება არ ექცეოდა მმართველობითი შრომის ეფექტიანობის პრობლემების შესწავლას, არ იყო მიღწეული საამისო შედეგები. ეკონომისტთა ერთი ნაწილის რეკომენდაციებით, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ეფექტიანობის კრიტერიუმი მიყენებული უნდა იქნეს მმართველობითი შრომის ეფექტიანობის შესასწავლად. ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ საწარმოში დასაქმებული მუშაკის შრომის ეფექტიანობა განისაზღვრება ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვების, ანუ უმცირესი დანახარჯებით უფრო მეტი სახალხომეურნეობრივი ეფექტის მიღებით. აღნიშნული მომენტის მმართველობითი შრომის ეფექტიანობის პირდაპირი განსაზღვრისათვის გამოყენება არასწორია და მიღებული შედეგებიც არარეალურია. ჯერ ერთი, საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგები დამოკიდებულია არა მარტო მმართველობითი შრომის ეფექტიანობაზე, არამედ იგი მრავალი ფაქტორის შედეგია და მეორე, მმართველობითი შრომის სწორი გადაწყვეტილება შეიძლება ქვედა რგოლებში დაირღვეს და არასასურველი შედეგები იქნეს მიღებული.

მმართველობითი შრომის ეფექტიანობის შეფასება გართულებულია იმის გამო, რომ არ არის დამუშავებული მისი როგორც დანახარჯების, ასევე შედეგების აღრიცხვა.

მმართველობითი შრომის უშუალო პროდუქტია ზეპირი და წერილობითი გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად მისი შესრულებისა და ამ შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაცია. მაგრამ შრომის ეფექტიანობის განსაზღვრა არ უნდა მოვახდინოთ მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, არამედ საჭიროა მოეწყოს გადაწყვეტილებათა ქვედა რგოლებზე საერთო ზემოქმედების აღრიცხვის ორგანიზაცია.

ამრიგად, მმართველობითი შრომის ეფექტიანობის გაზომვა საბოლოო ანგარიშში დაიყვანება ხელმძღვანელთა საქმიანი და პირა-

დი ნიშნების შეფასებაზე, მათ შესაძლებლობებზე, აგრეთვე დაქვემდებარებული ობიექტების საერთო შედეგებზე, რამდენადაც ხელმძღვანელის საქმიან ნიშნებზე ბევრად არის დამოკიდებული ამ ობიექტების საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგები.

მართვის სისტემის ეფექტიანობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

1. სამართავი სისტემის წინაშე დაყენებული დასაბუთებული ამოცანებით;

2. შესასრულებელი კონკრეტული ამოცანების რაოდენობითა და ხარისხით;

3. მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობითა და ხარისხით;

4. სამოქმედო ობიექტის შედეგებზე მმართველობითი შრომის გადაწყვეტილებების ზემოქმედებით.

სწორედ მმართველობითი შრომის ეფექტიანობის კრიტერიუმების განსაზღვრა მოითხოვს მაჩვენებელთა კომპლექსის ურთიერთშეჯერება-დაპირისპირებას და მთავარი კრიტერიუმის გამოკვეთით წარმოდგენას.

იმის გამო, რომ მმართველობით საქმიანობას ახასიათებს მრავალმხრივობა, მისი მაჩვენებლებიც სხვადასხვანაირია, მაგალითად, საქმიანი ხელმძღვანელი მუშაკისათვის დამახასიათებელია ორგანიზებულობა, საქმის ცოდნა, კომპეტენტურობა, ოპერატიულობა, პატიოსნება, მიზანსწრაფულობა და სხვა. თუ თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაში ორგანულად არ არის შერწყმული პარტიულობა და ავტორიტეტულობა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, სასურველ ეფექტიანობას ვერ მივაღწევთ. ამასთან ხელმძღვანელ მუშაკს ყოველთვის უნდა ესმოდეს და ითვალისწინებდეს სოციალურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით ფაქტორებს, იყოს გულისხმიერი თანამშრომლებისადმი და მაგალითის ძიმცემი, — აი რას გვასწავლის პარტია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველგვარი შრომის ეფექტიანობა, როგორც გაწეული დანახარჯების შეფარდება მის შედეგებთან, ყოველთვის განისაზღვრება კონკრეტული მიზნით, მმართველობითი შრომის ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია დასახული მიზანი, რისთვისაც აუცილებელია მისი აღრიცხვა,

დასაწინაურებელი პიროვნების შერჩევისას, საჭიროა მისი ყო-

ველმხრივი შესწავლა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართვის სრულყოფილად წარმართვისათვის. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მკაფიოდ აღინიშნა, რომ თანამედროვე ეტაპზე ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების ძირითად ნაკლოვანებად მიჩნეულ იქნა მათი არაკომპეტენტურობა. „ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების ერთ ნაწილში ყველაზე გავრცელებული მანკი იყო და კვლავ არის მუშაობის არამეცნიერული მეთოდები, არაკომპეტენტურობა, მოვლენებისა და პრობლემებისადმი ზერელე დამოკიდებულება“[1].

ხელმძღვანელის შრომის ეფექტიანობისათვის, როგორც ამას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გვასწავლის, საჭიროა მისი პასუხისმგებლობის ამაღლება და პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოება, ზრუნვა ეკონომიკური ცოდნის ათვისებისათვის, ამასთან აუცილებელია მისაღები გადაწყვეტილებების მეცნიერული დასაბუთება და მათი შესრულების კონტროლის დაწესება.

ხელმძღვანელის შრომის ეფექტიანობის გასარკვევად აუცილებელია სამართავი რგოლის მიერ მიღწეული ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება. ხელმძღვანელი მოვალეა აგრეთვე დღენიადაგ სწავლობდეს დაქვემდებარებულ მუშაკთა პირად თვისებებს და აძლევდეს მათ სწორ მიმართულებას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს წარმატებების მიღწევას. მართვის ხელოვნება ისიც არის, რომ ხელმძღვანელი სწორად ჰვრეტდეს, საზღვრავდეს დაქვემდებარებული რგოლების განვითარების პერსპექტივას.

ხელმძღვანელის შრომის ეფექტიანობას დიდად განსაზღვრავს აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები. ხელმძღვანელი უნდა ერიდოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა განხორციელება საეჭვოა და არ არის გამაგრებული სათანადო მატერიალური, ფინანსური თუ შრომითი რესურსებით. ამასთან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის სწორი ორგანიზაცია დიდად უწყობს ხელს დასახული მიზნის განხორციელების საქმეს. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში ზემდგომი პარტიული და

---

[1] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 139.

საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე საკუთარი გადაწყვეტილებების განხორციელებაზე კონტროლის გაწევის მიზნით სპეციალური სამსახურებიც კი შეიქმნა — საქმეთა მმართველობისა და მინისტრთან არსებული ინსპექციის სახით. სამინისტროს კოლეგიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობეს ის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ადგილი არ ჰქონია მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩაშლის, დაგვიანებით ან უხარისხოდ შესრულების არც ერთ ფაქტს.

საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების სტაბილურობას, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულად დაფინანსებას და რესპუბლიკაში ეკონომიკური და საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესებას.

მარტო 1976 წელს დამატებითი რეზერვების გამოვლინებითა და მათი სამეურნეო ბრუნვაში მოქცევით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა (59 მილიონი მანეთით). ეს სახსრები მოხმარდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დამატებით მოთხოვნილებათა დაფინანსებას.

მმართველობითი შრომის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია დაქვემდებარებული საწარმოების მიერ სახელმწიფო-საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულება. სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს მთავარ კრიტერიუმად.

სახალხო მეურნეობაში მართვის სრულყოფისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელსაც პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის მართვის მდგომარეობას და მის შემდგომ სრულყოფას, როგორც შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლენის უმნიშვნელოვანეს წყაროს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის III პლენუმმა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების საქმეში, რის შედეგადაც

მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯები მეცხრე ხუთწლედში — 37,4 მლნ. მანეთით შემცირდა.

ჩატარებულმა ღონისძიებებმა შეამცირა მმართველობის აპარატის ხვედრითი წონა მომუშავეთა საერთო რაოდენობაში. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით სამმართველო აპარატის ხვედრითი წონა 1970 წელს 13,8 პროცენტიდან 1976 წლისათვის შემცირდა 12,2 პროცენტამდე.

მიუხედავად ამისა, მართვის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმეტესობა არ იყენებს მათთვის მინიჭებულ უფლებებს და სათანადო ყურადღებას არ აქცევს მმართველობის აპარატის შემდგომი სრულყოფისა და მისი გაიაფების საკითხებს, რის შედეგადაც ეს აპარატი რჩება ჯერ კიდევ მოუქნელი და ძვირადღირებული.

საკმაოდ მაღალია მმართველობის აპარატის მუშაკთა ხვედრითი წონა მომუშავეთა საერთო რაოდენობაში ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით. იგი 1976 წლის 15 სექტემბრისათვის შეადგენდა მშენებლობის სამინისტროში 20,1 პროცენტს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროში — 18,6 პროცენტს, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენში“ — 19,2 პროცენტს, „საქსოფლტექნიკაში“ — 20,4 პროცენტს, ცეკავშირში — 16,8 პროცენტს, გამსახკომში — 19,3 პროცენტს, „საქმთავარნავთობმომარაგება-გასაღებაში“ — 18,5 პროცენტს და სხვ[1].

აღსანიშნავია, რომ მმართველობის აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და გაიაფების ღონისძიების განხორციელებისა და ინიციატივიანი წინადადებების წამოყენების ნაცვლად სამინისტროების და ცენტრალური დაწესებულებების ზოგიერთი ხელმძღვანელი აყენებს საკითხს ცენტრალური აპარატისა და ქვემდებარე ორგანიზაციებში შტატების გაზრდის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლიანად იქნა გაკრიტიკე-

---

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მასალებიდან.

ბული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე და ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე სამშენებლო წარმოების მართვის სტრუქტურა. მშენებლობის მართვის სტრუქტურა რესპუბლიკაში რთულია. წამყვან მოიჯარადრე სამინისტროებსა და უწყებებში მშენებლობის მართვა 4—5-რგოლიანი სისტემით ხორციელდება. მართვის მრავალსაფეხურიანობა აძნელებს ოპერატიულობას მუშაობაში, იწვევს მართვის ფუნქციების დუბლირებას, გაუმართლებლად ადიდებს შესანახ ხარჯებს, ხოლო წვრილი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების დიდი ოდენობა ამცირებს მშენებლობის წარმოების ეფექტურობას.

დღეს როდესაც რესპუბლიკაში ტარდება მართვის აპარატის სრულყოფისათვის მმართველობის შესანახი ხარჯების შემცირების ღონისძიებები, რომელთა შედეგად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 6,2 მილნ. მანეთის ეკონომიის მიღება, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაკებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის მტკიცე დაცვა. მათ დღენიადაგ უნდა იმუშაონ მართვის აპარატის შემდგომი სრულყოფისა და გაიაფების ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების მომზადებაზე, მკაცრი კონტროლი დააწესონ ბიუჯეტით გათვალისწინებული მართვის აპარატის შენახვის ხარჯების შემცირებაზე, ზღვრულ ასიგნებათა და საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვაზე და ამ მხრივ გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

§ 7. სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფა სკკპ აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფის ერთერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობაში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სოფლის მეურნეობის მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად. წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო დაგეგმვის სისტემის სრულყოფამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფლებების გაფართოებამ წარმოების დაგეგმვის, ფულადი შემოსავ-

ლების განაწილების ორგანიზაციის საქმეში სოფლის მეურნეობის წარმოების მართვა უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახადა.

ამასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ამაღლება, დარგთაშორისო სპეციალიზაციის გაღრმავება, კონცენტრაციის ზრდა, წარმოების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, კოოპერირების ახალი ფორმების დანერგვა მოითხოვს ორგანიზაციული სტრუქტურის მეთოდებისა და პრინციპების შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. სოფლის მეურნეობის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს: მართვის განვითარება-ორგანიზაციის საქმეში ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი ხაზის გატარება; ხელმძღვანელობის სხვადასხვა საფეხურებს შორის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ზუსტი განაწილება, პროდუქციის წარმოება-განაწილებაში ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის ოპტიმალური შეთანაწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან: მართვის სისტემის მაქსიმალური დაახლოება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, რათა ლიკვიდირებულ იქნეს მართვის ზედმეტი რგოლები და გახდეს იგი მაქსიმალურად შედეგიანი.

სსრ კავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფა მომავალში წარიმართება წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, საშეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. „აქ. — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — წარმოების მოცულობის ზრდის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უზარმაზარი შესაძლებლობანი გვაქვს“[1].

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1976 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე“. ამ დადგენილებაში ნათლად არის მითითებული,

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ. 1976, გვ. 21—22.

რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მრავალმხრივი პროცესია, სსრ კავშირში შექმნილია მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსების, რძის, მატყლის, სასაქონლო წარმოების მსხვილი სპეციალიზებული ზონები, რომელთა შემდგომი გაღრმავება აუცილებლობით არის გამოწვეული.

ფართო განვითარება პოვა ისეთმა სპეციალიზებულმა საწარმოებმა, როგორიცაა მეფრინველეობის ფაბრიკები, ღორისა და მსხვილფეხა პირუტყვის, ხორცის, რძის წარმოების მსხვილი კომპლექსები, რომლებიც ვითარდებიან სამრეწველო საწყისებზე, აღწევენ მაღალ შრომის ნაყოფიერებას და მათი წილი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში სისტემატურად იზრდება.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უზრუნველყოფა პროდუქტებით მოითხოვს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის უდიდესი პოტენციალური შესაძლებლობების რაციონალურ გამოყენებას წარმოების ყოველმხრივი კოოპერირების, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით. ამ პროცესის განვითარების მიღწევა შესაძლებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებით, რათა ცალკეული პროდუქტები წარმოებულ იქნეს თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე ინდუსტრიული მეთოდებისა და პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ერთ რომელიმე თუნდაც უმსხვილეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ძალ-ღონეს აღემატება.

იმის გამო, რომ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავება ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკური დონის გათანაბრებისათვის ქმნის ოპტიმალურ პირობებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ მომავალში ამ პროცესს უნდა მიეცეს გეგმაზომიერი ხასიათი.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარებას ფართო კოოპერირების ბაზაზე და შექმნან საამისო პირობები. ამასთან მათი ყურადღება მიექცა ამ პროცესის დიფერენცირებულად და ეტაპობრივად

განვითარების აუცილებლობას, „ამ საკითხის გადასაწყვეტად, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — საჭიროა შევიმუშაოთ მწყობრი სისტემა ღონისძიებებისა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის, ამ კომპლექსში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ზუსტი ურთიერთმოქმედება. დგება ჩვენს ქვეყანაში სასურსათო საქმის მართვის გადაჭრის სრულყოფის საკითხიც“[1].

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გატარებისას ზუსტად უნდა იქნეს დაცული სოფლად სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებული პრინციპები, სახელდობრ:

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოთა ერთობლივი თანამშრომლობის დროს ნებაყოფლობის პრინციპის დაცვა;

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გატარების ორგანიზაციული ფორმების მეცნიერული შერჩევა:

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება:

გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის მართვის ორგანიზაციაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შენარჩუნება და დაცვა;

მეურნეობათა, მათი კოლექტივებისა და წევრების მატერიალური დაინტერესება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი;

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მთავარი მიზნის — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მისი სახელმწიფოზე მიყიდვის მოცულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და დანახარჯების შემცირების მიღწევა.

სამეურნეობათაშორისო, აგროსამრეწველო სპეციალიზებული საწარმოო გაერთიანებები იქმნება ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოთ აღნიშნული დადგენილება და 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებები მკაცრად აფრთხილებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომ

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 23.

არ დაუშვან ამ პროცესის გატარებაში ზემოდან დეკრეტირების ფაქტი, და არ მოახვიონ თავს წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც შეუმოწმებელია მეცნიერებითა და პრაქტიკით, ამასთან ეირწმუნოს აღმოიფხვრას ამ პროცესის შეჩერება-შენელების ყოველგვარი მცდელობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარება სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოადგენს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ, პროგრესულ გზას და უდიდეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ამოცანას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „... ერთხელ კიდევ მინდა გავაფრთხილოთ, რომ შეუწყნარებელია გადაჭარბება ამ საქმეში. ამაზე ლაპარაკი იმიტომ გვიხდება, რომ ზოგან თავს იჩენს ფაქტები, როცა ამხანაგები აღგილებზე, თუნდაც ახალი არაფერი შეიქმნათ, ჩქარობენ დაანგრიონ ძველი — სპეციალიზებულ საწარმოებს ჯერ მხოლოდ აშენებენ, ფერმები კი მეურნეობებში უკვე გააუქმეს. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას“[1]. მაგრამ სკკპ კპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ამ ფასდაუღებელ მითითებას ბევრგან არ მოეკიდნენ მთელი სერიოზულობით, რაზედაც სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სპეციალურად აღნიშნა: „მაშ რით უნდა აიხსნას ის საგანგაშო ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაღიდდა იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, რომლებსაც ღორები აღარ ჰყავთ და მეფრინველეობას აღარ მისდევენ? ისეთ პირობებში, როცა ხორცით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება ჯერ ვერ უზრუნველგვიყვია, ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით, იგი უნდა გამოვასწოროთ. მით უმეტეს, რომ მომავალშიც, იქ, სადაც ეს ეკონომიკურად იქნება დასაბუთებული, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ფერმები უნდა დავტოვოთ“[2].

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 22.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 22 მარტი.

იმაზე, თუ როგორი სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევა შეიძლება სწორად ორგანიზებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად, მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი, სლობოძეისკის რაიონის მებაღეობის გაერთიანებაში (მოლდავეთის სსრ) — „ილიჩის ხსოვნა“ ბაღი-გიგანტი შეიქმნა 14 კოლმეურნეობის სახსრებით. ბაღებით დაფარულია 6 ათ. ჰა ფართობი, სრულმოსავლიან ნაკვეთებზე საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა აღწევს 250—300 ცენტნერს, უშუალოდ ბაღებთან აშენდა შემფუთავ-დამხარისხებელი ფაბრიკა, ტარის კომბინატი, 80 ათასი ტონის ტევადობის მაცივარი. როდესაც ბაღი-გიგანტი მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს, იგი წელიწადში სამშობლოს მისცემს 200 ათას ტონა ხილს.

მოლდავეთის სსრ-ში შექმნილი 22 ბაღი-გიგანტი აერთიანებს არსებულ 3,5 ათას ბაღს, რაც საშუალებას მისცემს რესპუბლიკას 3-ჯერ გაზარდოს ხილის წარმოება და 2-ჯერ შეამციროს ნაყოფის მომცემ მრავალწლოვან ნარგავთა არსებული ფართობები.

მოლდავეთში გავრცელებული სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს აგროსამრეწველო ინტეგრაციის პარალელურად. ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოების სპეციფიკა მოითხოვს შეერთდეს მათი მოყვანა სამრეწველო გადამუშავებასთან.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე შექმნილი მსხვილი სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების უპირატესობა პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა. 1977 წლის დასაწყისისათვის სსრ კავშირში უკვე არსებობდა 6 ათასამდე სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და საწარმო. ამ გაერთიანებებში პროდუქციის თვითღირებულება უფრო დაბალია არასპეციალიზებულ საწარმოებთან შედარებით.

ფინანსებისა და კრედიტის როლი სოფლის მეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პირობებში მნიშვნელოვნად მაღლდება.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირების შემდგომ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს საფინანსო რესურსების კონცენტრაცია, მოგების განაწილების სწორი, ოპტიმალური მექანიზმის შემუშავება და დანერგვა, სახბანკის კრედიტებით სასოფლო-სამე-

ურნეო წარმოების სრულად უზრუნველყოფა, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების მექანიზმის სრულყოფა და სხვ.

სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და კომპლექსების შექმნა შეუძლებელია ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის გარეშე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად წარმართვას და ამ დარგის პროდუქციის სიუხვეს. რსფსრ ზოგიერთი ოლქის, მოლდავეთის, საქართველოს, უკრაინის და სხვა რესპუბლიკების გამოცდილებიდან ირკვევა, რომ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა და კომპლექსების ფინანსები წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას.

მოლდავეთის სსრ ამჟამად არსებული 260-მდე სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და კომპლექსი, რომელთა ძირითადი ფონდები 802 მლნ. მანეთს აღწევს, მეცხოველეობაში კაპიტალურ დაბანდებებზე გაწეული დანახარჯების ამოგების ვადა არ აღემატება 3 წელს, საკვების გადამუშავებელ მრეწველობაში კი ერთ წელს. 1 ცენტნერი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ხორცის თვითღირებულება სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში 1,7—1,9-ჯერ დაბალია, ვიდრე არასპეციალიზებულ, მრავალდარგოვან მეურნეობებში, ხოლო შრომის ნაყოფიერება 5—7-ჯერ მაღალია[1].

სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია დადებითად მოქმედებს კაპიტალურ დაბანდებათა და საბრუნავი საშუალებების შექმნის წესის, ურთიერთანგარიშსწორების, მოგების განაწილების ნორმატივების სრულყოფაზე.

სამეურნეობათაშორისო გაერთიანების შექმნისას ერთ-ერთი ურთულესი ფინანსური საკითხია პირვანდელი დაგროვების წყაროების გამონახვა. თუ რამდენად ოპტიმალურად შეირჩევა საპაიო შენატანებისა და მეპაიე მეურნეობების გაერთიანებაში წილობრივი მონაწილეობის კრიტერიუმი, დიდად არის დამოკიდებული მათი შემდგომი წარმატებები.

სამეურნეობათაშორისო ინტეგრაციის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიურად განვითარების ხარისხზე დიდად მოქმედებს მოგების განაწილების მექანიზმის სრულყოფა, რომე-

---

[1] Бодюл И. Крупнейшая государственная и общепартийная задача, журн. «Коммунист», 1976, № 11, стр. 56—57.

ლიც ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. ამასთან მოლდავეთის სსრ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ოპტიმალურად შერჩეული ფორმებით განხორციელება იწვევს სოფლის მეურნეობის საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებას. 1976 წელს 20 პროცენტი შეადგინა იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითმა წონამ, რომელთა სპეციალიზაცია მაღალ დონეზე იდგა და რენტაბელობის დონეც ნორმალური იყო, ხოლო დაახლოებით 30 პროცენტში სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები შესამჩნევად გაუმჯობესდა. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის რელსებზე გადაყვანისა და სტიმულირების ამაღლების შედეგად უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებში მოგების ხვედრითი წონა გაიზარდა 4,5-ჯერ და 1975 წელს მიაღწია 437 მილიონ მანეთს[1].

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში წარმოების ორგანიზაციასა და ფინანსებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა დიდად შეუწყობს ხელს სახელმწიფოსაგან სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად გამოყენებას.

ამასთან ცხოვრებამ დააყენა ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა უშუალო კავშირშია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფასთან.

სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაციისა და კოოპერირების პროცესის შედეგად სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა შექმნა მოითხოვს მათში გაერთიანებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსების ორგანიზაცია და დაგეგმვა უნიფიცირებული იყოს. ეს მით უფრო სასურველია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, აგრეთვე პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის წესი ერთნაირია; კოლმეურნეობათა უმრავლესობა საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი შრომის ანაზღაურების სისტემას იყენებს; პრაქტიკულად ერთნაირია წმინდა შემოსავ-

---

[1] Пессель М. А. Финансово-кредитный механизм интенсификации общественного производства, М., 1977, стр. 51.

ლისა და მოგების მაჩვენებლები და არ არსებობს მათ შორის პრინციპული განსხვავება.

ამასთან სერიოზული განსხვავება არსებობს მათი ფინანსებისა და დაკრედიტების ორგანიზაციის ფორმებში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებში, რისთვისაც საჭიროა გატარდეს რადიკალური ღონისძიებანი, სახელდობრ:

1. პომწიფდა ნიადაგი კოლმეურნეობებისათვის დაწესდეს საბჭოთა მეურნეობების ფორმის საფინანსო გეგმა, რაც შესაბამისად ეამოიწვევს კოლმეურნეობათა მოკლევადიან დაკრედიტებას საკონტროლო ციფრებითა და არა ლიმიტების გამოყენებით;

2. ასევე მომწიფდა ნიადაგი კოლმეურნეობებში დაწესდეს საკუთარი საბრუნავი საშუალებების მყარი ნორმატივები;

3. შესაცვლელია კოლმეურნეობებში მემცენარეობის ხაზით სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის 50 პროცენტის დაფარვის ამჟამად არსებული წესი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოსაგან გამოყოფილი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს დაბალრენტაბელური და ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების არსებობა, რაც იწვევს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების მოქმედების შესუსტებას. საჭიროა შემუშავდეს ეფექტიანი ღონისძიებები სოფლად სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში ფინანსური რეზერვების არასაკმარისობის გამო სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი ნაწილობრივ იფარება, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იმყოფებიან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელთა გამოსასწორებლად ვფიქრობთ ბრძანებულია გადაისინჯოს ეს წესი და სრულად დაიფაროს მიყენებული ზარალი, ასევე დაიხვეწოს შესყიდვის ფასები.

თავი II

სამეურნეო ანგარიში — სოციალისტური მართვის ძირითადი მეთოდი

§ 1. სამეურნეო რეფორმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ მოწონებულ სამეურნეო რეფორმას, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში ხორციელდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურთან შედარებით უპირატესობის რეალიზაციის საქმეში.

სამეურნეო რეფორმა, ღონისძიებათა კომპლექსია, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას მთლიანად. იგი ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა და მიმდინარეობს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა. იგი ითვალისწინებს ისეთ სახალხომეურნეობრივ გარდაქმნებს, როგორიცაა: 1. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის პრინციპულად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რითაც მართვის ტერიტორიული სისტემა შეიცვალა დარგობრივი სისტემით. 2. საწარმოებისა და გაერთიანებების თანდათანობით გადაყვანა წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

ამ ღონისძიებათა რეალიზაციით მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი ეფექტი, სამეურნეო ბრუნვაში მოექცა ადრე გამოუყენებელი დიდი ოდენობის დამატებითი რეზერვი, რამაც სახალხო მეურნეობის განვითარებაში პრინციპული პოზიტიური ძვრები გამოიწვია. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სსრ კავშირის ეკონომიკური პოტენციალი ორჯერ გაიზარდა და ამით მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების საქმეში.

როგორც ცნობილია, სოციალიზმის კაპიტალიზმთან ეკონომიკური უპირატესობის საფუძველთა საფუძველია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, რომლიდანაც გამომდინარეობს წარმოების შედეგების მითვისების საზოგადოებრივი ხასიათი. სწორედ საკუთრების ხასიათთან მტკიცე კავშირშია ეკონომიკური ინტერესები.

ეკონომიკური ინტერესები და ეკონომიკური სტიმულირება ამ უკანასკნელ ათწლეულამდე ნაკლებად იყო დამუშავებული და დებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ინტერესები ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა, უკანა პლანზე იდგა. სოციალისტურ საზოგადოებაში განმსაზღვრელ ეკონომიკურ ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების ინტერესები მთლიანად.

საზოგადოების ინტერესები სოციალისტური წარმოების მიზანია, რომელიც მდგომარეობს საზოგადოების თითოეულ წევრთა მატერიალური და კულტურული დონის სულ უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილებაში, მათი კეთილდღეობის ამაღლებასა და უოველმხრივ განვითარებაში.

სწორედ სოციალიზმის უპირატესობის პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მიზნით საზოგადოებაში არსებული უველა რეზერვის გამოყენებას.

ამ მიზნის განხორციელება აქვს დასახული სამეურნეო რეფორმას, რომლის მთავარი ამოცანაა უკეთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა, როგორც მომხმარებელთა მოთხოვნები და უფრო სრულად გამოვიყენოთ მშრომელთა პოტენციალური შესაძლებლობანი.

სამეურნეო რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის სტრუქტურისა და ხარისხის გაუმჯობესების, არსებული საწარმოო ფონდების უფრო სრულად გამოყენების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდების გზით.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება გულისხმობს შრომის სტიმულირების ამაღლებას წარმოების პროცესში და წარმოადგენს წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ

ბერკეტს. სამეურნეო რეფორმა მნიშვნელოვნად ადიდებს მატერიალური სტიმულირების როლს, რამდენადაც რეფორმის მეშვეობით ხორციელდება პირდაპირი კავშირი წარმოების ეფექტიანობასა და მუშაკთა კეთილდღეობის ამაღლებას შორის. სამეურნეო რეფორმის განხორციელებისას აუცილებელია არა მარტო მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ აღნიშნულის ისეთი ეკონომიკური მეთოდებით განხორციელება, რომლებიც გაზრდის მშრომელთა შრომის ეფექტიანობას. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებს მატერიალური წახალისების ფონდები, რომლებიც სამეურნეო რეფორმის შედეგად იქმნება ხოლმე და რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება წარმოების კოლექტიური და პირადი ინტერესების ჰარმონიული შეხამება.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის პირობებში საწარმოს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის დამახასიათებელ მაჩვენებელთა ახალი სისტემა მიმართულია იქითკენ, რომ სსრ კავშირის ეკონომიკამ მიაღწიოს განვითარების ისეთ დონეს, როდესაც წინა პლანზე იქნება წარმოდგენილი ეკონომიკის ინტენსიური ზრდის წყაროები.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების, როგორც ერთ-ერთი მთავარი ხარისხობრივი მაჩვენებლების მაღალი ტემპებით განვითარებას. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების დონეზეა მთლიანად დამოკიდებული კაპიტალ დაბანდებათა მოცულობა. ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, რაც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია. ეს რეზერვი საწარმოშივეა (გაერთიანებაშივე) და სადღეისო ამოცანას წარმოადგენს. მისი მაქსიმალურად გამოყენება მთელი კოლექტივის ინტერესი რომ გახდეს, თანამედროვე პირობებში საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებით შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად ამაღლება მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ კადრებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შეუძლია.

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება, წარმოების ტექნიკური დონის ზრდა მოითხოვს პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მეათე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის კე-

თილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროდუქციის სახმარი ღირებულების როლის ამაღლება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე დღევანდელობის ერთ-ერთი პრობლემაა.

პროდუქციის ხარისხზე გაზრდილმა მოთხოვნამ გამოიწვია პროდუქციის რეალიზაციის როლის ამაღლება. დღეს მნიშვნელოვანია არა მარტო პროდუქციის წარმოება, არამედ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაც, რითაც ირკვევა, შექმნილი პროდუქტი შეესაბამება თუ არა საზოგადოების, მისი წევრების მოთხოვნილებებს.

ეკონომიკის ინტენსიური ზრდის ყველა წყარო საბოლოოდ ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეშვეობით. განუწყვეტლივ იზრდება სამეცნიერო-კვლევითი, საინჟინრო საქმიანობის როლი და სამუშაო დროის კვალიფიციურად და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა.

საზოგადოებრივი წარმოების გიგანტური მასშტაბები, მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური მრავალფეროვნება და სირთულე, ძირითადი საწარმოო ფონდების სისტემატური განახლება მოითხოვს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფას. ეკონომიკური ზრდის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროს პრაქტიკული მობილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობის პირობებში.

სამეურნეო რეფორმით საწარმოსათვის (გაერთიანებისათვის) მოგების, რენტაბელობის, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის დაწესება საერთო პროდუქციის, პროდუქციის თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერებისა და სხვა გეგმების ნაცვლად არ ნიშნავს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებელთა უბრალო შეცვლას. ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების შემოღებით ძირფესვიანად შეიცვალა საწარმოს საქმიანობის შეფასება, ამჟამად საწარმოს (გაერთიანების) საქმიანობის ხარისხობრივი, საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებით შეფასება წარმოებს არა შუალგდური, არამედ მოგების, რენტაბელობისა და პროდუქციის რეალიზაციის მონაცემებით.

სამეურნეო რეფორმის ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ ახალი საგეგმო მაჩვენებლების დაწესებითა და გამოყენებით მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრივი წარმო-

ების ეფექტიანობა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სოციალიზმის ძირადი ეკონომიკური კანონის მიზნის — მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების განხორციელებას. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური სტიმულების სისტემასაც, რომელიც დამყარებულია ინტერესთა ერთიანობაზე.

სოციალისტური სტიმულების სისტემის კაპიტალისტურთან შედარებით უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მას პრაქტიკულად მაღალი დონით განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია.

ამასთან სტიმულირების ახალი სისტემის განხორციელებისას წარმოიშობა წინააღმდეგობებიც და პრაქტიკული პრობლემებიც, რომელთაგან აღსანიშნავია პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების სწორი შეთანაწყობის უზრუნველყოფისას შექმნილი არაანტაგონისტური წინააღმდეგობები.

ინტერესთა ერთიანობა, შეთანაწყობა არა მარტო საერთო ნიშნებში გამოიხატება, არამედ მათ შორის არსებობს არაანტაგონისტური წინააღმდეგობანიც, ინტერესთა ურთიერთმოქმედებას შეუძლია საწარმოო ძალებზე იმოქმედოს დადებითად, როდესაც ინტერესებს შორის სწორი შეთანაწყობაა და უარყოფითად, როდესაც დარღვეულია ინტერესთა ერთიანობა, შეთანაწყობა.

სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაშიც გამოიხატება, რომ მან ხელი შეუწყოს ინტერესთა წინააღმდეგობების მოსპობას და მოგვცეს გზები სწორი შეთანაწყობის უზრუნველსაყოფად.

სამეურნეო რეფორმის მეშვეობით ინტერესთა ერთიანობა მიღწევა მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების ობიექტური სისტემების გამოყენებით: შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გამოხატავენ; საწარმოს კოლექტივის ინტერესები დამოკიდებული უნდა იყოს კოლექტივის წევრთა მუშაობის საერთო მაჩვენებლებზე, რომლებიც შეფასდება მასტიმულირებელი ფონდების გამოყენებით; კოლექტივის ცალკეული წევრის შემოსავლები დამოკიდებული უნდა იყოს კოლექტივის მთელ შემოსავალზე და მის შექმნაში ცალკეულ წევრთა შრომით მონაწილეობაზე.

სამეურნეო რეფორმა საშუალებას აძლევს საწარმოებს (გაერთიანებებს) უკეთ გაითვალისწინონ ეკონომიკური სტიმულირების პირობები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გაფართოვდა საწარმოს, გაერთიანების, სამინისტროს უფლებები ხელფასის სისტემების, მატერიალური წახალისების ფონდებიდან პრემირების ფორმის გამოყენების საქმეში და დაწესდა დიფერენცირებული ნორმატივები ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად, ბიუჯეტში გადასახდელების დასაგეგმად და ა. შ.

სამეურნეო რეფორმისას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სწორი სახალხომეურნეობრივი დაგეგმვა, რომელიც აიგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებზე და საწარმოთა კოლექტივების, მეცნიერების, მგეგმავების, სამეურნეო მუშაკების, სტატისტიკოსების შემოქმედებით ინიციატივაზე.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მასტიმულირებელ როლს ასრულებს ბიუჯეტში ეკონომიკურად დასაბუთებული გადასახდელების შემოღება ფონდების საფასურის, ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელების, ბანკის კრედიტზე სარგებლის შემოღებით და არა მოგების ბიუჯეტში უბრალო ანარიცხების სახით შეტანით, როგორც ეს სამეურნეო რეფორმამდე წარმოებდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პირობებში მიმართულია წარმოების დაგეგმვისა და მართვის ყოველმხრივი სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამიტომ მეათე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სამეურნეო ანგარიშისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდების შემდგომი სრულყოფა, მატერიალური წარმოების სფეროს თითოეული რგოლის მუშაობის შეფასების მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმების შემუშავება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენების მექანიზმში სამეურნეო ანგარიში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. იგი გამოხატავს მეურნეობის დაგეგმვის, სტიმულირებისა და მართვის ორგანიზაციული ფორ-

შების დიალექტიკურ ერთიანობას. ამასთან სამეურნეო ანგარიშის მექანიზმის მთავარი მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური. პროგრესისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება: წარმოების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ბაზაზე მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებს შორის ოპტიმალური პროპორციების დაწესება: სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მიზნის — ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

თანამედროვე პირობებში სამეურნეო ანგარიშის წინაშე დასახული ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს სამეურნეო ურთიერთობათა სრულყოფას, რაც სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური წარმოების სფეროს ყველა რგოლში მეურნეობრივი მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა და აქედან გამომდინარე, საწარმოთა (გაერთიანებათა) თვითანაზღაურების მიღწევა, ე. ი. ყველგან სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა. სრული სამეურნეო ანგარიში გულისხმობს საწარმოთა (გაერთიანებათა) უფლებების გაფართოებას დაგეგმვასა და მართვაში, საბიუჯეტო დაფინანსებაზე მთლიანად უარის თქმას და ამ მიზნით საკუთარი წყაროების გამოყენებას. მოგება გამოიყენება კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად და ბანკის გრძელვადიანი კრედიტებისა და მისი სარგებლის დასაფარავად, მეცნიერულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად, საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატიევების გეგმური მატების შესავსებად, ზემდგომი ორგანოების სარეზერვო ფონდების შესაქმნელად, კადრების მოსამზადებლად, საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა და სხვა გეგმური ხარჯების დასაფარავად.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცება შეუძლებელია სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ეფექტიანი გამოყენების გარეშე. მართალია, სოციალისტური საზოგადოება ყოველთვის იყენებდა მას სამეურნეო პროცესების გეგმაზომიერი რეგულირებისათვის, მაგრამ თანამედროვე პირობებში ამ ურთიერთობათა სრული და უფრო ეფექტური გამოყენება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. სამეურნეო ანგარიშის მექანიზმი მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო სრულად გამოიყენება ღირებულება და მისი ფორმები წარმო-

ების დაგეგმვასა და მართვაში. სრული უსუსურობის ნიადაგზეა აგებული იმ ეკონომისტთა მოსაზრება, რომლებიც მიუთითებენ, რომ სოციალიზმის დროს სასაქონლო-ღირებულებითი კატეგორიების გამოყენება კაპიტალიზმის გადმონაშთს წარმოადგენს. სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის ამოსავალი პუნქტია ცენტრალიზებული საერთო-სახელმწიფოებრივი დაგეგმვა, რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო-ფულადი მექანიზმის მოქმედებას.

ამ პოზიციის დამცველებმა ღირებულებითი ბერკეტების ზოგიერთი უარყოფითი მოვლენა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მანკიერებად ჩათვალეს. მაგალითად, საფინანსო-ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმების შეუსრულებლობა, საბითუმო ფასების გაუმართლებელი მოძატება-მოკლება და სხვა მიიჩნიეს ამ ბერკეტების მოქმედების შედეგებად და არა ვოლუნტარისტულ, სუბიექტივისტურ მიდგომად. საქონელი, ღირებულება, ფული, კრედიტი, ფასი, ფინანსები, მოგება, სამეურნეო ანგარიში და სხვა ფორმები ობიექტური ეკონომიკური კატეგორიებია და ხსნიან სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების პროცესის ამა თუ იმ იმანენტურ მოვლენებს.

პარტიის XXIV ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეკონომიკური ბერკეტების უნარიანად გამოყენებას და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სრულყოფას. „პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ, — აღნიშნა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა ყრილობაზე, — რომ წამყვანი და განმსაზღვრელია სადირექტივო დაგეგმვა და რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა შეიძლება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ საბალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე საწარმოთა და გაერთიანებათა ინიციატივის განვითარების ინტერესებისათვის. სასაქონლო-ფულად ურთიერთობას ჩვენში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ახალი შინაარსი აქვს“[1].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეპოქაში სასაქონლო-ფულადი კატეგორიების პრაქტიკული გამოყენება დღის წესრიგში აყენებს მთელი სამეურნეო მექანიზმის კომპლექსურ შესწავლას და ღირებულებითი კატეგორიების მასტიმულირებელი

[1] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971, გვ. 210.

მოქმედების მნიშვნელოვნად გადიდებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სამეურნეო ცხოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ყურადღება უნდა მიექცეს საშიშროების კიდევ ერთ მხარეს, არ უნდა მოვახდინოთ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა აბსოლუტიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა არსებობის კანონზომიერება ეჭვს არ იწვევს, ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი დღემდე „ამტკიცებს“, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი არ არის სოციალიზმისათვის დამახასიათებელი. ასეთ ეკონომისტებს მიეკუთვნებიან ნ. ხესინი, ვ. სობოლი, ი. მალიშევი, ვ. ლოპატკინა და სხვ.[1].

საბჭოთა ეკონომისტების მეორე ჯგუფი „ასაბუთებს“, რომ სოციალიზმის დროს ბაზარი იკავებს ცენტრალიზებული დაგეგმვის ადგილს. ისინი სოციალისტური ეკონომიკის რეგულატორად მიიჩნევენ ღირებულების კანონს, რომ გეგმა უნდა შეეხამოს ბაზრის მოთხოვნებს, რომელიც მისი „მაცოცხლებელი წყაროა“. ასეთ მოსაზრებებს ავითარებენ ი. ბუზდალოვი, გ. ლისიჩკინი, ს. მიფტახოვი[2].

ეკონომისტთა ამ არასწორ მოსაზრებათა მიუხედავად უნდა მივუთითოთ, რომ სოციალიზმის პირობებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი ობიექტურად აუცილებელია და მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სოციალისტურ ეკონომიკაში სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა არსებობის მიზეზია წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების თავისებურებანი და შრომის ხასიათი. ამასთან თანამედროვე პირობებში შრომის ხასიათი განპირობებულია წარმოების საზოგადოებრივი ხასიათისა

---

[1] См. Хесин Н. В., В. И Ленин. О сущности и основных признаках товарного производства, М., 1968. Собол В. Н. Очерки по вопросам баланса народного хозяйства. М., 1960. Малышев И. С. Общественный учет труда и цена при социализме, М., 1960. Лопаткина В. Г. Товарные отношения и закон стоимости при социализме. М., 1966.

[2] См. Буздалов И. Н. Экономическая эффективность интенсификации сельскохозяйственного производства. М., 1966. Лисичник Г. С. План и рынок. М., 1966. Мифтахов Х. М. Стоимость рабочей силы при социализме. Ташкент. 1968.

და საწარმოო ძალების განვითარების დონით. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა პრობლემა კომუნისტური ფორმაციის პოლიტიკურ ეკონომიკაში ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, რამაც განაპირობა ფართო თეორიული დისკუსიები[1].

უველასათვის ცნობილია სოციალიზმის არსის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება და ვინც მისი არსის გარკვევას დაიწყებს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობიდან, წინააღმდეგობაში მოექცევა. სკკპ უარყოფს ყოველგვარ მცდარ კონცეფციებს, რომლებიც ცენტრალიზებული დაგეგმვის წამყვან როლს „საბაზრო სოციალიზმით“, საბაზრო რეგულირებით ცვლიან.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსები „ამტკიცებენ“, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა სოციალიზმის დროს ეფექტიან როლს შეასრულებს მაშინ, როდესაც არ იქნება ცენტრალიზებული დაგეგმვა. ზოგიერთი მათგანი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში გატარებული დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის ძირითადი აზრია ფართო გზა გაუხსნას საბაზრო კონიუნქტურასა და საბაზრო რეგულირებას. ისინი აყალიბებენ ბაზრის როლს სოციალისტურ ეკონომიკაში, მათ არ სურთ გაიგონ, რომ სოციალიზმის დროს ბაზარს გეგმური ხასიათი აქვს და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფა სრულიადაც არ ნიშნავს სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარების უარყოფას ან შესუსტებას. სამეურნეო რეფორმა არა თუ ასუსტებს ცენტრალიზებული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, გეგმების შესრულების მატერიალური სტიმულირების სისტემები უფრო ღრმად ითვალისწინებენ საწარმოებისა და უველა ძირეული რგოლის გამოცდილებასა და ინიციატივას.

მემარჯვენე რევიზიონისტების „საბაზრო სოციალიზმის“ ყალბი თეორიით, სოციალისტური წარმოების ავტომატური რეგულატორი საბაზრო-კონკურენციული მექანიზმია. მათი აზრით, სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაწესების მთავარი ფაქტორია მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისობის ცვალებადობა, ხოლო სახელმწიფო ცენტრალიზებული დაგეგმვა არაფერს არ წარმოადგენს. სა-

---

[1] См. Румянцев А. М. О категориях и законах политической экономии коммунистической формации, М., 1966. стр. 238.

წარმოებს ეძლევათ დამოუკიდებლობა, ქმნიან იმას, რაც მათ სურთ და რაც ბაზრის კონიუნქტურით არის განპირობებული, რითაც დიდ მოგებასაც ღებულობენ. „საბაზრო სოციალიზმის“ თეორეტიკოსებს სოციალიზმი დაყავთ სასაქონლო წარმოების სახესხვაობაზე.

მარქსისტულ-ლენინურმა პოლიტიკურმა ეკონომიკამ დაასაბუთა, რომ საქონელწარმოებით კი არ განისაზღვრება წარმოების გაბატონებული წესი, არამედ, წარმოების გაბატონებული წესით არის განსაზღვრული სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა შინაარსი. მაშინ, როდესაც წარმოების საშუალებებზე არსებობს საზოგადოებრივი საკუთრება, შეუძლებელია სასაქონლო ურთიერთობანი გადამწყვეტ როლს ასრულებდეს, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, სადაც სასაქონლო ურთიერთობა საყოველთაო ხასიათის მატარებელია, საქონლის თითოეული მწარმოებელი მხოლოდ თავის კერძო ინტერესებით ცხოვრობს, საზოგადოებასთან მას მხოლოდ სასაქონლო გაცვლა აკავშირებს. ასეთი სახის სასაქონლო ურთიერთობა შეუძლებელია არ იყოს სტიქიური. სოციალიზმის დროს კი სახელმწიფოს (საზოგადოების), კოლექტივისა და კოლექტივის თითოეული წევრის ინტერესები ერთ მიზანს ისახავს, რის გამოც ყველა დაინტერესებულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, რათა წარმოებულმა პროდუქტმა დააკმაყოფილოს საზოგადოების წევრთა გაზრდილი მოთხოვნილებები და აამაღლოს მათი კეთილდღეობა.

იმის გამო, რომ სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს ობიექტური ხასიათი აქვთ და მოქმედებენ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა და საფეხურზე, იზრდება საზოგადოებრივი წარმოების დაგეგმვასა და მართვაში მათი როლი. შესაბამისად ძლიერდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების მასტიმულირებელი ფაქტორი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით თანამედროვე პირობებში სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გამოყენების გამოკვლევა უმნიშვნელოვანესი საქმეა. ნატურალური მაჩვენებლების დაგეგმვასა და სტიმულირებაში მათი უფრო ფართოდ გამოყენება არა თუ ასუსტებს ღირებულებითი (ფულადი) ნორმატივების მნიშვნელობას, არამედ აძლიერებს, როგორიცაა სახელმწიფო ბიუ-

ჯეტში გადასახდელები, მატერიალური სტიმულირების ფონდში ანარიცხები და ა. შ.[1].

§ 2. სამეურნეო ანგარიში — სოციალისტური ეკონომიკის მართვის ძირითადი მეთოდი

თანამედროვე პირობებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულების — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეურნეობის ინტენსიურ გაძღოლას, წარმოების შედეგების დახარჯულ მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებთან შეჯერებას, საზოგადოების ინტერესებისათვის უველაზე დიდი შედეგების უველაზე ნაკლები დანახარჯებით მიღწევას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად აუცილებელია წარმოების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, რისთვისაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უველაზე რაციონალურ, ეფექტიან გამოყენებას, ფუჭი დანაკარგებისა და დანახარჯების ლიკვიდაციას.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფა უნდა მოხდეს მართვის აპარატის უველი ღონისძიებით გამარტივება-გაიაფებასთან ერთად.

სკკპ პროგრამის მოთხოვნამ — „კომუნიზმის მშენებლობაში მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ახალი შინაარსის შესაბამისად... უველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ სამეურნეო ანგარიში, მივაღწიოთ უსასტიკეს ეკონომიასა და ყაირათიანობას, დანაკარგების შემცირებას, თვითღირებულების შემცირებას და წარმოების რენტაბელობის გადიდებას"[2], თავისი კონკრეტული გამოხატულება და განვითარება პოვა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესში, რომელიც სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ხორციელდება.

---

1 См. Аллахвердян Д. А. Финансово-кредитный механизм развитого социализма. М., 1976. стр. 50.

2 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა", თბ., 1971, გვ. 130—131.

სამეურნეო რეფორმის მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაში.

რა არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა? პასუხი ერთია — საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი შედეგების მიღწევა ყველაზე ნაკლები დანახარჯებით. ამ მიზნის მიღწევის მთავარი საშუალებაა საწარმოებისა და მშრომელთა ინიციატივის ფართოდ გაშლა წარმოების პროცესში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა მშრომელთა ინიციატივის გასაშლელად დასახა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ხასიათის ეკონომიკური ღონისძიებები საზოგადოებრივი წარმოების მართვის, დაგეგმვის, საწარმოთა (გაერთიანებათა) კოლექტივების მატერიალური სტიმულირების და სხვა მიმართულებით. ეს ღონისძიებანი ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული და მხოლოდ მათი კომპლექსური გადაწყვეტით მიიღწევა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. პრაქტიკულად სამეურნეო რეფორმის ყველა ღონისძიება პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართულია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და მისი პრინციპების სრულყოფისათვის.

პარტიის XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედში ეკონომიკის განვითარების დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანებად დასახა მეურნეობის მართვისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდების სრულყოფა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შეფასების დასაბუთებული კრიტერიუმების შემუშავება, რათა მიღწეულ იქნეს წარმოების საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების გაუმჯობესება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ეფექტიანობის ზრდაში მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას, ეკონომიკური სტიმულირების როლის გაძლიერებას.

მეათე ხუთწლედში დასახული ამ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში წარმატებები მაშინ მიიღწევა, როდესაც ეფექტიანად გამოვიყენებთ სამეურნეო ანგარიშს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სამეურნეო ანგარი-

ში არის მეურნეობის გაძღოლის ერთადერთი ძირითადი მეთოდი, სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენების მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი რგოლი. სამეურნეო ანგარიში გამოხატავს მატერიალური წარმოების სფეროს დაგეგმვის, სტიმულირებისა და მართვის ორგანიზაციულ ფორმათა ერთიანობას.

დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში წარმატებით ხორციელდება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესი, რომლის მთავარი მიზანია — მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერული დონის ამაღლებითა და ობიექტური ეკონომიკური კანონებისა და სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა უფრო სრულად გამოყენებით ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური რეფორმის მთავარი იარაღია წარმოებასა და მართვაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება. ეკონომიკური რეფორმის შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გამოყენების დონეზე.

ახალი ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

1. საზოგადოებრივი წარმოების ხელმძღვანელობაში სიმძიმის ცენტრის მეურნეობრივი მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადატანაში, ეკონომიკური ბერკეტების — მოგების, ფასის, კრედიტის, ხელფასის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სულ უფრო სრულად გამოყენების გზით;

2. დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლებაში, ცენტრალიზებული დაგეგმვის საწარმოს სამეურნეო ინიციატივასთან მჭიდრო კავშირის დამყარებაში;

3. ეკონომიკური სტიმულირების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან ორგანული კავშირის დამყარებაში;

4. საწარმოს კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებით, მატერიალური დაინტერესების ამაღლებაში.

ეკონომიკურმა რეფორმამ დიდად აამაღლა მოგებისა და რენტაბელობის მნიშვნელობა, განსაკუთრებით რადიკალურად შეიცვალა ამ უკანასკნელის ბუნება. თუ ადრე რენტაბელობის გაანგარი-

შებას აწარმოებდნენ მოგების მასის შეფარდებით პროდუქციის თვითღირებულებასთან, ამჟამად რენტაბელობა განისაზღვრება — მოგების მასის შეფარდებით ძირითად საწარმოო ფონდებთან და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებთან.

რენტაბელობის ახალი შეფასების ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება საწარმოს ასტიმულირებს საბრუნავი და ძირითადი საშუალებების უკეთ გამოყენებაში, ე. ი. საზოგადოება დაინტერესებულია მოგების მიღებაში გაიზარდოს მათი ეფექტიანად და მომჭირნეობით გამოყენება.

ეკონომიკური რეფორმით შემოღებული ფონდების საფასური ძირითადი და საბრუნავი ფონდების ინტენსიურად გამოყენების მძლავრი ეკონომიკური ბერკეტია.

საწარმოო ფონდებზე ბიუჯეტში გადასახდელის ნორმატივები რიგი წლებისათვის სტაბილურია, რაც საწარმოებს ასტიმულირებს ფონდების ეფექტიანობის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ისმის კითხვა: რა სიახლეები შეიტანა ეკონომიკურმა რეფორმამ სამეურნეო ანგარიშის სისტემაში?

იმის გამო, რომ ეკონომიკურმა რეფორმამ წინა პლანზე დააყენა მატერიალური წარმოების პირველადი რგოლების დამოუკიდებლობა და მათი უფლებების გაფართოება, დაიწყო მათი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა, რითაც უპირატესობა მიენიჭა მეურნეობის მართვის ეკონომიკურ მეთოდებს და უკანა პლანზე გადაიწია ადმინისტრაციულმა მეთოდებმა, რაც სამეურნეო ანგარიშს ფორმალურ ხასიათს აძლევს, ზღუდავს საწარმოთა უფლებებს სამეურნეო საქმიანობაში.

რას წარმოადგენს საწარმოთა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე?

სრული სამეურნეო ანგარიში არის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სრული თვითანაზღაურებისა და ეკვივალენტური გაცვლის პრინციპებზე აგება, რომლის დროსაც თვითდაფინანსებისათვის გამოიყენება საკუთარი საშუალებები და ბანკის სესხები, მაღლდება სამეურნეო ხელშეკრულებათა როლი და პასუხისმგებლობა მის შესრულებაზე, აგრეთვე ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანობა: ვრცელდება სამეურნეო ანგარიშის პრინციპები მთლიანად დარგზე, ფართოვდება საწარმოთა ოპერატიული დამოუკიდებლობა.

სრული სამეურნეო ანგარიში საწა[illegible]ოთა საქმიანობას დამოკი-

დებულს ხდის პროდუქციის წარმოებისა და ორგანიზაციის საბოლოო სამეურნეო შედეგებზე. ამ მიზნით შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და მოგების განაწილების ახალი წესი.

ახალ პირობებში საწარმოში დასაქმებულ მუშაკთა მატერიალური წახალისება დამოკიდებულია სამეურნეო-საფინანსო საქმიანობით მიღებული მოგების მოცულობაზე, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის შრომის ეფექტიანობაზე. ეკონომიკური რეფორმის პირობებში მატერიალური წახალისება წარმოების ეკონომიკური სტიმულირების სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიმართულია არა მარტო საწარმოს კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, არამედ წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებითა და გამოსაშვები პროდუქციის განახლებით დაინტერესებაზედაც.

ეკონომიკური სტიმულირების სისტემის პრინციპებში ნათლად ვლინდება შრომის მაღალი შედეგების მიღწევისათვის მუშაკთა მატერიალური და მორალური სტიმულირების ლენინური იდეები. სამეურნეო მშენებლობის წარმატებები სოციალიზმის პირობებში დამოკიდებულია მასში მშრომელთა ფართო მასების შეგნებულ მონაწილეობაზე, ამ უკანასკნელთა მატერიალური და მორალური სტიმულების შემდგომ სრულყოფაზე.

საწარმოებში (გაერთიანებებში) სამეურნეო ანგარიშის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან წილად მოქმედებს მათი დაფინანსებისა და დაკრედიტების სისტემებში შეტანილი არსებითი ცვლილებები. გაიზარდა ბანკის კრედიტების როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებაში.

ეკონომიკურმა რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამეურნეო ანგარიშის სისტემის დანარჩენ მხარეებზედაც, როგორიცაა წარმოების დინამიკური და ინტენსიური განვითარების მისაღწევად ღონისძიებების გატარების, საკადრო პოლიტიკის, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე.

გაერთიანებებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა მოასწავებს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობას და წარმოების მართვის სრულყოფას. ამასთან მატერიალური წარმოების სფეროს რგოლებს შორის ფუნქციები გამიჯნულია ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს გამიჯვნა არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ დანაყოფებს შორის

არ არსებობდეს ნორმალური კავშირურთიერთობა, პირიქით, რგოლებს შორის უფლებების მეცნიერულად დასაბუთებული გამიჯვნა ხელს უწყობს მათ შორის ერთიანი ეკონომიკური კავშირის დამყარებას სამეურნეო მართვის ყველა დონეზე.

სრული სამეურნეო ანგარიში გულისხმობს არა მარტო ეკონომიკური სტიმულების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფას, არამედ საწარმოს კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელობის წარმოების საბოლოო შედეგებზე მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლებასაც. თუ ეს უკანასკნელი მომენტი არ იქნა სრულყოფილი, ეფექტიანი არ იქნება ეკონომიკური სტიმულირების როლი წარმოების განვითარების მიღწევის საქმეში.

სამეურნეო ანგარიში მეურნეობრივი მართვის ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც შედარებით სრულად გამოიყენება წარმოების ზრდისა და სოციალისტურ საწარმოთა რენტაბელობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი — მომჭირნეობის რეჟიმი. მომჭირნეობის რეჟიმი გულისხმობს მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებას.

„ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ნიშნავს, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე, — რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი შრომითი კოლექტივი უნდა იღვწოდეს უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, მკაცრად იცავდეს საწარმოო დისციპლინასა და მომჭირნეობის რეჟიმს, დღითი დღე აუმჯობესებდეს თავის შრომაობის ხარისხს, პროდუქციის ხარისხს“[1].

პარტიის XXV ყრილობამ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დასახა მატერიალური წარმოების ყველა დარგში ნაკლები დანახარჯებით უკეთესი შედეგების მიღება.

მომჭირნეობის რეჟიმი სამუშაო დროის ეკონომიის კანონის გამოვლინების კონკრეტული ფორმაა. მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა საბოლოო ჯამში საზოგადოების წევრთა სამუშაო დროის ეკონომიაა.

სოციალისტურ საწარმოებში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისთვის ბრძოლა ხელს უწყობს ყველა რეზერვის მობილიზაციას

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს. თბ., 1976. გვ. 13.

და მათი სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას, რათა მიღწეულ იქნეს შიდასამეურნეო დაგროვების გადიდება. წარმოებაში ნაკლები დანახარჯებით უფრო მეტი შედეგების მიღწევა განსაზღვრავს გეგმიანი ხელმძღვანელობის წინაშე მდგარი ამოცანების ოპტიმალურად გადაწყვეტის გზებს.

როდესაც ვიხილავთ სამეურნეო ანგარიშის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას — საწარმომ (გაერთიანებამ) პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები დაფაროს რეალიზაციიდან ამონაგებით, არ შეიძლება განხილვის გარეშე დავტოვოთ იმ საწარმოთა საკითხი, რომლებიც გეგმით — ზარალიანი და დაბალრენტაბელურია.

საბჭოთა ეკონომისტებს შორის ასეთი საწარმოების სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის შესახებ აზრთა ერთიანობა არ არსებობს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ჰ. ბუნიჩის აზრით, ზარალიან და დაბალრენტაბელურ საწარმოებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი სამეურნეო ანგარიში[1].

პროფ. ს. ტატური აღნიშნავს, რომ არ არსებობს საფუძველი გეგმით ზარალიანი საწარმოები არ მივაკუთვნოთ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა რიცხვს[2].

ა. სმირნოვი კი აცხადებს, რომ გეგმით ზარალიანი, ზარალიანი და მცირე რენტაბელური საწარმოების სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებთან მიკუთვნება ბადებს ილუზიას სამეურნეო ანგარიშის საყოველთაო ხასიათზე[3].

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. სემიონოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობაში დაბალი საბითუმო ფასების მიზეზით ჯერ კიდევ არის გეგმით ზარალიანი საწარმოები, რომელთა რეალიზაციიდან ამონაგები ვერ ფარავს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს. ამასთან ბევრგან საწარმოთა ზარალიანობა გამოწვეულია მათი წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის დაბალი დონით. შესყიდვის ფასების ღირებულებიდან

---

1 См. жур. «Коммунист», 1966, № 12, стр. 25—29.

2 См. Татур С. Хозяйственный расчет в промышленности. М., 1959, стр. 103.

3 Смирнов А. Д. Основы хозяйственного расчета (очерк теории). М., 1969, стр. 64.

მერყეობა, არასწორი დაგეგმვა იწვევს საწარმოთა ზარალიან მუშაობას. სწორედ ფასწარმოქმნის ასეთი პრინციპი ხშირად არასწორ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ დარგის, საწარმოს რენტაბელობის დონეზე[1].

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ თუ საზოგადოების მხრივ არსებობს გეგმით ზარალიან საწარმოთა პროდუქციაზე მოთხოვნა, მაშინ მისი ღირებულება უნდა დაიფაროს იმ ფასით, რომელიც ასახავს ამ პროდუქციაზე გაწეულ საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. ამასთან გეგმაზომიერი ფასწარმოქმნა არ უარყოფს ფასების ღირებულებიდან გადახრას. „ამიტომ გეგმით ზარალიანი საწარმოები, — აღნიშნავს ვ. სემიონოვი, — როგორც ჩანს, ჯნდა ძიეკუთვნოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებს, რამდენადაც მათ შენარჩუნებული აქვთ ყველა ეკონომიკური ბერკეტი და მატერიალური სტიმულირების ფორმა, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისთვისაა დაწესებული"[2].

სამეურნეო ანგარიში, როგორც სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალისტური საწარმოების სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მეთოდს, როდესაც წარმოების ხარჯები იფარება პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებით და საწარმოს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად რჩება მოგება. სამეურნეო ანგარიშის საშუალებით შეიძლება წარმოების რენტაბელობის ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება. ყოველივე ეს წინა პლანზე აყენებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების განსაზღვრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ამასთან ჯერ კიდევ გაურკვეველია სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა რენტაბელობის დონის საკითხი.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა დღის წესრიგში დააყენა საწარმოთა გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრების ანგარიშზე, რაც განაპირობებს საწარმოთა მიერ მოგების გამოყენების საზღვრების გაფართოებას.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში წარმოების განსაზოგა-

---

[1] См. Семенов В. Н. Роль финансов и кредита в развитии сельского хозяйства, М., 1973, стр. 15.

[2] Там же.

დოების, მისი მართვის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ზრდამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მძლავრი გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომლებიც მეურნეობრივი მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ფართო შესაძლებლობებს იძლევიან. სამრეწველო (საწარმოო) გაერთიანებათა საქმიანობის საბოლოო შედეგები უფრო სტაბილური და მყარია, რომლებიც მიღწეულია სამეურნეო ანგარიშის მთავარი პრინციპის — შემოსავლების ხარჯებზე გადაჭარბების მტკიცე დაცვით. სწორედ ამაში ვლინდება გაერთიანებების საწარმოებთან შედარებით უპირატესობა. მათი შექმნის ეკონომიკური აუცილებლობა.

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველყოფა საკუთარი წყაროებით ამცირებს საწარმოებზე სახელმწიფო ზემოქმედების არეალს, ამასთან სამეურნეო ანგარიში ღებულობს სრული სამეურნეო ანგარიშის ფორმას. სრული სამეურნეო ანგარიში იწვევს საწარმოთა მატერიალურ დაინტერესებას მოგების ისეთი მოცულობის მისაღებად, რომელიც აუცილებელია გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისათვის და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმოების გეგმიანად გაძღოლისა და საწარმოთა მეურნეობრივი დამოუკიდებლობის გაფართოება მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალიზებული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისა და ფინანსების, ფასების, კრედიტისა და შრომის ანაზღაურების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებით, წარმოების შემდგომი ზრდისა და ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

სოციალისტური სახელმწიფო ობიექტურ ეკონომიკურ კანონებზე დაყრდნობით, მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს რა სახალხო მეურნეობას, განსაზღვრავს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროპორციებს, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტემპებს და ა. შ. თითოეული სამეურნეო ერთეული, მოცემული საწარმოო პროგრამის შესაბამისად, აწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, რაც განაპირობებს საზოგადოებასა და საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ჭეშმარიტად მხოლოდ სამეურნეო ანგარიშში ვლინდება.

სამეურნეო ანგარიში სოციალისტური წარმოების წესის ეკონომიკური კატეგორია და ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა რთული კომპლექსია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს სოციალისტური წარმოებით ურთიერთობათა განსაზღვრული მხარეები. სახელდობრ, საზოგადოებასა და ცალკეულ საწარმოო კოლექტივებსა და უშუალოდ საწარმოთა კოლექტივებს შორის, რომლებიც ვლინდებიან მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში.

პრაქტიკაში სამეურნეო ანგარიში გამოდის სამეურნეო მართვის მეთოდის სახით, რომელსაც საფუძვლად უდევს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გამოყენება და მიმართულია საზოგადოებრივი წარმოების მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად. ამ მეთოდის საფუძველი თვითანაზღაურება და რენტაბელობაა.

სამეურნეო ანგარიში, როგორც გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის მეთოდი, წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სტადიაზე — წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებში ადამიანთა შრომითი საქმიანობის ეკონომიკური მართვის ძირითად ფორმას.

ამრიგად, სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში სამეურნეო ანგარიში გამოდის, როგორც მეურნეობის გეგმიანად, ეკონომიკურად გაძღოლისა და საზოგადოების, საწარმოს კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესთა შეჯერების მეთოდი.

სამეურნეო ანგარიშის, როგორც სახალხო მეურნეობის გეგმიანად გაძღოლის მეთოდის არსის ახსნა და გაგება ნიშნავს, გაირკვეს საზოგადოების მიერ სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობის გამოყენების თავისებურებანი მისი პრინციპებიდან გამომდინარე და პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საქმეში მისი როლის ჩვენებას.

სკკპ XXV ყრილობამ დასახა სახალხო მეურნეობის მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ვრცელი პროგრამა, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის უპირატესობებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენების უზრუნველყოფა.

სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა განაპირობებს გეგმიანი მართვის მთლიანი სისტემისადმი კომპლექსურ მიდგომას, როგორიცაა: მეურნეობის მართვისა და

ეკონომიკური სტიმულირების მეთოდების სრულყოფა; დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლება; მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება; საფინანსო-საკრედიტო მექანიზმისა და ფასწარმოქმნის ეფექტიანად გამოყენება; ხელფასის ფონდის დაგეგმვის სრულყოფა; სამეურნეო ხელშეკრულებების რაციონალური ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესია სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა.

როგორც წესი, სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა-განვითარების უზრუნველყოფისათვის მთავარია დირექტიული დაგეგმვა, ხოლო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენება უნდა წარიმართოს სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპებიდან გამომდინარე. განვითარებული სოციალიზმის დროს სამეურნეო ანგარიში მტკიცე კავშირშია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კატეგორიების გამოყენებასთან, რომლებმაც სოციალიზმის დროს ახალი შინაარსი შეიძინეს.

სამეურნეო ანგარიში ეს სოციალიზმისათვის სპეციფიკური ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც არც ერთ საზოგადოებრივ წყობილებას არ ახასიათებს.

სამეურნეო ანგარიში, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკურ ურთიერთობას საწარმოსა (ტრესტი, გაერთიანება) და სახელმწიფოს, თვით საწარმოებს შორის, საწარმოსა და მშრომელებს შორის.

სამეურნეო ანგარიში, როგორც მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის მეთოდი, დაფუძნებულია საერთო-სახელმწიფოებრივ ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე. ამ უკანასკნელთან შერწყმულია საწარმოების (გაერთიანებების) მეურნეობრივი თავისთავადობა, დამოუკიდებლობა საგეგმო დავალებათა შესრულებასა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გეგმიურ ხარჯვაში.

სახალხო მეურნეობრივი გეგმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მორალური და მატერიალური სტიმულის მამოძრავებელი ძალაა. სწორედ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაა ის უმთავრესი საშუალება, რომელიც დიდ როლს ასრულებს საზოგადო-

უბის, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაში. ამასთან სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი მიზანია ისეთი გეგმების შემუშავება და მიღება, რომელიც შეიძლება საზოგადოების თითოეული წევრის მამობილიზებელ და მასტიმულირებელ როლში წარმოგვიდგეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების, პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მათ წინა პლანზე დააყენეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის საქმეში ეკონომიკური სტიმულირების როლის ამაღლება და მათ შორის სწორი, ოპტიმალური შეთანაწყობის მიღწევა, დღეს ისე, როგორც არასოდეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოების, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინტერესების შეთანაწყობას — ჰარმონიას.

სოციალისტური საწარმოს ოპტიმალურ განვითარებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ეს ინტერესები დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან. ეს კი მიიღწევა სახელმწიფო გეგმისა და სამეურნეო ანგარიშის ერთიანობით. იმის გამო, რომ საწარმო მთელი სახალხო მეურნეობის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მისი საქმიანობის შეფასება ისეთი ეკონომიკური კრიტერიუმებით წარმოებს, რომელიც გვიჩვენებს საზოგადოების მიერ საწარმოს წინაშე დასახული გეგმების შესრულების ხარისხს. ამასთან საწარმოს სამეურნეო ანგარიშის ძალით მოცემული აქვს ოპერატიული დამოუკიდებლობა და გააჩნია საკუთარი მეურნეობრივი ინტერესები, რომლებიც სწორი დაგეგმვის პირობებში საზოგადოებისა და კოლექტივის ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

სწორედ ეს დიალექტიკური ერთიანობა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ დაგეგმვასა და სამეურნეო ანგარიშს შორის წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებას.

სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა დაძაბული გეგმების შემუშავება და მათი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.

დღეს ძალზე ბევრს ვლაპარაკობთ წარმოების დაძაბულ გეგმებზე, მაგრამ მისი არსის კონკრეტულად გადმოცემა არც თუ ისე

ადვილია. ჩვენი აზრით, დაძაბულად მხოლოდ ის საწარმოო პროგრამა უნდა ჩაითვალოს, რომელიც მიღწეული იქნება წარმოების სწორი ორგანიზაციის, საწარმოო სიმძლავრეებისა და მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების სრულყოფილად და ეფექტიანად გამოყენების გზით შრომის ნაყოფიერების ზრდის ოპტიმალური ტემპები.

წარმოების დაძაბული გეგმების საერთო დახასიათებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პროდუქციის ზრდაზე ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე და შრომის ნაყოფიერების ტემპი, აგრეთვე მოგების მასაზე მოქმედი ფაქტორებიც, მაგალითად, პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სხვ. ეკონომიის მიღწევით თვითღირებულების შემცირება; ახალი სახის პროდუქციის მოცულობა და მასში უმაღლესი ხარისხის ნაკეთობათა ხვედრითი წონა. სწორედ ეს ინტენსიური ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული ეკონომიკური სტიმულირების, განსაკუთრებით კი წამახალისებელი ფონდების შექმნა-განაწილებისას.

როგორც აღინიშნა, განვითარებული სოციალიზმის დროს წარმოებითი კავშირურთიერთობანი, რომლებიც აგებულია სამეურნეო ანგარიშზე, მყარდება ეკვივალენტობის პრინციპებზე. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასების ამოსავალი პუნქტია საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება გეგმური ნორმატივების ცენტრალიზებული წესით, სწორედ აქ, ამ მომენტში არის საწარმო ეკონომიკურად დაინტერესებული ნაკლები დანახარჯებით მეტი ეფექტი მიიღოს, შეამციროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და აამაღლოს რენტაბელობის დონე.

სამეურნეო ანგარიშის ეკვივალენტობის პრინციპი გულისხმობს: შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს განხორციელებას. მუშაკთა შრომის ანაზღაურებას დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

საწარმოს სამეურნეო დანახარჯებსა და წარმოების საბოლოო შედეგებს შორის სწორი დასაბუთებული თანაფარდობის უზრუნველყოფას და ფასების მექანიზმის გეგმურ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოპტიმალურ კავშირურთიერთობათა დასაწესებლად მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე დაყრდნობითა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობებიდან გამომდინარე სახელმწიფო გეგმავს მოგებას, თვლად შემოსავლებსა და ხარჯებს, პროდუქციის თვითღირებულებას, აწესრიგებს მიმოქცევის სფეროში ეკვივალენტობის პრინციპებს, ახორციელებს მანეთით კონტროლს.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპებია: ოპერატიულ-სამეურნეო ღამოუკიდებლობა; წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მატერიალური და მორალური დაინტერესება; სახელმწიფო-საგეგმო დავალებათა შესრულებაზე, მატერიალური, შრომითი, ბუნებრივი და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე პასუხისმგებლობა, საწარმოო-საფინანსო საქმიანობაზე მანეთით კონტროლი; დანახარჯთა თვითანაზღაურება და თვითდაფინანსება; რენტაბელობა.

სამეურნეო ანგარიშის ყველა ეს პრინციპი ურთიერთკავშირში იმყოფება და გამოხატავს სასაქონლო-ფულად ურთიერთობას.

ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის პრინციპი ვიმართულია იქეთკენ, რომ სახელმწიფოსაგან გამოყოფილი წარმოების საშუალებანი რაციონალურად და დიდი უკუგებით მოხმარდეს წარმოებას; მისი დამოუკიდებლობა განპირობებულია იმით, რომ მას გააჩნია ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკის განყოფილებაში, გამოყოფილია იურიდიული პირი, რომელსაც შეუძლია მიიღოს კრედიტები, იქონიოს კავშირურთიერთობანი საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, აგრეთვე დადოს მათთან სამეურნეო ხელშეკრულებანი.

ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს მიერ ხორციელდება: საწარმოო გეგმების შედგენა-რეალიზაციით, წარმოების ორგანიზაციის, საწარმოს ფონდების გამოყენების ეფექტიანობით, სამუშაო ძალის გამოყენებით, მისი კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით, წარმოების საშუალებების შეძენით, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნით და სხვ.

სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი პრინციპია მატერიალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა. სწორედ ამ პრინციპში იყრის თავს საზოგადოების, საწარმოსა და მუშაკის ეკონომიკური ინტერესები. საწარმოს მაღალმწარმოებლურობის მიღწევაში გამოხატულება უნდა პოვოს ზემოთ აღნიშნულმა ეკონომიკურმა ინტერესებმა,

რაც მატერიალური დაინტერესების პრინციპის მთავარი მოთხოვნაა. ამასთან საწარმოსათვის უსარგებლო უნდა იყოს ყოველივე ის, რაც სასარგებლო არ იქნება საზოგადოებისათვის, რისთვისაც საწარმოს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა. მაგალითად, პროდუქციის გეგმის მიწოდების შეუსრულებლობისათვის, უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის და სხვ.

სამეურნეო ანგარიშის მატერიალური დაინტერესების პრინციპი გულისხმობს საწარმოს მთელი კოლექტივისა და თითოეული წევრის ეკონომიკურ სტიმულირებას. ამ მიზნით, გამოიყენება ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია, და ა. შ. მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის სხვადასხვა ფონდები არსებობს. სამეურნეო ანგარიშმა თითოეული საწარმოო კოლექტივი უნდა დააინტერესოს, რომ იმუშაოს მომგებიანად, რენტაბელურად, რისთვისაც სახელმწიფო, როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, საწარმოს განკარგულებაში ტოვებს მოგების ნაწილს მასტიმულირებელი ფონდების შესაქმნელად. რაც უფრო კარგად მუშაობს საწარმო, მით მეტ დაგროვებას ღებულობს და მატერიალურად მეტად ასტიმულირებს მთელი კოლექტივის წარმოების შედეგებს. ეკონომიკური რეფორმის პირობებში მატერიალური დაინტერესების პრინციპით განისაზღვრება საწარმოსა და მისი მუშაკების ეკონომიკური სტიმულირება და სწორი თანაფარდობა პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ეს საბოლოო ჯამში სრული სამეურნეო ანგარიშია.

მატერიალური დაინტერესების პრინციპის განსახორციელებლად დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების პირობებში საწარმოს მოგებიდან იქმნება სტიმულირების შემდეგი ფონდები:

1. მატერიალური წახალისების;

2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის;

3. წარმოების გაფართოების.

იმის გამო, რომ მათი შექმნის წყაროა საწარმოს მოგება, სტიმულირების ფონდები პირდაპირ დამოკიდებულებაში არიან საწარმოს საბოლოო შედეგებთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას.

საწარმოს მატერიალური დაინტერესება ორგანულ კავშირშია

მატერიალურ პასუხისმგებლობასთან. თითოეული საწარმოო კოლექტივი მუშაობის შედეგებით ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე. სოციალისტური საზოგადოებისათვის არ არის სულ ერთი საწარმო თუ რით აღწევს კარგ სამეურნეო შედეგებს. მატერიალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს საწარმოს საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, მასზე გადაცემული საწარმოო ფონდების რაციონალურად გამოყენებას, მატერიალური და ფულადი საშუალებების მომჭირნეობით ხარჯვას.

არაფისათვის არ არის საიდუმლო, რომ დღემდე მატერიალური წარმოების სფეროს არც ერთი რგოლი არ იყენებს სრულყოფილად ამ საფინანსო-ეკონომიკური სანქციების დიდ არსენალს, რომლებიც მათ გააჩნიათ და გამოყენებული უნდა იქნეს საგეგმო, სახელშეკრულებო, საფინანსო და შრომითი დისციპლინის დარღვევისას.

ხშირად მატერიალური პასუხისმგებლობის არსებული ფორმები ნაკლებად ზემოქმედებს საწარმოს კოლექტივის მატერიალურ ინტერესებზე. საქონლის მიწოდების ხელშეკრულების დარღვევებისათვის დაწესებული ჯარიმებისა და საპირგამტეხლოების სისტემა იმდენად ნაკლებეფექტიანია, რომ მისი გადახდა საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდად არ მოქმედებს, რის გამოც იკარგება საფინანსო სანქციის მეურნეობრივი მნიშვნელობა. პარტიის XXV ყრილობამ სავსებით სამართლიანად მოითხოვა იმ ხარისხობრივ მაჩვენებელთა მთელი სისტემის დახვეწა, რომელიც საფუძვლად უდევს საწარმოების, გაერთიანებებისა და თვით სამინისტროს საქმიანობის შეფასებას. მაჩვენებელთა ეს სისტემა უნდა აერთიანებდეს სახელმწიფოს, საწარმოსა და მთელი საზოგადოების ინტერესებს, აძლევდეს სტიმულს ნაკლები დანახარჯებით მეტი ეფექტის მისაღწევად.

ეხებოდა რა ეკონომიკური სტიმულირებისა და ბერკეტების: სამეურნეო ანგარიშის, ფასების, პრემიის უფრო მარჯვედ გამოყენების საკითხებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნავდა: „უგერგილო ხელმძღვანელ მუშაკებს უნდა დავუგმანოთ ყველა ხვრელი, რომლებიც ჯერ კიდევ აძლევენ შესაძლებლობას გაქვრნენ მოწინავეთა რიგებში სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისა და პროდუქციის დაბალი ხარისხის, რეზერვების ცუდი გამოყენების მიუხედავად. ამისათვის საჭიროა მატერიალური და

მორალური სტიმულირების ქმედითი სისტემა, რომელიც შეხამებული იქნება მკაცრ და გარდაუვალ სანქციებთან საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის"[1].

იქისათვის, რომ მიღწეულ იქნეს პარტიის XXV ყრილობის ეს მითითება, საჭიროა ჯარიმებისა და საპირგამტეხლოების ნაწილი გადახდილ იქნეს არა საწარმოს მოგებიდან, არამედ მასტიმულირებელი ფონდებიდან. რაც გამოიწვევს საწარმოს მთელი კოლექტივის მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლებას საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის შესრულების საქმეში.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს საფინანსო და საკრედიტო მუშაობის ორგანიზაცია ითვალისწინებს საწარმოს მუშაობაზე მანეთით კონტროლის განხორციელებას.

მანეთით კონტროლი საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის ისეთი ფორმაა, რომლის განსახორციელებლად საჭიროა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ობიექტური კანონზომიერებების ყოველმხრივი გამოყენება. მანეთით კონტროლი ხორციელდება საწარმოო ფონდების წრებრუნვის მთელი პროცესის — წარმოების, განაწილებისა და გაცვლის პროცესში.

მანეთით კონტროლი უშუალო კავშირშია ღირებულების სახით, მიმოქცევის, გადახდისა და დაგროვების საშუალებების ფუნქციებთან.

მანეთით კონტროლი მთავარი ფუნქციაა საწარმოზე გადაცემული საწარმოს ძირითადი და საბრუნავი ფონდების უკეთ გამოყენებისა და ახალ კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიის მატერიალური დაინტერესების უზრუნველყოფისა.

მანეთით კონტროლს უმთავრესად ახორციელებს სახელმწიფო ბანკი, რომლის ხელშიც გაივლის ანგარიშსწორების ყველა დოკუმენტი. საფინანსო და სხვა საკონტროლო ორგანოები.

მანეთით კონტროლის პრინციპი ფართოდ გამოიყენება მომწოდებლებსა და მყიდველებს შორის დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულების პროცესში.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოიყენება თვითანაზღაურების (თვითდაფინანსების) და რენტაბელობის პრინციპი,

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 82.

ე. ი. საწარმოს მიერ პროდუქციის შექმნისას გაწეული ხარჯების დაფარვა ხდება ამ პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებით, რომლიდანაც ნაწილი უნდა დარჩეს გაფართოებული კვლავწარმოებისათვის განსაზღვრული ღაგროვების უზრუნველსაყოფად, რითაც პრაქტიკულად ხორციელდება ლენინის შემდეგი მითითება — სახელმწიფო საწარმოთა უზარალო მუშაობა და საქმიანობის მომგებიანად წარმართვა ემსახურება მუშათა კლასის ინტერესების დაცვას.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დანახარჯების დაფარვის თანამედროვე ტენდენციამ კიდევ უფრო განამტკიცა არსებული წესის სიცოცხლისუნარიანობა მასზე, რომ საბრუნავი საშუალებების დანაკლისი დაიფაროს იმ მეურნეობრივი რგოლის შემოსავლებიდან, რომლის მიზეზითაც წარმოიშვა ეს დანაკლისი და არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ასევე ხელფასის ფონდში დაშვებული გადახარჯვის კომპენსაცია უნდა მოხდეს მატერიალური წახალისების ფონდის შემცირების ანგარიშზე.

საწარმოს რენტაბელობა მისი სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის წარმატებების განმსაზღვრელი მაჩვენებელია, რაც საბოლოოდ მიმართულია სოციალისტური საზოგადოების მთავარი მიზნის — მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად.

თვითანაზღაურების პრინციპში შედარებით სრულად ავლენს თავის არსს სამეურნეო ანგარიში, განსაკუთრებით იმით, რომ სახალხო მეურნეობის პირველადი რგოლის საწარმოს დამოუკიდებლობა გულისხმობს პროდუქციის წარმოებისას გაწეული ყველა დანახარჯი დაიფაროს საკუთარი შემოსავლებით.

სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა-განვითარება მოითხოვს თვითდაფინანსების პრინციპის თანდათანობით და სისტემატურად გამოყენებას. სამეურნეო ანგარიშის ელემენტარული პირობაა მიმდინარე დანახარჯები, ანუ პროდუქციის თვითღირებულება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დაიფაროს. ამასთან ერთად საკუთარი შემოსავლებით უნდა დაიფაროს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვასთან.

სსრ კავშირში 1971 წლიდან ფართო განვითარება პოვა სახალ-

ხო მეურნეობის თვითდაფინანსების, თვითანაზღაურების პროგრესულმა მეთოდმა. დაგროვილმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სამინისტროების, უწყებებისა და გაერთიანებების მოგება ორ ნაწილად იყოფა: ის ნაწილი, რომელმაც საწარმოთა გეგმიანი მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს, რჩება მათ განკარგულებაში, ხოლო მეორე ნაწილი გადაირიცხება საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამჟამად თვითდაფინანსების მეთოდით მომუშავე ბევრი სამინისტრო და უწყება საკუთარი სახსრების უკმარისობისას ფართოდ იყენებს ბანკის კრედიტებს. საყურადღებოა ისიც, რომ სახელმწიფო მათ აფინანსებს ბიუჯეტის სახსრებითაც, რაც თვითდაფინანსების პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, აუცილებელია ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევების დაფინანსება ბიუჯეტიდან განვახორციელოთ.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თვითდაფინანსების პრინციპის პირველ პლანზე გადატანის მოწინააღმდეგეები ასაბუთებენ, რომ როდესაც არსებობს გეგმით ზარალიანი საწარმოები, თვითანაზღაურების პრინციპის წინ წამოწევა არასწორი და მიუღებელია. ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან განვითარებული სოციალიზმი გამორიცხავს ზარალიან საწარმოთა არსებობას, ამასთან სამეურნეო რეფორმა გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ მათ გასაჯანსაღებლად გამოყოფილი სახსრები ხშირად არაეფექტიანად იხარჯება, რაც არარენტაბელურ საწარმოთა ხელმძღვანელობას აჩვევს სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას.

სახალხო მეურნეობის დარგების თვითდაფინანსების (თვითანაზღაურების) განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ 1977 წელს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების განკარგულებაში იყო დატოვებული მოგების მთელი მასის 40 პროცენტი. ასევე სამეურნეო ანგარიშის თვითდაფინანსების პრინციპის განსამტკიცებლად გამოყენებულ იქნა მათი საამორტიზაციო ფონდის 40—50 პროცენტი.

თვითანაზღაურების პრინციპის განმტკიცება აუმჯობესებს ეკონომიკური ბერკეტების — ფასების, კრედიტის, ფინანსების, მოგების ეფექტიანობას და სხვა. საწარმოს ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა ფასების საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების შესაბამისად დაწესება, რაც უზრუნველყოფს საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების დაფარვასა და მოგების მიღებას. თვით-

ანაზღაურების პრინციპი სახალხო მეურნეობაში საკრედიტო ურთიერთობის გამოყენება-სრულყოფის საფუძველია.

მოგების კატეგორიასთან მჭიდრო კავშირშია სამეურნეო ანგარიშის ისეთი პრინციპი, როგორიცაა რენტაბელობა, ანუ საწარმოს მომგებიანობა.

მოგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს საწარმოს შემოსავლების ხარჯებზე სიჭარბეს, ხოლო რენტაბელობა — მოგების მასის შეფარდებას პროდუქციის თვითღირებულებასთან ან საწარმოს ძირითად და საბრუნავ ფონდებთან, ნათლად გვიჩვენებს საწარმოს ეფექტიანობას.

ამასთან საზოგადოების წევრები დაინტერესებული არიან მოგების გადიდებით, რამდენადაც ის მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოთა მასტიმულირებელი ფონდების შექმნის წყაროა, ამასთან მოგების მასის გადიდება გამოხატულებას პოულობს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ხარჯვის ეკონომიაში, რაც საბოლოო ჯამში გამოშვებული პროდუქციის მოცულობას ზრდის.

აქედან დასკვნა: ყოვლად დაუშვებელია მოგებისა და რენტაბელობის როლის შეუფასებლობა ან გადაფასება. ორივეს საზოგადოებრივი წარმოებისათვის ზიანის მოტანის გარდა სხვა არაფერი შეუძლია. სამეურნეო ანგარიში ნორმალურ პირობებში გულისხმობს მოგებისა და რენტაბელობის ზრდას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და შრომის ნაყოფიერების გადიდებით, რაც თავის მხრივ მიიღწევა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების მეშვეობით.

როგორც წესი, სამეურნეო ანგარიშის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს მის ორ მხარეს: სამეურნეო ანგარიშს, ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემას და სამეურნეო ანგარიშს, როგორც მეურნეობის გაძღოლის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობას, სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა განხორციელების საშუალებას.

სამეურნეო ანგარიშის პრაქტიკული გამოყენება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს სოცია-

ლიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედება მატერიალური წარმოების ამა თუ იმ სფეროში.

სწორედ აქ იჩენს თავს სამეურნეო ანგარიშის ჩვენს მიერ აღნიშნული ორი მხარე და ამიტომ არის რომ სოციალისტური წარმოების ამა თუ იმ ეტაპზე მისი პრაქტიკული გამოყენება მოიცავს ფორმალიზმის ელემენტებს.

ფორმალურიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა მოითხოვს იმ მეთოდების სრულყოფილ დამუშავებას, რომლებიც ამაღლებენ სამეურნეო ანგარიშის ეფექტიან გამოყენებას. ამასთან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა მოითხოვს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების არსისა და მოქმედების საფუძვლიანად შესწავლას და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში სრულად გამოყენებას. სწორედ პრაქტიკა არის ის ობიექტი, რომელიც სამეურნეო ანგარიშს ფორმალურიდან გადააქცევს ქმედითად, სრულად.

სამეურნეო ანგარიში ის საშუალებაა, რომელიც სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნილებებს პრაქტიკულად ახორციელებს. სამეურნეო ანგარიშის აუცილებლობა განპირობებულია პირველ რიგში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებით. ეს კანონი მატერიალური წარმოების სფეროს თითოეული უჯრედისა და საწარმოსაგან მოითხოვს მატერიალური დოვლათის წარმოებისას დიდ ეფექტიანობას. ამ მოთხოვნის განხორციელებისას მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშს, რომელიც ხელს უწყობს წარმოების გაძღოლის მეთოდების სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება ხელს უწყობს შიდა საწარმოო რესურსების მობილიზაცია-თავმოყრას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას წარმოებაში. სამეურნეო ანგარიში არის წარმოებაში ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება. სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე აგებული საწარმო ვალდებულია ისე იმუშაოს, რომ თავისი შემოსავლებით დაფაროს პროდუქციის საწარმოებლად გაწეული ხარჯები და უზრუნველყოს რენტაბელური მუშაობა და მიაღწიოს ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას ახალი ტექნიკის ბაზაზე, რაც გამოიწვევს შრომის დანახარჯების ეკონომიას.

ამრიგად, სამეურნეო ანგარიშის სწორი ორგანიზაცია ქმნის სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის უკეთესი მოქმედების ასპარეზს, რომლის მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განსახორციელებლად.

სამეურნეო ანგარიში ის საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებსა და რგოლებს შორის კავშირურთიერთობისა და პროპორციების დამყარებას სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით.

წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად ადგილი აქვს ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების თავმოყრას, რაც საშუალებას აძლევს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს (გაერთიანებას) ეფექტიანად გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ძირითადი და საბრუნავი ფონდები.

სამეურნეო ანგარიში ქმნის აუცილებელ პირობებს შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განსახორციელებლად, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კი მატერიალური სტიმულების მთელ სისტემას, რომლებსაც საფუძვლად უდევს მოთხოვნა — დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მოხდეს აუცილებელი პროდუქტის განაწილება საზოგადოების წევრებს შორის. აქედან გამომდინარე, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმო მატერიალური სტიმულების საფუძვლად იღებს პრინციპს — მუშაკი იყოს პირადად მატერიალურად დაინტერესებული თავისი შრომის შედეგებით. ამასთან აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ დაწესდეს კონტროლი დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე.

სამეურნეო ანგარიშის პირობებში მატერიალური სტიმულები ხელს უწყობენ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და სახელმწიფო, შრომითი, საგეგმო, საფინანსო, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას.

სამეურნეო ანგარიში მჭიდრო კავშირშია შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის ეკონომიკურ კანონთან. ეს კანონი საფუძ-

ველს ქმნის სამეურნეო ანგარიშის დასანერგად და სამოქმედოდ, ხოლო ამ უკანასკნელის მოქმედება — შესაძლებლობებს ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომიისათვის.

სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღირებულების კანონის მოქმედებას. სამეურნეო ანგარიშის მიერ ღირებულების კანონის გამოყენება მატერიალური წარმოების სფეროში ხდება ისეთი ეკონომიკური კატეგორიების მეშვეობით, როგორიცაა მოგება, ფასები, თვითღირებულება, ღირებულება და სხვ.

სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებობა ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა-განმტკიცებას. სოციალისტურ საწარმოებს შორის საქონელმიმოქცევის საფუძველია სამეურნეო ანგარიში. ამასთან საწარმოებში პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფარვა ხდება ღირებულების კანონის მოთხოვნილების შესაბამისად. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სამეურნეო ანგარიშმა სოციალისტური წარმოება მატერიალურად ისე უნდა დაასტიმულოს, რომ დაფაროს წარმოების დანახარჯები და დარჩეს მოგება.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა და მისი შემდგომი სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული მის ერთ-ერთ მთავარ პრინციპზე — ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სწორ შეხამებაზე საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესი გულისხმობს საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის ზრდას ცენტრალიზებული დაგეგმვის ფარგლებში.

ახლა, როდესაც მცირდება ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საგეგმო მაჩვენებელთა რაოდენობა, ფართოვდება სოციალისტურ საწარმოთა მეურნეობრივი დამოუკიდებლობა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ვ. ი. ლენინს სამეურნეო ანგარიში მიაჩნდა სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად. იგი სამეურნეო ანგარიშის მთავარ არსს იმაში ხედავდა, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა და მთელი კოლექტივი მთლიანად უნდა აგებდნენ პასუხს თავიანთი საწარმოს უზარალო, რენტაბელური

მუშაობისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოები სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით ფარავდნენ არა მარტო პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს, არამედ გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად ქმნიდნენ დაგროვებას, ამასთან ასრულებდნენ სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ფინანსური რესურსების საერთო-სახელმწიფო ცენტრალიზებული ფონდის ფორმირებაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სამეურნეო ანგარიშის მექანიზმის მოქმედება მიმართულია ძირითადად სამი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადასაწყვეტად:

ა) საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე;

ბ) რესურსების ბალანსების და ოპტიმალური პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემების სრულყოფის ბაზაზე;

გ) მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება, როგორც სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მიზანი[1].

შემდეგ სრულყოფას ექვემდებარება საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების მთელი სისტემა. უფრო მოქნილად უნდა გამოვიყენოთ ფასები, ბიუჯეტური ასიგნებანი, კრედიტი და სარგებელი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფინანსო სანქციების ფორმების ოპტიმალურად გამოყენების უზრუნველყოფას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მთავარი პირობაა მიღწეულ იქნეს წარმოების დაგეგმვისა და მართვის ისეთი დონე, რომლის დროსაც საწარმოები და ორგანიზაციები დაინტერესებული იქნებიან მიიღონ ოპტიმალური სამეურნეო გადაწყვეტილება. აუცილებელია შეიქმნას ისეთი ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური სისტემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვას მართვის ყველა რგოლში.

იმის გამო, რომ მატერიალური წარმოების თითოეულ რგოლს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, შე-

---

1 См. Аллахвердян Д. А. Финансово-кредитный механизм развитого социализма, М., 1976, стр. 55.

უძლებელია მთელი დარგის მუშაობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნეს ერთიანი კრიტერიუმი. შეფასების კრიტერიუმმა უნდა გამოხატოს დარგის ამა თუ იმ რგოლისათვის დამახასიათებელი მთავარი თავისებურებანი.

დაუეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის მეშვეობით მიღწეულია მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია, რამაც შექმნა წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობანი. ეკონომიკური რეფორმის მიერ მიღწეულ დადებით ძვრებში დიდი როლი შეასრულა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებამ.

სკკპ XXV ყრილობის ბიერ დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ აღნიშნულია, რომ მეათე ხუთწლედში უნდა სრულყოფილ სახალხო მეურნეობის გაძღოლისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები, მატერიალური წარმოების სფეროს ყველა რგოლში მუშაობის შეფასების კრიტერიუმების სისტემა იმის გათვალისწინებით, რომ მიღწეულ იქნეს წარმოების საბოლოო შედეგების გაუმჯობესება; ამასთან უნდა გაძლიერდეს შემდგომში ეკონომიკური სტიმულირების როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში. „გავაძლიეროთ სამეურნეო ანგარიშის, ფინანსებისა და კრედიტის ზემოქმედება წარმოების განვითარებაზე. მეურნეობრიობის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. არასაწარმოო ხარჯებისა და დანაკარგების შემცირებაზე, სახელმწიფოს შემოსავლის გადიდებაზე“[1].

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საკითხებზე მოითხოვს მეურნეობის გაძღოლის მეთოდების უფრო ახალ საფეხურზე აყვანას, რომლებიც შესაბამისობაში მოვა წარმოების თანამედროვე დონესა, საწარმოო ძალების დონესა და ხასიათთან. სამეურნეო ანგარიშის დამახასიათებელ თავისებურებებს თანამედროვე ეტაპზე შეადგენს: მისი ელემენტების ხუთწლიან გეგმასთან ორგანული კავშირი, ხუთწლედისა და ხუთწლედის წლების მიხედვით უმნიშვნელოვანეს

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 232.

მაჩვენებელთა განსაზღვრა დაწყებული სამინისტროდან საწარმოებამდე, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გავრცელება არა მარტო საწარმოებზე, არამედ მეურნეობრივი მართვის საშუალო და უმაღლეს რგოლზედაც[1].

თანამედროვე პირობებისათვის დამახასიათებელია სამეურნეო ანგარიშის დანერგვა მთელი დარგის მასშტაბით, რაც წარმოდგენილია სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვით საწარმოებში, მეურნეობრივი გაძღოლის მეთოდების, დაგეგმვისა და დაფინანსების დანერგვით საშუალო და უმაღლეს რგოლებში. სამეურნეო რეფორმამდე სამეურნეო ანგარიშის დანერგვა საწარმოებით მთავრდებოდა, სადაც დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მეშვეობით მყარდებოდა აუცილებელი პროპორციები სახალხო მეურნეობის დარგებს შორის და დარგს შიგნით. მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების პროცესში საწარმოს დამოუკიდებლად არ შეეძლო გადაეწყვიტა მთელი რიგი სამეურნეო-საფინანსო საკითხები და ისინი მოითხოვდნენ მართვის საშუალო და უმაღლესი რგოლის დახმარებას.

სამეურნეო ანგარიშის დანერგვა მთელი დარგის მასშტაბით კეთილისმყოფელად მოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე, ამასთან იწვევს მის როგორც მატერიალურ დაინტერესებას, ასევე მატერიალურ პასუხისმგებლობას საწარმოთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

საწარმოო გაერთიანებების ძირითად მეურნეობრივ რგოლად გარდაქმნა პრინციპულად ცვლის წარმოების სტრუქტურას და ქმნის სახალხო მეურნეობაში გეგმაზომიერების განმტკიცებისა და ეკონომიკის დინამიკური განვითარების გაძლიერების ოპტიმალურ პირობებს.

მართვის საშუალო და უმაღლეს რგოლებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე აგებული მართვა, დაგეგმვა და დაფინანსება ხელს უწყობს პირველად რგოლებში სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას. პირველადი რგოლების ქვეშ იგულისხმება არა უბრალოდ ფაბრიკა და ქარხანა, არამედ მსხვილი საწარმოო-

---

[1] Дрогичинский Н. Перспективы развития хозяйственного расчета, см. Механизм экономического стимулирования при социализме, под редакцией Бунича П., М., 1973, стр. 86.

სამეურნეო კომპლექსი — უმსხვილესი საწარმო, კომბინატი და საწარმოო გაერთიანება. ასეთ გაერთიანებათა (კომბინატთა) შემადგენლობაში გარდა ფაბრიკა-ქარხნებისა შედის, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა დაწესებულებებიც, რომლებიც ხელს უწყობენ და წინ სწევენ დარგის საწარმოო-საფინანსო საქმიანობას.

დარგის სამეურნეო ანგარიშის პრინციპით გაძღოლა ასტიმულირებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ეს უკანასკნელი კი უშუალო კავშირშია სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებასთან, რასაც რეფორმამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა, რომ „...მომწიფდა მსხვილი საერთო-სახელმწიფო დარგთშორისი და ტერიტორიული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მეთოდების სრულყოფის საკითხი. აქ საჭიროა ერთიანი, ცენტრალიზებული პროგრამები, რომლებიც მოიცავენ მუშაობის ყველა ეტაპს — დაპროექტებიდან პრაქტიკულ რეალიზაციამდე. საჭიროა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იყვნენ კონკრეტული ორგანოები, კონკრეტული ადამიანები, რომლებიც მთლიანად აგებენ პასუხს, წარმართავენ ყველა ღონისძიებას ამა თუ იმ პროგრამის ფარგლებში. გადაწყვეტას მოითხოვს აგრეთვე ერთგვაროვანი დარგების (მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების და სხვ.) ჯგუფების მართვის სისტემის შექმნის საკითხი“[1].

შექმნილი საწარმოო გაერთიანებები და კომბინატები მეათე ხუთწლედში უზრუნველყოფენ ერთმანეთს შორის ხანგრძლივ და პირდაპირ კავშირებს, აგრეთვე უმსხვილეს საწარმოებს შორის ხანგრძლივი ხელშეკრულებების დადებას წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა უმსხვილეს საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის დამყარებულ იქნეს ხანგრძლივი და საქმიანი ურთიერთობანი, ხოლო რაც შეეხება წვრილ საწარმოებსა და მომხმარებლების წარმოების საშუალებებით მომარაგებას, ეს საქმე დაკისრებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ სამმართველოებს. სახალხო

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“; თბ., 1976, გვ. 83.

მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულია როგორც შომხმარებელი, ასევე მიმწოდებელი საწარმოები, აგრეთვე პროდუქციის სახეობა გამსხვილებული ნომენკლატურის სახით.

აღნიშნული საკითხების სრულყოფას პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. მეათე ხუთწლედში დამთავრდება მასობრივი და დიდსერიული წარმოების გაერთიანებათა და საწარმოთა გადაყვანა პირდაპირ ხანგრძლივ კავშირურთიერთობაზე, რომლის საფუძველი იქნება გრძელვადიანი სამეურნეო ხელშეკრულებები. ყრილობამ ამ საკითხის ოპტიმალურად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიიჩნია ეკონომიკური სტიმულირებისა და პრემირების ფონდების მოცულობის დამოკიდებულების გაძლიერება ხელშეკრულების შესაბამისად სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიწოდების გეგმის შესრულებაზე. „ამ ამოცანის პრაქტიკული რეალიზაცია, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა მოხსენებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ შესახებ, — მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს სახმომარაგებისა და მისი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობაში, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას“[1].

წარმოების მართვის სისტემის რეორგანიზაცია იწვევს მართვის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფის საკითხის ახლებურად გადაწყვეტას.

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო გეგმას. საწარმოო გაერთიანებების შექმნა იწვევს: ერთი მხრივ ამ უმსხვილესი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის უფლებათა გაფართოებას სახელმწიფო გეგმის ფარგლებში პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის საქმეში და მეორეს მხრივ, იზრდება სახალხომეურნეობრივი პროპორციების განსაზღვრის მიზნით უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების ცენტრალიზებული წესით დაგეგმვის როლი.

საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელთა მთავარი ამოცანაა სწორად შეახამონ ცენტრალიზებული სახელმწიფო გეგმები სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გამოყენებასთან. ლაპარაკია

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 176.

მოიძებნოს ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც გაბედულად გადაჭრავდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნას პროდუქციის ასორტიმენტზე, ხარისხზე, მიწოდების ვადებზე და ა. შ.

ასეთი ინსტრუმენტია გაერთიანებებს შორის არსებული ხანგრძლივი გეგმაზომიერი კავშირურთიერთობანი, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურის საფუძველზე შედგენილი სამეურნეო ხელშეკრულებების სახით არის წარმოდგენილი.

ხანგრძლივი კავშირურთიერთობის მეშვეობით შუამავალი რგოლის გარეშე წარმოებს საწარმოო დანიშნულების პროდუქციის 70—75 პროცენტის მიწოდება.

§ 3. სამეურნეო ანგარიში და საბითუმო ფასების სისტემა მრეწველობაში

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ფასწარმოქმნის საქმეში, რომლის განხორციელება ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

სკკპ პროგრამაში, პარტიის XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია განუხრელად სრულყოთ ფასების სისტემა, მოვიყვანოთ იგი კომუნისტური შენებლობის ამოცანებთან სრულ შესაბამისობაში; ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და მოხმარების ზრდა, საწარმოო დანახარჯების შემცირება განვახორციელოთ მათი ფასების პოლიტიკასთან ერთიანობაში.

ეკონომიკურმა რეფორმამ ფასწარმოქმნის სრულყოფისათვის შემდეგი პრობლემები დააყენა:

1. მიუახლოვდეს ფასები შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს იმ ანგარიშით, რომ ნორმალურად მომუშავე საწარმომ დაფაროს წარმოების ხარჯები და დარჩეს იმდენი მოგება რაც უზრუნველყოფს ფონდების საფასურის გადახდას და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნას;

2. ფასების პოლიტიკა დაკავშირებული უნდა იყოს ტექნიკური პროგრესისა და პროგრესული დარგების განვითარებასთან;

3. ფასები უნდა გახდეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი;

4. რენტაბელობის დონის შიდადარგობრივი გათანაბრების უზრუნველსაყოფად შემოღებული უნდა იქნეს საანგარიშსწორებო ფასები და ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელების სისტემა.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის დანერგვა მრეწველობაში იწვევს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში საბითუმო ფასების სისტემის როლის ამაღლებას. საბითუმო ფასები განსაზღვრავს, თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოების ინდივიდუალური დანახარჯების დონე საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს, რითაც იგი გვევლინება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმად.

იმის გამო, რომ საბითუმო ფასში, მათ მოძრაობასა და სტრუქტურაში ვლინდება ეკონომიკური ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის საწარმოებს შორის წმინდა შემოსავლის პირვანდელ განაწილებისას, ის წარმოადგენს წარმოების განკითარების დამატებით სტიმულს.

სახელმწიფო საბითუმო ფასებს იყენებს ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. სახელმწიფო ფასების საშუალებით, მისი ღირებულებიდან ოპტიმალური გადახრით ხელს უწყობს ამა თუ იმ დარგის, საწარმოს, ნაკეთობის სტიმულირებას, მაგრამ მისი ღირებულებიდან ეკონომიკურად დაუსაბუთებელი გადახრა შეიძლება გახდეს სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მომტანი. საბითუმო ფასების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მასში სამეურნეო ანგარიშის პრინციპები და მოთხოვნები გათვალისწინებული.

მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება ითვალისწინებს შემდეგ მოქმედებებს: პროდუქციის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დაფარვას და წარმოების განვითარებისა და საწარმოო მუშაკთა მატერიალური წახალისების უზრუნველყოფას; საწარმოებს შორის შრომის პროდუქტების ეკვივალენტურ გაცვლას; საწარმოს კოლექტივის მუდმივ ეკონომიკურ დაინტერესებას წარმოების შედეგებით, საწარმოო ფონდების გამოყენებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვით.

მრეწველობაში 1967 წლის 1 ივლისს განხორციელებული საბითუმო ფასების რეფორმა ითვალისწინებდა მათ თანდათანობით წარმოებაში საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან მიახლოებას, რაც გეგმით ზარალიანი დარგების ლიკვიდაციისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული. სახელდობრ, საბითუმო ფასების რეფორმის მთავარი ამოცანები იყო: ყველა საწარმოსათვის ნორმალური მუშაობის პირობების შექმნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ახალი პროდუქციის გამოშვებისა და მისი ხარისხის ამაღლების სტიმულირება, მოგების კატეგორიის მნიშვნელობისა და როლის ამაღლება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბითუმო ფასების რეფორმამ უნდა უზრუნველყოს დაბალრენტაბელური და ზარალიანი საწარმოების შემცირება, რენტაბელობის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფა. თვით საბითუმო ფასების გადასინჯვა გამოწვეული იყო იმით, რომ მიგველწია წარმოების სწორი პროპორციების, მოგების მიღებაში მთელი კოლექტივის დაინტერესებისა და შრომის საზოგადოებრივი დანახარჯების შემცირებისათვის.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ საბითუმო ფასების რეფორმას არ გამოუწვევია ფასების სრულყოფის ყველა პრობლემის გადაწყვეტა, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო იმ დროისათვის სამეურნეო რეფორმის მოქმედების სფეროს შეზღუდულობამ.

ამრიგად, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა სისტემამ ახალ-ახალი ამოცანები დააყენა ფასწარმოქმნის წინაშე: იზრდება ფასების ზემოქმედება საწარმოს ეკონომიკაზე, ახალი ტექნიკის დანერგვის დაჩქარებისა და ამით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

მეურნეობრივი გაძღოლის ახალ სისტემაზე გადასვლა იწვევს მოგების როლის ამაღლებას. მოგება გახდა სახალხო მეურნეობაში ფულადი დაგროვების მყარი წყარო და ფასწარმოქმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მოგება უნივერსალური ღირებულებითი მაჩვენებელია, რომელშიც საბოლოო ანგარიშში საწარმოსა და დარგის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა მხარე იყრის თავს. ამასთან მოგების მოცულობის გადიდება შეიძლება მოხდეს არასასურველი ფაქტორების მეშვეობით, სახელდობრ, პროდუქციის ხარის-

ხის გაუარესებით ან ფასების პოლიტიკით. სწორედ ამიტომ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა დიდ პრობლემებს აყენებს ფასწარმოქმნის წინაშე, რათა მოგების ეკონომიკური კატეგორია ასრულებდეს იმ როლს, რაც მას აკისრია მატერიალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფა-განვითარების საქმეში.

1967 წლიდან საბითუმო ფასების ახალი სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ეყრდნობა მრეწველობის დარგების რენტაბელობის ეკონომიკურად დასაბუთებულ ნორმატივებს, რომელთა გაანგარიშებისათვის აუცილებელი პირობაა სახალხო მეურნეობაში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველყოფა. რენტაბელობის სახალხომეურნეობრივ ნორმად მიჩნეულია მატერიალური წარმოების სფეროს ერთობლივი წმინდა შემოსავლის შეფარდება სახალხო მეურნეობის საწარმოო ფონდების ღირებულებასთან. ამ გზით რენტაბელობის სახალხომეურნეობრივი ნორმა განსაზღვრულია 15 პროცენტით.

რენტაბელობა, როგორც წესი, განისაზღვრება მოგების მასის შეფარდებით საწარმოო ფონდების ღირებულებასთან. ამასთან მოგება თავის მხრივ გამოდის როგორც სხვაობა საბითუმო ფასსა და პროდუქციის თვითღირებულებას შორის, ამდენად რენტაბელობის დონე დიდად არის დამოკიდებული საბითუმო ფასზე. საბითუმო ფასით განისაზღვრება სამეურნეო ანგარიშის დანერგვის შესაძლებლობა წარმოებაში. ჩვენი აზრით, საბითუმო ფასები ისეთი უნდა იყოს, რომ მან უზრუნველყოს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფარვა და წარმოების გაფართოებისა და მასტიმულირებელი ფონდების წყაროს — მოგების უზრუნველყოფა.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება მოითხოვს საბითუმო ფასების ოპტიმალურად დაწესებას, ისე, რომ მან ხელი შეუწყოს თვითანაზღაურებისა და მატერიალური დაინტერესების პრინციპების სრულყოფილად დანერგვას.

იმისათვის, რომ ფასების მექანიზმი ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ფასწარმოქმნისას გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები: უნდა ამაღლდეს ოპერატიულობა ფასების დაწესებისას ახალ პროდუქციაზე, ამასთან ახალმა ფასებმა მასტიმული-

რებელი როლი უნდა შეასრულოს საწოგადოებისათვის აუცილებელი და საჭირო საქონლის გამოშვებისა და ხარისხის ამაღლების საქმეში.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ფასებს. სწორად დაწესებული ფასები ისეთი პროდუქციის გამოშვებას ასტიმულირებს, რომლებიც მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის დიდი მოთხოვნით სარგებლობს, ხოლო აფერხებს ისეთი ნაწარმის გამოშვებას, რომელიც არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს.

ფასში, როგორც სარკეში, გამოხატულებას პოულობს პროდუქციის ტექნიკური დონე, ხარისხი და სხვა სასარგებლო თვისებები. ამასთან ფასი არის ტექნიკური პროგრესის მასტიმულირებელი საშუალება, რომელიც იწვევს ახალი პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ფასში გამოხატულებას პოულობს პროდუქციის როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის ინტერესები. პირველი ცდილობს დაფაროს პროდუქციის წარმოების ხარჯები და მიიღოს მოგება, ხოლო მეორე — იაფად შეიძინოს პროდუქცია და მისი გამოყენებით აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა. ასეთი ჰარმონიულობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ყოველთვის არ მიიღწევა ხოლმე.

ახალ პროდუქციაზე ფასწარმოქმნის მეთოდიკის სრულყოფა, გამომდინარე პარტიის XXV ყრილობიდან, უნდა მოხდეს იმ გზით, რომ ფასებში ასახვა პოვოს ამ პროდუქციის სახალხომეურნეობრივმა ეფექტმა. დაასტიმულოს ისეთი მანქანების გამოშვება, რომელთაც უკეთესი საექსპლუატაციო თვისებები ექნებათ ანალოგიური სახეობის მოქმედ მანქანებთან შედარებით.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს სახალხომეურნეობრივი ეფექტიანობა. პროდუქციის საწარმოო-ტექნიკური დანიშნულება მაშინ არის მაღალხარისხოვნად მიჩნეული, როდესაც მისი გამოშვება არა მარტო ტექნიკურად არის აუცილებელი, არამედ ეკონომიკურადაც მიზანშეწონილია.

იმის გამო, რომ ახალი პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ხშირად სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული სტანდარტსა და ტექნიკურ პირობებში, მოცემული არ არის მისი

დანერგვით თუ რა ეფექტი მიიღება, ამასთან მათი გამოცდისა და წარმოებაში სერიულად გამოშვების დრო მეტად ხანგრძლივია. ზარალობს მისი გამოშვებით როგორც მწარმოებელი საწარმო, ასევე მომხმარებელიც. საქონელი სერიულ გამოშვებამდე მორალურად ძველდება და სახალხომეურნეობრივი ეფექტი დაბალია, რასაც თავის მხრივ ფასების დაწესების არსებული წესიც უწყობს ხელს.

მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დიდი დანახარჯები შეიძლება იყოს პირველ ხანებში, ამასთან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩვენ მივიღებთ შესამჩნევ ეკონომიას. სწორედ ეს იწვევს წინააღმდეგობას დაგეგმვის მიმდინარე და პერსპექტიულ ამოცანებს შორის. ის, რისი წარმოებაც დღეს ძვირი დაჯდება, ხვალ მოგვცემს შესამჩნევ უკუგებას. ამიტომ პროდუქციის ხარისხი არ უნდა შევაფასოთ დღევანდელი მომენტის პოზიციიდან. აუცილებელია შედგეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების საერთოსახელმწიფოებრივი ხანგრძლივი პერიოდის პროგრამები 5—10 წლისათვის.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლება თვითმიზანი არ უნდა იყოს, ხარისხი ხარისხისათვის არ არსებობს. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი, როგორც წესი, ზრდის მწარმოებლის ხარჯებს; იზრდება პროდუქციის ფონდტევადობა, შრომატევადობა და მასალატევადობა, რის გამოც შესაძლოა მომხმარებლის დანახარჯთა ეკონომიამ ვერ გადაფაროს მწარმოებლის გადიდებული ხარჯები, რომელიც გამოიწვია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებამ. რა თქმა უნდა, საზოგადოების თვალსაზრისით ეს გასათვალიწინებელია.

ახალი პროდუქციის ან მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების მასტიმულირებელი როლი სწორად დაწესებულმა ფასებმა უნდა შეასრულოს, ის არ უნდა გამოვიდეს პროგრესის დამამუხრუჭებლის როლში, როგორც ეს ხდება ხშირად და სამრეწველო საწარმო ცდილობს გამოუშვას უფრო მაღალრენტაბელური პროდუქცია, რომელიც ზრდის როგორც მოგებას, ასევე პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას, ახალი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მოგებაზე ოპტიმალურ დანამატს და არა ისე, რომ დღესდღეობით ეს დანამა-

ტი ხარისხის გაუმჯობესების დანახარჯებს ძლივს ფარავს, რომ არაფერი ვთქვათ წამახალისებელი ფონდების შექმნაზე.

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ სამეურნეო პრაქტიკაში ფართო გამოყენება ვერ პოვა სტიმულირების მეთოდმა საბითუმო ფასზე დათმობის დაწესების სახით, რაც აიძულებს საწარმოს მოხსნას წარმოებიდან მეორე კატეგორიის ხარისხის საქონელი, რომელზედაც არ არის მოთხოვნილება.

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიზანშეწონილია მეათე ხუთწლედში გადავიდეთ ფასების, როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიანი ეკონომიკური ინსტრუმენტის ფართო გამოყენებაზე, რაც მოითხოვს ფასების უფრო სიღრმისეულ დიფერენციაციას, რაზედაც დამოკიდებული იქნება პროდუქციის ხარისხი და მომხმარებელთა მოთხოვნა ამა თუ იმ საქონელზე.

ამჟამად ინერგება მუშაკთა პრემირების ახალი დებულება, რომელშიც მატერიალური წახალისების განმსაზღვრელ მაჩვენებლად მიჩნეულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს არა მარტო მატერიალური სტიმულირების ამაღლებას, არამედ მატერიალური პასუხისმგებლობის ეფექტიან გამოყენებასაც, როდესაც მწარმოებელი აუარესებს პროდუქციის ხარისხს, მატერიალური პასუხისმგებლობის სისტემა დღემდე ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, მისი გამოყენება ნაკლებად ეფექტიანია. არსებული კანონმდებლობით უხარისხო პროდუქციის მიწოდებით გამოწვეული ზარალი ეწერება საწარმოს იმ მუშაკს, რომელმაც გამოუშვა ის, ამასთან მუშაკი ვალდებულია აანაზღაუროს საწარმოზე უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზარალი თვიური ხელფასის განაკვეთის 1/3-ის ოდენობით.

როდესაც ფასების პოლიტიკაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ საკითხს — როგორ ურთიერთობაშია ის საფინანსო-საკრედიტო დაგეგმვის სრულყოფასთან, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული საწარმოთა ფულადი დაგროვების გადიდება და მათი გამოყენების ეფექტიანობა წარმოების და მოხმარების განუხრელი ზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების მოქმედებასთან მჭიდრო კავშირშია საბითუმო ფასების სრულყოფის პრობლემა. როგორც წესი, საბითუმო

ფასების გადასინჯვა ხუთწლედში ერთხელ უნდა მოხდეს და ისიც სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს. ამ შემთხვევაში საბითუმო ფასები გამოყენებული იქნება წარმოებისა და მისი საფინანსო შედეგების დაგეგმვის ღირებულებით ბაზად, ამასთან იგი დარჩება სამეურნეო ანგარიშისა და ეკონომიკური სტიმულების იარაღი[1].

პარტიის XXV ყრილობაზე დიდი ყურადღება მიექცა საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებების შემუშავებას. „ავამაღლოთ ფასების მასტიმულირებელი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, პროდუქციის განახლებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში, მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებაში. ახალ ნაკეთობათა, განსაკუთრებით მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების დაწესების დროს გავითვალისწინოთ მათი დონის შემცირება სასარგებლო ეფექტის ერთეულზე“[2] — აღნიშნულია „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ დაამტკიცა.

ამრიგად, სამეურნეო ანგარიში თანამედროვე პირობებში აძლიერებს კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, საწარმოს (გაერთიანების) მუშაობის შედეგების მიხედვით მორალური და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შექმნით უზრუნველყოს ის აუცილებელი პირობები, რომელიც საჭიროა სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მასების ფართოდ ჩასაბმელად.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით საწარმოს მატერიალურ-ფინანსურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივი შრომის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობის დამყარება გახდა წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინების, მობილიზაციისა და მათი სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის მძლავრი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და დაგროვების გადიდებას მშრომელთა მუდამ მზარდი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად.

მშრომელთა ფართო მასების წარმოების სრულყოფასა და მე-

---

1 См. Бачурин А. Совершенствование финансово-кредитного механизма, жур. «Вопросы экономики», № 12, 1975, стр. 29.

2 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 232.

ურნეობის მართვაში მონაწილეობის გაფართოებით სამეურნეო ანგარიში წარმოადგენს კადრების კომუნისტურად აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

§ 4. სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური მეცნიერების წინაშე მდგარ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისეთი სამეურნეო მექანიზმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მატერიალური წარმოების სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

უარსაყოფი როდია ის გარემოება, რომ დღემდე ეკონომიკური მეცნიერება ნაკლებად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან. ხშირად ეკონომისტები იძლევიან წარმოების ამა თუ იმ პროცესის ვანვითარებისათვის სწორ რეკომენდაციებს, მაგრამ არ ამუშავებენ მათი რეალიზაციის მექანიზმს, ურომლისოდაც პრაქტიკა ვერ იყენებს ამ რეკომენდაციებს.

სადღეისოდ ეკონომისტ-მკვლევართა მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის შედეგად დაგროვილი გამოცდილების შესწავლისაკენ, რომელიც დაგვაყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდების გამოვლენა-აღმოჩენის სწორ გზაზე.

ამჟამად მოქმედ სამეურნეო მექანიზმს მთელი რიგი ნაკლოვანებანი გააჩნია, მაგალითად:

1. ჯერ კიდევ არასრულყოფილადაა დამუშავებული წარმოების მართვის ეკონომიკური მეთოდები. მოქმედ სამეურნეო მექანიზმში წარმოდგენილი არ არის წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა სისტემა. მართალია ეკონომიკურ მეცნიერებას კაპიტალდაბანდებათა პრაქტიკაში დანერგილი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და სხვათა ეფექტიანობის გამოსაანგარიშებელი მეთოდები შესწავლილი აქვს, მაგრამ სამეურნეო მექანიზმს შესაბამისი მაჩვენებლები მორგებული არა აქვს პრაქტიკასთან, რის გამოც საწარმო არ აგებს პასუხს წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნიკის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე:

2. ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები ცალმხრივ ხასიათს

ატარებს და არ შეესაბამება საღეჭისო მოთხოვნებს. პრაქტიკა ითვალისწინებს მხოლოდ მატერიალურ წახალისებას. სანქციები და მატერიალური პასუხისმგებლობის მეთოდები ძალზე არაეფექტიანად არის წარმოდგენილი, რომელთა ზემოქმედება წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში დაბალია. თანამედროვე პირობებში მატერიალური სტიმულირების არსებული სისტემა ეფექტიურად უგულებელყოფს მატერიალური წარმოების სფეროში საწარმოო რესურსების გამოუყენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩამორჩენისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის მკაცრ სისტემას:

3. ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი საზოგადოების, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინტერესთა ერთიანობის ხელშემწყობი საეკონომიკო მექანიზმის მეთოდები.

ამრიგად, საბჭოთა ეკონომიკური მექანიზმის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სრულყოფილი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ბერკეტების სისტემა. პარტიის XXV ყრილობამ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დააყენა რთული ამოცანა — დაამუშაოს სოციალიზმის დროს მოქმედი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ინსტრუმენტების გამოსაყენებელი თეორიის საკითხები, რომლებიც ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: ეკონომიკური ინსტრუმენტების სისტემის თეორიისა და თითოეული ეკონომიკური ბერკეტის თეორიის დამუშავებისაკენ.

საბჭოთა ეკონომიკაში მიმდინარე სიღრმისეული მოვლენები ახალ მოთხოვნილებას უყენებს საეკონომიკო ანგარიშის პრინციპებს. სოციალიზმის მშენებლობის უფრო ღაბალ საფეხურზე სამეურნეო ანგარიშის არსებული სისტემა მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ექსტენსიური ფაქტორების გამოყენებისა და დამატებითი რესურსების მობილიზაციის უზრუნველსაყოფად, რის გამოც სამეურნეო ანგარიშის განვითარებას ინტერესებდა წარმოების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე, რაც ხშირად იწვევდა დისპროპორციებს წარმოებასა და მოხმარებას შორის. ეკონომიკური განვითარების ახალმა პირობებმა მოითხოვა სამეურნეო ანგარიშის შემდგომი სრულყოფა, რამაც უნდა განაპირობოს სოციალისტური წარმოების განვითარების ინტენსიური, ხარისხობრივი ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა, სახელდობრ, მეათე ხუთწლედში დასახულია გაძლიერდეს გეგმის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულე-

ბის, მართვის მთელი სისტემის კომპლექსური გავლენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევაზე.

სკკპ XXV ყრილობაზე დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ჩაწერილია: „გავაძლიეროთ სამეურნეო ანგარიშის, ფინანსებისა და კრედიტის ზემოქმედება წარმოების განვითარებაზე, მეურნეობრიობის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, არასაწარმოო ხარჯებისა და დანაკარგების შემცირებაზე, სახელმწიფოს შემოსავლის გადიდებაზე“[1].

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება-სრულყოფაზე. დღეს ისე, როგორც არასდროს საზოგადოებრივი წარმოება მოითხოვს გადასვლას სრული სამეურნეო ანგარიშის მეთოდებზე. სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მან უნდა მოიცვას დარგობრივი სამმართველოების, გაერთიანებების, საწარმოების ეკონომიკური კავშირები და ურთიერთობანი.

სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და მისი განმტკიცება მოითხოვს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას და ფონდაღჭურვას. წარმოების შემდგომი ინტეგრაცია უებარი საშუალებაა სრული სამეურნეო ანგარიშის გასატარებლად, ის ოპტიმალურად წყვეტს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა წარმოებაში დანერგვას და ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას.

მეათე ხუთწლედში წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის შემდგომი განვითარება მიღწეული იქნება სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებების, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნის გზით, რომლებიც უნდა გახდნენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი წარმოების მართვის რგოლები.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე აგებულ გაერთიანებებს, ტრესტებსა და კომპლექსებს გააჩნიათ საზოგადოებრივი წარმოების

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 232.

განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს მოთხოვნა ეკონომიკური ბერკეტების როლის გაძლიერებასთან პირდაპირკავშირშია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ", გაითვალისწინა, რომ საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებები წარმოადგენენ ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსებს, რომლებიც აერთიანებენ საწარმოო გაერთიანებებს, კომბინატებს, სამრეწველო საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს, აგრეთვე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ წარმოების მდგომარეობისა და განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და პროდუქციის ხარისხის, პროდუქციის შესაფერისი სახეებით საზოგადოებისა და მისი წევრების მოთხოვნათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენების, საწარმოო სიმძლავრეების ექსპლუატაციაში დროულად გაშვებისა და ათვისების, სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ვალდებულებების შესრულების საქმეში.

როგორც წესი, გაერთიანებები მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე, რომელთაგან შემდგომ სრულყოფას მოითხოვს თვითანაზღაურების პრინციპი. საქმე ეხება იმას, რომ თვითანაზღაურების საფუძველზე მიღწეულ იქნეს გაფართოებული კვლავწარმოება, წარმოების ტექნიკური სრულყოფა და განახლება, რის გარეშედაც შეუძლებელია უზრუნველვყოთ სრული სამეურნეო ანგარიშის განვითარება. წარმოების გაფართოება-მოდერნიზაცია აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ საკუთარი სახსრებით (მოგება, ამორტიზაცია) ან ბანკის კრედიტის მეშვეობით, აქედან გამომდინარე, თვითანაზღაურების პრინციპს განვითარების ფართო გასაქანი ეძლევა, რომელსაც თავის მხრივ ავსებს თვითდაფინანსების პრინციპი.

სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარია სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა და გაერთიანებათა ეკონომიკური კავშირურთიერთობის სისტემის სრულყოფა, რომელსაც პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, და მეათე ხუთწლედში დასახა

კონკრეტული ღონისძიებანი. „უზრუნველვყოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფო სისტემის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, გავაძლიეროთ მომარაგების ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობისა და საწარმოთა სტაბილური მომარაგების ორგანიზაციაში, სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში“[1].

საწარმოო გაერთიანებები გადაყვანილი უნდა იქნეს ხანგრძლივ კავშირურთიერთობაზე, რომელსაც საფუძვლად დაედება გრძელვადიანი სამეურნეო ხელშეკრულებები, რაც ხელს შეუწყობს სახალხომეურნეობრივი პროპორციების დინამიკურ განვითარებას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა ითვალისწინებს საწარმოსა და გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობათა შეფასების მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების დაზუსტება-სრულყოფას და ეკონომიკური სტიმულირების როლის ამაღლებას, ანუ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები უნდა შეფასდეს შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზით.

თანამედროვე პირობებში სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა წარმოების საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების შეფასება. დღეს ისეთი პირობები უნდა შემუშავდეს, რომ საწარმოსა და მისი მუშაკების მატერიალური სტიმულირება დაფუძნდეს წარმოების განვითარებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაში თითოეული მუშაკის პირად წვლილზე.

მატერიალური სტიმულირების სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოგების განაწილებისა და მასტიმულირებელი ფონდების შექმნის წესის სრულყოფას. ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით მოგების განაწილებაში ისეთი ფორმის არსებობა, როგორიცაა მოგების თავისუფალი ნაშთი, არსებითად ამცირებს ფონდებზე გადასახდელის, კრედიტის, სარგებლისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების მნიშვნელობას. სადღეისო პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასტიმულირებელი ფონდების შექმნა წარმოების საბოლოო შედეგებისა და მისი ეფექტიანობის გათვალისწინებით.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 233.

განვითარებული სოციალიზმისათვის კანონზომიერი მოვლენაა გაერთიანებებისა და საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა. სწორედ სრული სამეურნეო ანგარიშის მეშვეობით მიიღწევა ოპტიმალური ეკონომიკური კავშირურთიერთობათა მთელი სისტემა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის სხვადასხვა რგოლებს შორის.

სამეურნეო ანგარიში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება წარმოების მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების სტიმულირებისათვის. წარმოების საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების პრობლემას თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „სამმართველო და უწინარეს ყოვლისა საგეგმო საქმიანობა, — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე, — მიზნად უნდა ისახავდნენ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეკონომიკის ზრდისა და გართულების კვალობაზე, როცა ეს საბოლოო შედეგები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული მრავალ შუალედურ რგოლზე, შიდადარგობრივი და დარგთშორისი კავშირის რთულ სისტემაზე“[1].

საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგები არის საწარმოთა კოლექტივების, მშრომელთა ფართო მასების მუშაობის ნაყოფი, რომელიც მათივე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვისაა გამიზნული: ეს ის პროდუქციაა, რომელიც მზადაა მოხმარებისათვის; ეს ის შედეგებია, რომლებიც ემსახურებიან სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მიზნის განხორციელებას. საბოლოო სახალხომეურნეობრივ შედეგებზე ორიენტაცია მეურნეობის ყველა რგოლში ხელს უწყობს მათი შესაძლებლობებისა და რეზერვების ამოქმედებას, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

საბოლოოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმოების ის შედეგები, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებებს. პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალთახედვით, საბოლოო შედეგები ეკორესპონდირება კატეგორიას „საზოგადოებრივ-სახმარ ღირებულებას“, ე. ი. სახმარ ღირებულებას სხვისთვის და არა თავის წარმოებისათვის. აქედან გამომდინარე, წარმოების საბოლოო

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 80.

შედეგები უნდა გავიგოთ პროდუქციის მიწოდების ასორტიმენტის, ნომენკლატურისა და მომხმარებელთან შეთანხმების მიხედვით[1].

ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება მშენებლობის წარმოების საბოლოო შედეგია.

წარმოების საბოლოო შედეგად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის მაჩვენებლებიც, რომლებიც წარმოების როგორც სამეურნეო, ასევე ფინანსურ მხარეს ახასიათებენ. ასეთ მაჩვენებლებს უნდა მივაკუთვნოთ მოგება. ეს ის ფოკუსია, რომელშიც თავს იყრის წარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საბოლოო შედეგები, ამასთან აქ გათვალისწინებულია არა საბალანსო მოგება, არამედ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, რომელიც წარმოების უშუალოდ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მოგების გამოყენება ასე თუ ისე სრულყოფილად ახასიათებს წარმოების საფინანსო-სამეურნეო შედეგებს და მისი მეშვეობით შეიძლება გადაწყდეს წარმოებისა და გაერთიანებებისათვის ერთნაირი პირობების შექმნის პრობლემა, რომელიც სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვანია, თუ მას არ განვიხილავთ სხვა მაჩვენებლებთან ერთად კომპლექსში, წარმოების საბოლოო შედეგები საეჭვო იქნება.

იმის გამო, რომ განვითარებული სოციალიზმის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ეკონომიკური ზრდის და მთლიანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფაქტორების ინტენსიურ გამოყენების უზრუნველყოფას, მნიშვნელოვნად ვითარდება საწარმოო ძალები, რაც საბოლოო ჯამში აჩქარებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მიზნის განხორციელებას — საზოგადოების თითოეული წევრის მზარდი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის დაკმაყოფილების უზრუნველყოფას.

განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ღონისძიებების შემუშავებას ახლად შექმნილ გაერთიანებებში. უნდა გვახსოვდეს, რომ საწარმოო გაერთიანებათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ოპტიმალური წარმართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მისი სტრუქტურული

[1] См. «Совершенствование хозяйственного механизма», под редакцией П. Бунича, М., 1976, стр. 36.

დანაყოფები გადაყვანილია შიდასამეურნეო ანგარიშზე, მართალია ასეთი ტიპის შიდასამეურნეო ანგარიში ჯერჯერობით შეუსწავლელია და პრაქტიკულად გასინჯული არ არის, მაგრამ მის სრულყოფაზე ზრუნვა გადაუდებელი საქმეა, თუ დღესვე არ მოვკიდეთ ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი, ხვალ და შორეულ მომავალში სახალხო მეურნეობა ძალზე არასასიამოვნო უკუგებას მიიღებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მართვის ქვედა და საშუალო რგოლებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვა-განვითარების საკითხები რამდენადმე შესწავლილი და სწორ ნიადაგზეა დაყენებული, რასაც ვერ ვიტყვით უმაღლეს რგოლზე, სამინისტროების (უწყებების) სამეურნეო ანგარიში ჯერჯერობით ვერ გაცდა ექსპერიმენტის ფარგლებს, რის გამოც არ შეიძლება ითქვას მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგში სამეურნეო ანგარიშის ყველა შესაძლებლობანი სრულად გამოიყენებოდეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

მეურნეობრივი მართვის თანამედროვე მეთოდებს შორის, რომლებიც საწარმოებს (გაერთიანებებს) შორის ურთიერთკავშირის დამყარებაში დიდ როლს ასრულებენ, აღსანიშნავია სამეურნეო ხელშეკრულებები. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ თანაშედროვე პირობებში მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მიღწეულ შეთანხმებას მზა ნაწარმის მოდელზე, ფერზე, მარკირებაზე. ხელშეკრულება ამასთან ერთად ითვალისწინებს პროდუქციის მიწოდების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებს და სხვა რეკვიზიტებს.

გაერთიანებებსა და საწარმოებს ფართო უფლებები მიენიჭათ ხელშეკრულების დადებისას, რის მეოხებითაც ისინი, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, უფრო მოქნილად და ოპერატიულად წყვეტენ საწარმოო-ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვან ამოცანებს: მუშაკები უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

ერთი სიტყვით, სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსებული წესი შედარებით სრულად ასახავს გაერთიანებათა და საწარმოთა სადღეისო საკვანძო მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ მაქსიმალურად იქნეს მიღებული სახალხომეურნეობრივი შედეგი.

ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ წარმოების მასშტაბების ზრდამ და სამეურნეო კოოპერაციის გაღრმავებამ ამოატივტივეს სახელშეკრულებო მექანიზმის უარყოფითი მხარეებიც, რომელთაგან ვფიქრობთ გადაუჭრელია და დღემდე დაბალ დონეზეა საშემსრულებლო დისციპლინა. ხშირად ირღვევა მიწოდების პირობები, ასორტიმენტი, ხარისხი და სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომენტები, რაც იწვევს მომარაგება-გასაღების პარალელურად მოქმედი სამსახურების შექმნას, შტატების გადიდებას, ნედლეულისა და მასალების დაუგეგმავი მარაგების არსებობას. არც თუ ისე იშვიათია სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის სხვა ფაქტებიც, სახელდობრ საწარმოთა და გაერთიანებათა ერთი ნაწილი, როდესაც ხედავს, რომ მიმწოდებლები არ ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, იძულებულნი არიან საკუთარი ძალებით დაამზადონ ყველა ის აუცილებელი საშუალებები, რომლებიც საჭიროა ნორმალური სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს და დასახა მისი გამოსწორების ქმედითი ღონისძიებები.

როგორც ცნობილია, სრულ სამეურნეო ანგარიშთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც პროდუქციის მწარმოებელი და მყიდველი საწარმოები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით ან სამეურნეო ხელშეკრულებებით, რომელთა დარღვევა იწვევს დამნაშავე მხარის მატერიალურ პასუხისმგებლობას სხვადასხვა სანქციების მიყენებით.

საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა, როგორც წესი, იწვევს პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობას და რენტაბელობის დონის დაცემას, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და ნორმატივების შემცირებას. ამასთან ცენტრალიზებულად დაწესებული ნომენკლატურით ნაკეთობათა გამოშვების გეგმის შეუსრულებლობას თან სდევს საწარმოს ხელმძღვანელებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე პრემიის გაუცემლობა, მაგრამ მატერიალური პასუხისმგებლობის დღემდე არსებული სისტემა, აგრეთვე საკონტროლო მექანიზმის მრავალრიცხოვანი არმია არ იძლევა მათ მიერ გაწეულ მუშაობაში სათანადო უკუგებას.

მაგალითისათვის განვიხილოთ სახელშეკრულებო დარღვევებისათვის არსებული ჯარიმების სისტემა. ჯარიმას ხელშეკრულების დამრღვევი საწარმო იხდის ფიქსირებული გადასახდელის სახით, პროდუქციის ღირებულებიდან გარკვეული პროცენტული შეფარდებით და არა მის მიერ მყიდველ ორგანიზაციაზე მიყენებული ზარალით. განა ეკონომიკურად ერთი და იგივეა საკონსერვო ქარხნისათვის 1000 მანეთის ხილის მიუწოდებლობა და ამ თანხის ნედლეულის მიუწოდებლობით მიღებული ზარალი? (ვერ გამოუშვა შესაბამისი ასორტიმენტის საქონელი და ის ვერ მიაწოდა ხელშეკრულების თანახმად მყიდველ ორგანიზაციას, რაზედაც თვითონ უხდის ჯარიმას ამ უკანასკნელს).

ახალი სამეურნეო რეფორმა და აქედან გამომდინარე, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება მოითხოვს ხელშეკრულების დამრღვევ ორგანიზაციას გადახდეს იმ ზარალის მთელი მოცულობა, რაც მყიდველ საწარმოს მიაყენა დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობამ. აგრეთვე დამნაშავე პირებს არ უნდა მიეცეს პრემია, ამასთან მიზანშეწონილი იქნება ცენტრალიზებული წესით ნომენკლატურის პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობა შეფასდეს სისხლის სამართლის დანაშაულად დამნაშავე პირების ჩვენებით.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა არ ეხება მარტო მიმწოდებელ ორგანიზაციას, სოლიდურად იგივე უნდა გავრცელდეს მყიდველ ორგანიზაციაზედაც. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს მყიდველის მიერ აქცეპტირებული პროდუქციის დროზე გაუნაღდებლობა, რაც იწვევს მომწოდებელ ორგანიზაციაში საბრუნავი საშუალებების უმიზნო და არაეფექტიან გადახარჯვას, ასევე ბანკის კრედიტის სარგებლის გადახდას და ყოველივე ამის გამო ფინანსურ სიძნელეებს. გაუნაღდებელი საქონლის ღირებულება მიმწოდებელ ორგანიზაციას პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში არ ეთვლება.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — მყიდველების მიერ ვადაზე გაუნაღდებელი ანგარიშსწორებაზე გაცემული უნდა იქნეს ბანკის კრედიტი, რომლის გადახდა მაღალი სარგებლით დაეკისრება იძულებითი წესით მყიდველ ორგანიზაციას.

სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს მრეწველობასა და ვაჭრობას შორის მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები. იმის გამო,

რომ ამ ორ უმნიშვნელოვანეს დარგს შორის ფართოდ ვითარდება პირდაპირი ხელშეკრულების პრაქტიკა, საჭიროა გადაისინჯოს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზარალის დაფარვის წესი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ამ საქმეში სავაჭრო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ ამასთან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია სავაჭრო ორგანიზაციებს მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნათა და საქონლის მიწოდებას შორის პროპორციულობის დაცვის საქმეში. „მაგრამ ჩვენში, — აღნიშნა პლენუმზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — მაინც ვერ არის შეწონასწორებული მოსახლეობის შემოსავალ-გასავალი და ამიტომ ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ჩვენი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ის გვესახება, რომ აღმოვფხვრათ დისპროპორცია, რომელიც მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლითა და მომსახურებით მის უზრუნველყოფას შორის არსებობს“[1].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მიღწეული უნდა იქნეს სამეურნეო ურთიერთობის მექანიზმის სრულყოფა ვაჭრობასა და სახალხო მეურნეობის იმ დარგებს შორის, რომლებიც სახალხო მოხმარების პროდუქტებს ამზადებენ. სწორედ ამ მექანიზმის ნაკლოვანებების შედეგია სავაჭრო ქსელში შეღწეული გაუსავლიანი საქონლის დიდი მასა. ამასთან ხშირად სავაჭრო ორგანიზაციების მიერ არ არის დაწესებული კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე, სამრეწველო საწარმოები ვაჭრობას აწვდიან უხარისხო და შეკვეთის გარეშე საქონელს.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების უგერგილო, არაკომერციული მუშაობის შედეგად ხშირად ირღვევა სახელშეკრულებო ურთიერთობანი, რის გამოც 1976 წლის 1 ოქტომბრისათვის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 4 თებერვალი.

ვაჭრობაში ზენორმატიულმა მარაგმა მიაღწია რუსეთის ფედერაციაში არსებული ზენორმატიული ნაშთების მოცულობას. ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნები არ არის სათანადო საქონლით დაფარული.

სადღეისოდ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზარალის დაფარვის ერთ-ერთ ოპტიმალურ გადაწყვეტად უნდა მივიჩნიოთ წიგნით ვაჭრობაში გავრცელებული წესის დანერგვა. წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციის მიერ წიგნის გაუყიდველობით გამოწვეული ზარალის 50 პროცენტი იფარება სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, ხოლო 50 პროცენტი გამომცემლობის მიერ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესიც არ არის საკითხის სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნილების მიხედვით გადაწყვეტა.

„ამრიგად, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ — ამოცანა ის არის, რომ ერთი მხრივ, კიდევ უფრო სრულყოთ ვაჭრობისა და მრეწველობის კავშირურთიერთობის მექანიზმი, მეორე მხრივ, გავაღიდოთ სავაჭრო ორგანიზაციების სიმტკიცე და პრინციპულობა სამრეწველო საწარმოების მიმართ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ ვაჭრობაში არ აღწევდეს ცუდი ხარისხის ნაწარმი, რომელიც წინასწარ განწირულია მაღაზიათა საწყობებში და დახლებზე გასაყინად“[1].

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და მისი პრინციპების განხილვისას შეუძლებელია არ შევჩერდეთ ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე.

უკანასკნელი პერიოდის მეურნეობრივი საქმიანობის პრაქტიკამ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები გამოავლინა საწარმოთა საგეგმო მაჩვენებლების სისტემაში, განსაკუთრებით კი პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელში. 1977 წლამდე საწარმოს (გაერთიანებას) რეალიზაციის გეგმის შესრულების შეფასებისას მხედველობაში არ ღებულობდნენ ასორტიმენტის, ხარისხისა და მიწოდების ვადების დაცვას, ამიტომ მწარმოებლები არ ცდილობდნენ ოპერატიულად გადაეწყვიტათ პროდუქციის ასორტიმენტის განახლებისა და ახალი სახის პროდუქციის გამოშვების საკითხები.

1977 წლიდან წამახალისებელი ფონდების შექმნისას და პრე-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 4 თებერვალი.

მიების გაცემისას გათვალისწინებულია ხელშეკრულების ყველა პირობა. იმისათვის, რომ სამინისტროებმა (უწყებებმა) სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების პოზიციიდან კონტროლი დააწესონ გაერთიანებების (საწარმოების) მიერ სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებულ იქნეს სპეციალური სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაზე. აღნიშნული საკითხის მოკვლევა გაზრდის პროდუქციის ხარისხს, საწარმოთა გეგმაზომიერ განვითარებას და მომხმარებელთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებას.

ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო საწარმოთა მუშაობაზე, არამედ სხვა გარეშე ეკონომიკურ პირობებზედაც. დღეს, როდესაც ხელშეკრულებათა დარღვევაზე გადასახდელი ჯარიმები და საპირგამტეხლოები უმნიშვნელო მოცულობისაა და არსებით გავლენას ვერ ახდენს საწარმოს სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობაზე, კოლექტივი არ არის დაინტერესებული პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. მაგრამ, როდესაც სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა გახდება საწარმოთა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რადიკალურად შეიცვლება მდგომარეობა, უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდება მეურნეობრივი მართვის მექანიზმი.

სახელმწიფო, შრომითი, საგეგმო და. სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე (1977 წლის იანვარში). საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საგეგმო და საფინანსო ორგანოებთან ერთად შეიმუშავა სახელშეკრულებო დავალებათა შესრულების აღრიცხვის სპეციალური ანგარიშგება, რომელსაც დისციპლინის სტატისტიკა ეწოდა. დისციპლინის სტატისტიკის შემოღების ერთწლიანმა გამოცდილებამ სასიკეთო შედეგები მოგვცა. იგი ხელს უწყობს სახელმწიფო, შრომითი, სახელშეკრულებო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. ამასთან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი პირობა — სოციალიზმის დროს სამეურნეო კავშირურთიერთობანი არსებობს თანასწორ პარტნიორ საწარმოებს (გაერთიანებებს) შორის, ამიტომ სამეურნეო ხელშეკრულება საშუალებას იძლევა შედარებით სრულად დავაკავშიროთ წარმოების მოცულობა და სტრუქტუ-

რა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, უზრუნველვყოთ საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის სტაბილური სამეურნეო ურთიერთობანი. სწორედ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება სახალხო მეურნეობის განვითარებაში საერთო პროპორციების რეალიზაცია. ამასთან გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობათა განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის მართვის გეგმურობის შემდგომ განვითარებას. განა გეგმური წესით არ განისაზღვრება სახალხო მეურნეობის არა მარტო საერთო პარამეტრები, არამედ თითოეული საწარმოს, გაერთიანების, კომბინატის პროფილი, სპეციალიზაცია და პრდუქციის წარმოების მოცულობა?

პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირდაპირ ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა განვითარებას ხანგრძლივი სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე. მეათე ხუთწლედში დამთავრდება მასობრივი და დიდსერიანი წარმოების მქონე გაერთიანებათა და საწარმოთა გადაყვანა უშუალო ხანგრძლივ კავშირურთიერთობაზე, რომელთა საფუძველი იქნება გრძელვადიანი სამეურნეო ხელშეკრულებები.

საწარმოთა (გაერთიანებათა) გადაყვანა უშუალო ხანგრძლივ კავშირურთიერთობაზე მოასწავებს საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მოცულობისა და გასაცემი პრემიების ოდენობის დამოკიდებულებას მიწოდების გეგმის შესრულებაზე.

მეათე ხუთწლედში სახელშეკრულებო ურთიერთობათა განვითარების შესახებ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის აუცილებელია დაკონკრეტდეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. აბალკინის შემდეგი მოსაზრება — ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობა სამეურნეო ხელშეკრულებების ბაზაზე უნდა წარიმართოს ასე: თავდაპირველად ცენტრალიზებული წესით განისაზღვრება სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მომენტები, საზოგადოებრივი წარმოების უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის გამოყოფით. შემდეგ გეგმური წესით უნდა დაიდოს მათ შორის სამეურნეო ხელშეკრულებები. პროდუქციის მიწოდების შეთანხმე-

ბული მოცულობა დასკვნით ეტაპზე დამტკიცებული უნდა იქნეს სახელმწიფო გეგმაში[1].

გრძელვადიანი სამეურნეო ხელშეკრულებათა ზემოთ აღნიშნული წესი უზრუნველყოფს ცენტრალიზებული დაგეგმვისა და სამეურნეო კავშირურთიერთობათა მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი სისტემის ერთიანობას. დაგეგმვა და სამეურნეო ანგარიში წარმოდგენილია სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვის ერთიან სისტემად.

ამრიგად, სამეურნეო ანგარიში არის სახალხო მეურნეობის მართვის გეგმიანი სისტემის შემადგენელი ელემენტი, ნაწილი, რომელიც ორგანულ კავშირშია სახალხო მეურნეობის დაგეგმვასთან, წარმოების საშუალებათა ეკონომიკური ბრუნვის ორგანიზაციასთან და ეკონომიკურ ბერკეტებთან, აგრეთვე მათ შესაბამის კატეგორიებთან — ფინანსებთან, კრედიტთან, ფასწარმოქმნასთან[2].

ავიღოთ ერთი კონკრეტული მაგალითი: სახალხო მეურნეობის საფინანსო ბერკეტებმა, უპირველესად სახელმწიფო ბიუჯეტთან საწარმოების (გაერთიანებების) ურთიერთობამ, ხელი უნდა შეუწყოს კოლექტივის დაინტერესებას საბოლოო სახალხო მეურნეობის ოპტიმალური შედეგების მიღწევის საქმეში.

ამ მიზნით შემოღებულ იქნა ფონდებზე გადასახდელი, ანუ ფონდების საფასური. ის იყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე მოქმედი მეურნეობრივი სტიმულების შემდგომი სრულყოფის აუცილებელი ღონისძიება. ფონდების საფასურმა გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა. ამასთან მის მოქმედებაში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ჩვენი აზრით, დაუსაბუთებლად უნდა მივიჩნიოთ მრეწველობაში ფონდების საფასურად 6-პროცენტიანი ნორმის არსებობა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის 15-პროცენტიან ნორმატივთან შედარებით. ფონდების საფასურს კონკრეტული რაოდენობრივი მნიშვნელობა გააჩნია. მისი ნორმა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს უსაზღვრავს ახალი ტექნიკის გამოყენების დონეს, რითაც ირკვევა ამ ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა. ამ ნორმის საფუძველზე განისაზღვრება რაოდენობრივი თანაფართობა საწარმოო

[1] См. «Совершенствование хозяйственного механизма», под редакцией члена корреспондента АН СССР Бунича П., М., 1976, стр. 40.

[2] Там же, стр. 41.

ფონდებისა და შრომის დანახარჯების ეკონომიის სტიმულირების მოცულობებს შორის. ნათელია, რომ ფონდების საფასურმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიურად გამოყენებაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს არაა მიღწეული ფონდების საფასურის დაბალი ნორმის გამო.

ფონდების საფასურის არაეფექტიანობის მიზეზებად მიჩნეული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

1. ფასწარმოქმნაში არსებული ნაკლოვანებები, ამ გადასახდელის გადამხდელებზე შეღავათების მინიჭების ფართო არე და ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი წვრილი საწარმოების არსებობა, რომლებიც ეფექტიანად ვერ იყენებენ ფონდებს;

2. მოგების განაწილების სისტემა, რისი მიზეზითაც დიდი ოდენობით რჩება მოგების თავისუფალი ნაშთი, რომელიც ბიუჯეტში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების უგულვებელყოფით ამოიღება;

3. სამეურნეო ხელმძღვანელთა ეკონომიკური ცოდნის დაბალი დონე, რის გამოც ბევრი მათგანი გარკვეულიც არ არის საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის შინაგან ნიუანსებში, რაც ჩრდილავს ფონდების საფასურის ეკონომიკურ მიზანს;

ამრიგად, ფონდების საფასურმა ჯერჯერობით ვერ შეასრულა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მექანიზმის როლი იმის გამო, რომ მისი გამოყენება არ ითვალისწინებს მასტიმულირებელი ფონდების მოცულობის ოპტიმალურ დონეს.

§ 5. ხელფასის როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მატერიალური სტიმულირების სწორად ორგანიზაციას.

მატერიალური წარმოების სფეროში შრომის ანაზღაურებისა და საერთოდ მატერიალური სტიმულირების სისტემა ხელს უწყობს წარმოების ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებას — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

წარმოების მატერიალური სტიმულირება დამყარებულია სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებზე, განსაკუთრებით კი შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკურ კანონზე, რომლის მთავარი მოთხოვნაა — მატერიალური დოვლათის განაწილება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური წარმოების პროცესში მუშაკთა მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

წარმოების მატერიალური სტიმულირების ძირითადი ფორმაა ხელფასი, რომელიც სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში წარმოადგენს მოხმარების ფონდის ნაწილს, რაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია მუშებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალური განაწილებისათვის. ფულად ფორმაში გამოხატული ხელფასი მოქნილად და დიფერენცირებულად განსაზღვრავს თითოეული მუშაკის წილს საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოებაში დახარჯული შრომის რაოდენობის, სიმძიმის, სირთულისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიხედვით აღრიცხვისა და კონტროლის მეშვეობით.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ავამაღლოთ ხელფასის, როგორც სამეურნეო ანგარიშის ეკონომიკური მექანიზმის როლი და მნიშვნელობა წარმოების ეფექტიანობის გადიდების საქმეში?

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მიმდინარეობს შრომის ანაზღაურების ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების ეფექტიანობას. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია: მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურება ოპტიმალურად შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მის შრომით მონაწილეობას.

პარტიის XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედის მთავარ საკითხთა შორის წამოაყენა მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვნად ამაღლების პრობლემა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას: მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გზით; მინიმალური ხელფასის 70 მანეთამდე გადიდების დამთავრებას; ხელფასის ეკონომიკური რაიონების მიხედვით შემდგომ რეგულირებას, ხელფასის ფორმებისა და სისტემების სრულყოფას და საზოგადოებრივი ფონდების შემდგომ განვითარებას. ყრილობამ დასვა ამოცანა: გავაძლიეროთ ხელფასის მასტიმულირებელი როლი შრომის ნაყოფიერების ზრდაში, მეცნიერულ-ტექნი-

კური პროგრესის დაჩქარებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებაში, ე. ი. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

მეცხრე ხუთწლედში მოქმედებაში შევიდა სახალხო მეურნეობაში შრომის ანაზღაურების ახალი პირობები. გაიზარდა მუშათა სატარიფო განაკვეთები 28—30 პროცენტით, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისა კი 18 პროცენტით, პარალელურად გაიზარდა გამომუშავების ნორმები. რის გამოც 1973—1975 წლებში მუშათა საშუალო ხელფასი 15 პროცენტით გადიდდა, შრომის ნაყოფიერება კი — 19,4 პროცენტით. უფრო მეტად გაიზარდა იმ მუშაკთა ხელფასი, რომლებიც დასაქმებული არიან ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვისა და პროდუქციის მწარმოებელ დარგებში.

ბევრ საწარმოში ადმინისტრაციას მიეცა უფლება გაზარდოს იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებით მუშაობენ და პროფესიაში მაღალ დონეზე არიან დახელოვნებულნი. ეს ღონისძიებები ხელს უწყობენ წარმოების ეფექტიანობის საქმეში ხელფასის მასტიმულირებელი როლის ამაღლებას.

ამასთან შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ამ საქმეში დღეს ყველაფერი მოგვარებულია. პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა — „ქვეყნის წინაშე დასახული ეკონომიური და სოციალური ამოცანების გათვალისწინებით უნდა გავაუმჯობესოთ შრომის ანაზღაურებისა და ნორმირების სისტემა“[1].

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ გათვალისწინებულია გაძლიერდეს ხელფასის მასტიმულირებელი როლი შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

მეათე ხუთწლედში უნდა ამაღლდეს ხელფასის როლი ნედლეულისა და მასალების ეფექტიანად გამოყენების საქმეში. ქვეყნის სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში პროდუქციის თვითღირებულებაში დაუსაბუთებლად მაღალია განივთებული შრომის ხვედრითი წონა.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“. თბ., 1976, გვ. 82.

პარტიის მუდმივი ყურადღების ცენტრშია მატერიალური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის პრობლემები. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება: „ყოველნაირად შევამციროთ პროდუქციის მასალატევადობა პროგრესული საკონსტრუქტორო გადაწყვეტების უფრო ფართო გამოყენების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, ეკონომიურ სახეობათა ნედლეულისა და მასალების გამოშვების გადიდებისა და მათი ხვედრითი ხარჯის შემცირების, მათი უფრო საფუძვლიანი და კომპლექსური გადამუშავების, მეორეული რესურსების გამოყენების გაფართოების გზით“[1].

ნედლეულის, მასალების და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ხელფასის ფონდიდან არ არის სტიმულირებული. მატერიალურ ფასეულობათა მომჭირნეობით ხარჯვის სტიმულირება წარმოებს მატერიალური წახალისების ფონდიდან და მისი ფაქტიური დონე არ აღემატება ხელფასის 9 პროცენტს, რაც სათანადო ეფექტს არ იძლევა.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიღწევას ხელი შეუწყოს ხელფასის სწორად ორგანიზაციამ, აუცილებელია ეს უკანასკნელი პასუხობდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. უზრუნველყოფილ იქნეს სწორი თანაფარდობა შრომის ანაზღაურებისა და მუშაკის კვალიფიკაციას, შრომის ხასიათსა და სირთულეს შორის;

2. შრომის ნაყოფიერების ზრდის პარალელურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუშაკთა ხელფასის განუხრელი გადიდება;

3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებია, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება ერთეული პროდუქციის თვითღირებულება, დაეცემა წარმოების რენტაბელობა, რაც საბოლოო ჯამში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ხელშემშლელია;

4. მუშაკთა მატერიალური დაინტერესების მისაღწევად საჭიროა თითოეული მათგანი კარგად ერკვეოდეს მათი შრომის შედეგებსა და ხელფასის კავშირურთიერთობაში.

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 227.

საყურადღებოა, რომ დღემდე მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხები არავითარ კავშირში არ იმყოფება ხელფასის კატეგორიასთან, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამაღლდეს ხელფასის მასტიმულირებელი როლი მატერიალურ ფასეულობათა მომჭირნეობით ხარჯვისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუღწეველი იქნება წარმოების ოპტიმალური ეფექტიანობა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში ხელფასის როლის გადიდების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მიმდინარეობს ექსპერიმენტები ხელფასის დაგეგმვის სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

ყველა ეს ექსპერიმენტი ემყარება სპეციალურ ნორმატივებს, რომლებიც ხუთწლედისათვის მტკიცდება და ხუთწლედის ყოველ წელს წარმოდგენილია რამდენადმე შემცირებული ოდენობით. ამასთან ისინი სტაბილურია და განიცდის კორექტირებას მიღწეული, ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით. დაგეგმვის ასეთი მეთოდი კარგად მომუშავე საწარმოებს იმის რწმენას აძლევს, რომ მიუხედავად მუშაობის შედეგებისა, მათ ხელფასის ფონდი არ უმცირდებათ, ხოლო ცუდად მომუშავენი იძულებული არიან გარდაქმნან მუშაობა.

ხელფასის საერთო ფონდის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის უპირატესობა ვლინდება იმაში, რომ მნიშვნელოვნად მაღლდება შრომის ნაყოფიერება და საერთო დანახარჯებში სისტემატურად მცირდება ხელფასის ხვედრითი წონა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში ხელფასის როლის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტია — ხელფასის დაგეგმვა წმინდა პროდუქტის წილობრივი მონაწილეობის სახით. ექსპერიმენტის მიზანია შეანელოს კოლექტივის დაინტერესება პროდუქციის საწარმოებლად ძვირად ღირებული ნედლეულის გამოყენების საქმეში.

სწორედ ასეთი მეთოდი იმის გარანტიას იძლევა, ხელფასმა მნიშვნელოვნად იმოქმედოს წარმოების ეფექტიანობაზე, ურომლისოდაც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესი შეუძლებელია.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინე-

ბული იყო მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის გადიდება 70 მანეთამდე თვეში და საშუალოხელფასიანი კატეგორიის მუშაკების ხელფასის სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდება, სატარიფო სისტემის როლის ამაღლება, მუშაკთა დაინტერესების გაძლიერება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების სხვა მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში, შრომის ნორმირების გაუმჯობესება, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მიყენების გაფართოება, რათა თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურება უკეთ შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ წარმოებაში მის შრომით მონაწილეობას, ე. ი. შრომის ანაზღაურება დამოკიდებული იყოს დახარჯული შრომის რაოდენობაზე და ხარისხზე.

ჩვენს ქვეყანაში მეცხრე ხუთწლედში დიდი მუშაობა იქნა გაწეული ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა მწარმოებლური დარგების მუშაკთა განაკვეთებსა და სარგოების გადიდებით 1973—1975 წლებში ხელფასი გაეზარდა 51 მილიონ მუშა-მოსამსახურეს 8,9 მილიარდი მანეთის ოდენობით 1 წელზე გაანგარიშებით.

სსრ კავშირის ცსს გაანგარიშებით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდამ მიაღწია მატერიალური წარმოების დარგებში 12 პროცენტს; მათ შორის მრეწველობაში — 14 პროცენტს, საზღვაო ტრანსპორტზე — 14,9-ს, საჰაერო ტრანსპორტზე — 23,6-ს, საავტომობილო ტრანსპორტზე — 16,6-ს, კავშირგაბმულობის საწარმოებში — 22,4 პროცენტს.

მეცხრე ხუთწლედში დადებითად გადაწყდა უდიდესი სოციალური ამოცანა — მწარმოებლურ დარგებში მინიმალური ხელფასი გადიდდა 70 მანეთამდე.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულია მუშაკთა ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა, განაკუთრებით იმათი, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით წარმოების განვითარებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის საქმეში. მაგალითად, ფოლადის მდნობელთა ხელფასი გაიზარდა თვეში 36 მანეთით, ანუ 13 პროცენტით, მქსოველის —21 მანეთით (14 პროცენტით), პურის მცხობელი ოსტატის — 23 მანეთით (19 პროცენტით), ავტომანქანათა მძღოლების — 28 მანეთით (16 პროცენტით), მწყემსების — 23 მანეთით (19 პროცენტით) და ა. შ.

მთლიანად მრეწველობაში შრომის ანაზღაურების ახალი წესის შემოღებით მუშათა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 14 მანეთით (10,2 პროცენტით), ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის — 19 მანეთით (11,5 პროცენტით), მოსამსახურეების — 17 მანეთით (15,6 პროცენტით).

ხელფასის განაკვეთებისა და სარგოების გადიდება ხელფასის მთელი ორგანიზაციის სრულყოფა-გაუმჯობესების, მათი მასტიმულირებელი როლის გაძლიერებისა და შრომის ნორმირების გაუმჯობესების საფუძველი გახდა.

მეცხრე ხუთწლედში გაფართოვდა ხელფასის პროგრესული ფორმების გამოყენება, რითაც გაიზარდა მუშათა დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და გამომუშავების დაძაბული ნორმების გამოყენებაში. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მარტო მრეწველობიდან გამოთავისუფლებულ იქნა 164 ათასი მუშაკი და მიღწეულია ხელფასის ფონდის ეკონომია 215 მილიონი მანეთის ოდენობით წელიწადზე გადაანგარიშებით.

ხელფასის განაკვეთებისა და სარგოების გადიდებამ გამოიწვია საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

მიუხედავად სოფლის მეურნეობის მოუსავლიანობისა, რის გამოც მსუბუქ და კვების მრეწველობას არ მიეცა სათანადო ნედლეული, შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადაყვანის შემდეგ (1973—1975 წწ.) მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიურმა ზრდამ მიაღწია 6,1 პროცენტს, ნაცვლად 1971—1972 წლების — 5,7 პროცენტისა.

ცხრილი 2

	შრომის ნაყოფიერების ზრდა %-ში	საშუალო ხელფასის ზრდა %-ში	ხელფასის ზრდა შრომის ნაყოფიერების 1%-ით ზრდისას
1973 წელს . .	6,1	3,6	0,59
1974 წელს	6,3	5,6	0,89
1975 წელს . . .	5,9	4,3	0,73
1971—1975 წლებში (საშუალოდ ერთ წელიწადში)	6,0	4,0	0,65

შრომის ანაზღაურების ახალმა სისტემამ დადებითად იმოქმედა სამუშაო დროის გამოყენებაზე. 1973—1975 წლებში მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები შემცირდა საშუალოდ ერთ მუშაკზე 2,6 დღიდან 2,0 დღემდე, მუშაკთა დენადობა — 20 პროცენტიდან 19 პროცენტამდე მუშათა საშუალო სიობრივ რაოდენობაზე გადაყვანით.

ამასთან ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, ბევრგან სათანადო ღონისძიებებს არ ატარებენ რეზერვების გამოვლინებაში, სახელდობრ სამუშაო ძალის გამონთავისუფლების გზით.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება საპრემიო სისტემები, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში მოქმედებაშია პრემირების ნაკლებეფექტიანი და არაკონკრეტული მაჩვენებლები, რაც იწვევს პრემიების დაუსაბუთებლად ხარჯვას. საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობაში სუსტად გამოიყენება მუშაკთა მატერიალური სტიმულირება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ,ჩაწერილია, რომ გავაძლიეროთ შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი როლი, თითოეული მუშაკის შემოსავლის დამოკიდებულება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე, ეფექტიანობის ამაღლებაზე მის პირად შრომით წვლილსა და კოლექტივის წვლილზე. „ხელფასის მასტიმულირებელი როლის ამაღლებას, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა პარტიის XXV ყრილობაზე, — ხელს შეუწყობს სატარიფო სისტემის დასახული სრულყოფა. მეათე ხუთწლედში მთლიანად დამთავრდება ხელფასის მინიმუმის, აგრეთვე საშუალო-ხელფასიანი კატეგორიების მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების გადიდება არასაწარმოო სფეროს დარგებში და დაიწყება მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის, განაკვეთებისა და სარგოების გადიდების ახალი ეტაპი“[1].

სკკპ XXV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სამინისტროებისა და უწყებებისაგან, გაერთიანებებისა და საწარმოებისაგან შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა რეზერვის გამოსავლინებლად და წარმოებაში ჩა-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 162.

სართავად, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის მასტიმულირებელი როლის ამაღლებით.

ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მატერიალური წარმოების მთელ რიგ დარგებში შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვით დაამთავრეს მუშაობა; შეასუსტეს ყურადღება ხელფასისა და მატერიალური წახალისების ფონდების ეფექტიანად გამოყენებისადმი, შრომის ანაზღაურებისა და შრომის ნორმირების გაუმჯობესებისადმი.

თავი III

ფინანსები და კრედიტი განვითარებული სოციალიზმის პერიოდში

§ 1. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი და ფინანსები

საბჭოთა ფინანსები წარმოადგენს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლს. პარტია საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე სისტემატურად იყენებდა და განუხრელად სრულყოფდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ფინანსები ჩაყენებულ იქნა სოციალიზმის მშენებლობის სამსახურში. მისი გამოყენების კონკრეტული ფორმები იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რა ამოცანები იდგა ქვეყნის წინაშე ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში.

სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმე დიდად არის დამოკიდებული ფინანსების და კრედიტის როლის ამაღლებაზე. საფინანსო და საკრედიტო მომსახურების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეადგენს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მანეთით კონტროლის გაძლიერება და აქედან გამომდინარე მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პროცესში საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების თავმოყრა-მობილიზაცია და მათი გეგმიანი გამოყენება. საფინანსო-საკრედიტო სისტემის სიმტკიცე, ფულად საშუალებათა ფონდების მობილიზაცია-გამოყენებას შორის აუცილებელი თანაფარდობა მიიღწევა ეროვნული შემოსავლის ზრდით, სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარებით, მატერიალური და შრო-

მითი რესურსების გამოყენებაში ეფექტიანობის პრინციპის დაცვით[1].

ფინანსების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებისა და განაწილების გეგმაზომიერი ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში ყველა ეკონომიკური ბერკეტის უფრო სრულად გამოყენებას, რომელთა შორის ფინანსებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამეურნეო ანგარიშმა, ფასებმა, მოგებამ, კრედიტმა, ეკონომიკური წახალისების ფორმებმა და სხვა ბერკეტებმა უნდა შექმნან ისეთი ეკონომიკური პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოთა (გაერთიანებათა) კოლექტივების წარმატებებს, უზრუნველყოფენ მათი საქმიანობის შედეგების მეცნიერულად დასაბუთებულ შეფასებას.

დაგეგმვის მეცნიერული პრინციპები მოითხოვს ოპტიმალურად შემუშავდეს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, მოხდეს გეგმის შეწონასწორება და საწარმოო ძალების მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება. სახალხო მეურნეობის დაგეგმვისას აღნიშნული მომენტების გათვალისწინება ფინანსური დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშემწყობი პირობებია.

პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული განივთებული და ცოცხალი შრომის განსაზღვრა დღის წესრიგში აყენებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფას და ეკონომიკური ბერკეტების მოქნილად გამოყენებას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი არის ეკონომიკური კავშირურთიერთობის საყოველთაო ფორმა, რომელიც ემსახურება კვლავწარმოების ყველა ფაზას და წარმოების მთელ პროცესს, საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებასა და მიმოქცევას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი გამოდის, როგორც სახელმწიფოსა და საწარმოს, უშუალოდ საწარმოებს, მუშაკთა კოლექტივებს, სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის ფორმა.

დაგეგმვისა და მართვის საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები აქ-

---

[1] См. Бачурин А. .Совершенствование финансово-кредитного механизма, журнал «Вопросы экономики», 1975. № 12, стр. 24.

ტიურ მასტიმულირებელ როლს თამაშობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, ურომლისოდაც ეკონომიკური ზრდის უდიდესი პოტენციალური შესაძლებლობანი მოყვანილი არ იქნება მოქმედებაში. სწორედ ამიტომაც პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ხუთ მძლავრ საკითხს შორის დაასახელა სახალხო მეურნეობის მართვის მექანიზმების სრულყოფაც.

კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობის რეალიზაცია დიდად არის დამოკიდებული საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სწორ გამოყენებაზე, თუ როგორია საფინანსო ურთიერთობათა ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების ხარისხი, როგორ შეესაბამება ისინი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს.

სსრ კავშირისა და სოციალიზმის ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები ითვალისწინებენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფილად გამოყენებას. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ღირებულების კანონის მოთხოვნათა შეგნებულ გამოყენებაზე. დაგეგმვასა და მართვაში რაც უფრო სრულად და კარგად გამოვიყენებთ ღირებულებასა და მის ფორმებს, მით უფრო ეფექტიანად გავუძღვებით წარმოებას.

განვითარებული სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფის გარეშე, ხოლო მართვის საქმეში საფინანსო ბერკეტების მარჯვედ გამოყენება ზრდის ღირებულებითი კატეგორიების როლს და მთლიანად სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სწორად გამოყენების მნიშვნელობას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა გამოდის, როგორც სოციალისტური წარმოების მართვის ობიექტური წინაპირობა, ეკონომიკური მექანიზმის აუცილებელი ატრიბუტი. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი განაწი-

ლების სტადიის მეშვეობით ახდენს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესის გეგმაზომიერ განვითარებას.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის პირობებში საზოგადოებისა და ცალკეული საწარმოების მატერიალური რესურსები ღებულობს ფულად ფორმას და გამოდის სახელმწიფოსა და საწარმოს ფინანსების სახით, იგი წარმოქმნის სოციალისტური საზოგადოების საფინანსო სისტემას, სწორედ საფინანსო და საკონტროლო სისტემის მეშვეობით სახელმწიფო აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საწარმოთა მუშაობაზე, უზრუნველყოფს სახალხომეურნეობრივი პროპორციების გეგმაზომიერ სრულყოფას.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მატერიალური წარმოების თითოეული რგოლის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო-საფინანსო პოლიტიკაზე, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის გამოყენებაზე. ეს უკანასკნელი მოწოდებულია უზრუნველყოს თითოეული მეურნეობრივი რგოლის დაინტერესება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვით, რათა მივაღწიოთ კვლავწარმოების მთელი პროცესის დინამიზმსა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპებით განვითარებას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის შემდგომ სრულყოფას. დღეს საფინანსო-საკრედიტო მექანიზმში მიმდინარეობს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ცვლილებები.

განვითარებული სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა კვლევა უნდა წარიმართოს ისე, რომ სამეურნეო მექანიზმის კომპლექსურად შესწავლითა და წარმოების განვითარებაში ღირებულებითი კატეგორიების მასტიმულირებელი როლის გაძლიერებით მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საბჭოთა ფინანსები ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაა, რომლის მეშვეობითაც გეგმაზომიერად იქმნება ფულადი რესურსების თონდები გაფართოებული კვლავწარმოებისა და საზოგადოების სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საბჭოთა ფინანსების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფულადი შემოსავლების დაგროვების დროულად და სწორად შექმნის, განაწილების, ნარჯვი-

ის და მანეთით კონტროლის განმტკიცების გზით უზრუნველყოს სახალხო მეურნეობაში არსებული რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება და ამით უფრო სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები.

ფინანსები და კრედიტი გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა სოციალისტურ საწარმოთა შემოსავლებისა და დაგროვების (ფულადი ფორმით) გეგმაზომიერი განაწილებისა და გადანაწილების საფუძველზე, უზრუნველყოფს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესს და ხელს უწყობს სოციალისტური ეკონომიკის მართვის სრულყოფას.

ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მექანიზმში პროფ. ვ. ბელიაძე სამართლიანად გამოყოფს ოთხ ძირითად ბერკეტს. ეროვნული შემოსავლის „გადანაწილება ხორციელდება პირველ რიგში და უპირატესად საფინანსო-საკრედიტო სისტემის მეშვეობით. ხოლო ამ უკანასკნელის ღერძია სახელმწიფო ბიუჯეტი: გადანაწილების მეორე ბერკეტია მოსახლეობის მიერ არასაწარმოო სფეროს დაწესებულება-ორგანიზაციათა ფასიანი მომსახურების ანაზღაურება... ეროვნული შემოსავლის რესურსების გადანაწილების მესამე ბერკეტია მატერიალური სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების პირველად შემოსავალთა ნაწილის უშუალო წარმართვა არასაწარმოებითი სფეროს დაწესებულებათა შესანახად... წარმოება-დაწესებულებათა და მოსახლეობის პირველადი შემოსავლების გარკვეული თანხა გადანაწილდება აგრეთვე საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ შესასყიდი საწევრო საპაიო გამოსაღებების შეგროვების და მათი შემდგომი გამოყენებით"[1].

საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც საბჭოთა ფინანსების მეშვეობით ხორციელდება, მრავალმხრივია, რომელთაგან აღსანიშნავია საზოგადოებრივი გაფართოებული კვლავწარმოება, შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირების სრულყოფა, სახელმწიფო-მმართველობითი აპარატის შენახვა, სახალხო მეურნეობაში რეზერვების შექმნა, სა-

---

[1] ვ. მელქაძე, საბჭოთა საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის გადანაწილება, საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, სმედსის შრომების კრებული, ტომი IV, ნაკვეთი I, თბ., 1969, გვ. 18—19.

ხელმწიფო უშიშროების დაცვა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებები, სოციალური უზრუნველყოფა მოხუცებულობისა და ინვალიდობის პერიოდში და ა. შ.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარებისას ფინანსები და კრედიტის ერთიანობა მათ ურთიერთშემავსებელ როლშიც გამოიხატება. ხშირად ისინი თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ერთმანეთს ავსებენ. სახელმწიფო საწარმოთა საბრუნავი საშუალებების ფორმირების საფინანსო მეთოდი შეიძლება შეიცვალოს საკრედიტო მეთოდით, ამასთან გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდის შესაქმნელად მიიმართება ფინანსური რესურსებიც.

სახელმწიფო საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების არა მარტო ღირებულებით, არამედ ნატურალურ პროპორციებზეც. სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის საშუალებით აქტიურად ზემოქმედებს საწარმოო ძალების ზრდის ტემპების მიღწევასა და წარმოების ურთიერთობათა სრულყოფაზე.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა ფინანსების მეშვეობით ხორციელდება შემდეგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები, როგორიცაა: სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში მიღწეული პროპორციების შესაბამისი ღირებულებითი პროპორციების უზრუნველყოფა: სახალხო მეურნეობაში მატერიალური და ფულადი საშუალებების მოძრაობისას აუცილებელი საბალანსო კავშირურთიერთობათა დაცვა: წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფილად და მოქნილად გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე; მეცნიერების უშუალოდ საწარმოო ძალად გადაქცევა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის დაჩქარება: ეკონომიკის ზრდის ფაქტორების სტიმულირება, წარმოების რაოდენობრივი და განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულყოფა-განვითარების მიზნით, როგორიცაა პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის რეალიზაციის დაჩქარება, დაგროვების გადიდება და

ა. შ.; საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენება, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება და ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დაჩქარება, საზოგადოებრივი ფონდების სისტემატური გადიდება და საბჭოთა ხალხის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელება, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების განვითარება და სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის უზრუნველყოფა, რაც დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

საბჭოთა ფინანსების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელების მთავარი წყაროა სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოსავალი და დაგროვება. ზოგიერთი ფონდის შექმნაში მონაწილეობს აგრეთვე საბჭოთა ხალხი.

წარმოების დინამიკური განვითარების უზრუნველყოფის მიღწევა წინა პლანზე აყენებს მოგების განაწილების, წარმოების მასტიმულირებელი ფონდების, კრედიტის გამოყენების ახალ-ახალ პრობლემებს. ამასთან დღითი დღე იზრდება ფინანსებისა და კრედიტის როლი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობის შემდეგი სრულყოფის პრობლემები. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია იმ ეკონომისტთა მოსაზრება, რომლებიც მოითხოვენ და წინა პლანზე აყენებენ საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების სრულყოფას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, კაპიტალურ-მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში[1].

იმისათვის, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში მიღწეულ იქნეს მოხმარებასა და დაგროვებას შორის ოპტიმალური თანაფარდობა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდა, საჭიროა ავამაღლოთ წარმოების ხანგრძლივი ეფექტიანობა და უზრუნველვყოთ ეროვნული შემოსავლის ზრდის მაღალი ტემპები. ეს კი მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების სტრუქტურისა და სახალხომეურნეობრივი პროპორციების ოპტიმალურ დაგეგმვას, სადაც შეთანაწყობილი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის გეგმის ყველა მაჩვენებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო

---

[1] См. Бачурин А. Совершенствование финансово-кредитного механизма, журн. «Вопросы экономики», 1975, № 12, стр. 25.

შემოსავლებსა და ხარჯებს შორის შეუსაბამობას ექნება ადგილი, რაც სახალხო მეურნეობის დარგებსა და დარგთაშორის განვითარებაში დისპროპორციებს გამოიწვევს.

საბჭოთა ფინანსების მეშვეობით ხორციელდება ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილება. ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილების დროს მისი ნაწილი, რომელიც იქმნება საერთო-სახელმწიფოებრივ სექტორში, იყოფა შემოსავლის შემდეგ სახეებად: საერთო-სახელმწიფოებრივ საწარმოთა მუშაკების ხელფასი, სოციალური დაზღვევის ფონდი, საწარმოთა მოგება და ბრუნვის გადასახადი; საკოლმეურნეო-კოოპერაციულ სექტორში ეროვნული შემოსავლის შესაბამისი ნაწილი იყოფა: კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებისა და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ფონდებად. პირველად შემოსავალში შედის აგრეთვე პირადი საკარმიდამო დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალიც.

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება, ანუ მეორადი განაწილება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო ბერკეტებში მთავარია სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საზოგადოებრივ წარმოებაზე ზემოქმედებას ახდენს საფინანსო რესურსების მობილიზაციისა და მათი გეგმაზომიერ, განაწილებისა და გამოყენების პროცესში, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს წარმოების ფინანსური რესურსების მობილიზაცია-გამოყენების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის პროცესზე.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის როლი, როგორც წარმოების ინტენსიფიკაციის ინსტრუმენტისა, ვლინდება შემდეგ მიმართულებებში: იზრდება ბიუჯეტის როგორც განმანაწილებელი მექანიზმის მნიშვნელობა, არა მარტო კვლავწარმოებისა და ეროვნული შემოსავლის შექმნის პროცესში, არამედ ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პროცესშიც. ბიუჯეტი დიდ ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ეროვნული შემოსავლის შექმნა-განაწილებაზე, არამედ მთელს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტებზე, სახელმწიფო ბიუჯეტი ზემოქმედებს ერ-

თობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების უმნიშვნელოვანეს ნაწილზე — დაფარვის ფონდის ფორმირება-გამოყენებაზე ბიუჯეტში ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ანარიცხების მეშვეობით.

სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება, დარგებს შორის გეგმური პროპორციების შენარჩუნება შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში დანერგვას. საზოგადოებრივი წარმოების მყარი ტემპები, სახალხო მეურნეობის იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება მოითხოვს კოლოსალური ოდენობის ფულად რესურსებს, რომელშიაც სახელმწიფო ბიუჯეტის როლი განუსაზღვრელად დიდია.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო შემოსავლებში იზრდება მოგების ანარიცხების ხვედრითი წონა ბრუნვის გადასახადთან შედარებით, რაც იმან განაპირობა, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელებით სისტემატურად იზრდება მოგების მეურნეობრივი მნიშვნელობა და საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივთა დაინტერესება მოგების მოცულობის გადიდებაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი არის მათი მატერიალური სტიმულირების წყარო. თუ 1965 წელს ბრუნვის გადასახადზე მოდიოდა ბიუჯეტის მთელი შემოსავლების 37,8 პროცენტი, ხოლო მოგების გადასახდელებზე 30,2 პროცენტი, 1977 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისად 30,6 და 32,9 პროცენტი, მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობაში მოგება გაიზრდება 50 პროცენტით და მეტად, ხოლო ბრუნვის გადასახადი 25 პროცენტით[1].

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სა-

---

[1] См. «Государственный бюджет СССР и бюджеты союзных республик 1971—1975 гг.» — статистический сборник, М., 1976, стр. 10—11; Пессель М. Финансово-кредитный механизм интенсификации общественного производства, М., 1977, стр. 110.

ხელმწიფო ბანკის საკრედიტო გეგმის შედგენისას ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და საკრედიტო გეგმის ოპტიმალური შედგენის მისაღწევად აუცილებელია მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული ამ გეგმების ყველა მხარე, ამასთან ქვეყნის საფინანსო პროგრამა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დამატებითი სახსრების გამონახვას ეკონომიკის ზრდის დაჩქარებული ტემპების უზრუნველსაყოფად, რაც საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფით მიიღწევა.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენისას დიდმნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფო ბიუჯეტის, სახბანკის საკრედიტო გეგმის, საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის დარგების საფინანსო გეგმების დამუშავება-შედგენა, რომლებიც სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ საფინანსო-საკრედიტო დაგეგმვას გააჩნია თავისებურებანი, რომლებიც რამდენადმე წინააღმდეგობაშია მოქცეული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შემდგომ სრულყოფასთან.

საქმე ეხება იმას, რომ საფინანსო-საკრედიტო დაგეგმვა არ ექვემდებარება პერსპექტიულ დაგეგმვას. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის პერსპექტიული დაგეგმვის აუცილებლობა, მაგრამ საფინანსო-საკრედიტო დაგეგმვა მხოლოდ წლიური გეგმებით შემოიფარგლება. თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას, რომ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმებში სრულებით არ პოულობდეს გამოხატულებას საფინანსო-საკრედიტო რესურსების დაგეგმვა.

ხუთწლიანი გეგმები ითვალისწინებენ მოგების, ასევე კაპიტალურ დაბანდებათა წყაროების დეგეგმვას. იგეგმება აგრეთვე ქვეყნის ფინანსური ბალანსების ძირითადი მაჩვენებლები. მაგრამ სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე პირობები მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო რესურსების პერსპექტიულ დაგეგმვას ერთ მთლიანობაში.

სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ დაგეგმვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ პროგრამებს, რომელთა ფინანსური უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე ნაკლები მნიშვნელობის საქმე როდია. ამიტომ სახალხო მეურნეობის აერს-

პექტიულ დაგეგმვას თანაბრად უნდა დაექვემდებაროს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში საფინანსო საკრედიტო რესურსების პერსპექტიული დაგეგმვა ნაკარნახევია გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროგრესულად მზარდი ხარჯებითაც.

აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ბალანსის მეშვეობით, რომელსაც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ადგენს, წარმოებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შერწყმა, როგორც ნატურალური, ასევე ღირებულებითი მაჩვენებლების სახით. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად მას არა აქვს ოპერატიული ხასიათი. სახალხო მეურნეობის დაფინანსება და დაკრედიტება ხორციელდება მიმდინარე, ოპერატიული გეგმების მეშვეობით.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის დროს კაპიტალურ დაბანდებათა დაკრედიტების როლის ამაღლება იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახბანკის საკრედიტო გეგმას შორის კავშირურთიერთობის გაძლიერებას. ასევე ძლიერდება დაკრედიტების როლი საწარმოთა საბრუნავი საშუალებების ფორმირების საქმეში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბანკის სარგებელი, მისი ოპტიმალური დონე დიდად უწყობს ხელს საწარმოო ფონდებისა და ფულადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობას.

სახელმწიფო ბიუჯეტი უდიდეს როლს თამაშობს სახალხო მეურნეობის პროგრესული და პერსპექტიული დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარების საფინანსო უზრუნველყოფის, საფინანსო რესურსების ცალკეული რაიონებისა და რეგიონების მიხედვით გადანაწილების სახალხომეურნეობრივი პროპორციებისა და საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფისა და სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოების დანახარჯების დაფინანსების საქმეში. მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახის გადასახდელები, ხოლო ბიუჯეტიდან წარმოებს როგორც მატერიალური წარმოების სფეროს, ასევე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება.

მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო

ბიუჯეტის აქტიური როლი ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების საქმეში ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და ძლიერების ინტერესებიდან გამომდინარე. ხუთწლედში გაფართოვდა და განმტკიცდა ბიუჯეტის შემოსავლების ბაზა, გაძლიერდა ბიუჯეტის ზემოქმედება საწარმოებისა და გაერთიანებების საფინანსო შედეგების გაუმჯობესების საქმეში. ეროვნული შემოსავლის საერთო მოცულობასთან ბიუჯეტის ხვედრითი წონა გაიზარდა 1970 წლის 54,1 პროცენტიდან 1975 წლის 60,4 პროცენტამდე.

მეცხრე ხუთწლედში სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტმა შეადგინა 950 მილიარდი მანეთი, ანუ 46 პროცენტით გაიზარდა მერვე ხუთწლედთან შედარებით. ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენდა სოციალისტურ საწარმოთა ფულადი დაგროვების გადიდება, რომელიც მიღწეულ იქნა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებითა და შრომის ნაყოფიერების ზრდით. სახალხო მეურნეობაში მოგების საერთო თანხამ შეადგინა ხუთწლედში 489,1 მილიარდი მანეთი და 50 პროცენტით მეტი იყო მერვე ხუთწლედთან შედარებით. 1971—1975 წლებში მოგების გადასახდელებმა ბიუჯეტში გადააჭარბა 310 მილიარდ მანეთს, რაც 36,2 პროცენტით მეტი იყო მერვე ხუთწლედთან შედარებით, ბრუნვის გადასახადი გაიზარდა 40 პროცენტით და მიაღწია 300 მილიარდ მანეთს[1].

კომუნისტური მშენებლობის ძირითადი უბნებიდან საბიუჯეტო რესურსების თავმოყრამ განაპირობა წარმატებით გადაწყვეტილიყო ისეთი სახალხომეურნეობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანები, როგორიცაა მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკური პროგრესითა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით საბჭოთა ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვნად ამაღლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პრობლემებს. მეცხრე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარებას მოხმარდა 469,3 მილიარდი მანეთის საბიუჯეტო ასიგნებანი, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდას 3,9 მილიარდ მანეთამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

---

[1] См. «Государственный бюджет СССР и бюджеты союзных республик 1971—1975 гг.», стат. сборник, М., 1976, стр. 10—11.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპებიდან გამომდინარე სისტემატიურად ატარებდა და ატარებს სახალხო მეურნეობაზე ცენტრალიზებულად ხელმძღვანელობის სრულყოფის პარალელურად საწარმოების, გაერთიანებებისა და სამინისტროების ოპერატიული დამოუკიდებლობისა და კომპეტენციის გაფართოების კურსს. ამ პროცესზე ნათელ წარმოდგენას იძლევა სახელმწიფო საფინანსო რესურსების სტრუქტურა[1].

ცხრილი 3

	სახელმწიფოს ფინანსური რესურსები სულ	მ ი ი მ ა რ თ ე ბ ა			
		ბიუჯეტის მეშვეობით		სხვა საფ. გეგმის მეშვ.	
		თანხა (მილიარდი მან)	ხვ. წონა (%)	თანხა (მილიარდი მან.)	ხვ. წონა (50)
1961—65 წწ.	576	449	78,0	121	22,0
1966—70 წწ.	913	651	71 3	262	28.7
1971—75 წწ.	1459	951	65.2	508	37,8

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წონა გადამწყვეტია სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფინანსური რესურსებით დაკმაყოფილების საქმეში. ამასთან მეცხრე ხუთწლედში ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაღებულ იქნა 338,7 მილიარდი მანეთი, ანუ 40,9%-ით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. საქართველოს სსრ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა მეცხრე ხუთწლედში 4211,2 მილიონი მანეთი, ანუ 36,6%-ით მეტი მერვე ხუთწლედთან შედარებით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მოხმარდა მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 3894,2 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ მერვე ხუთწლედთან შედარებით 49,4 პროცენტით გაიზარდა[2].

1 Гарбузов В. Ф. Решение XXV съезда КПСС и задачи финансовой системы. Журнал «Финансы СССР», № 5, 1976, стр. 6.

2 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიშებიდან.

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმების განხორციელება უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ფულადი დაგროვების განაწილებასა და გადანაწილებასთან, როგორც საწარმოებსა და სახალხო მეურნეობის დარგებს შორის, ასევე ეკონომიკურ რაიონებსა და რეგიონებს შორის, რაც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე კაპიტალურ დაბანდებათა თავმოყრა-კონცენტრაციას.

გაფართოებული კვლავწარმოებისათვის მიმართულ საწარმოთა ფულად საშუალებებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს შორის სწორი თანაფარდობა მიიღწევა ბიუჯეტის მეშვეობით დაგროვების ფონდის ნაწილის გეგმაზომიერი გადანაწილებით, ისე, რომ არ დაირღვეს საწარმოების (გაერთიანებების) მატერიალური დაინტერესება საბოლოო სახალხომეურნეობრივ შედეგებზე.

მეათე ხუთწლედში სახელმწიფოს მთელი ფინანსური რესურსების მობილიზაცია მოითხოვს სოციალისტური საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან სახელმწიფო შემოსავლების სრულად თავმოყრას. საყურადღებოა ისიც, რომ მიმდინარე ხუთწლედში, როგორც წესი, შემცირების ტენდენცია ახასიათებს მოსახლეობიდან შემოსავლებს, რაც განპირობებულია ხელფასის დაუბეგრავი მინიმუმის გადიდებით და გადასახადებისაგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლებით.

მეათე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის საფინანსო პროგრამის დიდი ნაწილი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 60 პროცენტის განაწილება და გადანაწილება მოხდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება სამუშაო ძალის კვლავწარმოების უზრუნველსაყოფი ასიგნებების გამოყოფა. ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი თანხები გამოყოფილია განათლების დასაფინანსებლად. მაგალითად, მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯებიდან (8576,6 მილიონი მანეთი) განათლებას მოხმარდა 2259,5 მილიონი მანეთი, ანუ მთელი ხარჯების 26,3 პროცენტი. მერვე ხუთწლედთან შედარებით მეცხრე ხუთწლედში ზრდის ტემპმა შეადგინა 37,5 პროცენტი[1].

[1] См. «Государственный бюджет СССР и бюджеты союзных республик 1971—1975 гг.», стат. сборник. М., 1976, стр. 141.

თუ კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში საზოგადოების ძირითადი კლასისათვის კვლავწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულებით, ამიტომ კაპიტალისტს აუცილებელი პროდუქტის ღირებულება აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების მიღების აუცილებელ პირობას. სოციალისტური წარმოების წესის პირობებში საზოგადოება დაინტერესებულია მთლიანად ეროვნული შემოსავლის ზრდით, იქნება ეს აუცილებელი თუ ზედმეტი პროდუქტი; რამდენადაც ეს არის ექსპლუატაციისაგან თავისუფალი ხალხის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი გაფართოებული კვლავწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია ეროვნული შემოსავლის მოცულობის შეფარდება მისი წარმოების ხარჯებთან.

სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება ნიშნავს ეროვნული შემოსავლის ზრდას საზოგადოების მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების გზით, ე. ი. მათი მინიმალური დახარჯვებით და არა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპით.

როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავალი მიიღება ცოცხალი შრომის დანახარჯებით, ხოლო მატერიალური დანახარჯები მისი კვლავწარმოების აუცილებელი პირობაა. ამიტომ საზოგადოებრივი გაფართოებული კვლავწარმოების ეფექტიანობის ამაღლების მთავარი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

ფინანსები უზრუნველყოფს აუცილებელი ფულადი სახსრებით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის გამოყოფილი ფინანსური საშუალებების ეფექტიანობაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კონცენტრაცია მის მთავარ მიმართულებებში; სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცება მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების პრაქტიკულად დანერგვაში;

სსრ კავშირში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაფინანსება ძირითადად ორი წყაროდან ხდება — სახელმწიფო ბიუჯეტის, სახალხო მეურნეობის დარგებისა და საწარმოთა რესურსებიდან.

ამასთან საერთო-სახელმწიფოებრივ გამოკვლევათა დაფინანსება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც მტკიცე გარანტიას ქმნის ამ მეტად სასიცოცხლო დარგის მყარი ტემპებით განვითარებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტისა და საწარმოთა (დარგთა) ფინანსების მეშვეობით მიიღწევა საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების განვითარების ტემპების აუცილებელი შესაბამისობა.

ფინანსები სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ფინანსური რესურსების გადანაწილებით დიდ როლს ასრულებს პროგრესული დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარებისა და ოპტიმალური პროპორციების დამყარების საქმეში, სახელდობრ: მრეწველობა'ა და სოფლის მეურნეობას შორის. ამ უკანასკნელის ტექნიკური აღჭურვა შეიძლება მხოლოდ მრეწველობის შესაბამისი დარგების განვითარებით.

წმინდა შემოსავლის ნაწილის ბიუჯეტური გადანაწილება საშუალებას იძლევა აგრეთვე ეკონომიკური რაიონებისა და რეგიონების მეურნეობათა განვითარებისა, განსაკუთრებით იქ, სადაც არის საამისო სანედლეულო ბაზა და ენერგეტიკული რესურსები არსებობს, მაგრამ დარგის განვითარებისათვის ჯერ კიდევ საკმარისი ოდენობით არ იქმნება საკუთარი დაგროვება.

§ 2. სამეურნეო რეფორმა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის საკითხები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად განხორციელებული სამეურნეო რეფორმა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს ფინანსურ ურთიერთობებში.

პარტიის XXV ყრილობის დასახული უდიდესი სახალხომეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ენიჭება საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფასა და მოქნილად გამოყენებას.

სახალხო მეურნეობის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია შემოსავლებისა და ხარჯების შეწონასწორება, ბალანსი-

რება, რაც უპირატესად მიღწეული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობაში მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მომჭირნეობით გამოყენების გზით. ამ საქმეში დიდი ამოცანები აკისრია საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, რომელიც ითვალისწინებს ფინანსებისა და კრედიტის როლის ზრდას სახალხო მეურნეობაში დაგეგმვის სრულყოფის და სახალხო-მეურნეობრივი გეგმების ოპტიმიზაციისა და დაბალანსების, აგრეთვე ეკონომიკაში მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

სოციალისტურ საზოგადოებაში ფინანსებსა და კრედიტს შორის ჩინური კედლის გავლება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. მართალია კრედიტი დაფინანსებისაგან დაბრუნებითობის პრინციპით განსხვავდება, მაგრამ მათ შორის ეს განსხვავებულობა არსებითი ხასიათის მატარებელი არ არის. საბიუჯეტო ასიგნებები, რომლებიც სახალხო მეურნეობას ხმარდება, საზოგადოებას უბრუნდება ფინანსური რესურსების სახით, რაც მიიღწევა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მონაწილეობით სოციალისტური საწარმოების შემოსავლების გადიდების მეშვეობით. განვითარებული სოციალიზმის პირობებში პროდუქციის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების მართვის საგეგმო-ეკონომიკურ სისტემაში ფინანსები და კრედიტი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს რგოლს და დიდ როლს ასრულებენ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებასა და ძირითადი საბრუნავი ფონდების გამოყენებისა და სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური კონტროლის დაწესებაში. მათი ერთიანობა იმაშიც ვლინდება, რომ კვლავწარმოების პროცესში ისინი ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთს ცვლიან. ხშირად სახალხო მეურნეობის დარგთა დაფინანსება დაკრედიტებით იცვლება და საბოლოო ჯამში ორივე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს საქმეს ემსახურება.

დღეს, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობაში დაბანდებული ყოველი მანეთის ეფექტიანად გამოყენებას, დაფინანსება და დაკრედიტება, მიუხედავად მათი წყაროების სხვადასხვაობისა, ერთნაირი შინაარსისა და ბუნების მატარებელია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ფინანსებისა და

კრედიტის გამოყენების გეგმური ხასიათი განპირობებულია მათი რესურსებისა და წყაროების საზოგადოებრივი წარმოებისა და პროდუქციის განაწილების გეგმური რეგულირებიდან. თუ ამჟამად ფინანსები გამოიყენება უპირატესად საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად, საწარმოთა და გაერთიანებათა ყოველდღიური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული უნდა იქნეს კრედიტით. ასე, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობაში მიმდინარეობს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი, თვისებრივი ძვრები. განსაკუთრებით იზრდება ფინანსებისა და კრედიტის როლი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების, შინაგანი რეზერვების მობილიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში.

ეკონომიკის თანამედროვე მართვის პირობებში სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების ოპტიმალურად დაგეგმვა, რაც სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა ეკონომიკის დინამიკური და პროპორციული განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის ფინანსური რესურსების შექმნას. ეს კი მიღწეული უნდა იქნეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპების განვითარებით, თუ ხელფასის ზრდასთან დაწესებული იქნება სწორი თანაფარდობა.

სახელმწიფო შემოსავლების გადიდებაზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალ ტემპებთან ერთად მოქმედებს მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით და მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით ხარჯვა. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ პარტიის XXV ყრილობამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასვა უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის ამოცანა — მეათე ხუთწლედში სრულვყოთ ნედლეულის, მასალების, სათბობის ხარჯვის ნორმირების, აღრიცხვის სისტემები და გავაძლიეროთ მატერიალური რესურსების გამოყენებისადმი კონტროლი.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ დღემდე სამეურნეო და ეკონომიკური სამსახურების ბევრ მუშაკს სრულყოფილი წარმოდგენა არა აქვს მასზე, თუ რა შედეგებს იძლევა მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების ეფექტიანად გა-

მოყენება და გამოუყენებელი რეზერვების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა. სახალხო მეურნეობაში შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სწორი თანაფარდობა არ შეიძლება მიღწეულ იქნეს მატერიალურ-ფასეულობათა დიდი დანაკარგების დაშვებისა და რესურსების არაეფექტიანად გამოყენების დროს.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ფინანსებისა და კრედიტის წინაშე დგას უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის ამოცანები: კერძოდ, აუცილებელია საფინანსო და საკრედიტო გეგმების სრულყოფილად დამუშავების გზით გაიზარდოს მათი როლი სახალხო მეურნეობის განვითარების ოპტიმალური გეგმის შედგენის, ეროვნული შემოსავლის წარმოებასა და განაწილებაში ჰეშმარიტად სწორი პროპორციების უზრუნველყოფის საქმეში.

ფინანსებისა და კრედიტის მიერ ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელება შეუძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის გარეშე. საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებებთან ერთად ფინანსური დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით დიდი ამოცანები დგას სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების წინაშე, რომლებიც მოვალენი არიან უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცება, დაგეგმვისა და ეკონომიკურ სტიმულირებაში ნორმატიული მეთოდების გამოყენება.

სამეურნეო რეფორმამ განსაზღვრა კონკრეტული გზები და საშუალებები იმისა, თუ როგორი ეფექტიანობით უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიკური ბერკეტები — ფასები, მოგება, ფინანსები, კრედიტი, სამეურნეო ანგარიში და ეკონომიკური სტიმულირების ფონდები.

განვითარებული სოციალიზმის დროს სისტემატურად იზრდება ცენტრალიზებული ფინანსების როლი, როგორც საერთო სახალხომეურნეობრივი და დარგთაშორისო ოპტიმალური კავშირურთიერთობის დამყარების აუცილებელი საშუალებისა. ასევე მნიშვნელოვანია საწარმოების (გაერთიანების) დონეზე ფინანსური ურთიერთობის განვითარება-სრულყოფა, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსების განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

დღეს, ძალზე აქტუალური პრობლემაა მატერიალური წარ-

მოების საფინანსო უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ წყაროებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სახალხო მეურნეობის მასშტაბით ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს საერთო-სახელმწიფოებრივი საფინანსო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ცენტრალიზებული წმინდა შემოსავლის გადანაწილებით ხელს უწყობს ტერიტორიებსა და დარგებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაწესებას, ხოლო საწარმოს (გაერთიანების) დონეზე საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი ყოველმხრივ ასტიმულირებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მისი მეურნეობრივი მართვის ინტერესები შესაბამისობაშია საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა მოიცავს წარმოების დაგეგმვისა და მართვის პროცესში მის ფართოდ გამოყენებას. ფინანსების როლის გაძლიერება ნიშნავს წარმოების ცალკეული რგოლების საფინანსო მოთხოვნილებათა საკუთარი წყაროებითა და სახელმწიფოს ცენტრალიზებული წმინდა შემოსავლის დაფარვის ოპტიმალობის მიღწევას, სადაც უპირატესობა თვითდაფინანსებას ენიჭება.

სამეურნეო რეფორმით საწარმოებს მნიშვნელოვნად გაუფართოვდათ უფლებები: წმინდა შემოსავლის დიდი ნაწილი მათ განკარგულებაში რჩება, რომელიც გამოიყენება წარმოების გაფართოებისა და ეკონომიკური სტიმულირების განვითარებისათვის; სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვით მათ ფართო გასაქანი მიეცათ კრედიტის გამოყენების საქმეში, ძირფესვიანად შეიცვალა ბიუჯეტთან ურთიერთობა, რაც საბოლოო ჯამში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას უწყობს ხელს.

სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვით, საწარმოების (გაერთიანებების) უფლებათა გაფართოებით გაიზარდა მოგების ის ნაწილი, რომელიც მათ განკარგულებაში რჩება წარმოების გაფართოებისა და კოლექტივის წევრთა მატერიალური წახალისების მიზნით.

სამეურნეო რეფორმამ პრინციპულად შეცვალა საწარმოების (გაერთიანებების) ურთიერთკავშირი სახელმწიფო ბიუჯეტთან და საკრედიტო სისტემასთან. საწარმოთა მუშაობის შეფასების ახალი კრიტერიუმების უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის პროდუქციის

რეალიზაციისა და მოგების ზემოდან დაგეგმვის შემოღებით სერიოზული ხასიათის ცვლილებები მოხდა საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესების ხაზით.

სახელმწიფო ბიუჯეტში სამეურნეო რეფორმით დაწესებულმა გადასახდელების ახალმა სისტემამ უზრუნველყო ბიუჯეტის შემოსავლების რეგულარულობა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების განხორციელება; საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოს განკარგულებაში დატოვებულ საფინანსო რესურსების სტაბილურობა.

პერსპექტივაში საწარმომ (გაერთიანებამ) იცის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა რა ეფექტს მისცემს და როგორ უნდა გამოიყენოს ის კოლექტივის მატერიალური წახალისებისათვის, რათა მიღწეულ იქნეს ოპტიმალური საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგები.

სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნამ, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა შექმნამ, როგორც ძირითადი მეურნეობრივი რგოლისა, მართვის, სამეურნეო ანგარიშის მეთოდების გაფართოებამ გამოიწვიეს საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობის შემდგომი სრულყოფა. დღემდე მართვის საკითხების შესწავლისას კრედიტი და უნაღდო ანგარიშსწორება განიხილებოდა როგორც წარმოების მართვის ერთ-ერთი ეკონომიკური ბერკეტი, მაგრამ კრედიტი და უნაღდო ანგარიშსწორება განხილული უნდა იქნეს არა მარტო როგორც მართვის საშუალება, არამედ როგორც მართვის ობიექტიც[1]. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმი, როგორც სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მეურნეობის ეკონომიკური მართვის საერთო მიზნების მისაღწევად.

იმისათვის, რომ საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმი ოპტიმალურად უწყობდეს ხელს დასახული მიზნების განხორციელებას, საჭიროა მისი სრულყოფა, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების ფორმებისა და მეთოდების დახვეწის გზით.

რამდენადაც საწარმოო გაერთიანებები (ძირითადი მეურნეობრივი რგოლი) წარმოადგენს ტერიტორიულად ერთმანეთისაგან და-

---

[1] აღნიშნული აზრი განვითარებული აქვს აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი საფინანსო ინსტიტუტის სექტორის გამგეს ამხ. ვ. პაშკოვსკის.

ცილებულ საწარმოთა სისტემას, მართვის ორგანიზაციის მთავარ საკითხად გამოდის ფილიალებს შორის აუცილებელი კავშირების უზრუნველყოფა, რომელშიც უმთავრესია ეკონომიკურად დასაბუთებული ანგარიშსწორების სისტემის ორგანიზაცია.

გაერთიანებების ანგარიშსწორების ორგანიზაციისას მთავარია უზრუნველყოფილ იქნეს, ერთის მხრივ, საწარმოო ერთეულების მეურნეობრივი ინტერესების დაცვა, ხოლო მეორეს მხრივ, გაერთიანებების საფინანსო რესურსების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა (საფინანსო საშუალებების აკუმულირებისა და ხარჯვის ორგანიზაცია).

ანალოგიური წესით უნდა მოხდეს გაერთიანებებში საკრედიტო ურთიერთობათა ორგანიზაცია. საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის ფუნქციების განაწილება სხვადასხვა დონეზე სხვადასხვაა.

ძირითადი ფუნქციების შესრულება აკისრია გაერთიანებას — მთავარ მეურნეობრივ რგოლს. აქ მართვის ამ დონეზე სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმი, მართვის დანარჩენ დონეზე მოქმედებენ საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის ცალკეული შემადგენელი ნაწილები, რომლის კორექტირება მოხდება გაერთიანების დონეზე.

საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის ძირითადი ელემენტებია:

1. კრედიტის დაგეგმვის სისტემა (დაგეგმვის ობიექტისა და სუბიექტის განსაზღვრა);

2. დაკრედიტების ფორმები და მეთოდები;

3. ანგარიშსწორების ფორმები, გადახდის ვადები და ფულადი საშუალებების გადარიცხვის პერიოდულობა.

გაერთიანებების პირობებში საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს შემდგომი ღონისძიებანი:

1. შემოღებულ იქნეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების დანახარჯებზე სპეციალური მიზნობრივი მოკლევადიანი დაკრედიტება;

2. უფლება მიეცეს საწარმოო გაერთიანებებს განსაზღვრონ ზოგიერთი სახის მოკლევადიან კრედიტზე მოთხოვნები;

3. უნდა გაფართოვდეს საწარმოო გაერთიანებათა დაკრედი-

ტება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისა და ხელფასზე დანახარჯების მიხედვით;

4. გრძელვადიანი დაკრედიტების ხაზით განსაზღვრული უნდა იქნეს დაკრედიტების ობიექტების დაწესების კრიტერიუმი გამომდინარე არსებული ფინანსური რესურსების დასაკრედიტებელ ღონისძიებათა ხასიათისა და ეკონომიკური ეფექტიანობის კვალობაზე.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედი ფინანსური ბერკეტების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ბიუჯეტში გადასახდელების სისტემის სრულყოფა. ვფიქრობთ უნდა ამაღლდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური დაინტერესება გეგმის ზევით ბრუნვის გადასახადის ბიუჯეტში შეტანაზე. ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულება გათვალისწინებული უნდა იქნეს მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის დროს და ცუდი არ იქნება ბრუნვის გადასახადის ზეგეგმური ნაწილი ზემოთ აღნიშნული ფონდის ერთ-ერთ წყაროდ გავხადოთ. ასევე მიზანშეწონილია ფონდების საფასური ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხებზე დამოკიდებული გავხადოთ. იმისათვის, რომ ამაღლდეს ფონდების საფასურის ეკონომიკური ეფექტიანობა, აუცილებელია გავზარდოთ იმ სამინისტროთა და უწყებათა ფონდების საფასურის ნორმა, რომლებსაც დიდი ოდენობით ურჩებათ მოგების თავისუფალი ნაშთი.

ფონდების საფასურის ამოღების მექანიზმი სრულყოფილად არ არის დამუშავებული, რომლის მიზეზები ბევრია, მაგრამ თუ მათ განვაზოგადებთ, მივიღებთ შემდეგ ცნობილ დებულებას: ეკონომიკური მექანიზმის არც ერთი ელემენტი არ უნდა წარმოვადგინოთ იზოლირებულად, განვიხილოთ კომპლექსში, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. ფონდების საფასურის ეფექტიანობისათვის საჭიროა ეკონომიკური ბერკეტების მთელი კომპლექსი გამოვიყენოთ რაციონალურად, როგორიცაა: ფასები, ბრუნვის გადასახადი, ფიქსირებული გადასახდელები, მოგება, რენტაბელობა და ა. შ.

დებულება იმის შესახებ, რომ ფონდების საფასური ჯერ კიდევ ნაკლებად მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაზე, სწორია, მაგრამ ეს არ გვაძლევს მისი შეცვლის უფლებას. სრული სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და საწარმოთა გადაყვანა თვითდაფინანსებაზე კიდევ უფრო ზრდის ფონდების საფასურის ობი-

ექტურობას. ის არის გამოუყენებელი რეზერვების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის ერთ-ერთი მთავარი საშუალება.

როგორც ცნობილია, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდით შემოღებულ იქნა საზოგადოებისათვის გამიზნული მოგების ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღების ახალი წესი, რითაც შესაძლებელი ხდება:

გათანაბრებულ იქნეს საწარმოებს შორის არსებული ობიექტური უთანაბრობანი საწარმოო ფონდებისა და საკრედიტო რესურსების გამოყენებაში;

საზოგადოების (სახელმწიფოს) ხელში ფინანსური რესურსების დაგროვება და მისი შემდგომი გადანაწილება სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად;

კოლექტივის და მისი თითოეული წევრის მატერიალური დაინტერესების ამაღლება მატერიალური და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებაში;

საწარმოების, გაერთიანებების მატერიალურ, ფულად და შრომით რესურსებზე მოთხოვნის გეგმურ მოწოდებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი დარგის ორი საწარმოს ფონდაღჭურვა სხვადასხვაა, განსხვავებულია წარმოების საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებიც. როგორც წესი, ის კოლექტივი, რომელიც იყენებს უფრო მეტი მოცულობის საწარმოო ფონდებს, მით უკეთესი შედეგი აქვს, ასევე საწარმოს მიერ ბანკის სესხების დიდი მოცულობით გამოყენება მოგების გადიდების ოპტიმალურ პირობებს ქმნის იმ საწარმოებთან შედარებით, რომელიც ნაკლებად იყენებს კრედიტებს.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესით საწარმოს (გაერთიანების) მიერ საწარმოო ფონდების ეფექტიანად გამოყენების მიზნით შემოღებული იქნება წმინდა შემოსავლის ამოღება ფონდებზე საფასურის სახით. სახალხო მეურნეობის ბევრ დარგს სახელმწიფო ბიუჯეტში შეაქვს ფონდებზე საფასური საწარმოო ფონდების წლიური ღირებულების 6 პროცენტის ოდენობით, ამასთან გეგმით ზარალიანი და მცირე რენტაბელური საწარმოები ამ გადასახდელიდან განთავისუფლებული არიან. მრავალი საწარმოო ფონდებზე საფასურს შემცირებული ოდენობით იხდის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების 25

პროცენტზე მეტი განთავისუფლებულია გადასახდელისაგან. ეს რამდენადმე ხელს არ უწყობს წარმოების განვითარებას. ასევე სწორად უნდა მივიჩნიოთ იმ ეკონომისტების მოსაზრება, რომლებიც ამტკიცებენ რომ დაბალია გრძელვადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთი[1]. მრეწველობაში გამოყენებული გრძელვადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთი ტოლია დაუფარავი დავალიანების 0,5 პროცენტისა (წლიურად), ეს მაშინ, როდესაც მოკლევადიან კრედიტებზე სარგებლის განაკვეთი მაღალია. მაგალითად, სარგებელი კრედიტზე ზენორმატიულ მარაგებზე გზაში შეადგენს 7 პროცენტს, ბანკის ვადაგადაცილებულ სესხზე კი ამოიღება 10 პროცენტი, ხოლო კრედიტზე გზაში მყოფ საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე — 2 პროცენტი.

სსრ კავშირში არის მთელი რიგი სახის სესხები, რომლებზედაც სარგებლის გადახდა საერთოდ არ არის დაწესებული. გამოდის, რომ ფონდებზე საფასურისა და კრედიტის სარგებლისაგან საწარმოს განთავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა მივცეთ მის ხელმძღვანელებს სახსრების უყაირათოდ ხარჯვის უფლება, რაც ეწინააღმდეგება სადღეისო მოთხოვნებს.

ამრიგად, ფონდებზე საფასურისა და კრედიტის სარგებლის განაკვეთის შემცირება ასუსტებს საწარმოს კოლექტივის მატერიალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე — საწარმოთა ფონდების, საბრუნავი საშუალებების და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფონდებზე საფასური და კრედიტის სარგებელი სრულ შესაბამისობაშია საზოგადოებრივ მოთხოვნილებასთან, მაშინ საწარმოს (გაერთიანების) კოლექტივი სამეურნეო ანგარიშის პრინციპებიდან გამომდინარე დაინტერესებული იქნება მოითხოვოს კაპიტალური დაბანდებანი იმ მოცულობით, რომელიც დააკავშირებს მათ წინაშე დასმული ამოცანების ოპტიმალურ განხორციელებას. მაგალითად, თუ ხუთწლედში კოლექტივის წინაშე დასახულ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის საჭიროა დამატებით 1 მილიონი მანეთის ფონდები, ხოლო მოთხოვნილია

---

[1] «Нормативная ответственность хозрасчетных коллективов перед обществом». См. «Совершенстование хозяйственного механизма», под редакцией Бунича П., Ж., 1976, стр. 47.

2 მილიონი მანეთის, ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდების უკუგება არ იქნება სახალხომეურნეობრივი გეგმის შესატყვისი, ვერ მივიღებთ საჭირო ეფექტს, ხოლო ფონდებზე საფასური გაღებული იქნება დაწესებული განაკვეთით, რაც გამოიწვევს მოგების მოცულობის შემცირებას, რენტაბელობის დონის დადაბლებას და აქედან გამომდინარე, წარმოების ეფექტიანობის დაცემას.

ფონდებზე საფასურის არაეფექტიანობა იმაშიც გამოიხატება, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები არასრულყოფილად გამოიყენება. ზოგიერთი საწარმოს საწარმოო ფონდების სიმძლავრეები უფრო მეტია, ვიდრე მათზე დაშვებული საწარმოო პროგრამები. ეს განსაკუთრებით ეხება რესპუბლიკის მსუბუქი, კვებისა და აგროილობრივი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებს. მაგალითად, გორის ბამბეულის კომბინატში ძირითადი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება დართვასა და ქსოვაში არ აღემატება 55,1 პროცენტს, ქუთაისის ბამბეულის გაერთიანებაში — ქსოვაში — 46,4-ს, თბილისის წინდების ფაბრიკაში — 67 პროცენტს და ა. შ. ძირითადი საწარმოო ფონდების არადამაკმაყოფილებლად გამოყენება იწვევს ფონდუკუგების დაცემას.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ფონდუკუგება შემცირდა კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში (469 კაპიკიდან 399 კაპიკამდე), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში (365 კაპიკიდან 350 კაპიკამდე), მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში (560 კაპიკიდან 495 კაპიკამდე) და ა. შ.[1].

თანამედროვე პირობებში გაფართოებული სოციალისტური კელავწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული როლი მოგებას ენიჭება. კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროებში მთავარ ადგილს იკავებს საკუთარი სახსრები, რომლებშიც მთავარია მოგება, ამიტომ საწარმოები (გაერთიანებები) სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რათა მოგების მოცულობა, როგორც წარმოების საბოლოო შედეგების მაჩვენებელი, გაიზარდოს.

პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-

---

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების წლიური ანგარიშებიდან.

ცია ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში მოგების როლის ზრდას. ყრილობაზე ხაზგასმული იყო, რომ გასულ ხუთწლედში მიღებულ იქნა 500 მილიარდი მანეთის მოგება, რომელმაც გააფართოვა და განამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ბაზა და გააძლიერა მისი ზემოქმედება საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებაზე.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში მოგების მასტიმულირებელი როლი იმაში გამოიხატება, რომ ძირითად ფონდებსა და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებზე საფასური პირდაპირ არის დამოკიდებული საწარმოო ფონდების მოცულობაზე, რამდენადაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება მათი საშუალო წლიური ღირებულების ნაწილი მტკიცე პროცენტის სახით: რაც უფრო დაბალია საწარმოო ფონდების სიდიდე, მით ნაკლებია ჩასარიცხი სახელმწიფო ბიუჯეტში და პირიქით. ამ პირობებში მოგების დიდი ნაწილი რჩება საწარმოს (გაერთიანების) განკარგულებაში დეცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად, რითაც წარმოებული უნდა იქნეს ძირითადი ფონდების გაფართოებული კვლავწარმოების განსახორციელებელი სამუშაოები.

მიუხედავად იმისა, რომ ფონდებზე საფასურის მოცულობა ბიუჯეტის შემოსავლებში სისტემატურად იზრდება, ჯერ კიდევ დაბალია მისი როლი ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში. რაც ჩვენი აზრით, გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1971 წლიდან წარმოების განვითარების ფონდში მოგებიდან ანარიცხები ხორციელდება არა საანგარიშსწორებო, არამედ საბალანსო მოგებიდან, რაც უარყოფითად მოქმედებს ფონდების საფასურის მასტიმულირებელ ფუნქციაზე; უკანასკნელ წლებში მრეწველურ დარგებში ძალზე მერყეობს რენტაბელობის დონე, მიუხედავად ამისა, ძირითადად ყველგან გამოიყენება ფონდებზე საფასურის ერთიანი 6-პროცენტიანი ნორმატივი. ეს იმას იწვევს, რომ ეცემა ფონდებზე საფასურის ხვედრითი წონა და იზრდება ბიუჯეტის შემოსავლებში მოგების თავისუფალი ნაშთის ხვედრითი წონა. ამასთან საწარმოთა და გაერთიანებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა საბოლოოდ ფასდება არა საანგარიშსწორებო, არამედ სა-

ბალანსო მოგებით. ამ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ბიუჯეტში შენატანები იქნება ფონდებზე საფასურის სახით თუ მოგების თავისუფალი ნაშთიდან.

საწარმოთა სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის საწარმოს განკარგულებაში დატოვება განაპირობებს წარმოების შემდგომ სრულყოფას. ამასთან იზრდება საწარმოს ხარჯების დაფარვის წყაროებად ბანკის კრედიტების გამოყენების მნიშვნელობა.

სამეურნეო რეფორმისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობის შედეგად სოციალისტური საწარმოების (გაერთიანებების) მოთხოვნილებები გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად იფარება ორი — საბიუჯეტო და საკრედიტო გზით, რომელთაგან უპირატესობა უკანასკნელს ენიჭება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ქმნის დამატებით ეკონომიკურ სტიმულებს კაპიტალური დანახარჯების უკუგების ასამაღლებლად და ზრდის საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო შედეგებზე მეურნეობრივი გაძღოლის პასუხისმგებლობას. ყოველივე ეს მიიღწევა კრედიტების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, მათი დაბრუნების, ვადიანობისა და ბანკის სარგებლის გათვალისწინებით.

სამეურნეო რეფორმის განხორციელებამ გამოიწვია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ხარჯების დაფარვას გარედან მოზიდული ფულადი სახსრებით დაბრუნებითობის საფუძველზე, ვადიანი სესხის სახით. საბანკო კრედიტის ძირითადი პრინციპები განაპირობებენ მის უპირატესობას დაფინანსებასთან შედარებით. მაგალითად, კრედიტის დაბრუნებითობა იწვევს საწარმოს დაინტერესებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, ხოლო სესხის სარგების განაკვეთი დანახარჯების შემცირების სტიმულირებას. ამასთან ყოველი კრედიტი მიზნობრივი დანიშნულებით გაიცემა, რაც ზრდის მანეთით კონტროლის ფუნქციას.

სესხის უზრუნველყოფითობა კრედიტის სარგებლობისათვის აუცილებელი პირობაა, რაც გარკვეულ ჩარჩოებში აყენებს საწარმოს, უფრო სწორად, ყოველი ნასესხები მანეთი გამოყენებული უნდა იქნეს მაქსიმალური უკუგებით და ეფექტიანობით, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო ვერ მიიღებს საჭირო ოდენობით დაგროვებას და აღებულ სესხებს ვადამდე ვერ დაფარავს.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საკრედიტო ურთი-

ერთობათა განვითარება-განმტკიცება ნაკარნახევია სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდების სრულყოფით, სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვით. სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის პირობებში მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ეფექტიანი გამოყენება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება მათი ოპტიმალური კავშირურთიერთობა საკრედიტო მექანიზმის გამოყენებასთან.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო კრედიტის განვითარების უმნიშვნელოვანესი მომენტებია მატერიალური წარმოების სფეროში კრედიტის როლის გაძლიერება, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე გაცემული საკრედიტო დაბანდებათა უპირატესი განვითარება, საწარმოო ფონდების დანახარჯებზე კრედიტის ხვედრითი წონის ზრდა, საბრუნავ საშუალებათა დანაკლისის დაკრედიტება, დაკრედიტების პრინციპების გამარტივება-სრულყოფა.

სამეურნეო რეფორმა მოითხოვს სოციალისტური კრედიტის პრინციპების გამოყენების სრულყოფას. ისინი ობიექტური ხასიათის მატარებლებია და ორგანულად დაკავშირებული არიან სოციალისტური მეურნეობრივი მართვის პრინციპებთან. საბანკო კრედიტის პრინციპებია:

1. კრედიტის ფუნქციონირების გეგმაზომიერი ხასიათი, ე. ი. ფულადი რესურსების მიზიდვისა და მათი გამოყენების უზრუნველსაყოფად საბანკო ოპერაციების გეგმაზომიერი სრულყოფა;

2. სოციალისტური კრედიტის უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი პირდაპირი ხასიათი, რომელიც გამოიხატება ბანკებთან საწარმოების უშუალო ურთიერთობაში;

3. კრედიტის პრინციპებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკურად მიზანშეწონილობის პრინციპი, რომელმაც უნდა განსაზღვროს როგორც ფულადი საშუალებების მოზიდვა, ასევე მისი გეგმაზომიერი განაწილება და გადანაწილება ბანკებსა და საწარმოებს, ბანკებსა და საფინანსო ორგანოებს, ბანკებსა და მოსახლეობას შორის;

4. კრედიტის უზრუნველყოფითობის, ანუ კრედიტის მატერიალური გარანტირების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპთაგანია;

5. კრედიტის უზრუნველყოფითობის პრინციპთან ორგანულა-

დაა დაკავშირებული კრედიტის დაბრუნებითობისა და ვადიანობის პრინციპი.

კრედიტი ვადიანობის მიხედვით ორგვარია: მოკლევადიანი, რომელიც დაკავშირებულია კვლავწარმოების ციკლში საბრუნავი საშუალებების მოძრაობასთან და გრძელვადიანი — რომელიც გამოიყენება ძირითადი ფონდების კვლავწარმოების პროცესში. გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში ძირითადი და საბრუნავი ფონდების საკრედიტო მეთოდით დაფინანსება ხელს უწყობს საწარმოებსა და გაერთიანებებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და საბელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რაც თავის მხრივ იწვევს სახსრების დროებით გამოთავისუფლებას და მათ კვლავწარმოების ინტერესებისათვის ისევ გამოყენებას საკრედიტო მეთოდის მოშველიებით. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მოკლევადიანი კრედიტის მეშვეობით ხდება სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი საშუალებების 45 პროცენტის ფორმირება, ხოლო მთელი რეალიზებული პროდუქციის 75 პროცენტი ბანკის სესხებითაა ანაზღაურებული.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გაცემული კრედიტების უზრუნველსაყოფად გამოიყენება სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი, სასაქონლო დოკუმენტაცია, მოსალოდნელი მოგების მოცულობა, პროდუქციის გამოსავლიანობა და პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები იმ შემთხვევებში, როდესაც გადასახდელები არ ემთხვევა სახსრების შემოსულობას, აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნებანი.

სამეურნეო რეფორმამ წინა პლანზე დააყენა კრედიტის ეფექტიანობისა და მისი კრიტერიუმების შესწავლის პრობლემა. სავსებით მართებულად მიუთითებს ნ. ბარკოვსკი, რომ კრედიტის ეფექტიანობა რთული გასარკვევია: ჯერ ერთი, კრედიტი არ შეიძლება მხოლოდ რაოდენობრივი განზომილებებით გამოვსახოთ. კრედიტი არის საზოგადოებრივი, ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ზემოქმედებს არა მარტო ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ ამ უკანასკნელის გავლენით თვითონაც ვითარდება; მეორე. კრედიტი მოიცავს მთელს მატერიალურ წარმოებას, ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებას, საკუთრების სხვადასხვა ფორმებს შორის ურთიერთობას და მესამე, კრედიტის მოძრაობა იშვიათ შემთხვევაში ატარებს დამოუკიდებელ ხასიათს. აქედან დასკვნა: კრე-

დიტის ეფექტიანობა არ შეიძლება ერთი მაჩვენებლით გამოვხატოთ[1].

საბანკო კრედიტის ეფექტიანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, საქონელბრუნვის მოცულობა 1 მანეთ კრედიტზე, მიღებული მოგების მასა 1 მანეთ კრედიტზე, კრედიტის ბრუნვადობა დღეებში.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა არსებითად შეცვალა საკრედიტო მექანიზმის სტრუქტურა. უკანასკნელ წლებში კრედიტი უფრო მოქნილი გახდა, ამასთან გაიზარდა დაკრედიტების ობიექტების ოდენობა, გამარტივდა კრედიტების გაცემის წესი და გადიდდა დაფარვის ვადები, რითაც განმტკიცდა საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპები.

საკრედიტო დაწესებულებები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. საკრედიტო დაბანდებათა მეშვეობით წარმოებს ახალი სახისა და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის გადიდების სტიმულირება. პროდუქციის ახალი სახეობის წარმოების მომზადებისა და სერიული გამოშვების სტიმულირებისათვის გაიცემა კრედიტი 1 წლიდან 3 წლამდე. ამასთან პროდუქციის ხარისხის გაუარესება იწვევს საკრედიტო სანქციების გამოყენებას, რომელთაგან აღსანიშნავია, იმ ნედლეულისა და მასალების კრედიტით უზრუნველყოფიდან გამოთიშვა, რომლისაგან შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება; დაბალი ხარისხის პროდუქციის დაკრედიტებაზე უარის თქმა, გადახდის უუნარო და ურჩ მყიდველებთან ანგარიშსწორების სპეციალური ფორმების შემოღება — საგადასახდელო მოთხოვნის წინასწარი ანალიზაურება, ისეთი პროდუქციის ზეგეგმური გამოშვებისათვის, რომლებსაც შეზღუდული გასაღება აქვს, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე პრემიების გაუცემლობა და ა. შ.

მეცხრე ხუთწლედში ქვეყნის მასშტაბით კრედიტით თითოეული მანეთით წარმოებულ და რეალიზებულ იქნა მეტი პროდუქცია, ვიდრე მერვე ხუთწლედში, სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში დაჩქარდა კრედიტის ბრუნვადობა, მნიშვნელოვნად გან-

---

[1] Барковский Н. Д. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 43.

ვითარდა საკრედიტო დაბანდებანი სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ და პროგრესულ დარგებში; გაიზარდა ბანკების როლი ძირითადი საწარმოო ფონდების ექსპლუატაციაში დროულად გაშვებისა და ამოქმედების საქმეში, შემცირდა დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი, გაიზარდა საკრედიტო დაგეგმვისა და კრედიტით მართვის ორგანიზაციის მეცნიერული დონე.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კრედიტის გამოყენების ეფექტიანობა მჭიდრო კავშირშია იმ ფუნქციების განხორციელებასთან, რომელსაც იგი ასრულებს. სოციალისტური კრედიტის ფუნქციებია: 1. განმანაწილებელი, 2. ნამდვილი ფულის მოძრაობისა და მისი საკრედიტო ფულით (ბანკნოტებით) შეცვლისა და 3. საკონტროლო ფუნქცია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწავლულ ეკონომისტთა ერთი ნაწილი კრედიტის მე-3 ფუნქციის არსებობას არ ცნობს (პროფ. ზ. ატლასი, პროფ. გ. შვარცი, პროფ. ვ. გერაშჩენკო და სხვ.)[1].

კრედიტის საკონტროლო ფუნქციას თანამედროვე პირობებში უმნიშვნელოვანესი ამოცანები ეკისრება, სწორედ მაშინ, როდესაც საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა და საკრედიტო ურთიერთობათა გაფართოება წინა პლანზე აყენებს კრედიტის გამოყენების ეფექტიანობის შესწავლასა და მასზე კონტროლის დაწესებას, მეცნიერ ეკონომისტების დიდი ნაწილი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს[2].

სოციალისტური კრედიტის განმანაწილებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთი ნაწილის, აგრეთვე მოსახლეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სამუალებები გამოიყენება საწარმოთა და ორგანიზაციათა მეორე ნაწილის ფულად საშუალებებზე დროებით საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბანკის კრედიტის სახით.

კრედიტი განმანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ

---

[1] См. Атлас В. В., Шварц Г. А., Атлас М. С., Геращенко В. С. Денежное обращение и кредит СССР, 1976, стр. 207.

[2] См. Барковский Н. Д. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 26—33.

ნორმალური სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში.

კრედიტის მეორე ფუნქციის — ნამდვილი ფულის მოძრაობისა და მისი საკრედიტო ფულით შეცვლის ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის დროსაც ნამდვილი ფულის როლში ოქრო გამოდის. მაგრამ შიდა სამეურნეო მიმოქცევაში ფულის ოქროს მონეტის სახით გამოყენება მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პირობებში არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ ფულის შემცველის როლში მისი ნიშნები გამოდის, როგორც მიმოქცევაში ოქროს შემცველი.

სოციალიზმის დროს ფულის ემისიას კრედიტის ხასიათი აქვს, რის გამოც მას გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში ნორმალური მოქმედების საშუალება და პირობები გააჩნია. კრედიტი ამ ფუნქციაში იწვევს მიმოქცევის ხარჯებში ეკონომიას და მისი განვითარების თანამედროვე პირობებში ნაღდი ფულის მიმოქცევა იცვლება საკრედიტო ოპერაციებით. მატერიალური წარმოების სფეროში ანგარიშსწორება წარმოებს საკრედიტო ბილეთებით, საანგარიშსწორებო დოკუმენტებით, დეპოზიტებით და ა. შ.

სოციალისტური კრედიტის საკონტროლო ფუნქცია ხორციელდება საკრედიტო ურთიერთობის პირობებში. ცნობილია, რომ ბანკის დაწესებულებები საწარმოთა დაკრედიტებას აწარმოებენ დიფერენცირებულად. მანეთით კონტროლის განხორციელებისას ცუდად მომუშავე საწარმოთა მიმართ იყენებენ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმს და სხვადასხვა საკრედიტო სანქციებს, ხოლო კარგად მომუშავე საწარმოებზე ავრცელებენ საკრედიტო შეღავათებს.

თუ საკრედიტო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო-საწარმოო საქმიანობის სხვადასხვა მხარის შემოწმებას, საკრედიტო ურთიერთობის სფერო შეზღუდული იქნება, ხოლო გაცემული კრედიტები ნაკლებად ეფექტიანი, დაირღვევა მათი დაბრუნების ვადა და დაბრუნებითობის პრინციპი, რაც გამოიწვევს ფულის ზეგეგმურ ემისიას.

სოციალისტური კრედიტის საკონტროლო ფუნქცია იმაშიც მდგომარეობს, რომ მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოთა საქმიანობის ყოველმხრივი ანალიზით უზრუნველვყოთ სამეურნეო

ანგარიშის განმტკიცება, მატერიალური საშუალებების გამოყენების შემწეობით გავარკვიოთ საგადასახდელო დისციპლინის მდგომარეობა, რაც საწარმოთა მუშაობის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებელია. ამასთან მანეთით კონტროლის ეფექტიანობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი განხორციელების მეთოდებთან, დაკრედიტების რეჟიმთან, რასაც დიდი ყურადღება მიაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა.

მეათე ხუთწლედში კრედიტმა, სხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების მსგავსად, უნდა უზრუნველყოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ ისინი დაინტერესებული იყვნენ დაბაბული გეგმების აღებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

კრედიტის როლის გაძლიერება უშუალო კავშირშია სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფასთან, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცებას, მოგების როლისა და ეკონომიკური სტიმულირების შემდგომ გაძლიერებას.

დღეს ისე, როგორც არასოდეს დღის წესრიგში დგას კრედიტის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა. ამ საკითხზე 70-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა სპეციალური დისკუსია, რომელიც შეჯამდა სამეცნიერო-კვლევითი საფინანსო ინსტიტუტის სამეცნიერო თათბირზე და გამოქვეყნდა 1971 წელს შემდეგი სახელწოდებით: „სამეცნიერო თათბირის მასალები. კრედიტის ეფექტიანობა და მისი გაანგარიშების ხერხები“. დისკუსიაზე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ ერთი ნათელი იყო, უნდა გარკვეულიყო საკრედიტო მექანიზმის ეფექტიანობის კრიტერიუმი. დაკრედიტების ან კრედიტის ეფექტიანობის აღნიშვნისას შეუძლებელია შემოვიფარგლოთ ერთი რომელიმე მაჩვენებლით, საჭიროა მაჩვენებელთა სისტემა, რომლითაც, როგორც კომპლექსში, გამოვლინდება კრედიტის როლი. ამასთან არ არის მართებული იმ ეკონომისტთა მოსაზრება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კრედიტის ეფექტიანობის კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება, ან რენტაბელობის დონე, ან 1 მანეთ კრედიტზე რეალიზაციის მოცულობა და ა. შ.

ჩვენთვის მთავარია შესწავლილ იქნეს საკრედიტო მექანიზმის გამოყენების ეფექტი. ეს კი შეიძლება გაირკვეს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზით, სადაც ნათლად დავინახავთ საბრუნავი საშუალებების გამოყენების დონეს, მის ბრუნვადობას, პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების მასის ზრდას, ფონდუკუგებას და ა. შ.

ამრიგად, კრედიტის ეფექტიანობის გარკვევა შეიძლება არა რომელიმე ერთი მაჩვენებლით, არამედ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა დონეზეა დამოკიდებული დასაკრედიტებელ საწარმოთა მთელი საქმიანობა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებით სახალხო მეურნეობის განვითარებაზე ორმხრივ ზემოქმედებს: ჯერ ერთი, მთლიანობაში, და მეორე, სახალხო მეურნეობაზე, საკრედიტო დაწესებულებები კრედიტებს იყენებენ ერთი რომელიმე მიზნის მისაღწევად.

კრედიტი მატერიალური და ფულადი საშუალებების ბრუნვის დაჩქარებაში კატალიზატორის როლს ასრულებს, ამით ის ხელს უწყობს მატერიალური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და, საერთოდ, გაფართოებული კვლავწარმოებების მთელი პროცესის დაჩქარებას.

კრედიტი ხელს უწყობს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. კრედიტის დაბრუნებითობა და მიზნობრიობა ასტიმულირებს საბოლოო სახალხომეურნეობრივი ოპტიმალური შედეგების მიღწევას, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა საწარმოო დანიშნულების ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეკონომიურად, მიზნობრივად გამოყენებას და სოციალისტური დაგროვების მოცულობის გადიდებას.

კრედიტის ერთ-ერთი დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხისა და მისი გამძლეობის გაუმჯობესებას.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს საწარმოო და სამრეწველო გაერთიანებები იკავებენ, საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა, კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, სისხლხორცეული ამოცანაა.

ამჟამად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა დაკრედიტება წარმოებს იმავე მეთოდებით, როგორიცაა დაწესებული ამ დარგის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძველი წესით სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო კომპლექსების დაკრედიტებას ახასიათებს მნიშვნელოვანი ხარვეზები, სახელდობრ: არსად არ არის სრულად დაცული დაკრედიტების პრინციპები, რომლებსაც შეეძლო უზრუნველეყო კრედიტის ვადაზე დაბრუნება და მისი მიზნობრიობის დაცვა. არსებული დაკრედიტების მექანიზმის საწარმოო გაერთიანებების დაკრედიტებისას გამოყენება არ გამოხატავს იმ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლითაც ხასიათდება როგორც მათი საქმიანობა, ასევე ფონდების წრებრუნვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ გვქონდეს კრედიტის დაბრუნების გარანტია, საწარმოო (სამრეწველო) გაერთიანებების დაკრედიტების მექანიზმის შემდგომი სრულყოფა უნდა წარიმართოს ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ საშუალებებს შორის, სასესხო ანგარიშების ფორმები, დაკრედიტების მიზანი და ობიექტი.

სახელმწიფო ბანკი კრედიტის მეშვეობით მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საწარმოთა საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენების საქმეში. განვითარებული სოციალიზმის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა საბრუნავი საშუალებების ფორმირებასა და ნორმირებაში კრედიტის როლის ამაღლებას. საწარმოს საბრუნავი საშუალებების ქვეშ იგულისხმება იმ საშუალებების ერთობლიობა, რომელიც დაბანდებულია შრომის პროდუქტებსა და მზა ნაწარმის მარაგებში, აგრეთვე ის საშუალებები, რომლებიც წარმოებისა და მიმოქცევის პროცესების სხვადასხვა სტადიაში იმყოფებიან.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი საშუალებების ფორმირების საქმეში.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების საბრუნავი საშუალებები მა-

თი ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფის აუცილებელი წყაროა. სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საბრუნავი საშუალებების საერთო თანხა 1975 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 300 მილიარდ მანეთს, ხოლო მისი ბრუნვადობის მხოლოდ ერთი დღით დაჩქარებით მიღწეული სუფთა ეკონომია აღწევს 3 მილიარდ მანეთს[1].

თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებას იქიდან ჩანს, რომ პარტიის XXV ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ჩაწერა: „საშუალოდ 3—5 დღით დავაჩქაროთ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა, არ დავუშვათ მასალებისა და მოწყობილობის ზედმეტი მარაგის დაგროვება“[2].

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ჯერ კიდევ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში საწარმოთა საფინანსო მდგომარეობის განმტკიცების საქმე პირველი რიგის ამოცანად იყო მიჩნეული. რკპ (ბ) მეთორმეტე ყრილობის რეზოლუციაში „დაფინანსება, დაკრედიტება, გადასახადები და საბაჟო განაკვეთი“ ხაზგასმულია, რომ „მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, გაჯანსაღებისა და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ნამდვილი მოწესრიგება რეალურ სახელმწიფო რესურსებთან და მათ გეგმიან ხარჯვასთან მისი მიახლოების აზრით“[3]. ყრილობაზე აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია და უდიდეს ბოროტებად უნდა იქნეს მიჩნეული, როცა არ არის ერთიანობა და შეთანხმებულობა საწარმოო გეგმებსა და იმ რესურსებს შორის, რომლებიც რეალურად მოიპოვება მათ შესასრულებლად. ეს პრაქტიკა გარდუვალად გამოიწვევს ყოველგვარი საწარმოო და ფინანსური გეგმების დარღვევას და ძირს უთხრის სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა სიმყარეს.

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

---

1 См. Жеватяк П. Н., Колесников В. Н. Прибыль в социалистическом расширенном воспроизводстве. М., 1976, стр. 173.

2 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 228.

3 „სკკპ ყრილობის, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 902.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 23 აგვისტოს № 673 დადგენილებაში „1976—1980 წლებში სამეურნეო ბრუნვაში მატერიალური რესურსების ჩართვისა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების შესახებ“ აღნიშნულია, რომ მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ იქნა საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის რამდენადმე დაჩქარება, რამაც ხელი შეუწყო სახალხოშეურნეობრივი გეგმების წარმატებით შესრულებას.

ამასთან დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები ჯერ კიდევ არ ღებულობენ გადამჭრელ ღონისძიებებს მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული და არასაჭირო მარაგების სალიკვიდაციოდ. პროდუქციის მასალატევადობისა და მისი წარმოებების დანახარჯების შესამცირებლად, მასალების ხარჯვის პროგრესული ნორმების დასანერგავად, ზოგიერთ დარგში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ზრდა უსწრებს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპს. მრეწველობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა დარგში მატერიალური რესურსების ნაწილი ზენორმატიულ და გამოუყენებელ მარაგში რჩება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილებით საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს დაუწესა საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების, მასალებისა და დაუდგმელი მოწყობილობის ზენორმატიული მარაგის შემცირების ხარჯზე მეათე ხუთწლედში 35 მილიონი მანეთის მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა, ხოლო მთლიანად კავშირში ეს თანხა მიაღწევს 11 მილიარდ მანეთს.

ამ დადგენილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა: ერთი თვის ვადაში დაუშვან დაქვემდებარებულ გაერთიანებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე 1976—1980 წლებში მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის დავალებები;

გაერთიანებებმა, საწარმოებმა, მშენებლობებმა და ორგანიზაციებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მატერიალური რესურსების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების, პროდუქციის მასალატევადობისა და მის წარმოებაზე დანახარჯების შემცირების, მასალების

ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვისა და მასალათა ეკონომიური სახეობების ფართო წარმოებისა და გამოყენების, წარმოების გრაფიკების და მარაგის ოპტიმალური ნორმების დაწესების, მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მატერიალურ-ფასეულობათა ჭარბი და გამოუყენებელი მარაგის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის, სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გამოვლინებული ჭარბი მატერიალური რესურსები პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გასაძიდებლად.

ამ დადგენილებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების დანერგვის საკითხების საუწყებათაშორისო კომისიას დაევალა გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებში ჩართოს ჭარბი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების, აგრეთვე ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გეგმური ნაშთების დავალებათა შესრულების მაჩვენებლებიც და დასამტკიცებლად წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება შესამჩნევად შეუწყობს ხელს მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოების მუშაკთა კოლექტივების შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, მათ მატერიალურ წახალისებას, აგრეთვე მატერიალურ პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგების მიხედვით.

ასეთი დიდმნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევა ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და ჩვენი ქვეყნის განვითარების შემდგომ პერიოდებში საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე შემთხვევითი მოვლენა არ იყო.

როგორც ცნობილია, საბრუნავი საშუალებების ფორმირების ძირითადი პირობები დადგენილ იქნა 1930—1932 წლების საკრედიტო რეფორმით, რომელმაც კომერციული კრედიტი შესცვალა პირდაპირი საბანკო დაკრედიტებით, საწარმოთა საკუთარი საშუალებებით იფარებოდა საბრუნავი საწარმოო ფონდებისა და მზა ნა-

წარმის აუცილებელი მინიმალური მარაგი. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროდ მიჩნეული იყო მოგება და საბიუჯეტო ასიგნებანი. საკრედიტო რეფორმა ამასთან ითვალისწინებდა სეზონურ და სხვა დროებით საჭიროებებზე მოკლევადიანი კრედიტის გაცემას. ასეთი წესი ხელს უწყობდა საწარმოთა დაინტერესებას საკუთარი საბრუნავი საშუალებების შენარჩუნებასა და მის რაციონალურ, მომჭირნეობით გამოყენებაზე.

საწარმოებზე საკუთარი საბრუნავი საშუალებების გამოყოფამ და მისმა ნორმირებამ ხელი შეუწყო სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, შექმნა იმის გარანტია, რომ მომხდარიყო საბრუნავი საშუალებების გეგმაზომიერი ფორმირება და გამოყენება.

საბრუნავი საშუალებები ფორმირების მიხედვით იყოფა: საკუთარ, მასთან გათანაბრებულ და ნასესხებ წყაროებად.

საწარმოს საკუთარი საბრუნავი საშუალებები ეწოდება იმ საშუალებებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამოეყოფა მას მუდმივი სარგებლობისათვის და იქმნება საწესდებო ფონდის, მოგებისა და ზემდგომი ორგანოების მიერ სხვა საწარმოების გადანაწილების მეშვეობით;

საკუთარ საბრუნავ საშუალებებთან გათანაბრებულია ის საშუალებები, რომელიც სახელმწიფოს მიერ არ გამოყოფია საწარმოს, მაგრამ მუდმივად მის განკარგულებაშია საწარმოსა და მისი კონტრაგენტების ურთიერთანგარიშსწორების პირობით. მას უწოდებენ აგრეთვე მყარ პასივებს;

ნასესხები ის სახსრებია, რომელიც მიღებულია ბანკიდან სესხის სახით ან კრედიტორული დავალიანებანი.

ამჟამად საბრუნავი საშუალებების ნორმირების საერთო პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ საწარმოში ცალკე იყოს აღრიცხული და ურთიერთდაკავშირებული: წარმოება, მომარაგება, გასაღება და ანგარიშსწორება.

საწარმოში საბრუნავი საშუალებების თითოეული ელემენტის ოდენობა დგინდება პირდაპირი ანგარიშის მეთოდით.

საბრუნავი საშუალებების ნორმატივების გაანგარიშებისას თითოეულ საწარმოში უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების გასაუმჯობესებლად, მატერიალურ ფასეულობათა და შრომითი დანახარჯების ნორმირების შესამცირებ-

ლად. საბრუნავი საშუალებების ნორმირება ცალკეული მუხლების მიხედვით წარმოებს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საბრუნავი საშუალებების ნორმირების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი მოწესრიგებით, შეეხება ეს წარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, თუ პროდუქციის გასაღების საკითხებს.

ეს პრობლემები მთლიანად გადაწყდება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის პირობებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულ იქნა, რომ საწარმოთა რენტაბელობის განსაზღვრა სახეზე მყოფი საბრუნავი და ძირითადი საშუალებების, მათზე საფასურის დაწესების გათვალისწინებით იწვევს საბრუნავი საშუალებების გამოყენების გაუმჯობესებაში საწარმოთა დაინტერესების ამაღლებას.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში საბრუნავი საშუალებების მოცულობა 6-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც მრეწველობაში იგი მხოლოდ 4-ჯერ გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელში მისი გამოყენების ეფექტიანობა უფრო მაღალია, ვიდრე მეურნეობის სხვა დარგებში. სულ სხვა მდგომარეობა შეიმჩნევა საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროების განვითარებაში. მეცხრე ხუთწლედის პერიოდში საკუთარი და მასთან გათანაბრებული საბრუნავი საშუალებების ხვედრითმა წონამ შეადგინა მხოლოდ 35 პროცენტი, ხოლო მთელი მოცულობის 65 პროცენტს წარმოადგენდა ბანკის კრედიტი. მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება საბრუნავ საშუალებათა მოცულობაში მოზიდული სახსრების ხვედრითი წონა.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს დარგებში გაიზარდა კრედიტის ხვედრითი წონა და შესაბამისად შემცირდა საკუთარი რესურსების წილი საწარმოების საბრუნავი საშუალებების შექმნის წყაროებში.

როგორც ჩანს, ბანკის კრედიტის ხვედრითი წონა საბრუნავი საშუალებების წყაროებში მნიშვნელოვანია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება.

უკანასკნელი პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა ბანკის კრედიტის როლი საწარმოთა

ცხრილი 4

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროების დინამიკა[1]

საბრუნავი საშუალების შექმნის წყაროები	წლის დასაწყისში %					
	1965 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
ს უ ლ	100	100	100	100	100	100
მათ შორის						
ა) საკუთარი და მასთან გათანაბრებული საშუალ.	38,3	34,1	33,6	32,1	29,5	23,0
ბ) ბანკის კრედიტი	47,1	45,9	45,3	44,7	45,1	45,0
გ) კრედიტორები	11,5	13,3	14,0	16,4	18,9	20,4
დ) სხვადასხვა წყაროები	3,1	6,7	7,1	6,8	6,6	6,6

საბრუნავი საშუალებების ფორმირებაში, ფართოდ იხილავენ საკუთარი და ნასესხები საშუალებების ოპტიმალურ თანაფარდობაში ბანკის კრედიტის საზღვრების საკითხებს. ეს საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია. ზოგიერთი ეკონომისტი მოითხოვს ბანკის კრედიტის ხვედრითი წონის შემცირებას, ზოგიერთი კი მის გადიდებას. აღნიშნულის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი, საჭიროა მისი დროული გადაწყვეტა.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და გაერთიანებების საბრუნავი საშუალებების უპირატესად ბანკის კრედიტის მეშვეობით ფორმირებას ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი თვლის სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცებისათვის ზიანის მომტანად. მაგალითად, საბჭოთა ეკონომისტების პ. ჟეტვაკისა და ვ. კოლესნიკოვის აზრით, აღნიშნული ტენდენცია მრეწველობაში ასუსტებს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, მასების შემოქმედებით ინიციატივას და ფინანსური რესურსების მანევრირებას. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები თანდათანობით კარგავენ საკუთარ ფინანსურ ბაზას, რის გამოც ბანკის ინსტრუქციები მათ არ აძლევს საშუალებას აუცილებლობის შემთხვევაში ეფექტიანად გამოიყენონ საბრუნავი საშუალებები, რო-

[1] См. Барковский Н. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 196.

მელიც მათ საკუთრებაში არ შედის და მის წყაროდ წარმოდგენილია სახელმწიფო ბანკის კრედიტი[1]. მათი აზრით, საბრუნავი საშუალებების ფორმირების ოპტიმალურ წყაროდ მიჩნეულია მოგება, რომლითაც სრულყოფილად განვითარდება სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპები.

პ. ჟევტიაკისა და ვ. კოლესნიკოვის მოსაზრებები სწორი არ არის. სამეურნეო რეფორმის პირობებში საბრუნავი საშუალებების ფორმირების საქმეში საკრედიტო მექანიზმის სრულყოფილად გამოყენება არა თუ ასუსტებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, პირიქით, კიდევ უფრო უწყობს ხელს მის განმტკიცებას და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებას, ამასთან იზრდება სამეურნეო ხელმძღვანელთა მატერიალური პასუხისმგებლობა საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ასევე იზრდება მანეთით კონტროლი.

ჩვენი აზრით, ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ სამეურნეო რეფორმით დაწესებული ბანკის კრედიტის ხვედრითი წონა — 40—50 პროცენტის ოდენობით. აქ მთავარია არა ის კრედიტის წილი ერთი ან ორი პროცენტით მეტია თუ ნაკლები, არამედ შეუძლია თუ არა ბანკს საკრედიტო მექანიზმის მოქნილად გამოყენებით საწარმოთა საგადასახდელო ბრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს კრედიტით მოემსახუროს.

საწარმოებს ნასესხები საბრუნავი საშუალებები ეძლევათ ბანკის მოკლევადიანი კრედიტების სახით: სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ მარაგზე და გზაში მყოფ საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე;

სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი სესხები, როგორც ნასესხები საბრუნავი საშუალებების წყარო, განსხვავდება საკუთარი და მასთან გათანაბრებული საბრუნავი საშუალებებისაგან. ამ უკანასკნელს საწარმოები იყენებენ საკუთარი შეხედულებებით, მაშინ, როდესაც ნასესხები საშუალებები მხოლოდ მიზნობრივად შეიძლება იქნეს გამოყენებული და დაწესებულ ვადებში დაბრუნებული.

„ბანკის მოკლევადიანი კრედიტები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ მარაგზე იყოფა გეგმურ და არაგეგმურ კრედიტებად. გეგმური კრედიტები ძირითადად გაიცემა სა-

[1] См. Жевтяк П. Н., Колесников В. И. Прибыль в социалистическом расширенном воспроизводстве, М., 1976, стр. 177—182.

საქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სეზონურ ზენორმატიულ მარაგზე. არაგეგმური მოკლევადიანი კრედიტების გაცემა კი ძირითადად დაკავშირებულია გეგმის შესრულების პროცესში წარმოშობილ ისეთ გადახვევებთან, როგორიცაა, მაგალითად, მასალების ვადაზე ადრე მიღება, პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულება და სხვა"[1].

სამეურნეო რეფორმის გატარებით მოკლევადიანი კრედიტის საზღვრების გაფართოებასთან ერთად წარმოებს მათი თვისობრივი სრულყოფა. თუ სამეურნეო რეფორმამდე სახბანკის სესხებით უპირატესად მრეწველობის სეზონური დარგების საბრუნავი საშუალებების ფორმირება ხდებოდა, ამჟამად დიდია კრიტიკის ხვედრითი წონა არასეზონური დარგების საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვაში, მთელი საწარმოო ციკლის განმავლობაში.

საწარმოს მოზიდული ნასესხები საშუალებების სახესხვაობაა კრედიტორული დავალიანებანი, რომლებიც დროებით არიან ჩართული საწარმოს საშუალებებში და წარმოადგენენ სხვა საწარმოთა საკუთრებას. ასეთ სახსრებს მიეკუთვნება — კრედიტორული დავალიანებები, სპეციალური ფონდებისა და მიზნობრივი დაფინანსების საშუალებები, საამორტიზაციო ფონდი, რომელიც შეიტანება სამშენებლო ბანკში, ბანკის ვადაგადაცილებული სესხი და ა. შ.

იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო მეურნეობაში საბრუნავი საშუალებების მოცულობა ასეულ მილიარდი მანეთობით განისაზღვრება, პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას. საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებზეა მთლიანად დაკისრებული საბრუნავი საშუალებების შენარჩუნება-გამოყენებაზე პასუხისმგებლობა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები: 1967 წლის 3 აპრილის — „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", 1973 წლის 22 აგვისტოს — „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესების გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" დასახულია ქმედითი ღონისძიებანი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

---

[1] ვ. ზურაბიშვილი, რ. კაკულია, საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, თბ. 1976, გვ. 142.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ დიდია იმ საწარმოთა რაოდენობა, რომელთა საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივებში გათვალისწინებული არ არის ეკონომიკის, წარმოების ორგანიზაციის ფინანსების, კრედიტისა და ანგარიშსწორების განვითარების თანამედროვე დონე, რის გამოც დარგში იქმნება ზოგიერთი დისპროპორცია საბრუნავი საშუალებების ნორმატივებსა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის გეგმურ ნორმას შორის.

საწარმოთა და ორგანიზაციათა საბრუნავი საშუალებების ნორმირების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა ხელს უწყობს მისი ოპტიმალური ოდენობით განსაზღვრას, რისთვისაც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სახალხო მეურნეობის გეგმის მაჩვენებლები და ამ გეგმის შესრულების პროცესში მოხდენილი ცვლილებები, ამასთან საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივები უნდა პასუხობდნენ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ეფექტიანი გამოყენების მოთხოვნებს, ხელს უწყობდნენ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებასა და ოპტიმალური საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგების მიღწევას.

იმასთან დაკავშირებით, რომ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილ სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებს უფლება მიეცათ თვითონ დაამტკიცონ საბრუნავ საშუალებათა ნორმატივები, მაგრამ სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცების ნაცვლად პრაქტიკაში ვაწყდებით საწინააღმდეგო მოვლენებს: „საწარმოები დაუსაბუთებლად ამცირებენ დასაკრედიტებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნორმატივებს და ღებულობენ მეტ კრედიტებს, რითაც არღვევენ საკუთარ და ნასესხებ საშუალებებს შორის გამიჯვნის პრინციპებსა და გეგმურ პროპორციებს. ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს შესამჩნევი სხვაობა ფონდების საფასურისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სეზონურ დაგროვებაზე გაცემული კრედიტის სარგებლის ოდენობაში“[1].

პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც საწარმოების ფონდების საფასურის მოცულობის შემცირების მიზნით არ

---

[1] **Барковский Н. Д. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 197.**

ზრდიან საბრუნავ საშუალებათა ნორმატივს და ამ საშუალებების დანაკლისს ფარავენ ბანკის კრედიტით, რაზედაც შესამჩნევად ნაკლებ სარგებელს იხდიან, ვიდრე ფონდებზე საფასურის ოდენობაა. ამასთან ნორმატივების ხელოვნური შემცირებით ზრდიან რენტაბელობას (რენტაბელობის გამოანგარიშებისას გამოითიშება დაკრედიტებული მატერიალური ფასეულობანი). ასეთი არასახელმწიფოებრივი მიდგომა ზიანს აყენებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმისა და პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისა და მისი შენარჩუნების საკითხებს. იმის გამო, რომ მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში სათანადო დონეზე არ დგას სახელმწიფო, საგეგმო, საფინანსო, საგადასახდელო, სახელშეკრულებო და საშემსრულებლო დისციპლინა, ვერ ინარჩუნებენ საბრუნავ საშუალებებს, ამას ხ კონტროლო და საანგარიშსწორებო საკითხების მოუწესრიგებლობაც უწყობს ხელს. საწარმოთა გარკვეულ ნაწილში ეკონომიკური სამსახურების უგერგილო მუშაობის შედეგად ყურადღება არ ექცევა მოგების გეგმის შესრულებას, ზარალების შემცირებას და დებიტორული დავალიანებების ლიკვიდაციას, ხშირად საბრუნავ საშუალებებს იყენებენ ისეთ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც სპეციალური სახსრებით უნდა იქნეს დაფინანსებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით აიკრძალა საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დაფარვა საბიუჯეტო ასიგნებით. იგი უნდა დაიფაროს საკუთარი წყაროებით. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის შემოღებით საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დასაფარავად იყენებენ დამატებით მოგებას, რომელიც განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებით მიღებული უნდა იქნას 3 წლის განმავლობაში, ხოლო მის მიღებამდე გაიცემა ბანკის კრედიტი, ხოლო ზეგეგმური მოგებიდან ეკონომიკური სტიმულირების ფონდში ამცირებენ ანარიცხებს 30 პროცენტით და ამ თანხით საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი დაიფარება.

პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების

მიუხედავად, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენების საქმე.

საწარმოები და ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებელი სამეურნეო მუშაობის შედეგად ვერ ასრულებენ მოგების გეგმებს, რითაც უზრუნველყოფილი არ არის საკუთარი საბრუნავი საშუალებების შენარჩუნება.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ დაშვებული საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი წლების მიხედვით ასეთ სახეს ღებულობს[1]:

1971 წლის	1 იანვრის	მდგომარეობით	— 26,4	მილიონი მანეთი
1972 წლის	„	„	— 31,0	„
1973 წლის	„	„	— 66,2	„
1974 წლის	„	„	— 51,2	„
1975 წლის	„	„	— 60,5	„
1976 წლის	„	„	— 69,8	„
1977 წლის	„		— 90,9	„

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ თუ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი 1971 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 26,4 მილიონ მანეთს, 1975 წლის 1 იანვრისათვის მან მიაღწია 60,5 მილიონ მანეთს, ხოლო 1977 წლის 1 იანვარს გადააჭარბა 90,9 მილიონ მანეთს. საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის ზრდის დინამიკა მეტყველებს სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო მდგომარეობის მოუწესრიგებლობაზე.

საკუთარ საბრუნავ საშუალებებს წლების განმავლობაში ვერ ინარჩუნებენ მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები (ცხრილი 5)[2].

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით აღნიშნული სამინისტროები არ ატარებენ ქმედით ორგანიზაციულ-

---

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიშებიდან.

2 მონაცემები აღებულია შესაბამისი სამინისტროების წლიური ანგარიშებიდან.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი
მილიონ მანეთობით ყოველი წლის 1 იანვრისათვის

დასახელება	ს. 1971	ს. 1972	ს. 1973	ს. 1974	ს. 1975	ს. 1976	ს. 1977
მშენებლობის სამინისტრო	2,6	3,9	6,7	11,2	14,5	23,4	28,5
მიუბუჟი მრეწველობის სამინისტრო	3,9	7,0	12,6	9,1	8.1	11,5	9,0
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4,6	3,6	21,2	9,6	12,1	9,7	29.5

ტექნიკურ ღონისძიებებს, ამასთან ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები უშვებენ არამწარმოებლურ ხარჯებს, ეწევიან უყაირათო მუშაობას და სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის სისტემატური შევსების მიუხედავად ყოველწლიურად წარმოიშობა ახალი დანაკლისები, რომლებსაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებით „სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების სრულყოფის შესახებ“[1] საწარმოები, რომლებიც საკუთარი მიზეზებით ვერ უზრუნველყოფენ მოგების გეგმის შეუსრულებლობას ან დაუშვებენ ზეგეგმურ ზარალს და ამით ვერ შეინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, ვალდებული არიან საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი დაფაროს მომდევნო წლებში დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებული ზეგეგმური მოგების (ეკონომიის). ხოლო აუცილებელ შემთხვევებში ეკონომიკური სტიმულირების შემცირების გზით. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ეს ღონისძიებანი არ სრულდება რიგი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ, მათი ზემდგომი ორგანოები ცდილობენ საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი დაიფაროს სახელმწიფო ბიუ-

[1] «Хозяйственная реформа в СССР», М., 1969, стр. 121.

ჯეტის სახსრებით. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ უწყობს ხელს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და უგულებელყოფს თვითანაზღაურების, თვითდაფინანსებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპების მოთხოვნებს.

მაგალითად, სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დასაფარავად წარმართულ იქნა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან უმნიშვნელო თანხები. საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1975 წელს საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის 4600 ათ. მანეთის ოდენობით არსებობის პირობებში ეკონომიკური სტიმულირების ფონდიდან წარმართა მხოლოდ 90 ათასი მანეთი, ანუ დარიცხული თანხის მხოლოდ 1,9 პროცენტი ნაცვლად 30 პროცენტისა; ანალოგიურად, კვების მრეწველობის სამინისტრომ მათ დასაფარავად მიმართა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარიცხული თანხის მხოლოდ 9,3 პროცენტი; შესაბამისად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 10,7 პროცენტი, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მხოლოდ 1,0 პროცენტი და ა. შ. ეს მაშინ, როდესაც 1971—1975 წლებში და 1976 წლის პირველ ნახევარში საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემულ იქნა 163,5 მილიონი მანეთის ასიგნებანი[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უფლება მიეცა საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით შესავსებად საწარმოებზე გასცეს კრედიტი 2 წლის ვადით, რომელიც უნდა დაიფაროს კონკრეტული, დამატებითი ღონისძიებების გატარებით. მაგრამ ასეთი სახის სესხით რესპუბლიკის საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად სარგებლობენ. 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით შესავსებად სახბანკის კრედიტი გამოყენებული ჰქონდა 9 სამინისტროს საწარმოებს (მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, საშენ მასალათა, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრე-

---

[1] მონაცემები აღებულია შესაბამისი სამინისტროების წლიური ანგარიშებიდან.

ბო მომსახურების, მშენებლობის, სოფლის მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების საწარმოებს) და ისიც არასრულად.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით შესავსებად გამიზნულ კრედიტებს არასრულყოფილად იყენებენ მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებში. მაშინ, როდესაც 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე, საკუთარ საბრუნავ საშუალებებში დანაკლისი გაუჩნდათ 10,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რომელთაგან ეკონომიკური სტიმულირების ფონდიდან დაიფარა 2,7 მილიონი მანეთი, სახბანკის სესხით კი 5,5 მილიონი მანეთი, ხოლო 2 მილიონი მანეთი საერთოდ დაუფარავი დარჩა.

საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება მოითხოვს საკრედიტო ზემოქმედების ზომების გაძლიერებას, რათა მათ სრულად გამოიყენონ აღნიშნული კრედიტი და ამით საბანკო დაწესებულებამ მეტი კონტროლი დააწესოს იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების საქმეში, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის შევსება.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მძიმე ფინანსურ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ზემდგომი ორგანოები არადამაკმაყოფილებლად იყენებენ კანონით მათზე მინიჭებული საბრუნავი საშუალებების შიდა სასისტემო გადანაწილების უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საფინანსო გეგმით. ამასთან ბევრ დაქვემდებარებულ საწარმოს წლიური ანგარიშგებით გააჩნია ზედმეტი საკუთარი საბრუნავი საშუალებანი, რომლის გადანაწილებას არ ახდენენ, რაც ხელს უწყობს სახსრების უყაირათო და არამწარმოებლურ ხარჯვას.

1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 34 საწარმოს გააჩნდა საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიჭარბე 5,7 მილიონი მანეთის ოდენობით, მაშინ, როდესაც 42-ს დაშვებული ჰქონდა 18,8 მილიონი მანეთის საბრუნავი საშუალებების დანაკლისი. ანალოგიურად კვების მრეწველობის სამინისტროს 147 საწარმოს აღენიშნებოდა საკუთარი საბრუნავი საშუალე-

ბების სიჭარბე — 13,1 მილიონი მანეთი, ხოლო 115 საწარმოს ნაკლებობა — 21,2 მილიონი მანეთის ოდენობით[1].

საკუთარი საბრუნავი საშუალებების მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს მათი სხვა მიზნებისათვის იმობილიზაცია, ე. ი. ამ სახსრების უკანონოდ გამოყენება იმ მიზნებისათვის, რომელთა ღონისძიებებზე მათი ხარჯვა არ შეიძლება, მაგალითად, კაპიტალურ მშენებლობებზე, კაპიტალურ რემონტზე და ა. შ., რომლებიც მიზნობრივი სახსრებით უნდა დაიფაროს.

კაპიტალურ მშენებლობებზე საკუთარი საბრუნავი საშუალებების იმობილიზაცია 1976 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გააჩნდა კვების მრეწველობის სამინისტროს 3969 ათ. მანეთი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — 3605 ათასი მანეთი, საშენ მასალათა სამინისტროს — 1076 ათასი მანეთი და ა. შ.

საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროებსა და უწყებებზე დაშვებულია ყოვლწლიურად ამ მარაგების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის დავალებები, მათი ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია არა თუ აჩქარებს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობას, არამედ, პირიქით, უშვებს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის შენელებას, რაც ამძიმებს მათ საფინანსო მდგომარეობას. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში დაშვებულ იქნა ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის შენელება — 1971 წელს 4 დღით, 1972 წელს — 9 დღით, 1973 წელს — 9 დღით, 1974 წელს — 3 დღით და 1975 წელს — 5 დღით. ანალოგიური მდგომარეობაა საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სამინისტროებში.

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები არ ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს და ეწევიან არასათანადო მუშაობას სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგების სალიკვიდაციოდ და საკუთარი საბრუნავი საშუალებების გამოსათა-

---

[1] მონაცემები აღებულია შესაბამისი სამინისტროების წლიური ანგარიშებიდან.

ვისუფლებლად, არ წარმოებს მათი მდგომარეობის ანალიზი, არ სწავლობენ ზენორმატიული მარაგების შექმნის მიზეზებს, არ იბრძვიან უსარგებლო და ჭარბი მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციისათვის, პირიქით, ზოგჯერ მათი ნაშთები იზრდება კიდეც.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთი მეცხრე ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა 2,2 მილიონი მანეთით, ანუ 39,4 პროცენტით და 1976 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 7,9 მილიონ მანეთს. შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გაიზარდა 80,6 პროცენტით და მიაღწია 8.9 მილიონ მანეთს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში — 84,5 პროცენტს და შეადგინა 23,4 მილიონი მანეთი და ა. შ[1].

სასაქონლო მარაგების არასაკმარისი მანევრირების, მრეწველობაზე შეკვეთების ზერელედ დადების შედეგად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქონლის ბრუნვადობის შენელებამ შეადგინა 3,8 დღე, ხოლო ცეკავშირში 8 დღე. ამასთან რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას მთელს კავშირში საქონლის დაბალი ბრუნვადობით ბოლო ადგილი უკავია (157 დღე), სწორედ ამის შედეგად ორივე სისტემას გააჩნდა 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქონლის ზენორმატიული მარაგი 119,1 მილიონი მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა დაუდგმელი მოწყობილობის ნაშთის შემცირებას, რაც ამძიმებს საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობას. მაგალითად, 1976 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს გააჩნდათ ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი დაუდგმელი მოწყობილობები 1640 ათ. მანეთის ოდენობით, საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოებს — 1086 ათ. მანეთი, კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს — 603 ათ. მანეთი და ა. შ.

მიუხედავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 აგვისტოს № 594 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესების გაუმჯობესების ზოგიერთ

---

1 ციფრობრივი მასალები აღებულია შესაბამისი სამინისტროების წლიური ანგარიშებიდან.

ღონისძიებათა შესახებ", სამინისტროები და უწყებები არ ატარებენ სათანადო მუშაობას ამ ზენორმატიულ ნაშთებზე ბანკის კრედიტების გამოყენების შესახებ. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ საწარმოები და ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ კონკრეტული და რეალური ღონისძიებების შემუშავებას ერთი წლის ვადაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების შესამცირებლად და მინიმუმამდე დასაყვანად.

საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საფინანსო საქმიანობას ისიც ამძიმებს, რომ მათი საბრუნავი საშუალებების დიდი ნაწილი მოქცეულია გაუმართლებელ დებიტორულ დავალიანებებში. რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში ამ დავალიანებას ზრდის ტენდენცია გააჩნია (ცხრილი 6)[1].

ცხრილი 6

	დებიტორული დავალიანებები		
	1971 წლის 1 იანვარი	1976 წლის 1 იანვარი	გადახრა (+, —)
მშენებლობის სამინისტრო	14108	20837	+ 6669
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	5989	7381	+ 1392
კვების მრეწველობის სამინისტრო	3582	9703	+ 6121
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	3365	12061	+ 8696
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1144	2725	+ 1581
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1991	4120	+ 2129
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	1134	3986	+ 2852
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	1570	7150	+ 5580
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2737	3735	+ 998
ვაჭრობის სამინისტრო	2411	9770	+ 7359
ცეკავშირი	2805	11950	+ 9145
საქსოფლტექნიკის გაერთიანება	1976	2610	+ 634

მოტანილი მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ფაქტიურად ყველგან გაიზარდა დებიტორული დავალიანებანი, აღ-

[1] მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მასალებიდან.

ნიშნულის სალიკვიდაციოდ არ წარმოებს მიზანსწრაფული ბრძოლა, ზოგჯერ სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო და საგეგმო სამსახურებს დებიტორების ზუსტი სიებიც კი არ გააჩნიათ. ხოლო ბევრი უიმედო დებიტორია.

სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა (გაერთიანებების) და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობაზე და, საერთოდ, წარმოების ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტრო და უწყება სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებას, არ ღებულობს კონკრეტულ ღონისძიებებს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მიერ 1975 წელს შემოწმებული საქონლის რაოდენობიდან დიდი ნაწილი დაწუნებული ან დაბრუნებულ იქნა წარმოებაში გადასამუშავებლად. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაუბრუნდა გადასამუშავებლად ან გადაყუანილ იქნა მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში საფეიქრო-საგალანტერიო საქონელი— 26,6 პროცენტი, ქსოვილები — 19,3 პროცენტი, ტყავის ფეხსაცმელი — 19,9 პროცენტი, სამკერვალო ნაწარმი — 16,9 პროცენტი, ტრიკოტაჟის ნაწარმი — 15,7 პროცენტი.

საკრედიტო მექანიზმში არსებითი ცვლილებები შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 აგვისტოს დადგენილებამ „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესების გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა თანამედროვე პირობებში უნდა წარიმართოს კრედიტის როლის გაძლიერების, მისი დაბანდების სფეროს გაფართოების, დაკრედიტების პრინციპების შემდგომი განმტკიცების, კრედიტის გეგმურ-მიზნობრივი ხასიათისა და აუცილებელი დაბრუნებითობის უზრუნველყოფის საკრედიტო დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების გზით.

მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია წარმოების ხარჯების ავანსირების საკრედიტო მეთოდების როლის გაძლიერება, განსაკუთრებით ისეთ ხარჯებში, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, მეურნეობის საბრუნავი საშუალე-

ბების ფონდების გამოყენების სისწორესთან, სასაქონლო-მატერიალურ საშუალებათა და ფულადი რესურსების ბრუნვადობის დაჩქარებასთან და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად მატერიალური წახალისების შემდგომ სრულყოფასთან.

მიუხედავად გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, ჯერჯერობით საკრედიტო მექანიზმის გამოყენების ეფექტიანობას არ მიუღწევია ოპტიმალურ საზღვრებამდე. საბანკო სესხები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასტიმულირებს საწარმოებს (გაერთიანებებს) გამოუყენებელი შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მათი სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. მიუხედავად საკრედიტო მექანიზმზე დამყარებული იმედებისა, პრაქტიკაში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც კრედიტი ხელს უწყობს მოჩვენებითობას და ნაკლოვანებების მიჩქმალვას. მაგალითად, თუ საკრედიტო დაწესებულებამ დააკრედიტა ძნელად სარეალიზაციო ან გაუსაღლიანი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგი, მაშინ ირღვევა სამეურნეო ანგარიშის პრინციპები და საკრედიტო მექანიზმი წარმოებას უბიძგებს არასასურველი შედეგების მიღწევისაკენ, იქმნება დროზე აუნაზღაურებელი ვადაგადაცილებული სესხებისა და მყიდველების დავალიანება, რაც დამატებითი ხარჯების გაღებას მოითხოვს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე საკრედიტო ზემოქმედების სფერო მარტო საკრედიტო ურთიერთობით არ განისაზღვრება. წარმოების ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ბანკის სარგებელი, რომელიც კრედიტის საფასურის სახით გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტის სარგებელი ორგანულად არის დაკავშირებული სესხის მოძრაობასთან და წარმოუდგენელია მისი ფუნქციონირების გარეშე, მაინც დამოუკიდებელ ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური როლის შესრულება შეუძლია. სამეურნეო რეფორმამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბანკო კრედიტს, რამდენადაც მას გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება-სრულყოფაზე. მასში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის საწარმოს კომერციული ინტერესები, ასევე კოლექტივისა და თითოეული წევრის მატერიალური ინტერესები.

სარგებელი ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება-

სა და სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მის დონეზე დიდად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობაში დაბანდებული კრედიტის რაოდენობა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბანკო კრედიტის სარგებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოებმა (გაერთიანებებმა) არ დაუშვან სამეურნეო ბრუნვაში ზედმეტი ნასესხები საშუალებების მოქცევა, გაუღვიძონ მათ კრედიტის უფრო ეფექტიანად და მომჭირნეობით გამოყენებისადმი ინტერესი, რათა მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. უკანასკნელ პერიოდში საბანკო კრედიტის სარგებლის როლი კიდევ უფრო გაძლიერდა, როგორც წარმოების რაციონალურად გაძღოლის დამატებითი სტიმულატორისა.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის დანერგვამდე კრედიტის სარგებლის განაკვეთი დაბალი და არასრულყოფილად დიფერენცირებული იყო, რის გამოც მას არ გააჩნდა საკმაო ეფექტიანობა. სარგებლის გადასახდელი შეჰქონდათ არა საწარმოთა საქმიანობის საბოლოო სამეურნეო შედეგებში, არამედ პროდუქციის თვითღირებულებაში. საბანკო სარგებლის დაბალი განაკვეთების გამო საწარმოები ყურადღებას როდი აქცევდნენ კრედიტის დაბრუნების ვადების დაცვას, რითაც მისი წარმოების ეფექტიანობაზე ზემოქმედება თანდათანობით სუსტდებოდა.

ახალმა სამეურნეო რეფორმამ გაითვალისწინა კრედიტის სარგებლის არაეფექტიანობა და გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულ იქნა ის გარემოება, რომ აუცილებელი კავშირურთიერთობა უნდა დაწესდეს კრედიტის სარგებელსა და ფონდების საფასურს შორის. ამჟამად საბჭოთა ეკონომისტებს შორის მიმდინარეობს კამათი კრედიტის მექანიზმის სრულყოფის, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე. ეკონომისტების ერთი ნაწილი მოითხოვს კრედიტის სარგებლის როლის შესუსტებას და ფონდების საფასურის მნიშვნელობის ამაღლებას, რომელზედაც დამოკიდებული იქნება კრედიტის სარგებელი, ე. ი. ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ საჭიროა ბანკის მიერ დაკრედიტებული მატერიალური ცვასეულობებიდან ამოღებულ იქნეს ფონდების საფასური, ხოლო კრედიტის სარგებლის განაკვეთი

დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე. იგი უნდა იყოს მხოლოდ სიმბოლური ხასიათის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად კრედიტით აშენებული ობიექტები მისი დავალიანების საბოლოო დაფარვამდე თავისუფალია ფონდების საფასურის გადახდისაგან, საწარმოები დაინტერესებული არიან კრედიტის სარგებლის განაკვეთის დაბალი დონის გამო ფართოდ ისარგებლონ ბანკის სესხებით და ამასთან სრულებით არ ზრუნავენ გააუმჯობესონ ფონდებისა და კრედიტის გამოყენების ეფექტიანობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კრედიტის სარგებლის განაკვეთის დონე ოპტიმალურად მივუახლოვოთ ფონდების საფასურის განაკვეთს. აღნიშნული რამდენადმე გამოსწორდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით, რომლითაც ნებადართულ იქნა სარგებლის განაკვეთის დიფერენციაცია კრედიტის სახეების მიხედვით. ამასთან გასათვალისწინებელია საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მოთხოვნილი კრედიტის ოპტიმალური მოცულობა, საფინანსო და საგადასახდელო დისციპლინისა და დაკრედიტების პრინციპების დაცვა, კრედიტების მასტიმულირებელი როლი — მოგვცემს თუ არა იგი საამისო ეკონომიკურ ეფექტს და საბოლოო სამეურნეო შედეგებს. მოკლევადიანი კრედიტების განაკვეთის მინიმალური საშუალო წლიური დონეა 2 პროცენტი, მაქსიმალური კი 10 პროცენტი. შედარებით მაღალი განაკვეთები დაწესდა ისეთ კრედიტებზე, როგორიცაა: მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ ნაშთებზე გაცემულ კრედიტზე 8 პროცენტი, ურთიერთანგარიშსწორების დასამთავრებლად გაცემულ კრედიტზე — 7 პროცენტი. ანალოგიური განაკვეთია დაწესებული საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობის შესავსებად გაცემულ სესხებზე.

თანამედროვე პირობებში კრედიტის სარგებლის განაკვეთები გაიზარდა სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ვაჭრობაში. მნიშვნელოვნად ამაღლდა სარგებლის განაკვეთი ვადაგადაცილებულ სესხებზე — 5—8 პროცენტის ოდენობით, რამაც არსებითად შეცვალა წარმოების ხელმძღვანელთა მიდგომა აღებული სესხების ვადაზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ვადაგადაცილებული სესხების სარგებლის წყაროდ თუ იქნება გამოყენებული ეკონომიკური სტიმულირების ფონდები, მაშინ საწარმოთა ხელმძღვანელები დაინ-

ტერესებული იქნებიან სესხების დროულად გადახდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი ვერ მიიღებს იმ მატერიალურ სიკეთეს, რომელიც მას ეკუთვნის წამახალისებელი ფონდებიდან. მომავალში დაზუსტებას მოითხოვს საწარმოთა (გაერთიანებათა) და სამინისტროთა შემოსავალ-გასავლის ბალანსებში სარგებლის გადახდა. უმჯობესი იქნება საფინანსო გეგმაში გავითვალისწინოთ მხოლოდ ის თანხა, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს საწარმომ (გაერთიანებამ), სამინისტრომ ვადიანი სესხების სარგებლის განაკვეთის შესაბამისად.

გრძელვადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთების დონე დაბალია მოკლევადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთების დონესთან შედარებით და არ აღემატება საკრედიტო დაბანდების წლიური თანხის 0,75—1 პროცენტს, გარდა ზოგიერთი სახის კრედიტისა. რომლის სარგებლის დონე აღწევს 2 პროცენტს. იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, გრძელვადიანი კრედიტის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე მოკლევადიანი კრედიტებისა, აქ შეუძლებელია სარგებლის განაკვეთის დონე მაღალი იყოს, იგი ვერ დაასტიმულირებს წარმოებისა და ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობას, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს ჩავთვალოთ, რომ განაკვეთის დღევანდელი დონე ოპტიმალურია, საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფა, ამასთან არ შეიძლება დავეთანხმოთ ნ. ბარკოვსკის მოსაზრებას, რომ გრძელვადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთი მით უფრო მაღალი უნდა იყოს, რაც უფრო გრძელვადიანი და ხანგრძლივია, თითქოს ამას შეუძლია მშენებლობის ვადების შემცირება[1]. საკითხის ასე დასმა არასწორი და მიუღებელია, მშენებლობის ვადების შესამცირებლად სხვა უფრო ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტები უნდა გამოვიყენოთ და არა სარგებლის განაკვეთის გადიდება.

გრძელვადიანი კრედიტის სარგებლის განაკვეთის მოქნილი დიფერენცირება, რომელსაც ჯერჯერობით არ ექცევა სათანადო ყურადღება, ხელს შეუწყობდა მშენებლობის ვადების შემცირებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამედროვე პერიოდში საკრედიტო ურთიერთობათა პრობ-

---

[1] См. Барковский Н. Д. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 73.

ლემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გრძელვადიანი კრედიტის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები. სკკპ და საბჭოთა მთავრობა სამეურნეო რეფორმის გატარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს მშენებლობაში საბიუჯეტო დაფინანსების საბანკო დაკრედიტებით შეცვლის საკითხებს.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია საკრედიტო ურთიერთობის გაფართოება კაპიტალური მშენებლობის დარგში, გადასვლა იწყება მშენებლობის მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით დაკრედიტებაზე.

მშენებლობაზე სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებითა და საკრედიტო ურთიერთობის განვითარებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო ობიექტების მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეების ათვისების ვადების დაჩქარება.

იმისათვის, რომ ამაღლდეს საწარმოებისა და მშენებლობების მატერიალური დაინტერესება მშენებლობის ვადების შემცირებაში, მშენებლობის ღირებულების გაიაფებასა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებაში, აუცილებელია ფართო გზა გაეხსნას კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებად გრძელვადიანი კრედიტების გამოყენებას და პარალელურად შემცირდეს საბიუჯეტო ასიგნებანი. მეათე ხუთწლედში ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ფართო გამოყენება ექნება გრძელვადიან კრედიტებს. პარტიის XXV ყრილობაზე დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ჩაწერილია: „გავაუმჯობესოთ ანგარიშსწორების ორგანიზაცია სახალხო მეურნეობაში, განვავითაროთ საკრედიტო ურთიერთობა მშენებლობის სფეროში. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბანკების კრედიტები მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის“[1].

საბანკო კრედიტმა უნდა დაასტიმულოს ძირითადი ფონდების კვლავწარმოების მოგების ტემპების დაჩქარება. საწარმომ (გაერთიანებამ) ორიენტაცია უნდა აიღოს შინაგანი რესურსების მობილიზაციაზე, რომელიც მიმართული იქნება კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, ხოლო მისი უკმარისობისას მიმართოს ბანკის დაწესებულებებს კრედიტის მისაღებად.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 233

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მოითხოვს სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების სისტემატურ განახლებას, გრძელვადიანი დაკრედიტების სისტემის განვითარება და სრულყოფა პირველი რიგის ამოცანად წარმოგვიდგება.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვით მაღალი ტემპებით იზრდება გრძელვადიანი კრედიტის მოცულობა. მაგალითად, თუ 1966 წელს ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებში გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წონა არ აღემატებოდა 3,9 პროცენტს, მან 1975 წელს მიაღწია 6,3 პროცენტს. ამ პერიოდში სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ გაცემული კრედიტის მოცულობა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებზე გაიზარდა 31-ჯერ და მეტად. თუ 1966 წელს მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტი შეადგენდა 64,1 მილიონ მანეთს, 1975 წელს მიაღწია 3 მილიარდ მანეთს[1]. მაგრამ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჯერჯერობით გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წონა მაინც დაბალია, რაც გაპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

1. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებამ საწარმოებს, გაერთიანებებს, სამინისტროებსა და უწყებებს ფართო უფლებები მისცა ტექნიკური პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში, რისთვისაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ წარმოების განვითარების ფონდი და სხვა ანალოგიური ფონდები;

2. საწარმოებს, გაერთიანებებს, სამინისტროებსა და უწყებებს წლის შედეგებით ურჩებათ ჭარბი ფულადი საშუალებები, რაც გაპირობებულია საბითუმო ფასების ეკონომიკური დაუსაბუთებულობის მიზეზებით, ხშირად ისინი არ შეესაბამებიან პროდუქციის წარმოებაზე საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს, რის გამოც იქმნება ჭარბი წმინდა შემოსავალი, ე. ი. საწარმოს, გაერთიანებას ურჩება დაუმსახურებელი მოგება, რაც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მასტიმულირებელ საშუალებად არ ჩაითვლება: ამასთან ზემდგომ ორგანოებს ფართო უფლებები მიეცათ საწარმოებს შო-

[1] См. Аллахвердян Д. А. Финансово-кредитный механизм развитого социализма, М., 1976, стр. 69; Барковский Н. Д. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 125.

რის თავისუფალი ფულადი საშუალებების გადანაწილების საქმეში, რაც თავის მხრივ ცვლის ბანკის სესხებს:

3. სამეურნეო ორგანიზაციებისა და სამინისტროების ხელმძღვანელები გამუდმებით იბრძვიან კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენებისათვის და არა ბანკის კრედიტების გამოყენების გადიდებისათვის;

4. წარმოების რენტაბელობის რეგულირების ნორმატივები არასათანადოდაა სრულყოფილი, რის გამოც ოპტიმალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ ფიქსირებული (რენტის) გადასახდელები ბიუჯეტში:

5. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული წმინდა შემოსავლის (მოგების) განაწილების ოპტიმალური პრინციპები, სტიმულს არ აძლევს საწარმოს (გაერთიანებას) მოითხოვოს კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად ბანკის გრძელვადიანი კრედიტი;

6. გრძელვადიანი კრედიტის გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები იმის მიზეზიცაა, რომ არ არის სრულყოფილი კრედიტის სარგებლის განაკვეთის დონე, ამასთან სუსტია კრედიტის საფასურის მეურნეობრივ-მასტიმულირებელი როლიც;

7. გრძელვადიანი კრედიტების ეფექტიანობას ისიც სწევს დაბლა, რომ სამშენებლო ორგანიზაციების უგერგილო მუშაობის შედეგად არ არის დაცული ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების საპროექტო ვადები, რაც იწვევს საბანკო ზემოქმედების შენელებას, სამეურნეო საწარმოთა და გაერთიანებათა თვალში კრედიტის როლის დაცემას.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ითვალისწინებს გრძელვადიანი კრედიტის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზიდებას, რაც უპირველესად მოითხოვს საბიუჯეტო და საკრედიტო რესურსებს შორის ოპტიმალური პროპორციების, თანაფარდობის დაწესებას.

სამეურნეო რეფორმის შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებად საკუთარი ან ბანკის სესხების გამოყენება ხელს უწყობს კაპიტალურ დანახარჯთა ეფექტიანობის ამაღლებასა და ფონდუკუგების გადიდებას, მარტო ის რად ღირს, რომ სამეურნეო ხელმძღვანელი კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებად ბანკის კრე-

დიტის გამოყენებისას იჩენს მომჭირნეობას და ოპტიმალურად განსაზღვრავს კრედიტზე მოთხოვნილებას, აგრეთვე იბრძვის მისი უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, ვიდრე საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში. საწარმო (გაერთიანება) ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მოიჯარე ორგანიზაციაზე მშენებლობის საპროექტო ვადებში დამთავრების უზრუნველსაყოფად. ყოველივე ამით კრედიტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება მეურნეობის ეფექტიანად გაძღოლის საქმეში.

წარმოების ტექნიკურ სრულყოფაზე გაწეული დანახარჯების დაკრედიტებისას საკრედიტო დაწესებულებების ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად მტკიცდება სამშენებლო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპები. სამშენებლო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეძლევათ კრედიტი სამშენებლო მექანიზმებისა და ტექნიკის შესაძენად, ახალი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად, რაც საშუალებას იძლევა ამაღლდეს მშენებლობის ორგანიზაციის მეცნიერულ-ტექნიკური დონე, ე. ი. საბოლოო ანგარიშში მიღწეულ იქნეს მშენებლობის ვადების დაჩქარება, შემცირდეს მისი ღირებულება.

გრძელვადიანი დაკრედიტება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურას, იგი აიძულებს სამეურნეო ხელმძღვანელებს შეიძინონ მხოლოდ ის მანქანა-მოწყობილობანი, რომელთა გამოყენების ეფექტიანობა მაღალი იქნება და არ დაუშვან არასაჭირო მოწყობილობათა შეძენა.

იმისათვის, რომ განმტკიცდეს და გაძლიერდეს მანეთით კონტროლი ახალი სიმძლავრეების ათვისების ვადების შესრულებაზე, აუცილებელია მტკიცედ რეგლამენტირებული წესის შემოღება. რომლითაც იმ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, რომელიც მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზეა მიმართული დაიფარება მხოლოდ საკუთარი და ნასესხები საშუალებებით.

გრძელვადიანი დაკრედიტებისას საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით საჭიროა ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვაც. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში მშენებლობაზე უპირატესობა ენიჭება ანგარიშსწორებას დამთავრებული ობიექტების ან ეტაპების მიხედვით. რესპუბლიკაში დაგროვილი გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ანგარიშ-

სწორების ასეთი ფორმები საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში გაშვების ვადებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

საკრედიტო ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ კრედიტების მტკიცედ მიზნობრივი გაცემა, რათა ხელი შეეწყოს მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებას, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების ვადების დაცვას, მოგების გეგმის შესრულებას და სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას პირველ რიგში მოითხოვს მცირე რენტაბელური და გეგმით ზარალიანი საწარმოები, მიზანშეწონილია მშენბანკის დაწესებულებებმა დაიწყონ მათი რეკონსტრუქციისა და წარმოების გაფართოების დანახარჯების გრძელვადიანი დაკრედიტება. ამასთან დადგა დრო სამინისტროებსა და სამრეწველო გაერთიანებებში შეიქმნას ფინანსური რესურსების ცენტრალიზებული ფონდი და ის გამოყენებულ იქნეს კაპიტალურ დაბანდებათა გრძელვადიანი დაკრედიტებისა და აღნიშნული სესხების დაფარვის წყაროდ. ფინანსური რესურსების ცენტრალიზებული ფონდი უნდა შეიქმნას ამორტიზაციისა და მოგებიდან ანარიცხების, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სხვა წყაროებიდან, მათ შორის წარმოების განვითარების ფონდიდან.

ამრიგად, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში საკრედიტო პოლიტიკა დაფუძნებულია პარტიის მიერ დასახული იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაზე, რითაც მიღწეული უნდა იქნეს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება. საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა მასტიმულირებელ როლს ასრულებს ისეთ ამოცანათა განხორციელებაში, როგორიცაა: საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე, წარმოების კონცენტრაცია და მატერიალური წარმოების სფეროში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სამეურნეო საწარმოებისადმი საკრედიტო ორგანიზაციათა დიფერენცირებული მიდგომა, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა, სამეურნეობათაშორისო კომპლექსების განვითარება და სრულყოფა, საწარმოებსა

და ორგანიზაციებში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განმტკიცება, კრედიტის როლის გაძლიერება არამატერიალური წარმოების სფეროში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ პრობლემათა გადაწყვეტასთან, როგორიცაა: 1. სახალხო მეურნეობის დარგებსა და საწარმოებზე კრედიტების ისეთ პირობებში გაცემა, რომელიც გამოიწვევს წარმოების სტიმულირებას სახელმწიფოებრივი დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულების საქმეში და ამით გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისათვის დაგროვების შექმნას: 2. სახალხო მეურნეობის კრედიტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება უპირატესობის იმ დარგებზე მინიჭებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალურ ეფექტიანობას; 3. კრედიტის როლის გაძლიერება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე ბაზრის სტრუქტურის და საქონელთა მიწოდება-მოთხოვნის შესწავლის საქმეში: 4. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობისა და ზენორმატიულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის დაჩქარებით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით და მზა ნაწარმის შეუფერხებელი რეალიზაციით საბანკო კრედიტის ბრუნვადობის დაჩქარება; 5. კრედიტის როლის გაძლიერებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სახალხო მოხმარების საქონლის მომხმარებლებზე დაყვანა და მისი რეალიზაციის დაჩქარება, რითაც მიღწეული იქნება მიმოქცევაში ნაღდი ფულის შემცირება და ფულის სიმტკიცე; 6. კრედიტის სარგებლის ოპტიმალური დონის დაწესებით ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მიღწევა, რომელიც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას უწყობს ხელს; 7. დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა ერთიანი სახელმწიფო გეგმის შედგენის 1977 წელს შემოღებული წესის სრულყოფა; 8. საწარმოო გაერთიანებებისა და სამეურნეობათაშორისო კომპლექსების საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობათა შემდგომი განვითარება და სრულყოფა; 9. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დაკრედიტების მეთოდების გაუმჯობესება.

თავი IV

მოგება სოციალისტურ გაფართოებულ კვლავწარმოებაში

§ 1. მოგების არსი და მისი როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში

სოციალიზმის დროს მოგება საზოგადოებრივი ურთიერთობაა, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და სხვისი შრომის შედეგების კერძო მითვისება.

თანამედროვე პირობებში, როცა პარტიის XXV ყრილობამ მიზნად დასახა მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის ამოცანა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგების ზრდასა და რენტაბელობის დონის გადიდებას. მოგება,არის იმ ხარჯების დაფინანსების წყარო, რომლებიც უშუალო კავშირშია სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესისა და აქედან გამომდინარე, მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების მოგება გამოდის, როგორც სხვაობა საბითუმო ფასსა (ბრუნვის გადასახადის გარეშე) და პროდუქციის თვითღირებულებას შორის და გამოიყენება როგორც გაფართოებული კვლავწარმოების საფინანსო რესურსების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლის როლში.

როგორც წესი, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს მუშაობა განზოგადებული სახით წარმოგვიდგება მოგებისა და რენტაბელობის ზრდაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მოგება არ შეიძლება იყოს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი და სოციალისტური წარმოების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. მოგება გამოდის მხოლოდ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად, სახელმწი-

ფო ბიუჯეტისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროდ. მასში თავის გამოხატულებას პოულობს საწარმოს ყოველმხრივი საქმიანობა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის. წარმოების მოცულობის ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხები. სწორედ ამიტომ საწარმოს საქმიანობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს შორის მას განსაკუთრებული როლი ენიჭება. თუმცა, ვიმეორებთ, არ შეიძლება იგი წარმოვიდგინოთ უნივერსალურ მაჩვენებლად და გამოვიყენოთ პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გვერდით.

სოციალიზმის დროს მოგების კატეგორიასთან. როგორც ღირებულებისა და მატერიალური სტიმულირების კვლავწარმოების პროცესის საფინანსო უზრუნველყოფის ეკონომიკური ბერკეტის და სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი შემოსავლის ფორმირების წყაროს მჭიდრო კავშირი აქვს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებთან და ღირებულების კანონთან.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოგების, როგორც საწარმოს მეურნეობრივი საქმიანობის ერთ-ერთი შემფასებელი მაჩვენებლის როლი.

მატერიალური წარმოების პროცესში არც ერთი საწარმოს მიზანს მოგების მიღება არ წარმოადგენს. მათ აინტერესებთ პროდუქციის წარმოება, რაზედაც პირდაპირ არის დამოკიდებული მოგების მოცულობა. მოგების მიღება ნიშნავს იმას, რომ საწარმო პროდუქციის წარმოებისას ზუსტად იცავს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ნორმებს ან ამ ნორმებით გადაჭარბებით ზრდის წარმოების ეფექტიანობას. თუ საწარმო ზარალით მუშაობს, მაშინ ის სახელმწიფოს ნორმებს არღვევს. ამიტომ მოგება და მომგებიანობა (რენტაბელობა) ზოგადად გვიჩვენებს მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის ოპტიმალურ ვარიანტებს[1].

ბურჟუაზიული იდეოლოგების საწინააღმდეგოდ, მოგება სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ კრი-

[1] См. Бирман А. М. Очерки теории советских финансов. М., 1972, стр. 85.

ტერიუმად იმიტომ გამოიყენება, რომ მასში, როგორც ღირებულებით ფორმაში რამდენადმე სრულად იყრის თავს არა მარტო წარმოების საბოლოო შედეგი, არამედ იგი გაფართოებული კვლავწარმოების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ვერც ერთ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელს, გარდა მოგებისა, არ შეუძლია ოპტიმალური თანაფარდობის დაწესება გაფართოებული კვლავწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის ხარისხს შორის.

მოგება აერთიანებს მთელი საზოგადოების, დარგის, საწარმოს, კოლექტივის, მშრომელების ინტერესებს იმით, რომ იგი არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და მატერიალური წახალისების ფონდების მთავარი წყარო. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, რომ ის მაინც არ ჩაითვლება ყველაზე ოპტიმალურ და იდეალურ მაჩვენებლად. მას ეს ფუნქცია არ შეუძლია შეასრულოს თუნდაც იმის გამო, სხვას რომ თავი დავანებოთ, მჭიდრო კავშირშია ფასწარმოქმნის პრობლემებთან, რომლებიც მოითხოვენ მომავალში სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

სახალხო მეურნეობის მართვისას მოგების სიდიდის რეგულირების მეშვეობით აწარმოებენ საწარმოთა კოლექტივების მატერიალურ დაინტერესებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ცნობილია, რომ მოგების ზრდა ეს საბოლოო ჯამში ნიშნავს მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას. სახელმწიფო მოგების რეგულირებისას გამოდის საზოგადოების ინტერესებიდან. ამასთან საწარმოებში ადგილი აქვს ინდივიდუალური დანახარჯების გადახრას საზოგადოებრივი დანახარჯებისაგან, რაც აპირობებს მოგების მოცულობის გადიდებას ან შემცირებას.

მოგება სოციალიზმის დროს ახალ სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს იძენს. მისი საფუძველია ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც ექსპლუატაციისაგან თავისუფალი მშრომელები ქმნიან და გამოიყენება ისევ მათი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ასამაღლებლად. ამიტომ ჩვენთან მოგების შექმნას, განაწილებასა და გამოყენებას არა აქვს ანტაგონისტური ხასიათი. მაგრამ მოგების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში შეიძლება ადგილი ჰქონდეს არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, რომელიც გამოვლინდება კონკრეტულ და აბსტრაქტულ შრომას, საქონლის სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ღირებულებას შორის; სოციალისტუ-

რი საზოგადოება, სახელმწიფო იმისათვის, რომ არ დაუშვას ზემოთ აღნიშნული არაანტაგონისტური წინააღმდეგობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, სისტემატურად სრულყოფს სახალხო მეურნეობის მართვის მექანიზმს.

მოგება და რენტაბელობა დირექტიული მაჩვენებლებია, რომლებიც საწარმოებსა და გაერთიანებებს უმტკიცდებათ ზემდგომი ორგანოების მიერ.

სოციალისტური მეურნეობრიობის პირობებში მოგება ორ ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს: ა) მოგებით წარმოებს საწარმოების (გაერთიანებების) საქმიანობის თვისობრივი დახასიათება და ბ) წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლების, საზოგადოებრივი წარმოების გაფართოებული კვლავწარმოებისა და კოლექტივის მატერიალური სტიმულირების უმნიშვნელოვანეს წყაროს.

თუ როგორი ტემპებით იზრდება საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების მოცულობა, ამაზე ნათლად მეტყველებს შე-7 ცხრილი[1].

ცხრილი 7

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგება
(კოლმეურნეობების გარდა მილიარდ მანეთებში)

	1940 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
მოგება სულ	8.3	37,0	87,0	93.1	98.0	102,6	104,4
მათ შორის:							
ა) სამრეწველო საწარმოები	1,7	22.5	56,0	56.2	60.0	64,2	65.8
ბ) სასოფლო-სამეურნეო საწარმოები	—0,2	— 0.6	4,9	4,9	4,1	2,4	—0,5
გ) ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა . . .	0.7	6,8	11,5	12,2	13,6	14,5	15,5
დ) მშენებლობა .	0,02	1,6	4,7	5.6	6.8	7.4	8.6
ე) ვაჭრობა	0,3	1,4	2.8	3,0	3,7	3.9	4,4

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მაჩვენებლები აღებულია წლის მანძილზე მოქმედი ფაქტიური ფასებით („—“-ით აღნიშნულია ზარალი).

ეს მონაცემები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მოგების როლის ამაღლებაზე, რომელსაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

[1] См. журнал «Экономические науки», 1977, № 3, стр. 97.

სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის მიზნით აუცილებელია შეიქმნას მეურნეობრივი მართვის ისეთი სისტემა, რაც საწარმოს დააინტერესებს მიიღოს მოგება იმ მოცულობით, რომელიც შესაბამისობაში იქნება სახალხომეურნეობრივ ინტერესებთან. მოგებაში, როგორც ფოკუსში, უნდა აისახოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს მონაწილეობის წილი საზოგადოებრივ წარმოებაში. მოგება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის საფინანსო შედეგია. ამიტომ თუ საწარმო ცდილობს მოგების მასა გაადიდოს დაუმსახურებლად, ხელოვნურად, სახელმწიფო ფასების წამატებით ან პროდუქციის ხარისხის გაუარესებით, მაშინ ამ საწარმოს ხელმძღვანელები მკაცრ პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასება მოგებითა და რენტაბელობით მოითხოვს თითოეული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის საფუძვლიან ანალიზს. მკაცრი ყურადღება მიექცეს არა სახალანსო, საანგარიშო მოგებას, არამედ საწარმოს კოლექტივის შრომით მიღწეულ შედეგს. თუ ასე არ მოვიქეცით, მაშინ მოგებით ვერ შევაფასებთ სამეურნეო საქმიანობას. პირველ რიგში უნდა შევაფასოთ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების პრობლემა.

სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება საწარმოს (გაერთიანების) საბალანსო მოგების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია. ის არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა (საწარმოს საბითუმო ფასებით ბრუნვას გადასახადის გარეშე) და პროდუქციის სრულ თვითღირებულებას შორის. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტორთა გამოვლინებას, რომლებიც მოქმედებენ მოგების გეგმის შესრულებაზე. სამეურნეო რეფორმის შემდეგ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მოგება საბალანსო მოგებასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. მერვე ხუთწლედში საბალანსო მოგების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 11% პროცენტი, ხოლო სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან — 116 პროცენტი, შესაბამისად 1971 წელს — 111—111; 1972 წელს— 109—109; 1973 წელს — 113—114 პროცენტი.

საწარმოს (გაერთიანების) საფინანსო შედეგებში სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მოგებასთან (ზარალთან) ერთად აისახება დანარჩენი რეალიზაციიდან მიღებული მოგება (ზარალი) და

რეალიზაციის გარეშე შედეგები. მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოს დანარჩენი რეალიზაციიდან მოგება-ზარალს მიეკუთვნება დამხმარე მეურნეობების, დამამზადებელი ორგანიზაციების საქმიანობიდან მიღებული მოგება ან ზარალი, ნორმის გადახვევით დამზადებული პროდუქციის რეალიზაციიდან მოგება-ზარალი და სხვა, ხოლო რეალიზაციის გარეშე მოგება-ზარალი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი ფონდების მოძრაობასთან: სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ ნაშთების ჩამოფასებითა და სტიქიური უბედურებით გამოწვეული მოგება ან ზარალი. რეალიზაციის გარეშე შედეგებზე მოქმედებს ბიმოქცევის ფონდების მოძრაობაც — ზარალი დებიტორული დავალიანების ჩამოწერით, მოგება (ზარალი) ტარის ოპერაციებიდან. ჯარიმები, საპირგამტეხლოები და სხვა. მოგება-ზარალი საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან აისახება რეალიზაციის გარეშე შედეგებზე.

როგორც წესი, მოგების მასა განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულების დონით, წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობით. სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დანერგვით შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს და საწარმოს ინდივიდუალური დანახარჯები საზოგადოებრივად აუცილებელ ხანახარჯებზე უფრო დაბალი უნდა იყოს, ეს კი ნიშნავს მოგების მასის გადიდებას და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლებას.

ამრიგად, სოციალიზმისათვის მოგება არ წარმოადგენს წარმოების მთავარ მიზანს. სოციალიზმის მიზანია საზოგადოების ყველა წევრის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის სულ უფრო მეტად დაკმაყოფილება მატერიალური დოვლათის სიუხვისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების საფუძველზე. ამასთან მოგებაში, თავს იყრის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მთავარი წინამძღვრები — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულირება, მეურნეობრივი მართვის ეფექტიანობა და სოციალისტური დაგროვებისათვის რესურსების შექმნა. სწორედ ეს ის პრობლემებია, რომელთა ოპტიმალური გადაწყვეტა მხოლოდ მოგების როლის გაძლიერებით შეიძლება.

მოგება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს შორის სხვაობაა, რომელიც თავის განზოგადე-

ბულ გამოსახულებას პოულობს რენტაბელობის დონეში. თითოეული საწარმო ვალდებულია როგორც მინიმუმი, უზრუნველყოს საშუალო, ნორმალური ეკონომიკური ეფექტი. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია მოგების განაწილება საერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ და საწარმოს ნორმალური მუშაობისათვის საჭირო მასტიმულირებელი ფონდების შესაქმნელად.

იმისათვის, რომ მოგება გამოყენებულ იქნეს წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ შემაფასებელ მაჩვენებლად, საჭიროა მისი განაწილების ოპტიმალური წესის დაცვა. განვითარებული სოციალიზმის დროს კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს მოგების იმ ნაწილის უპირატესი ზრდა, რომელიც საწარმოში რჩება, იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდის სახით გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის პირობებში მრეწველობასა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის დამყარდა ასეთი თანაფარდობა: 1975 წელს 44:56-თან, მაშინ, როდესაც სამეურნეო რეფორმამდე შესაბამისად იყო 29:71-თან.

განსაკუთრებით გაიზარდა მოგების როლი საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნაში. დღეს საწარმოთა კოლექტივები დაინტერესებული არიან სახელმწიფო გეგმების შესრულებით გაადიდონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს წამახალისებელი ფონდების გადიდებას.

„უნდა ითქვას, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა სკკპ XXV ყრილობაზე, — რომ სახალხო მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობაში ეკონომიური ბერკეტების როლის გაძლიერებამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად აამაღლა საწარმოთა და გაერთიანებათა დაინტერესება საწარმოო რესურსების უკეთ გამოყენებითა და რენტაბელობის ზრდით. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მიღებულია დაახლოებით 500 მილიარდი მანეთი მოგება, რაც 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე მეორე ხუთწლედში იყო. ამან გააფართოვა და განამტკიცა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ბაზა, გააუმჯობესა მისი სტრუქტურა, მეორე მხრივ კი გააძლიერა ბიუჯეტის ზემოქმედება საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებაზე“[1].

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 176—177.

ამასთან ამხ. ა. ნ. კოსიგინმა მიუთითა, რომ მოგებისა და სხვა წყაროების ხარჯზე ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში გადაირიცხა 100 მილიარდ მანეთზე მეტი, რენტაბელობამ მრეწველობაში მიაღწია 1975 წელს 24,4 პროცენტს ნაცვლად 1970 წლის 21,5 პროცენტისა.

პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა ამ საქმეში მიღწეული წარმატებების შესახებ, მაგრამ სახალხო მეურნეობის რენტაბელობის საერთო გაუმჯობესებასთან ერთად ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონა უკავია ზარალიან საწარმოებს და პროდუქციის ზარალიან სახეობებს. სსრ კავშირის მრეწველობაში 1975 წელს მოგების გეგმა ვერ შეასრულა საწარმოების 18 პროცენტმა.

სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საწარმოების რენტაბელურად მუშაობის წარმართვის აუცილებლობას. დიდი ბელადი 1922 წელს ფინანსთა სახალხო კომისარიატს წერდა: „მე ვფიქრობ, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ და ამასთან მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს...

ამას თვალყური უნდა ადევნოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო ბანკისა და სპეციალური ინსპექტორების საშუალებით, რადგან სწორედ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ არ არის დაინტერესებული, მოვალეა დაამყაროს ნამდვილი, რეალური კონტროლი და შემოწმება“[1].

მეათე ხუთწლედში — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში მთავარია ლიკვიდირებულ იქნას როგორც ზარალიანი საწარმოები, ასევე პროდუქციის ზარალიანი სახეები. ზარალიანობის ლიკვიდაცია და რენტაბელობის დონის ამაღლება მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფად ათვისების, მოქმედი მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. სახელმწიფოებრივი წარმოების ეფექტი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გამოც. IV, გვ. 582—583.

ანობის ამაღლებაში აუცილებელია გაიზარდოს შრომის ნაყოფიერებისა და პრემირების სისტემის როლი: ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მატერიალური წახალისების ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება საბოლოო პროდუქციისა თუ დამთავრებული ობიექტებისათვის; მუშაკთა ნაკლები რიცხვით მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების სტიმულირება უგანაწესო სისტემებით.

მიმდინარე ხუთწლედში, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შესამჩნევად იზრდება პროდუქციის თვითღირებულების როლი საწარმოებისა და გაერთიანების ხარისხობრივ მაჩვენებლებს შორის. პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა. პროდუქციის თვითღირებულება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის სინთეზური ეკონომიკური კრიტერიუმი, ნათლად გამოხატავს ძირითადი ფონდების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 4—5 პროცენტით, მათ შორის მანქანათმშენებლობაში 9—10 პროცენტით, ხოლო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შემცირდეს 3—5 პროცენტით.

მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციის თვითღირებულების როლი, როგორც მოგების შემქმნელი ფაქტორისა. მეათე ხუთწლედში სამინისტროებსა და უწყებებს ნება მიეცათ საწარმოებს დაუმტკიცონ პროდუქციისათვის თვითღირებულების შემცირების დავალება რენტაბელობის ნაცვლად.

პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის ძირითადი ამოცანაა საწარმოებში (გაერთიანებებში) არსებული წარმოების რეზერვების გამოვლენა და მობილიზაცია პროდუქციის წარმოების დანახარჯების შემცირებისა და შიდასაწარმოო დაგროვების გადიდების მიზნით. პროდუქციის თვითღირებულების გეგმა მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოება-რეალიზაციასთან. სხვა დანარჩენი სახის ხარჯები არ შეიძლება შეტანილ იქნეს თვითღირებულებაში.

სახელმწიფო პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედებს რა გეგმაზომიერად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის სტრუქტურას — თანაფარდობას ფულად დანახარჯებში წარმოების საშუალებებსა და შრომის ანაზღაურებას შორის. დანახარჯთა ამ ელემენტების გამოყოფა ნათლად პასუხობს წარმოების ხარჯების შინაარსს, როგორც წარმოებისა და მიმოქცევის საზოგადოებრივი დანახარჯების ფორმას. უკანასკნელ წლებში პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში სისტემატიურად მცირდება ხელფასის წილი და იზრდება მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა, მაგალითად, 1974 წელს 1932 წელთან შედარებით სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების წილი გაიზარდა 57 პროცენტიდან 79,7 პროცენტამდე, ხოლო შემცირდა ხელფასის ხვედრითი წონა შესაბამისად 35,6 პროცენტიდან 14.8 პროცენტამდე. ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ მრეწველობაში დასაქმებული მუშაკების შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა, რაც სოციალისტური დაგროვების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გეგმების შეუსრულებლობის, მატერიალური და ფინანსური რესურსების არაეფექტიანად გამოყენების შედეგად რესპუბლიკაში ადგილი აქვს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების ფაქტებს. 1975 წელს პროდუქციის თვითღირებულება გაძვირეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 8.4 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ გეგმასთან 0,9 პროცენტით.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გააძვირეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება 19 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის: 1975 წელს — 6,5 მილიონი მანეთით; ანალოგიური მდგომარეობაა სასოფლო მშენებლობის სამინისტროში, თვითღირებულების გაძვირებამ შესაბამისად 6,6 მილიონი მანეთი და 2,2 მილიონი მანეთი შეადგინა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მოგება ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საწარმოს მთელ კოლექტივს სტიმულს აძლევს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსები, გამოავლინოს გამოუყენებელი რეზერვები და მოაქციოს ისინი სამეურნეო ბრუნ-

ვაში. მოგების მეშვეობით ნათლად ვლინდება ცალკეული კოლექტივების დამსახურება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაში, იგი ხელს უწყობს საზოგადოების, საწარმოო კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების ინტერესთა შეხამება-ჰარმონიულობას.

მოგება ახასიათებს საწარმოს მუშაობისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გამოინახოს სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტები. ამასთან ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მოგება არ წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების მიზანს. მშრომელთა საწარმოო საქმიანობის მიზანია მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. **„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“**[1].

სოციალიზმის დროს, როგორც აღვნიშნეთ, — წარმოების მიზანი მოგების გამოდევნება არ არის, მაგრამ მოგება მიღებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი წარმოების მიზნის — მშრომელთა კეთილდღეობის დაკმაყოფილებისათვის. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი მოცულობის მოგება შეიქმნება, მით უკეთესად დაკმაყოფილდება საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებები.

სოციალისტური საწარმოების მიერ მოგების მიღება საბოლოო ჯამში ნიშნავს, რომ კოლექტივის მიერ შექმნილი პროდუქცია აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და მასზე დახარჯულია შედარებით ნაკლები ცოცხალი და განივთებული შრომა, ვიდრე სხვა ანალოგიურ საწარმოში, რომელმაც ვერ უზრუნველყო მოგების დავალების წარმატებით შესრულება.

როგორც ცნობილია, განვითარებული სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა სამეურნეო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანე-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 223.

ლობის ძირითადი რგოლი დაგეგმვაა. სწორედ ამ პირობებში განსაკუთრებით იზრდება მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვის მნიშვნელობა ფინანსების დარგში, კერძოდ, მოგების დაგეგმვის საკითხებში.

„უწინარეს ყოვლისა — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საჭიროა სერიოზულად სრულვყოთ დაგეგმვა. ჩვენი ქვეყანა პირველი დაადგა ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის გზას. ამ რთულ ხელოვნებას ჩვენგან სწავლობდა და სწავლობს ათობით სხვა სახელმწიფო. მაგრამ დღეს ჩვენს წინაშეც დადგა ამოცანა — ავამაღლოთ გეგმიანი მუშაობის დონე, შევუსაბამოთ იგი ჩვენი მეურნეობის ახალ მასშტაბსა და დღევანდელ სახეს, დროის ახალ მოთხოვნებს“[1]. ამ ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელია მოგების მოცულობის სწრაფი ზრდა, რათა მან მიიღოს აქტიური მონაწილეობა როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული ფონდის ფორმირებაში, ასევე უზრუნველყოს საწარმოს (გაერთიანების) ფარგლებში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება. ამასთან მოგება ის წყაროა, რომლიდანაც იქმნება ეკონომიკური სტიმულირების ფონდები.

მოგების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა განაპირობებს საწარმოო და საფინანსო მაჩვენებელთა შორის მტკიცე კავშირურთიერთობას. ყურადსაღებია იმ ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც მოგების დინამიკაზე მოქმედებენ. ამათგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხომეურნეობრივი გეგმის სტაბილურ ხასიათს.

სამეურნეო რეფორმის შემდგომ პერიოდში მატერიალური წარმოების სფეროში ერთი სამად გაიზარდა მოგების მოცულობა, მაგალითად: 1965—1976 წლებში მოგების ზრდის ტემპმა მიაღწია 290,0 პროცენტს[2]. თუ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობამ 1965 წელს მიიღო 400 მილიონი მანეთის მოგება. 1976 წელს მან მიაღწია 1117 მილიონ მანეთს, ანუ გაიზარდა 279,2 პროცენტით. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა უკანასკნელი 11 წლის მანძილზე მოგების მოცულობა გაადიდეს 326,8 პროცენტით[3].

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 80.

2 «Народное хозяйство СССР за 60 лет». М., 1977, стр. 635.

3 «Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября», Тб., 1977, стр. 221.

თუ გავაანალიზებთ რესპუბლიკაში მოგების გეგმის შესრულებას, ასეთ სურათს მივიღებთ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოზე დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ 1975 წლის მოგების გეგმა შესრულებულ იქნა 104,8 პროცენტით, ხოლო 1976 წლისა 97,0 პროცენტით: მათ შორის: შესაბამისად მრეწველობაში — 102,9 და 99,0 პროცენტით; კავშირგაბმულობაში — 101,1 და 112,8 პროცენტით: ტრანსპორტში — 107,7 და 99,6 პროცენტით; კომუნალურ საწარმოებში — 101,0 და 100,1 პროცენტით; დამამზადებელ ორგანიზაციებში — 103,1 და 103,3 პროცენტით[1].

ამასთან საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ერთი ნაწილი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში უშვებს სერიოზული ხასიათის დარღვევებს, წარმოების ზრდისა და რენტაბელობის ამაღლების არსებულ რეზერვებს იყენებს არასრულყოფილად, არ იბრძვის საფინანსო, საგადასახდელო და საანგარიშსწორებო დისციპლინის გასამტკიცებლად, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენებაში მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმის ნაცვლად უშვებს არამწარმოებლურ და უმიზნო ხარჯებს, არ სრულდება მათი საფინანსო გეგმები, ხშირია დიდი ოდენობის ბანკებისა და მომწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანებები.

1975 წელს მოგების გეგმა ვერ შეასრულა 139 სამრეწველო საწარმომ, ანუ 19,3 პროცენტმა, ხოლო 1976 წელს — 173 საწარმომ, ანუ 20,7 პროცენტმა.

მოგების გეგმის შესრულება პირდაპირ კავშირშია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო-საფინანსო ანალიზით ირკვევა, რომ ბევრგან ეკონომიკური სამსახურების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად არ წარმოებს პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის, დონისა და დინამიკის შესწავლა.

საქართველოს სსრ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონა მატერიალურ დანახარჯებს უკავია და ბუნებრივია თვითღირებულების შემცირების რეზერვები მასში უნდა ვეძიოთ, მაგრამ მთელ რიგ დარგებში მოუწესრიგებელია შრო-

---

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების წლიური ანგარიშგებებიდან.

მისა და მატერიალური დანახარჯების ოპტიმალური დანორმვა, რის გამოც ნედლეულისა და მასალების არამწარმოებლურ ხარჯვას აქვს ადგილი. ასევე დიდია წუნდებული პროდუქციის გამოშვებით გამოწვეული დანახარჯები და უნაყოფო ხარჯები.

ბევრ სამინისტროსა და უწყებაში არასათანადო ყურადღება ექცევა ზარალიანი საწარმოების ან ზარალიანი პროდუქციის შემცირების საქმეს. შემუშავებული არ არის აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი მათ შესამცირებლად.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით თუ 1974 წელს ზარალით დაიგეგმა 7 საწარმო, 1975 წელს დაგეგმეს 8, ხოლო ფაქტიურად ზარალი მიიღო პირველ წელს 11 საწარმომ — 3,7 მილიონი მანეთი და მეორე წელს — 9 საწარმომ — 2,7 მილიონი მანეთი.

1975 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 21 საწარმომ მიიღო 10,5 მილიონი მანეთი ზარალი, მაშინ, როდესაც ზარალით იყო დაგეგმილი მხოლოდ 4 საწარმო—5 მილიონი მანეთის ოდენობით.

ამასთან ერთად მსუბუქი. კვების, ადგილობრივი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების მთელი რიგი საწარმოები უშვებენ ზარალიან პროდუქციას, რომლის ძირითადი მიზეზებია: წარმოების მექანიზაციისა და ორგანიზაციის დაბალი დონე, საწარმოო სიმძლავრეების არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობის დიდი ხვედრითი წონა, ძვირადღირებული ნედლეულის არარაციონალური გამოყენება, წარმოების გეგმების შეუსრულებლობა, პროდუქციაზე დანახარჯების არასწორად შეტანა და ა. შ.

საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით ჩამორჩენის, შრომის ნორმირებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების. ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობის მიზეზით ცალკეულ საწარმოებში ადგილი აქვს ხელფასის ფონდში გადახარჯვებს, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და მოგების გეგმის შესრულებაზე.

1975 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ადგილი ჰქონდა ხელფასის ფონდში გადახარჯვების 134 შემთხვევას, საერთო თანხით — ერთი მილიონი მანეთი; ავტოტრანს-

პორტის სამინისტროში — 101 შემთხვევას — 600 ათასი მანეთი; მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში — 51 შემთხვევას — 805 ათასი მანეთი და ა. შ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული ქმედითი ღონისძიებების მიუხედავად, მატერიალური წარმოების სფეროს ზოგიერთი დარგი აგრძელებს დიდი ოდენობით უნაყოფო ხარჯებისა და ზარალების დაშვებას, რომელთაგან აღსანიშნავია: მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ვაჭრობის და სხვა სამინისტროთა საწარმოები და გაერთიანებები.

ამ ხარჯებში დიდი ხვედრითი წონა უკავია ჯარიმებსა და საპირგამტეხლოებს, რომლებიც გადახდილია სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის გამო.

რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მოგების გეგმის შეუსრულებლობა იმითაც არის გამოწვეული, რომ მათ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვთ სრულად ხარისხობრივ მაჩვენებელთა გეგმების შეუსრულებლობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. თუ საწარმომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულა. მის ხელმძღვანელებს მკაცრი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, მაგრამ მოგების გეგმის შეუსრულებლობისათვის ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მწყობრი პასუხისმგებლობის სისტემა. საქართველოს კპ XXV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მიუთითა, რომ „რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ზრუნვამ წარსულში ისე გაიტაცა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომ ჯეროვნად ყურადღებას არ უთმობდნენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, სათანადოდ არ იბრძოდნენ წარმოების ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, რენტაბელობის ამაღლებისათვის, რის გამოც სისტემატურად არ სრულდებოდა თვითღირებულების შემცირების დავალებები, იფუშებოდა მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელების გეგმები"[1].

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მოტანილი ეს დებულება იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკის მართვისადმი დაშვე-

[1] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბ., 1976, გვ. 16.

ბული შეცდომების ხასიათი, რასაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი, სამეურნეო რეფორმის განხორციელებას უშლიდა ხელს.

მოგების გეგმის შეუსრულებლობა, არამწარმოებლური ხარჯებისა და ზეგეგმური ზარალის დაშვება ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი და დაიწყოს საწარმოს ხელმძღვანელთა „პერსონალური პასუხისმგებლობა, პრინციპის უშეღავათო განხორციელება და მომავალში ასეთი ვითარების დაშვებისათვის შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გახდა ჩვენი მუშაობის სტილის ძირითადი თავისებურება“[1].

მეათე ხუთწლედში და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტორების სრულყოფილად შესწავლას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოგების მასაზე მოქმედებენ. მათი სრულყოფილი შესწავლა ხელს შეუწყობს ზარალიანი საწარმოების გადაქცევას რენტაბელურ საწარმოებად.

1975 წლისათვის ქვეყნის მრეწველობაში საწარმოთა 18 პროცენტით მოგების გეგმის შეუსრულებლობა იმით არის გამოწვეული, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები არასრულყოფილად იყენებენ სოციალისტური წარმოების გეგმაზომიერად და პროპორციულად გაძღოლის უპირატესობებს, პატივს არ სცემენ მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებას.

პარტიის XXV ყრილობამ გადაწყვეტილებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“ აღნიშნა: „ბევრი სამინისტრო, უწყება, გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ არ უთმობს სათანადო ყურადღებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდის, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაზოგვის საკითხებს, დანაკარგების აღკვეთას, არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა დროულად აამოქმედოს საწარმოო და სხვა ობიექტები, რაც შეიძლება მალე აითვისოს ახალი სიმძლავრეები და გაზარდოს მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები მათი რეკონსტრუქციის, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გზით.

---

[1] ა. გაბისონია, ხარისხი, მოგება, რენტაბელობა, თბ., 1976, გვ. 45.

...დაპროექტებაში არსებული ნაკლოვანებები, მშენებლობის ხანგრძლივი ვადები აძვირებს ბევრ მშენებარე ობიექტს.

ნელა აღმოიფხვრება ნაკლოვანებები დაგეგმვის, მომარაგების, დაფინანსების ორგანიზაციასა და მეთოდებში. ხშირად ვლინდება ვიწროუწყებრივი და კუთხური მიდგომა სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი"[1].

როგორც წესი, ზარალიანობა სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს ეწინააღმდეგება, საწარმოები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან და ფერხდება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესი. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ფაქტიურად ზარალიანი საწარმოები დაგეგმილ ოდენობაზე უფრო მეტია.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესი მოითხოვს მოგების გეგმის შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას. ამჟამად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთლიანი მოგება 106 მილიარდ მანეთს აღემატება.

მოგების გეგმის ერთი პროცენტით შეუსრულებლობა ქვეყანას აკლებს 1 მილიარდი მანეთის ფულად შემოსავალს, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს სახალხო მეურნეობის ოპტიმალურ განვითარებას.

§ 2. მოგების განაწილების სისტემის გავლენა კვლავწარმოების პროპორციებსა და ტემპებზე

პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოგების როლის ამაღლების საკითხებს. ამ საკითხზე პარტიის მითითებათა განხორციელება მოითხოვს მოგების განაწილების სისტემის შემდგომ სრულყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტსა და საწარმოს (გაერთიანებას) შორის გზების გამონახვას თითოეული დარგის სხვადასხვა რგოლებს შორის მოგების განაწილებისას ოპტიმალური პროპორციების დასაწესებლად.

სახალხო მეურნეობის მართვის ყველა დონეზე მოგების განაწილებით წარმოებს გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების პროცესში მეცნიერულად დასაბუთებული პროპორციების

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 221—222.

დამყარება. აუცილებელია ფულადი ფონდების შექმნა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა წახალისებისათვის, რათა წარმოების საბოლოო შედეგები პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნებს, სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების შექმნა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

მოგების განაწილების ოპტიმალურ სისტემას განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი.

1. საწარმოები (გაერთიანებები) დაინტერესებული უნდა იყვნენ წარმოების ეფექტიანობის გადიდების უზრუნველყოფაში, რათა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მინიმალური დანახარჯებით მიღწეულ იქნეს ოპტიმალური საწარმოო მაჩვენებლები.

2. მატერიალური წარმოების სფეროს ყველა რგოლში დანერგილი უნდა იქნეს სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი — თვითანაზღაურების პრინციპი.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმომ (გაერთიანებამ) საკუთარი სახსრებით უნდა დაფაროს პროდუქციის საწარმოებლად გაწეული ყველა დანახარჯი და უზრუნველყოს მოგების მიღება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტთან და საკრედიტო ორგანოებთან ანგარიშსწორებისათვის და მასტიმულირებელი ფონდების შესაქმნელად.

მოგების განაწილებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ამასთან საყურადღებოა, რომ მისი უკუგება არ შეიძლება სწრაფად. ხელშესახებად მივიღოთ. მოგების განაწილების მასტიმულირებელი როლი დიდად არის ღამოკიდებული მოგების იმ ნაწილზე, რომელიც საწარმოს ურჩება, მაგრამ უკანასკნელ პერიოდამდე საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხვედრითი წონა ძალიან დაბალი იყო.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საწარმოში მოგების შექმნის და მისი განაწილების არსში გარკვეულია კოლექტივის წევრთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ხოლო საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურში პროდუქციის წარმოებაზე უშუალოდ დასაქმებულ მუშაკთა უმრავლესობას არ აწუხებს მოგების პრობლემა. მოგების კეთილისმყოფელ გავლენას ისინი მაშინ ამჩნევენ, როცა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან პრემიას ღებუ-

ლობენ, მაგრამ ამ ფონდების წყაროდ გამოყენებულია მოგების ისე მცირე ნაწილი, რომელიც საერთოდ ვერ მოახდენს გავლენას, მას მთელმა კოლექტივმა სათანადო ყურადღება მიაქციოს. საზოგადოებრივი წარმოების მართვის წინაშე დგას სწორედ ეს პრობლემა, მოგების განაწილების სისტემით დაინტერესდეს მილიონები და არა ერთეულები. ჩვენთვის ცნობილია ვ. ი. ლენინის უდიდესი მნიშვნელობის დებულება — პოლიტიკა იქ იწყება, სადაც მილიონები მოქმედებენ.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება დღის წესრიგში აყენებს ერთ პრობლემასაც, როგორ გავზარდოთ საწარმოში დასატოვებელი მოგება? აქ მოშველიებული უნდა იქნეს სამეურნეო ანგარიშის თვითანაზღაურების პრინციპი, ფართო გასაქანი უნდა მიეცეს საწარმოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა დაფინანსებას საკუთარი წყაროებით და მანქანათმშენებელ დარგებში დაინერგოს ბრუნვის გადასახადი, რომლისთვისაც საამისო პირობები აქ უკვე არსებობს.

მოგების განაწილების სისტემის სრულყოფის მიზნით ჩვენს ქვეყანაში წარმოებს სხვადასხვა ექსპერიმენტის გამოყენება, რომელთა შორის საინტერესო შედეგები იქნა მიღწეული სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებელი, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემის სამინისტროში.

მოგების განაწილების ახალი სისტემა სამინისტროში შემოღებულ იქნა 1970 წლის 1 ივლისიდან. მისი ძირითადი პრინციპია მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის პრინციპი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სამინისტროს ხუთწლიანი გეგმის დამტკიცებისას უწესდება ხუთწლედის თითოეული წლის მიხედვით დაყოფილი ხანგრძლივი მოქმედების ეკონომიკური ნორმატივები — მოგებიდან ანარიცხების ნორმატივი, რომელიც სამინისტროს განკარგულებაში რჩება და ნორმატივი, რომელიც განსაზღვრავს ხელფასის საერთო ფონდს სასაქონლო პროდუქციის მოცულობასთან პროცენტულ შეფარდებაში.

მოგების ანარიცხების ნორმატივების ხუთწლედის თითოეული წლის დაყოფა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი განსაზღვრავს მოგების თანხას, რომელიც რჩება სამინისტროს განკარგულებაში მის მიერ გასაწევი გეგმური ხარჯების დასაფარავად (კაპიტალურ დაბანდებათა, საბრუნავი საშუალებების ნამატის, მატერიალური წახალისების ფონდების შექმნის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-

ტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების დანახარჯები).

ნორმატივის სიდიდის გარკვევისას გაითვალისწინება ხუთწლედში დარგის განვითარებაზე მოქმედი ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალური ფაქტორები. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ დარგი მთლიანად სრულ სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, რაც სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა მთლიანად თვითანაზღაურებაზე გადასვლას სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა გამოყენების გარეშე.

სამინისტროს განკარგულებაში გადასარიცხი ნორმატივები ისე წესდება, რომ ყოველწლიურად გადიდდეს საზოგადოების სასარგებლოდ გადასაცემი მოგება. ე. ი. ბიუჯეტის შემოსავლები, მაგალითად, სამინისტრომ თუ 1970 წელს თავის განკარგულებაში დაიტოვა მოგების საერთო თანხიდან 58,6 პროცენტი, 1971 წელს ის დავიდა 54 პროცენტამდე, 1972 წელს — 47,8 პროცენტამდე. 1975 წელს კი 32,6 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტროს საბალანსო მოგების დიდი წილი გადავიდა სახელმწიფო ბიუჯეტში მთელი საზოგადოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამასთან ყურადსაღებია ისიც, რომ სამინისტრო დიდი მოცულობის ბრუნვის გადასახადის გადამხდელია.

დაწესებული ნორმატივი მოქმედების ხანგრძლივობასთან ერთად სტაბილურიც არის: მასში ცვლილებები შეიტანება მხოლოდ საბითუმო ფასების, ბრუნვის გადასახადის, ამორტიზაციის ანარიცხების ნორმის განაკვეთების ცვალებადობისას.

თუ სამინისტრო მოგების გეგმას ვერ შეასრულებს, ის ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებს 100 პროცენტით ასრულებს, ბიუჯეტში მოგების ანარიცხები შეიტანება საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ოდენობით.

სამინისტროს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისა და მოგების განაწილების დაგეგმვის ახალი წესი აძლევს იმის უფლებას, რომ გაზარდოს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოგების გეგმები ხუთწლედში დაგეგმილ მოცულობასთან შედარებით. დამატებით მიღებული მოგება ნაწილდება ბიუჯეტსა და დარგს შორის არსებული ნორმატივის შესაბამისად. ეს სამართლიანად ასრულებს სტიმულატორის როლს მის განკარგულებაში არსებული ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაში.

მოგების განაწილების ნორმატიულ მეთოდზე გადასვლამ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტში მოგებიდან გადასახდელების ცენტრალიზებული ანგარიშსწორება. ამასთან ფონდების საფასურისა და მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანებს ახორციელებენ უშუალოდ საწარმოები და გაერთიანებები. თუ საწარმოები და გაერთიანებები გადაჭარბებით ასრულებენ მოგების გეგმას, ოპერატიულად წარმოებს კორექტივების შეტანა მოგების განაწილების გეგმაში, რაც განაპირობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. თუ მოგების გეგმას ვერ ასრულებენ, მაშინ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი შესრულებული უნდა იქნეს სრულად საწარმოოს გაერთიანების რეზერვიდან და თუ ესეც არ იქნა საკმარისი, დავალიანება იფარება ბანკის კრედიტით. აუცილებლობის შემთხვევაში გაერთიანება (საწარმო) სამინისტროდან ღებულობს დროებით ფინანსურ დახმარებას.

ამრიგად, ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ცენტრალიზებული წესით შეტანა ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. დარგის თითოეული რგოლი მატერიალურად პასუხისმგებელია საწარმო-საფინანსო გეგმების შესრულებაზე.

მოგების განაწილების ნორმატიულ მეთოდს მოგების განაწილების არსებულ სისტემასთან შედარებით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია შემდეგი მომენტები:

1. მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის დროს სამინისტროს გააჩნია ხუთწლედისათვის დამტკიცებული მტკიცედ ფიქსირებული ნორმატივი და მოგების იმ ნაწილის მოცულობა, რომელიც სამინისტროს განკარგულებაში რჩება, რაც მას საშუალებას აძლევს აანაზღაუროს არა მარტო დარგის მიმდინარე ხარჯები, არამედ დაგეგმოს გლობალური ღონისძიებანი წარმოების სრულყოფისა და განვითარების ხაზით;

2. სამინისტროს (დარგის) მოგების გეგმის შესრულების მიუხედავად ბიუჯეტში შეაქვს გეგმური მოგება, რითაც მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება;

3. მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდი ასტიმულირებს სამინისტროს (დარგს), აიღოს მოგების დაძაბული გეგმა. მა-

გალითად, თუ სამინისტრომ მოგების გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, ზეგეგმური (2%) მოგებიდან სამინისტროს წილი გამოიანგარიშება შემცირებული ნორმატივებით. სწორედ ეს ფაქტორი ასტიმულირებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას:

4. სამინისტროს (დარგის) სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა (თვითანაზღაურების პრინციპზე) იწვევს დარგის მუშაკების შემოქმედებით ინიციატივასა და მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლებას წარმოების ეფექტიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად;

5. სამინისტროს (დარგს) საშუალება ეძლევა იმ ფინანსური რესურსების სრულყოფილი მანევრირებისა, რომლებიც მის განკარგულებაშია დატოვებული. ამასთან ბიუჯეტთან ურთიერთობის ცენტრალიზაცია იწვევს საფინანსო ორგანოების მუშაკთა გამოთავისუფლების აუცილებლობას.

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების სრულყოფილი პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგების განაწილებისას სწორი სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაცვას, რომელიც აუცილებელია სამრეწველო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის გეგმაზომიერი წარმართვისათვის, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია მოგების განაწილებისას საზოგადოებასა და საწარმოს (გაერთიანება) შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაწესება. სახელმწიფოსა და საწარმოს შორის მოგების განაწილების მეცნიერულად დასაბუთებული პროპორციების დაწესება ხელს უწყობს საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსური რესურსების გეგმაზომიერ მოზიდვასა და მის ოპტიმალურად გამოყენებას გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს შორის სწორი თანაფარდობის დაწესებას უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა გააჩნია, ის უნდა გახდეს მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირების აუცილებელი პირობა, რითაც მიღწეული იქნება მოგების განაწილების მეცნიერულად დასაბუთებული პროპორციები მატერიალური წახალისების ფონდებს შორის, რომელთა წყარო მოგებაა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოგების იმ ნაწილის სწორად განსაზღვრის მეთოდიკის შემუშავებას, რომელიც ძირითადი საწარმოო ფონდების გაფართოებული კვლავწარმოებისთვისაა მიმართული.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური საზოგადოება დაინ-

ტერესებულია მოგების იმ ნაწილის სწორად განსაზღვრაში, რომელიც მიმართული უნდა იქნეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების უზრუნველსაყოფად და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის მატების შესავსებად.

სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა და წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა მოგების განაწილების პერსპექტიული დაგეგმვა 5—10 წლისათვის.

მოგების განაწილების პერსპექტიული დაგეგმვის საფუძველი წარმოების მართვის ყველა ეტაპზე შეიძლება იყოს მეცნიერულად დასაბუთებული ხანგრძლივი მოქმედების ნორმატივები. მათი ცალკეულ ელემენტებად დაქუცმაცება არ არის მიზანშეწონილი.

მოგების განაწილების პერსპექტიული დაგეგმვა საფუძვლად უნდა დაედოს მიმდინარე და ოპერატიულ დაგეგმვას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებული ხანგრძლივი მოქმედების ნორმატივებში ცვლილებების შეტანა აკრძალული იყოს.

მოგების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული, მიმდინარე და ოპერატიული დაგეგმვა უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის საქმეა, როგორც საწარმოო ძალების გეგმაზომიერი და სწრაფი ტემპით განვითარების, ასევე წარმოებით ურთიერთობათა განვითარების მიზნითაც. მოგების სწორი დაგეგმვა მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის, შრომითი ენთუზიაზმის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოგების განაწილების არსებული სისტემა სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროპორციებზე და ტემპებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია. მაგრამ ასე როდი იყო საქმე დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის შემოღებამდე. მოგება აბსოლუტურად ვერ ასრულებდა იმ მასტიმულირებელ როლს სახალხო მეურნეობაში, როგორსაც ამჟამად ასრულებს.

სამეურნეო რეფორმამდე არსებული მოგების განაწილების წესი ნაკლებად მოქმედებდა წარმოების ეფექტიანობაზე. საწარმოები ეკონომიკურად დაინტერესებული არ იყვნენ წარმოების რენტაბელობის ამაღლებაში, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისათვის საჭირო დანახარჯების გაღება ძირი-

თადად ბიუჯეტიდან წარმოებდა, მატერიალური წარმოების სფეროს ამ საქმეს არ თვლიდნენ თავის სისხლხორცეულ საქმედ. უფრო მეტიც, წარმოების უყაირათოდ წარმართვის მიზეზით გამოწვეული საბრუნავი საშუალებების ნაკლებობაც კი ბიუჯეტიდან იფარებოდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემოღებულმა მოგების განაწილების ახალმა სისტემამ ძირფესვიანად უარყო ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადრე ჰქონდა ადგილი, მაგრამ შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ დღეს ჩვენ ამ საქმეში არსებული ყველა პრობლემა გადავწყვიტეთ. არა! თუმცა მოგების განაწილების ახალი სისტემის, ძველთან შედარებით უპირატესობანი სახეზეა, რომელთაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. მოგების განაწილების ახალი წესი ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცებას და სრული სამეურნეო ანგარიშის შემდგომ განვითარებას, რომელშიც მთავარი მოთხოვნაა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი და საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცება;

2. მოგება გახდა მატერიალური წახალისების ფონდების შექმნის წყარო. საწარმოს, გაერთიანების, კომბინატის განკარგულებაში რჩება მოგების მნიშვნელოვანი წილი, რაც მიიმართება ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებებისა და სხვა გეგმური დანახარჯების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად;

3. მნიშვნელოვნად იზრდება წარმოების მეურნეობრივი დაჭოუკიდებლობისა და ინიციატივის საფუძველზე გაფართოებული კვლავწარმოების მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირების, კოლექტივის სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად მოგების განაწილების ოპტიმალური პროპორციები; ამასთან მყარდება რამდენადმე სწორი კავშირურთიერთობანი საწარმოს საბალანსო მოგებასა და მის საწარმოო ფონდებს შორის.

ახალი დებულების მიხედვით, საბალანსო მოგებიდან გამოიყოფა ის ნაწილი, რომელსაც მტკიცე მიზნობრივი დანიშნულება აქვს, დარჩენილი ნაწილიდან იფარება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი — ფონდებზე საფასურის, ფიქსირებული და სარენტო გადასახდელების სახით, აგრეთვე ბანკის კრედიტისათვის სარგებელი.

საბალანსო მოგების დარჩენილი ნაწილით იქმნება მატერია-

ლური წახალისების ფონდები და მიიმართება ზემდგომ ორგანოებში მისი გეგმური გადანაწილების მიზნით.

განვიხილოთ მოგების განაწილების ამჟამად არსებული წესი:

საწარმოთა (გაერთიანებათა) გეგმური და ზეგეგმური მოგება თავისი დანიშნულების მიხედვით ნაწილდება ცალ-ცალკე.

გეგმური მოგებიდან, მისი განაწილების დაწყებამდე, გამოითქმება საწარმოს (გაერთიანების) განკარგულებაში მოგების დასაბეგრი ნაწილი, რომელიც გამოიყენება სპეციალური მიზნებისათვის:

1. მოგება, რომელიც მიღებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და ასორტიმენტის გაფართოებით საბითუმო და საცალო ფასებზე ფასდანამატის გამოყენებით;

2. დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან მიღებული მოგება;

3. ნარჩენებიდან დამზადებული სახალხო მოხმარების პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება;

4. საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც ამ საქონლის სერიული გამოშვების ერთი წლის მანძილზე შეიქმნება ხოლმე;

5. არასტანდარტული ტყავ-საგალანტერიო ნედლეულით გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება და ა. შ.

გეგმური მოგება, ზემოთ აღნიშნული ნაწილის გამოთიშვის შემდეგ, ნაწილდება სათანადო კანონმდებლობის ზუსტი დაცვით. პირველ რიგში გასანაწილებელი გეგმური მოგებიდან იფარება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აღებული ვალდებულებები — ფონდების საფასურისა და ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელის სახით, აგრეთვე ბანკის სესხების სარგებელი, გასანაწილებელი მოგების მეორე ნაწილი მიიმართება მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების გაფართოების ფონდების შესაქმნელად.

დარჩენილი მოგება მიიმართება შემდეგი მიზნების განსახორციელებლად:

1. კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად;

2. კაპიტალურ დაბანდებათა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად გაწეულ დანახარჯებზე აღებული სესხების დასაფარავად;

3. ახალი პროდუქციის გამოშვებისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებების გასატარებლად აღებული ბანკის კრედიტის დასაფარავად;

4. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნამატის დასაფინანსებლად;

5. საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პიონერული პანაკების შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად;

6. მოგების გადანაწილების მიზნით მისი ერთი ნაწილის ზემდგომ ორგანოებში გადასარიცხავად;

7. სამინისტროში (უწყებაში), საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებზე ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვში თანხების გადასარიცხავად.

გეგმური მოგება, რომელიც რჩება ყველა ამ გადასახდელებისა და გადარიცხვების შემდეგ, იწოდება მოგების თავისუფალ ნაშთად. მოგების თავისუფალი ნაშთი, როგორც წესი, მთლიანად გადადის სახელმწიფოს ბიუჯეტში.

ზეგეგმური მოგება ნაწილდება არსებული წესების ზუსტი დაცვის რიგისობის გათვალისწინებით. გეგმური მოგების მსგავსად მისგან პირველ რიგში იფარება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი და ბანკის კრედიტის სარგებელი. დარჩენილი ნაწილი მიიმართება ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დამატებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ივნისის № 413 დადგენილების შესაბამისად ზეგეგმური მოგებიდან ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დამატებითი სახსრების გადარიცხვამდე წარმოებს საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით შევსებისათვის აღებული ბანკის კრედიტის დაფარვა.

ზეგეგმური მოგების დარჩენილი ნაწილი გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

ა) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებისათვის;

ბ) საბინაო-კომუნალური მეურნეობის ზეგეგმური ზარალის დასაფარავად;

გ) სამინისტროს ფინანსური დახმარების აღმოჩენის რეზერვის შესავსებად;

დ) ბანკის იმ სესხების დასაფარავად, რომლებიც საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისას აღებულ იქნა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ახალი პროდუქციის წარმოების, მისი ხარისხის ასამაღლებლად გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ყოველივე ამის შემდეგ ზეგეგმური მოგების დარჩენილი ნაწილი იწოდება მოგების თავისუფალ ნაშთად და ექვემდებარება ბიუჯეტში ჩარიცხვას.

სამეურნეო რეფორმის შემოღებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოგების ის ნაწილი, რომელიც საწარმოს (გაერთიანების) განკარგულებაში რჩება. მაგალითად, 1975 წელს 1965 წელთან შედარებით საწარმოების განკარგულებაში დატოვებული მოგების ხვედრითი წონა გაიზარდა 30-დან 50 პროცენტამდე. ამავე პერიოდში მატერიალური წახალისების ფონდების მოცულობა გაიზარდა 8,5-ჯერ.

საყურადღებოა ის, რომ ამ პერიოდში მატერიალური წახალისების ფონდების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად მაღალი იყო სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების ძირითად მაჩვენებლებზე. მაგალითად, 1965—1973 წწ. ქვეყანაში საერთო პროდუქცია გაიზარდა 420 მილიარდი მანეთიდან 771 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 83 პროცენტით, შესაბამისად ეროვნული შემოსავალი 193,5 მილიარდიდან 337,8 მილიარდ მანეთამდე, ანუ 74 პროცენტით, მოგება 37 მილიარდიდან 98 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 2,6-ჯერ[1].

სამეურნეო რეფორმის შედეგად სადღეისოდ შესამჩნევად გამოიკვეთა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, მრეწველობაში შექმნილი მოგების განაწილების კანონზომიერებანი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ბიუჯეტის შენატანებში იზრდება ფონდების საფასურისა და მოგების თავისუფალი ნაშთის ხვედრითი წონა, ერთი უპირატესად, მეორე შედარებით ნაკლებად. მეათე ხუთწლედში ფონდების საფასურის ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზრდება და ის გახდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტაბილური წყარო და წარმოების ეფექტიანობის სტიმულირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

[1] См. Жевтяк П. Н., Колесников В. И. Прибыль в социалистическом расширенном воспроизводстве, М., 1976, стр. 97—99.

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება უნდა უზრუნველყოს ფონდების საფასურმა. რაც უფრო სრულყოფილად გამოიყენება საწარმოო ფონდები, მით უფრო ნაკლები წილი შევა საბალანსო მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, პარალელურად იზრდება მატერიალური წახალისების ფონდების მოცულობა, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის ნორმალურ წარმართვას.

ფონდების საფასური ბიუჯეტში გამოდის საზოგადოებრივი წარმოების სტიმულატორის როლში, რათა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საწარმოს (გაერთიანების) ძირითადი და საბრუნავი ფონდები: ფონდუკუგების ამაღლების, ცვლის კოეფიციენტის გაუმჯობესების, მოძველებული და ნაკლებად მწარმოებლური მანქანა-მოწყობილობათა უფრო პროგრესულით შეცვლის გზით.

ფონდების საფასური დადებითად მოქმედებს აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებაზეც. დღეს საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელები დაინტერესებული არიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, რომელიც კაპდაბანდებათა გარეშე შეუძლებელია.

ფონდების საფასურის ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტის გვერდით შემდგომ დახვეწას მოითხოვს ფიქსირებული გადასახდელების გაანგარიშების მეთოდი. ამ გადასახდელის შემოღებაც სამეურნეო რეფორმით იქნა გამოწვეული. თეორიულად ფიქსირებული გადასახდელები სამრეწველო წარმოების რენტაბელობის შიდადარგობრივი რეგულირების ერთ-ერთი პროგრესული ფორმაა, რომელმაც დღემდე ვერ მიიღო ფართო გავრცელება.

ასევე დღემდე ვერ ასრულებს წარმოების მასტიმულირებელ როლს მოგების თავისუფალი ნაშთი, ის კვლავინდებურად რჩება ფისკალურ ღონისძიებად. ამასთან მოგების თავისუფალი ნაშთის ბიუჯეტში შეტანის არსებული წესი რამდენადმე ამუხრუჭებს სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის — თვითანაზღაურების პრინციპის მოქმედებას, რაც სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა-განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოგების განაწილებისა და გამოყენების არსებული წესიც ჯერ კიდევ მთლია-

ნად ვერ პასუხობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

საწარმოები (გაერთიანებები) ჯერ კიდევ ნაკლებად არიან დაინტერესებული მოგების დაძაბული გეგმების აღების საქმეში, რაც საბოლოო ჯამში აუხრუკავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მოგების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება ერთ-ერთი მთავარი სადღეისო ამოცანაა. მაგრამ ჯერჯერობით მოგება, როგორც ღირებულებითი ბერკეტი, სრულად არ არის გამოყენებული კოლექტიური და პირადი მატერიალური დაინტერესების ასამაღლებლად.

მართალია დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის შემოღება ითვალისწინებდა მოგების განაწილების შემდგომ სრულყოფა-დამუშავებას, მაგრამ ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა იმაზე მეტყველებს, რომ ამ საქმეში ჯერაც არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი; ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს — მოგების თავისუფალი ნაშთის არსებობა ასუსტებს მოგების განაწილების არსებული სისტემის ქმედითობას. იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის არანორმირებულ გადასახდელს, რომელიც მნიშვნელოვანწილად ამცირებს საწარმოო ფონდების საფასურის მასტიმულირებელ ფუნქციას. ამჟამად ბიუჯეტში მოგების თავისუფალი ნაშთის მოცულობა ძალზე დიდია. მაგალითად, 1974 წელს სსრ კავშირის სამრეწველო საწარმოთა მოგებიდან ბიუჯეტში შენატანების სტრუქტურა მოცემულია მე-8 ცხრილში[1].

ცხრილი 8

	მილიარდ მანეთობით	%
მოგებიდან გადასახდელები ბიუჯეტში სულ	64,4	100
მათ შორის:		
საწარმოო ფონდების საფასური . .	19,1	29,6
სარენტო (ფიქსირებული) გადასახდელები	2,9	4,5
მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანები ბიუჯეტში	30,7	47,7
დანარჩენი გადასახდელები .	11,7	18,2

[1] См. Журнал «Экономические науки», № 1, 1977, стр. 96.

აღნიშნული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მოგების გადასახდელებში მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანების ხვედრითი წონა გაიზარდა 47,7 პროცენტამდე, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოო ფონდების საფასურის მასტიმულირებელ როლზე. თუ განვიხილავთ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების გადასახდელების სტრუქტურასა და დინამიკას მეცხრე ხუთწლედში, ასეთ სურათს მივიღებთ[1]:

ცხრილი 9

	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
მოგების გადასახდელები სულ (ათ. მან). .	403603	416933	416782	447089	496163
მათ შორის:					
ფონდების საფასური (ათ. მან) . .	54410	61413	64411	78421	87921
ხვედრითი წონა (პროცენტებში) .	13,5	14,7	15,5	17,5	17,7
ფიქსირებული გადასახდელები (ათ. მან.) .	3919	2856	3196	3298	3472
ხვედრითი წონა (პროცენტებში) .	1,0	0,7	0.1	0.7	0,7
მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანები (ათ. მან.) . .	209242	222772	212032	238064	272470
ხვედრითი წონა (პროცენტებში) .	51.8	53,4	50,9	53,3	54.9
მოგებიდან ანარიცხები და სხვა გადასახდელები (ათ. მან.)	136032	129697	137136	127256	132300
ხვედრითი წონა (პროცენტებში) .	33.7	31,2	32,9	28,5	26,7

რესპუბლიკაში თავისუფალი ნაშთის შენატანების მოცულობის ზრდის ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ სამინისტროების (უწყებების), საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელობა და მათი საფინანსო სამსახურის მუშაკები არასათანადოდ ერკვევიან სამეურნეო რეფორმის ნიუანსებში, რაც კიდევ უფრო ადაბლებს ფონდების საფასურის მასტიმულირებელ როლს.

უნდა დავეთანხმოთ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს, რომ რაც არ უნდა მცირე იყოს მისი მოცულობა, ამ კატეგორიის არსებობა იძულებულს გვხდის შენარჩუნებულ იქნეს საფინანსო დაგეგმვის რეფორმამდელი წესი — ზემოდან რეგლამენტირების შესახებ.

[1] მასალები აღებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ანგარიშგებიდან.

მოგების განაწილებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებასაც: სადღეისოდ გადაწყვეტილი არ არის ოპტიმალური თანაფარდობა მოგებასა და აუცილებელ პროდუქტს შორის.

როგორც წესი, მოგების ნაწილი გამოყენებულია ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად, რომელთაგან ერთი ნაწილი გამოიყენება პირადი მოხმარებისათვის (მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული და საბინაო ფონდებიდან), ხოლო მეორე — საზოგადოებრივი მოხმარებისათვის (წარმოების განვითარების ფონდიდან).

მოგების იმ ნაწილს, რომელიც პირად მოხმარებას ხმარდება საზღვარი აქვს — შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა მოხმარებითი კეთილდღეობის ამაღლებას. ამასთან, ისიც გათვალისწინებულია, რომ თუ არ იქნება შენარჩუნებული ფულადი ემოქცევის იმტკიცე, მოსახლეობის ფულადი შემოსავლები უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება, ვიდრე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, მაშინ მოგება დაკარგავს მატერიალური სტიმულირების ბერკეტის ფუნქციას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შემდგომ სრულყოფას მოითხოვს, არის მოგების განაწილებაში რიგისობის პრინციპის შეცვლა. აუცილებელია, მიზნობრივი ფონდების შექმნის შემდეგ დარჩენილი მოგების ნაწილი განაწილდეს ასეთი თანამიმდევრობით:

1. ფონდების საფასური;
2. ბანკის სესხებისა და სესხებზე სარგებლის დაფარვა;
3. საბრუნავი საშუალებების შევსება;
4. კაპიტალურ დაბანდებათა თვითდაფინანსება;
5. ანარიცხები წარმოების განვითარების ფონდში;
6. ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში.

§ 8. წარმოების ეკონომიკური სტიმულირება და მოგება

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დამახასიათებელი თავისებურებაა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მზარდი როლი.

სამეურნეო ანგარიშის დროს ეკონომიკური სტიმულირების ფონდები წარმოადგენს კოლექტიურ ფონდებს და გამოიყენება საწარმოს კოლექტივის წევრებისათვის, რისი მეშვეობითაც მატერია-

ლური წარმოების სფეროში კოლექტიური და მასში დასაქმებული მუშაკების პირადი ეკონომიკური ინტერესები ოპტიმალურადაა ერთმანეთთან შეთანაწყობილი. თვითონ ის ფაქტი, რომ საწარმოს კოლექტივს უფლება აქვს გადარიცხოს მოგების ნაწილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად თავისთავად ნიშნავს საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად პირობების უზრუნველყოფას, იმიტომ, რომ მოგების ნაწილის ჩარიცხვა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მაშინ წარმოებს, როდესაც საზოგადოების გარკვეული დავალებები საწარმოს წარმატებით აქვს შესრულებული.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მნიშვნელობა და როლი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად მდგომარეობს წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებაში, ეს არის ის მთავარი ამოცანა, რომელიც საბოლოო ჯამში მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მთავარი წყაროა.

მატერიალური სტიმულირების ფონდები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ნ. გარეტოვსკის მოსაზრებით, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ინტერესების დაკმაყოფილების ხასიათის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: საერთო დარგობრივ, დარგისა და სპეციალურ ფონდებად[1].

საერთო დარგობრივ ფონდებს მიეკუთვნება ყველა ის ფონდი, რომლის შექმნის უფლება ყველა სამრეწველო საწარმოს შეუძლია, თუ ისინი უზრუნველყოფენ შესაბამისად ფონდების შექმნის პირობებს. საერთო დარგობრივ ფონდებში შედის მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების, ფართო მოხმარების ფონდები და ა. შ.

დარგობრივ ფონდებს მიეკუთვნება ის ფონდები, რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ დარგის სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკურ სტიმულირებას. ესენია: სახალხო მოხმარების ახალი სახის საქონლის ათვისების, ახალი ტექნიკის შექმნის, დანერგვის პრემირებისა და სხვა ფონდები.

ეკონომიკური სტიმულირების სპეციალურ ფონდებს მიეკუთვნება საწარმოს კოლექტივებისათვის საზოგადოების ცალკეული და-

[1] См. «Механизм экономического стимулирования при социализме», под редак. акад. Н. Федоренко. М., 1973, стр. 217.

ვალებების წარმატებით შესრულების მასტიმულირებელი ფონდები, ესენია: მაღალხარისხობრივი პროდუქციის გამოშვებისა და ექსპორტში დროულად გადატვირთვისათვის მუშაკთა პრემირების ფონდი და სხვ.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების როლის ამაღლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასებს. ფასები, გეგმაზომიერებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მოგებას, როგორც ეკონომიკური სტიმულირების ფონდების წყაროს. ამიტომ ლოგიკურად იგი გავლენას ახდენს საზოგადოების, კოლექტივისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე.

სამეურნეო მექანიზმისა და საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების უკეთ გამოყენების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეცნიერულად დასაბუთებული საბითუმო ფასების სისტემა. საბითუმო ფასებმა ხელი უნდა შეუწყოს მატერიალური დანახარჯების მომჭირნეობით გამოყენებას და მოახდინოს აქტიური მასტიმულირებელი ზემოქმედება პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და ასორტიმენტის განახლებაზე.

საბითუმო ფასების სისტემა უფრო მყარი, უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უნდა მოქმედებდეს, იგი არ უნდა დაექვემდებაროს ხშირ ცვალებადობას. საბითუმო ფასების მასობრივი გადასინჯვა, ვფიქრობთ, უმჯობესია მოხდეს ხუთწლედში ერთხელ, რაც ხელს შეუწყობს ხუთწლიანი გეგმების მეცნიერულ შედგენას მყარი საბითუმო ფასების ბაზაზე.

ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლამ სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში ფასების გადასინჯვა გამოიწვია, რაც განპირობებული იყო საბითუმო ფასების მასტიმულირებელი როლის ამაღლებითა და გეგმით ზარალიანი პროდუქციისა და საწარმოთა ლიკვიდაციით. მაგალითად, 1973 წლის 1 იანვრიდან შემცირებულ იქნა მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე ფასები. აღნიშნული ღონისძიების გატარებით შესაძლებელი გახდა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და ეკონომიკური სტიმულირების ზრდა, რაც ფასების მასტიმულირებელი როლით იქნა გამოწვეული.

ფასწარმოქმნის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ფასების დონე მიუახლოვოთ შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონეს, რაც ოპტიმალურად იმოქმე-

დებს მოგების მასაზე, რომელიც ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის წყაროა.

ამრიგად, ფასების ფორმირების მეცნიერული დონის ამაღლება გამოიწვევს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების წყაროს — მოგების მასტიმულირებელი როლის ამაღლებას. მოგების, როგორც საწარმოს საქმიანობის ფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმის როლი, უფრო მეტად გაიზრდება მაშინ, როდესაც მას სხვა მაჩვენებლებთან კომპლექსში წარმოვადგენთ, როგორიცაა: რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ღირებულებითი და ნატურალური სახით, პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება და წარმოების რენტაბელობა.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი თავისებურად მოქმედებს მოგების იმ ნაწილის მოცულობაზე, რომელიც საწარმოს განკარგულებაში რჩება, ამიტომ ის დაინტერესებულია მიაღწიოს ყველა ამ მაჩვენებელთა დავალების შესრულებას.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების როლის ამაღლება მატერიალური დოვლათის წარმოებაში მონაწილე ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებაში იწვევს იმ დავალებათა მაჩვენებლების ოპტიმალურ არჩევას, რომლებიც უფლებას იძლევიან მოგების ნაწილი ჩაირიცხოს ეკონომიკურ სტიმულირებათა ფონდებში.

სამეურნეო რეფორმამდე ეკონომიკური სტიმულირების ფონდების განმსაზღვრელ მაჩვენებელთა სისტემაში შედიოდა სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმაც, რაც საწარმოს უფლებას აძლევდა ეს დავალება გადაჭარბებით შეესრულებინა, მიუხედავად იმისა. ესა თუ ის საქონელი აკმაყოფილებდა თუ არა საზოგადოების ინტერესებს. სამეურნეო რეფორმით შემოღებულ იქნა ამ მაჩვენებლების ნაცვლად პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ნატურალური და ღირებულებითი განზომილებით. ამასთან მეურნეობრივი მართვის არსებულმა პირობებმა მოითხოვა ამ მაჩვენებელთან ერთად იმ ძირითად ნაკეთობათა გეგმის შემოტანაც, რომლებზედაც საზოგადოების მხრივ გაზრდილი მოთხოვნებია.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ მასტიმულირებელი ფონდების შემადგენელი მაჩვენებლების ოპტიმალურად არჩევა იწვევს როგორც მშრომელთა კეთილდღეობის უკეთ დაკმაყოფილებას, ასევე წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვნად ამაღლებას, რაც განვითარებული სოციალიზმის მთავარი ამოცანაა.

მეათე ხუთწლედში საწარმოთა კოლექტივების მატერიალური წახალისების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია წამახალისებელი ფონდების ოდენობის დაწესება ხუთწლიანი გეგმის შესრულების კვალობაზე წლებად დაყოფით, რითაც წლიური გეგმისა და ხუთწლიანი გეგმების მთლიანად შესრულება სტიმულირების ობიექტი გახდა. ეს მომენტი იწვევს საწარმოს სტიმულირებას, რათა წლიური გეგმების კორექტირებისას მიიღოს რეალური და დაძაბული წლიური გეგმები.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნაში მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდების მაჩვენებელთა როლი.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ბევრი საწარმო უკანასკნელი წლების მანძილზე ვერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებიც დამხმარე ოპერაციებს ასრულებენ და ეწევიან ხელით შრომას, აღწევს 42 პროცენტს, მათ შორის: მანქანათმშენებლობასა და ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში — 48 პროცენტს, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 57 პროცენტს, საშენ მასალათა მრეწველობაში — 53 პროცენტს, სწორედ ამ კატეგორიის მუშაკთა ხვედრითი წონის ასეთი მაღალი პროცენტი დაბლა სწევს შრომის ნაყოფიერების დონეს.

რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ დაბალია ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია 200-ზე მეტი კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის საქმეში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომლებიც უპასუხებენ დღევანდელი სტანდარტის მოთხოვნებს.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მოცულობის გადიდებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგების გადიდებამ. სახალხო მეურნეობაში უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიზნად ისახავენ ფონდუკუგების გადიდებას.

ფონდების უკუგების გადიდებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია მანქანებისა და მოწყობილობათა მუშაობის ცვლიანობის

კოეფიციენტის გადიდება, რომელიც მანქანათმშენებლობაში გაიზრდება 20—30 პროცენტით. მეათე ხუთწლედში — აღინიშნა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, — უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საწარმოო სიმძლავრეთა მატება უპირატესად საწარმოთა ტექნიკური განახლების, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რათა გადიდდეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება უმცირესი დანახარჯებით და უფრო მოკლე ვადებში. „დავაჩქაროთ მორალურად მოძველებული ტექნიკის შეცვლა“[1].

თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ფონდუკუგების გადიდებას ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნაში, რაც საბოლოო ჯამში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორია, შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგი მონაცემებით: 1976 წლის დასაწყისში ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობამ მიაღწია 800 მილიარდ მანეთს, მათ შორის: მრეწველობაში 400 მილიარდ მანეთს. ფონდუკუგების მხოლოდ 1%-ით ზრდა უზრუნველყოფს დამატებით 5 მილიარდი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ან კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიას 3 მილიარდ მანეთამდე და დამატებით 1 მილიარდი მანეთის მოგების მიღებას[2].

ამასთან საყურადღებოა ის, რომ დღემდე ფუნდუკუგების გადიდების შესაძლებლობები არასრულყოფილად გამოიყენება, რის გამოც ეცემა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

1975 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში ფუნდუკუგება 1970 წელთან შედარებით არა თუ გაიზარდა, არამედ 0,8 პროცენტით შემცირდა. ამასთან ძირითად დარგებში შემცირების ტენდენცია ნათლად გამოკვეთილ სახეს ღებულობს, მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში შემცირდა 2,5 პროცენტით, შავ მეტალურგიაში —6.8 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 7,2 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 15 პროცენტით.

თუ 1960—1975 წლებში ეროვნული შემოსავლის მატებას მივიღებთ 100%-ად. ამავე პერიოდში ძირითადი საწარმოო ფონდების მატება შეადგენს 236,6 პროცენტს. გამოდის, რომ ფონდუკუგების ეფექტი უარყოფითი სიდიდით გამოიხატება; პროდუქციის მატე-

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 226.

2 См. Гарбузов В. Ф. Решения XXV съезда КПСС и задачи финансовой системы, журн. «Финансы СССР», 1976 № 5, стр. 12.

ბის ყოველ პროცენტზე მოდიოდა ძირითადი საწარმოო ფონდების 2.4 პროცენტით მატება[1].

შეტად არასასურველი შედეგები გააჩნია რესპუბლიკის მრეწველობას მოწყობილობათა მუშაობის ცვლიანობის საქმეში. ცვლიანობის კოეფიციენტი საერთო საკავშირო დონეზე დაბალია. მაგალითად, 1975 წელს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის ბამბის ძაფსართავი მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი შეადგენდა 2.6-ს, საქართველოში კი — 2,1-ს.

ფონდუკუგების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში მოწყობილობათა და მექანიზმების არადამაკმაყოფილებელი მოგომარეობა. 1976 წლის დასაწყისში მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიულ მრეწველობაში იმ მოწყობილობათა ოდენობა, რომლებიც ექსპლუატაციაშია 10-ზე მეტი წელი, შეადგენს 40 პროცენტს, მსუბუქ მრეწველობაში — 35 პროცენტს, კვების მრეწველობაში — 30 პროცენტს. მიმდინარე ხუთწლედში ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიხარჯება 800 მილიონი მანეთი, მათ შორის: ტექნიკურ გადაიარაღებაზე 33.5 მილიონი მანეთი.

ფონდების გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო-საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებაზე დაინტერესების გადიდება. სწორედ პარტიის XXV ყრილობის მითითებაა, განსაკუთრებით გავაძლიეროთ დაინტერესება ხარისხობრივი გეგმების მაჩვენებლების — შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესრულებისადმი.

იმისათვის, რომ სრულყოფილად იქნეს გამოყენებული სამეურნეო რეფორმის უპირატესობანი, საჭიროა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების გამოყენებას საუკეთესოდ დაედოს შრომის მიხედვით განაწილების კანონის მოთხოვნები. საქმისადმი ასეთი მიდგომა შეგვეძლება საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას, კოლექტივის წევრთა წარმოების საბოლოო შედეგებით დაინტერესების ამაღლებას. ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ხარჯვა დამოკიდებული უნდა იყოს

---

[1] ვ. მელქაძე. საკავშირო და რეგიონალური ეკონომიკური სტრატეგია. გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 14 იანვარი.

შრომის ანაზღაურების დონეზე, თუ ეს გათვალისწინებული არ იქნება, მაშინ დაირღვევა სამეურნეო ანგარიშის პრინციპი. ასევე მიუღებელია პრემიების გამოყენება კოლექტივის წევრთა ხელფასის გათანაბრების მისაღწევად. ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მშრომელთა კოლექტივების საქმიანობის შესაფასებლად და არა უბრალოდ შემოსავლების გასათანაბრებლად.

სამეურნეო რეფორმა ნიშნავს ეკონომიკის დარგში დაგეგმვის, მართვისა და სტიმულირებისადმი ახალ მიდგომას, მაშინ, როდესაც უცვლელი რჩება მეურნეობრივი მართვის ყველა ამოსავალი პირობები, როგორიცაა: წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, ცენტრალიზებული დაგეგმვა, დაფინანსებისა და ბანკრედიტების სოციალისტური პრინციპები, ფასწარმოქმნა, შრომის ანაზღაურების სისტემა და სხვა. მხოლოდ სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საქმეში წინა პლანზე წამოიწია მართვის ეკონომიკურმა, მეურნეობრივმა მეთოდებმა.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი წესის თანახმად, მეურნეობრივი საქმიანობის საბოლოო შედეგების მისაღებად მატერიალურად უნდა დავაინტერესოთ საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივები. აქედან გამომდინარე, სამეურნეო რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა საწარმოს წმინდა შემოსავლის ნაწილი გამოყენებულ იქნეს მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის, რათა მიაღწიონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის უკეთეს საბოლოო შედეგებს.

ზედმეტი პროდუქციის ღირებულების ნაწილი, რომელიც მოგების სახით არის წარმოდგენილი, მიმართული უნდა იქნეს წარმოების შემდგომი ოპტიმალური განვითარების მისაღწევად, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად. ამ ფონდების სიდიდე პირდაპირ საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებზეა დამოკიდებული.

საწარმოთა და გაერთიანებათა მოგება არა მარტო მატერიალური წახალისების ფონდების შექმნის წყაროა, არამედ კოლექტივის საქმიანობის საბოლოო შედეგია, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული წარმოების შემდგომი სრულყოფა-განვითარება.

საწარმოებმა წამახალისებელი ფონდები ისე უნდა გაანაწი-

ლონ, რომ ისინი გამოვიდნენ წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების სტიმულატორის როლში.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდებმა უნდა შეასრულონ:

ა) სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს მუშაკთა კოლექტივის შრომის მატერიალური წახალისების ფუნქცია;

ბ) წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევაში მუშაკთა პირადი დაინტერესების მატერიალური წახალისების ფუნქცია.

სწორედ მატერიალური სტიმულირების ფონდების ეს ორი ფუნქცია უდევს საფუძვლად წარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას, ძირითადი ფონდების მაქსიმალურად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას, პროდუქციის ხარისხის არსებით გაუმჯობესებას, უმცირესი დანახარჯებით პროდუქციის გამოშვების. საწარმოსა და სახელმწიფო შემოსავლებისა და მუშაკთა შრომის ანაზღაურების გადიდებას.

პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკონომიკური სტიმულირების მეთოდების გამოყენების გაუმჯობესების პრობლემებს. „გავაძლიეროთ ეკონომიური სტიმულირების როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფაში, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების გაუმჯობესებაში“[1].

როცა ვლაპარაკობთ სამეურნეო რეფორმის უდიდეს სახალხო-მეურნეობრივ მნიშვნელობაზე, ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციული მეთოდების ნაკლოვანებები ნათლად ვლინდება, სახელდობრ: ყურადღება არ ექცეოდა შრომის ხასიათის თავისებურებების ანალიზს, დაკნინებული იყო სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სისტემაში მატერიალური წარმოების სფეროს პირვანდელი რგოლების ავტორიტეტი და როლი; აქედან გამომდინარე კოლექტივის მატერიალური სტიმულირება გამოცხადებული იყო მეორე ხარისხოვან მოვლენად.

ახალ სამეურნეო რეფორმამდე წარმოების ეფექტიანობის ერთერთ მთავარ სტიმულატორად მიჩნეული იყო ხელფასი. ის წარმოადგენდა ინდივიდუალური მატერიალური წახალისების გადამწყვეტ

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 232.

ფორმას. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ იქ, სადაც მოუწესრიგებელია ხელფასის ორგანიზაცია, დიდია მუშაკთა დენადობა და წარმოებული პროდუქციის წუნი, ხოლო იმ საწარმოებში, სადაც ხელფასის ორგანიზაცია მაღალ დონეზეა მოგვარებული, უკეთესი საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგებია მიღწეული. მაგრამ მარტო ხელფასით შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. სამეურნეო რეფორმამ წინა პლანზე დააყენა მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმები და სწორადაც გაკეთდა. თუ ხელფასი მტკიცედ რეგლამენტირებულია, წახალისების ფონდებით უფრო მეტი მანევრირება შეიძლება, რაც უმნიშვნელოვანესი სტიმულატორის როლში გამოდის. ამ საქმეში თავის სიტყვას ამბობს მოგება, რომელიც უნდა გახდეს მატერიალური წახალისების ფონდების მთავარი წყარო.

როგორც აღინიშნა, მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნის წყაროა მოგება.

წახალისების ფონდების შესაქმნელად წესდება მოგებიდან გადარიცხვების დარგობრივი და ჯგუფური ნორმატივები, პროცენტობით საწარმოთა მთელი პერსონალის ხელფასის წლიური ფონდის მიმართ ცალკე მატერიალური წახალისებისა და ცალკე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდისათვის.

ნორმატივების გაანგარიშებისას გამოიყენება პროდუქციის რეალიზაციის, მოგებისა და რენტაბელობის ზრდის მაჩვენებლები.

მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი ნორმატივები, რომლებიც ამა თუ იმ დარგისათვის წესდება, უდიდეს როლს ასრულებენ ამ დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დარგობრივი ნორმატივების მთელი პერსონალის ხელფასის წლიურ გეგმურ ფონდთან პროცენტობით დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: პროდუქციის რეალიზაციის, მოგების საანგარიშსწორებო რენტაბელობის მოცულობის თითოეული პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

იმისათვის, რომ ამაღლდეს კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის პროდუქციის ხარისხისადმი მატერიალური დაინტერესება, ხარისხის გაუმჯობესებით მიღებული მოგების ნაწილი დამატებით

გადაირიცხება მატერიალური წახალისების ფონდში, რომელსაც არ ითვალისწინებენ ნორმატივების დაწესების დროს.

წახალისების ფონდში გადასარიცხი წლიური გეგმური თანხა კვარტალებად დაყოფით აისახება საწარმოს საფინანსო გეგმაში.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ანარიცხების სტაბილური ნორმატივების შემოღებას, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების იმ მოცულობიდან, რომელიც წამახალისებელი ფონდების შესაქმნელად მიიღება მხედველობაში, უნდა გამოთიშოს: პროდუქციის რეალიზაციის ის მოცულობა (შესაბამისად რეალიზაციიდან მიღებული მოგება), რომელიც დამზადებულია სტანდარტებიდან გადახვევით; საბითუმო ფასების გადიდებით მიღებული დამატებითი ამონაგების თანხა; ტექნიკურად არასრულყოფილი და მოძველებული ფასონის, აგრეთვე ძნელად სარეალიზაციო ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციის დათმობის ან საბითუმო ფასების შემცირების თანხა.

ამჟამად საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდების შექმნისას სამწუხაროდ სპორადულად ითვალისწინებენ ზოგიერთ ისეთ მაჩვენებელს, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებაზე; მაგალითად, ხარისხის ნიშნის მქონე საქონლის გეგმის ზევით გამოშვებით, გაუმჯობესებული ასორტიმენტის პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდებით მთლიანად გამოშვებულ პროდუქციაში მიღებული დამატებითი მოგების ნაწილი გადაირიცხება წამახალისებელ ფონდებში.

მაგრამ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ოპტიმალურად არ არის შერჩეული და დახვეწილი ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს წარმოების საბოლოო შედეგებზე. ჩვენი აზრით, უნდა გაძლიერდეს წამახალისებელი ფონდების შექმნაში ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების როლი და მნიშვნელობა, როგორიცაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ახალი სახის პროდუქციის ათვისება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის მოცულობის გადიდება შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. გა-

სათვალისწინებელია აგრეთვე შრომის ინტენსიფიკაციის განვითარების მაჩვენებელთა სისტემაც.

ასევე ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის მატერიალური წახალისების ფონდიდან მუშაკთა პრემირების საქმე. კარგად მომუშავე საწარმოში, რომელიც საწარმოო გეგმებს რიტმულად და მტკიცედ ასრულებს, მუშაკთა პრემია წარმოადგენს ხელფასზე გარანტირებულ დანამატს. ბევრ სამრეწველო საწარმოში, ტიპური დებულების მიხედვით, პრემიის ოდენობა წესდება ყველა მუშაკისათვის ერთნაირი პროცენტით. თუმცა პრემიის აბსოლუტური მოცულობა სხვადასხვა იქნება, რაღგანაც მასზე მოქმედებს მუშაკთა ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები. ამიტომ თითოეული მუშაკის მუშაობის ხარისხი ნაკლებად არის გათვალისწინებული. ყურადსაღებია, რომ პრემირების შესახებ დებულება ითვალისწინებს საერთო წარმოებებში ამა თუ იმ მუშაკის პირადი მონაწილეობისათვის დამატებითი პრემიის გაცემას 25 პროცენტის რაოდენობით, მაგრამ საწარმოთა ხელმძღვანელები აღნიშნულ უფლებას ეფექტიანად არ იყენებენ, რასაც ბევრი იმითაც კი ამართლებს, რომ ერთ მუშაკზე პრემიის მომატება გამოიწვევს მეორეზე შემცირებას და ა. შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მატერიალური წახალისების ფონდიდან მუშაკებზე ვასაცემი პრემიის გათანაბრება არ იძლევა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში თითოეული ბეჯითი მუშაკის დაინტერესების საშუალებას. საწარმოს მიერ მიღწეული წარმატებების მთელს კოლექტივზე მიწერა, განურჩევლად მუშაკებისა, მართებული არ არის. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ კოლექტივის ზოგიერთი წევრი ცდილობს ნაკლები შრომის დანახარჯებით მეტი შემოსავალი მიიღოს, ამით ის ითვისებს იმ მუშაკთა შემოსავლის ნაწილს, რომლებიც ბეჯითად და დიდი უკუგებით შრომობენ წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საწარმოს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსა და მოსამსახურეებზე პრემია ისეთივე წესით გაიცემა, როგორც კოლექტივის სხვა წევრებზე. ჩვენ ვფიქრობთ, პრემიის ოდენობა უნდა იქნეს დაკავშირებული მათი მუშაობის პირდაპირ შედეგთან. საერთო-საქარხნო მაჩვენებლები საფუძვლად უნდა დაედოს საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირებას და არა საერთოდ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მატერიალური წახალისების ოდენობას. მათი პრემირება

უნდა მოხდეს იმ ქვედანაყოფისა და რგოლის საქმიანობის შედეგების მიხედვით, რომელშიაც ისინი მუშაობენ.

მატერიალური წარმოების სფეროს (საწარმოს, ფირმის, გაერთიანების) მუშების პრემირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია თანამედროვე პირობებში. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა ძირფესვიანად შეცვალა მუშათა პრემირება. მათ პრემია შეიძლება მიეცეთ როგორც ხელფასის, ასევე მატერიალური წახალისების ფონდიდანაც. სწორედ მუშათა პრემირების გაცემის შესაძლებლობათა გაფართოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოების საერთო წარმატებების მიღწევებს. უკვე მუშები აქტიურად მონაწილეობენ და დაინტერესებულნი არიან წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების საქმეში. მაგრამ არსებული მეთოდოლოგიური მითითებები მუშების პრემირების შესახებ ჯერ კიდევ არასრულყოფილია და ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. ადრე არსებული წესით მუშების პრემიის ოდენობას ფაქტიურად შექმნილი პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლები განსაზღვრავდა, რამდენადმე უგულებელყოფილი იყო ხარისხობრივ მაჩვენებელთა შედეგები. ჩვენი აზრით, მუშათა პრემიის შექმნის წყაროდ უნდა გავხადოთ დამატებითი მოგება, რომელიც მიიღება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მიღებული მოგება.

მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის საკითხების განხილვისას, აუცილებელია გავარკვიოთ ხელფასისა და წახალისების ფონდის კავშირურთიერთობის პრობლემაც. ხელფასში უნდა აისახოს საწარმოს თითოეული მუშაკის შრომითი წილი და აიგოს შესაბამის სატარიფო ბადეზე, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის ხასიათი, სიმძიმე და მისი ნაყოფიერება. პრემია კი იქნება მოგებიდან, რომლის სიდიდეზე მოქმედებს არა მარტო თითოეული მუშაკის შრომა, არამედ წარმოების ორგანიზაციის არსებული დონეც. ამიტომ მუშაკთა პრემირებისას გასათვალისწინებელია არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. და თუ დღეს მოგების გადიდებაზე ზრუნვა მინდობილი აქვს მხოლოდ საწარმოს საფინანსო-საგეგმო სამსახურის მუშაკებს, მომავალში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პრემირების რთული სისტემის გამარტივებას, მისი არსისა და წყაროს ბუნებაში

საწარმოს კოლექტივის თითოეული მუშაკის გარკვევას, რათა დაინტერესდნენ ისინი ამ მაჩვენებლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში.

ამრიგად, მუშაკთა დამატებითი წახალისების წყაროა მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, ხარისხობრივი მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით, რომელიც ხელფასის ფონდიდან უნდა გაიცეს.

მატერიალური წახალისების ფონდიდან მიმდინარე შედეგებზე მუშაკთა პრემირების შემდგომი სრულყოფა-განვითარება უნდა მოხდეს ამ ფონდში დამატებითი შემოსავლების მიზიდვით, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

მატერიალური წახალისების ფონდიდან უნდა მოვახდინოთ მუშაკთა პრემირება წლის შედეგების მიხედვითაც. ამ მიზნით გამოიყენება მატერიალური წახალისების ფონდის 30—35 პროცენტი. მუშაკთა წლის შედეგების მიხედვით პრემირება ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროდუქტის დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების სრულად განხორციელების უზრუნველყოფას. ამ სახით მუშაზე გასაცემი პრემიის ოდენობა განისაზღვრება მუშაკის საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში მონაწილეობის ხარისხით. მაგრამ აღნიშნული პრემია ეფექტიანად მაინც ვერ მოქმედებს მუშაკის სტიმულირებაზე. ამ პრემიის სიდიდე დამოკიდებულია მუშაკის ხელფასის განაკვეთზე. ამიტომ იგი სრულად ვერ ასტიმულირებს მუშაკს წარმოების შედეგების გაუმჯობესების მიღწევაში.

ჩვენი აზრით, წლის შედეგების მიხედვით მუშაკებზე პრემიის მოცულობის გაანგარიშებას ხელფასის განაკვეთთან ერთად საფუძვლად უნდა დავუდოთ მუშაკის მიერ მიღებული მორალური წახალისებები, როგორიცაა მთავრობის ჯილდოები, ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო წოდებების მინიჭება, საპატიო დაფაზე შეტანა და ა. შ.

წლის შედეგების მიხედვით მუშაკთა პრემირება საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელებს შეუძლია გამოიყენოს მუშახელის დენადობის შესამცირებლად, რომლის დონეც ჯერჯერობით შესამჩნევია. პრემიის გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მუშაკის საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის ხანგრძლივობა.

საწარმოს (გაერთიანების) მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირე-

ბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი, რომელიც გამოიყენება საწარმოს (გაერთიანების) კოლექტივის პირველი რიგის სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სახელდობრ. საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების, საწარმოს სასადილოების, ბუფეტების, პროფილაქტორიების მშენებლობის, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის, დასასვენებელი სახლების, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის; სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებსა და პანსიონატებში საგზურების შეძენისა და ფიზიკური კულტურის ხაზით ღონისძიებების ჩასატარებლად, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში გაძლიერებული კვების ხარჯებისათვის.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდიდან მუშაკებზე მატერიალური კეთილდღეობის სწორ განაწილებას წარმოების ეფექტიანად გამოყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული ფონდი წარმოადგენს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების მიზნობრივად ხარჯვა ხელს უწყობს საწარმოო კოლექტივების მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ამაღლებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია განვითარებული სოციალიზმის პერიოდში.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მეშვეობით წარმოებს საწარმოო კოლექტივების დაინტერესების ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ყოველმხრივი განვითარების საქმეში.

იმ მასტიმულირებელ ფონდებს შორის, რომლებიც დადებითად მოქმედებენ წარმოების შემდგომ სრულყოფა-განვითარებაზე, განსაკუთრებული როლი ენიჭება წარმოების განვითარების ფონდს, რომელთაგან დაახლოებით 4/5 მიიმართება კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, ხოლო დანარჩენი ბანკის სესხების დასაფარავად და სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

წარმოების განვითარების ფონდი იქმნება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში. მისი შექმნის წყაროებია: ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო და მოგების ანარიცხები, ძირითად ფონდებში რიცხული ზედმეტი და ხმარებიდან გასული მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნაწილი.

საწარმოს (გაერთიანების) საფინანსო გეგმაში გათვალისწინებულია წარმოების განვითარების ფონდის ფორმირების წყაროები. ამ წყაროებში საამორტიზაციო ანარიცხებისა და მოგების თანხა გაანგარიშებულია არსებული ნორმატივების შესაბამისად, ფაქტიური მოგების მხედველობაში მიღებით.

ფაქტიური მოგების განსაზღვრისას, რაც საფუძვლად ედება წარმოების განვითარების ფონდს, უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხები.

წარმოების განვითარების ფონდიდან სახსრები შეიძლება მიმართულ იქნეს: ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობათა და ტრანსპორტის შეძენის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, აგრეთვე პროდუქციის ახალ, პროგრესულ სახეობათა ათვისების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების რენტაბელობის ამაღლებისა და წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებზე გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

წარმოების განვითარების ფონდის გამოუყენებელი ნაწილი გადადის შემდგომ წელში და საწარმოს ანგარიშიდან მისი ამოღება არ დაიშვება. ამასთან სამინისტროებსა და უწყებებს უფლება აქვთ შექმნან მოგების ხარჯზე წარმოების განვითარების ფონდის რეზერვი საწარმოების (გაერთიანებების) ანგარიშზე, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს წარმოების განვითარების ფონდის მთლიანი თანხის 10 პროცენტს.

სამინისტროებსა და უწყებებს, ტრესტებსა და გაერთიანებებს შეუძლიათ იმ საწარმოების წარმოების განვითარების ფონდების ამ პროცენტის (ამორტიზაციის ანარიცხების ხარჯზე) თანხის ცენ-

ტრალიზაცია, რომელთა ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობა სამ წელს არ აღემატება[1].

ამრიგად, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მთავარი დანიშნულებაა წარმოების შემდგომი განვითარება და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ძირითადი მოთხოვნის განხორციელებაზე ხელშეწყობა, რაც დადებითად მოქმედებს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებაზე.

მეათე ხუთწლედში მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნისა და გამოყენების სრულყოფის მიზნით მოქმედ წესებში შეტანილ იქნა არსებითი ხასიათის ცვლილებები და დამატებები, რის გამოც სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1976 წლის 3 დეკემბერს დამტკიცებულ იქნა „საწარმოო გაერთიანებებში (კომბინატებში), სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე, 1976—1980 წლებისათვის მატერიალური წახალისების ფონდისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ ძირითადი დებულებანი“.

სამრეწველო სამინისტროები (უწყებები) სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებებს (კომბინატებს), საწარმოებს უწესებენ ეკონომიკური სტიმულირების ფონდების საერთო თანხის ფარგლებში სამინისტროსათვის (უწყებისათვის) დამტკიცებული წამახალისებელი ფონდების გეგმურ თანხას 1976—1980 წლებისათვის ხუთწლედის წლებზე განაწილებით.

სამინისტროებს, უწყებებს, საკავშირო (რესპუბლიკურ) სამრეწველო გაერთიანებებს უფლება აქვთ წამახალისებელი ფონდების საერთო ფონდის ფარგლებში შექმნან რეზერვები (ცენტრალიზებული ფონდები), რომლებიც დაქვემდებარებული საწარმოებისა და გაერთიანებების მოგებით იქმნება.

წამახალისებელი ფონდებისა და რეზერვების თანხები გაი-

---

[1] ექსპლუატაციაში ახლად გაშვებულ საწარმოებში არ შეიძლება წარმოების განვითარების ფონდები სრულად იქნეს გამოყენებული.

თვალისწინება საწარმოო გაერთიანებათა (კომბინატთა), საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო გეგმებში (შემოსავალ-გასავლის ბალანსებში).

ძირითად დებულებებში გათვალისწინებულია ის, რომ რეზერვები არ შეიძლება აღემატებოდეს სამინისტროსათვის დაწესებული წამახალისებელი ფონდის საერთო თანხის 10 პროცენტს.

საყურადღებოა, რომ საწარმოო გაერთიანებების (კომბინატების), საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის წლიური წამახალისებელი ფონდების გეგმური თანხების დაწესებისას უპირატესობა ენიჭება მათ, ვინც დაძაბულ გეგმურ მაჩვენებლებს, სახელდობრ: პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს ღებულობენ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის მოცულობის დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოო გაერთიანების (კომბინატის), საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაკთა ბინებით, საბავშვო და კულტ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით უზრუნველყოფის დონე.

წამახალისებელი ფონდების მოცულობის დადგენისას დაცული უნდა იქნეს ხელფასის, შრომის ნაყოფიერებასა და მოგების ზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული პროპორციები.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში გათვალისწინებული წამახალისებელი ფონდების გეგმური თანხა იზრდება ფონდშემქმნელი მაჩვენებლების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესრულების კვალობაზე.

საწარმოო გაერთიანებებისათვის (კომბინატებისათვის), საწარმოსათვის თუ ორგანიზაციისათვის ხუთწლიანი გეგმით დამტკიცებული წამახალისებელი ფონდების თანხის გადიდება ან შემცირება წარმოებს წლიურ გეგმაში შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის მთელ მოცულობაში უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონის, პროდუქციის წარმოებისა და მოგების მოცულობის შემცირება-გადიდების გათვალისწინების კვალობაზე, აგრეთვე მხედველობაში მიიღება საანგარიშსწორებო რენტაბელობის დონე.

ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის წარმოებისა და მოგების მოცულობა გაიანგარიშება ხუთწლედის დასაწყისიდან ზრდადი ჯამით.

სამინისტროებს (უწყებებს) უფლება მიეცათ საჭიროებისას დიფერენცირებულად დაუგეგმონ დაქვემდებარებულ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს ფონდშემქმნელი მაჩვენებლები, იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც კოლექტივების წინაშე დგას. ამასთან უპირატესად მოახდინონ ქვემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების სტიმულირება:

შრომის ნაყოფიერების ზრდის;

საერთო (საანგარიშსწორებო) რენტაბელობის დონის, ანუ ფონდუკუგების;

პროდუქციის წარმოების მოცულობის (ფულადი ან ნატურალური გამოსახულებით) ან მოგების (საანგარიშსწორებო) მოცულობის ზრდის;

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების;

საწარმოო სიმძლავრეების ათვისების (ათვისების ნორმატიული ვადის მიხედვით).

დებულებაში ხაზგასმულია, რომ ფონდშემქმნელი მაჩვენებლები თითოეული საწარმოსათვის (გაერთიანებისათვის) არ უნდა აღემატებოდეს სამს, ხოლო მრეწველობის ზოგიერთ დარგში ოთხს, ამასთან სავალდებულოა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში უმაღლესი კატეგორიის ხარისხის საქონლის ხვედრითი წონის დავალებები.

მატერიალური წახალისების ფონდში გარდა მოგების ანარიცხებისა, შედის პრემიის ის თანხაც, რომელიც ეძლევა მუშებს ხელფასის ფონდიდან.

გეგმით ზარალიან და დაბალრენტაბელურ საწარმოებში წამახალისებელი ფონდები ხუთწლიან გეგმაში გაითვალისწინება მთელი სამინისტროსათვის დაწესებული წამახალისებელი ფონდების თანხის ფარგლებში შესაბამისი წლისათვის.

საწარმოო გაერთიანებების (კომბინატის), საწარმოების, ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდში მოგების კუთვნილი ნაწილის გადარიცხვა წარმოებს ყოველკვარტალურად, თუ შესრულებულია დავალებები ფონდშემქმნელ მაჩვენებლებში.

საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით გადაანაწილონ თანხები მატერიალური წახალისების ფონდსა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდს შო-

რის თითოეული ფონდის გეგმური თანხის 20%-მდე. ფონდების ერთმანეთს შორის გადანაწილება წარმოებს წლის დასაწყისში ამ ფონდების გამოყენების ხარჯთაღრიცხვის შედგენისას. დადგენილებით დაკონკრეტებულ იქნა ფონდების გამოყენების წესი, სახელდობრ: მატერიალური წახალისების ფონდი გამიზნულია საწარმოების (გაერთიანებების) მუშაკებზე წლის შედეგების მიხედვით პრემიის გასაცემად, აგრეთვე ერთდროული დახმარებისათვის.

მატერიალური წახალისების ფონდი გამოიყენება — მუშების, ხელმძღვანელების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მოსამსახურეების და სხვა მუშაკების პრემიისათვის, იმ მუშაკთა ერთდროული მატერიალური წახალისებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საგეგმო დავალებათა შესრულებისა და ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში, წლის შედეგების მიხედვით მუშაკებზე პრემიისათვის; შიდასაქარხნო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით გამარჯვებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი გამიზნულია საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოების მუშაკთა კოლექტივების სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სახელდობრ: საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სასადილოებისა და ბუფეტების, პიონერული ბანაკების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, სპორტული ნაგებობების მშენებლობების გაფართოებებისა და კაპიტალური რემონტებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის მისაღებად, საწარმოს (გაერთიანების) ბალანსზე რიცხული სამედიცინო დაწესებულებებისათვის მედიკამენტების, აგრეთვე მუშაკებისათვის სხვადასხვა საგზურების შესაძენად, პოლიტიკური ლოზუნგების, პლაკატების, სტენდების მოწყობის, ბავშვების გაძლიერებული კვების, მუშების პროფილაქტორიებში მკურნალობის, ღამის ცვლაში მომუშავეთა იაფად კვებისათვის. კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ზეგეგმური ხარჯების დასაფარავად.

მატერიალური წახალისების ფონდის გეგმური გამოყენების ხარჯთაღრიცხვის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კოლექტივის თითოეული წევრის წარმოების შედეგებით დაინტერე-

სება, ამასთან არ დაიშვება დისპროპორცია სახელმწიფო კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინტერესებს შორის.

ამრიგად. მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნა–გამოყენების შესახებ ძირითადი დებულებანი 1976—1980 წლებისათვის წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების უკეთ გამოყენებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

თავი V

ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობათა გაუმჯობესების გზები სოფლის მეურნეობაში

§ 1. ახალი ეტაპი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

სოციალისტური საზოგადოების განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შესვლამ, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის სულ უფრო მეტად ამაღლების ამოცანების გადაწყვეტამ სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენა ახალი, უფრო მაღალი ამოცანები, მოითხოვა არსებითი კორექტივების შეტანა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში.

სკკპ გაითვალისწინა რა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ობიექტური მოთხოვნილებები, ყოველმხრივ დაამუშავა და თეორიულად დაასაბუთა თანამედროვე ეტაპზე აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებები.

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა კომუნიზმის მშენებლობაში სკკპ საერთო პოლიტიკური კურსის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

პარტიის აგრარული პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისა და შემოქმედებითი განვითარების საქმეში ისტორიული როლი ითამაშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა. სწორედ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმიდან დაიწყო ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა: სოფლის მეურნეობაში ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს წარმოების ზრდის სტიმულირებას, დამზადების ახალი წესის შემოღება, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მნიშვნელოვნად გადიდება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის, სასოფლო-სამეურ-

ნეო მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის განხორციელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა, ღრმად გააანალიზა რა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და მასზე ხელმძღვანელობის მეთოდები, შეიმუშავა თანამედროვე აგრარული პოლიტიკის პრინციპული საფუძვლები, მეცნიერულად დაასაბუთა სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა და როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების საქმეში, განსაზღვრა საბჭოთა სოფლის პერსპექტიული განვითარება.

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის განხორციელებით მიღწეული იქნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მტკიცე ეკონომიკური საფუძვლების აშენება, სოფლად ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მეურნეობათა და საზოგადოების წევრთა დაინტერესება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გასადიდებლად, სოფლის მეურნეობის თანამედროვეური ინტენსიფიკაცია, ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონის მისაწევი სოციალურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეიმუშავა სკკპ აგრარული პოლიტიკის საფუძვლები თანამედროვე ეტაპზე, პარტია და ხალხი შეაიარაღა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პეშმარიტად მეცნიერული, რეალისტური პროგრამით, რომელმაც საშუალება მოგვცა დიდი ეფექტიანობით და მოკლე ვადებში მივეღწია ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის, ძირფესვიანად შეგვეცვალა სოფლის მრავალმხრივი ცხოვრება. ეს არ იყო ადვილი საქმე. მაგრამ პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს ის წარმატებით, ლენინურად[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დასახული აქვს ამოცანა — პერსპექტივაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც შეეძლება ამ დარგის უფრო მაღალი ინდუსტრიული განვითარება. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობაში მრეწველობასთან შედარებით შრომის ფონდაღჭურვის უფრო მაღალი ზრდის ტემპი.

---

[1] «Курсом мартовского Пленума». М., 1975. стр. 3.

თუ მრეწველობის ფონდაღჭურვის ტემპი იქნება 37 პროცენტი, იგი სოფლის მეურნეობაში მიაღწევს 59 პროცენტს. მაშინ, როდესაც საერთო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 14—17 პროცენტი იქნება, კაპიტალურ დაბანდებათა ტემპი 3,1 პროცენტს გადააჭარბებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული პარტიის აგრარული პოლიტიკის საფუძვლები შემდგომში განვითარებულ და განმტკიცებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის, 1968 წლის ოქტომბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების, პარტიის XXIII, XXIV, XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჰეშმარიტად ფუძემდებლურ მოხსენებებსა და გამოსვლებში, ლენინური პარტიის შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად შემუშავდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობის კომპლექსური პროგრამა ხანგრძლივი პერიოდისათვის.

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პროგრამისათვის დამახასიათებელია შემდეგი უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი:

იგი პარტიის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის ორგანული, შემადგენელი ნაწილია, რომლის ძირითადი ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება: პარტიის აგრარული პოლიტიკა მიმართულია მუშათა და გლეხთა კლასების კავშირის გასამტკიცებლად, რაც საბჭოთა წყობილების პოლიტიკური საფუძველია; პარტიის აგრარულ პოლიტიკას თანამედროვე პირობებში მტკიცე მეცნიერული და რეალისტური ხასიათი გააჩნია; პარტიის მიერ შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროგრამა კომპლექსური ხასიათის მატარებელია. იგი ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც მიმართულია ამ დარგის წარმატებით განვითარებისათვის;

თანამედროვე პირობებში პარტიის მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების საქმეში ეკონომიკური მეთოდებისა და ბერკეტების ფართოდ გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნე გლეხების მატერიალურ დაინტერესებას, მეურნეობის ეფექტიანად გაძღო-

ლასა და ინიციატივას; პარტიის აგრარული პოლიტიკა ითვალისწინებს ამ დარგის განვითარების არა მარტო მიმდინარე ამოცანებს, არამედ პერსპექტიულ დაგეგმვას; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამას პარტია ახორციელებს თანმიმდევრულად და მიზანსწრაფულად;

სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსურ გეგმას საფუძვლად დაედო ისეთი მყარი ეკონომიკური პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოებულ კვლავწარმოებას, სახელმწიფოს, კოლექტივისა და პირადი ინტერესების სწორ შეხამებას, წარმოებითი ინტენსიფიკაციის კურსის თანმიმდევრულ გატარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას, სოფლის მეურნეობის კომპლექსურ მექანიზაციას და ქიმიზაციას, მიწების ფართო მელიორაციას, მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპების დაცვას, საერთოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ 1959—1965 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, რის გამოც საზოგადოებრივ წარმოებაში შეიმჩნეოდა დისპროპორციები, სახელმწიფო საგეგმო დავალებები არ სრულდებოდა; დაბალი იყო მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობა; ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება ერთ დონეზე იდგა. ამის გამო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შეიქმნა შესამჩნევი სიძნელეები.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები იყო: სოციალისტური წარმოების განვითარების ეკონომიკური კანონების უგულებელყოფა, მათი მოთხოვნებისადმი ვოლუნტარისტური მიდგომა, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობის მუშების საზოგადოებრივი წარმოების ამაღლების საქმეში მატერიალური დაინტერესების პრინციპებისა და საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების თანაფარდობის უხეში დარღვევები. ამ დარგის ხელმძღვანელობაში სუბიექტივისტური მიდგომის შედეგად უხეში შეცდომები იქნა დაშვებული სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, დაფინანსებისა და დაკრედიტების, აგრეთვე ფასების პოლიტიკის საქმეში:

ნაკლები ყურადღება ექცეოდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას; სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემა, მან ვერ შექმნა ის აუცილებელი პირობები, რომლებიც საჭირო იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისათვის; არასათანადო ყურადღება ექცეოდა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ზემოდან ეძლეოდათ ბევრი დავალება, რომელიც ადგილობრივ პირობებში არ იყო გათვალისწინებული; მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენება უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა უდიდესი პოლიტიკური და სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის ამოცანა — სოფლის მეურნეობის ძირფესვიანი გარდაქმნა და მისი ისეთი ტემპების განვითარება, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნებს ამ დარგის პროდუქტებით.

პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პრინციპულად ახალი, რეალისტური გეგმა უდიდესი შენაძენია კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში. პარტიის მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკა წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას ხანგრძლივი პერიოდისათვის.

პარტიამ სოფლის მეურნეობის დარგში თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში მთავარი ყურადღება მიაქცია სოფლად ისეთი მძლავრი ეკონომიკური საფუძვლების შექმნას, რომლებიც სოფლის მეურნეობის წარმოების ამაღლების მთავარ როლს შეასრულებდნენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოზე პროდუქციის მიყიდვის სტაბილური გეგმების დაწესებას, შესყიდვის ფასების გადიდებას და პროდუქციის ზეგეგმური ჩაბარების მატერიალურად დასტიმულირებას. პარტიის მიერ წამოყენებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების კომლექსურად გადაწყვეტა, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ ფაქტორის მოქმედების მეცნიერულ დონეზე გათვალისწინებას, რომლებიც ზემოქმედებენ დარგის განვითარებაზე. სოფ-

ლის მეურნეობის განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომა გულისხმობდა სოფლად ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური საკითხების თანამიმდევრულად მოწესრიგებას, რომლებიც უშუალოდ მოქმედებდნენ სოფლის მეურნეობრივი წარმოების განვითარებაზე.

პარტია და მთავრობა 1965 წლიდან სისტემატურად ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო დამოუკიდებლობის გაფართოებისა და ამ უკანასკნელის ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ დაგეგმვასთან სწორი შეხამების უზრუნველსაყოფად.

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, რომელიც პარტიას გამოცხადებული აქვს საერთო-სახალხო ამოცანად. „დიდი მუშაობა მოგველის სოფლის მეურნეობის დარგში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე, — აქ პარტია სახავს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზანს. პირველი: მივაღწიოთ ქვეყნის საიმედო მომარაგებას სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ამისათვის ყოველთვის გვქონდეს საკმაო რეზერვები და მეორე: სულ უფრო წინ ვიაროთ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზით, რაც ჩვენი საპროგრამო მოთხოვნაა“[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი სისტემის შემოღება გათვალისწინებულ იქნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რიგი წლებისათვის შესყიდვის სტაბილური გეგმებისა და სახელმწიფოზე გეგმის ზევით მიყიდული პროდუქტების წახალისებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ეკონომიკურად დასაბუთებული შესყიდვის ფასების დაწესებაზე.

პარტიის მიერ დასახული აგრარული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ წარმოების ეფექტიანობის

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 66.

ამაღლება სახალხო მეურნეობის წარმატებითი განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია.

იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავისი სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი თავისებურებებით განსხვავდება სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგებისაგან, მისი წარმოების ეფექტიანობის პრობლემასაც გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი. სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარ საშუალებას მიწა წარმოადგენს. ამიტომ ამ დარგში ეფექტიანობის ამაღლება ნიშნავს თითოეული ჰექტარიდან პროდუქციის გამოსაელიანობის გაღიდებას ისე, რომ პარალელურად მცირდებოდეს ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით დანახარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების ორი გზა: ექსტენსიური და ინტენსიური, თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მხოლოდ ერთი — ინტენსიური გზაა მისაღები.

ამ პირობებში წინა პლანზე დგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ინტენსიფიკაციის გზით.

ერთეულ მიწის ფართობზე შრომისა და წარმატების საშუალებების დანახარჯთა გადიდება სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებელია, ხოლო 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით პროდუქციის გამოსაელიანობის გადიდება წარმოადგენს წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგს. წარმოების ინტენსიფიკაცია მოიცავს ის გზები და საშუალებები, რომლითაც მიიღწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა მიზეზით მეტად რთულია იმ კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გაანალიზება, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ხარისხს განსაზღვრავენ. მაგრამ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შესაბამისად მთავარ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა. პარტია გვასწავლის, რომ წარმოების ეფექტიანობა საბოლოო ჯამში ვლინდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერების დონე, მით მეტი პროდუქცია იწარმოება ერთი და იგივე დროის მანძილზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მიჩნეული უნდა იქნეს მემცენარეობის პროდუქტების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, აგრეთვე პროდუქციის გამოსავლიანობა 1 ჰა ფართობზე.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად, სოფლის მეურნეობაშიც შრომის ნაყოფიერების გადიდებამ უნდა გამოიწვიოს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მაგრამ ეს პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნაცვლად მისი გაძვირება ხდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ წარმოების ხარჯების შემცირება არის ის ბაზა, რომელიც კეთილისმყოფელად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაზე. უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღწეული იქნება ნახევარ მილიარდ მანეთამდე ეკონომია. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მტკიცე საფუძველს ქმნის თითოეული ჰექტარიდან მიღებულ იქნეს მეტი წმინდა შემოსავალი. თუ მეურნეობა პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს ფარავს და ამის გარდა ღებულობს მოგებას, ეს იმას ნიშნავს, რომ რაციონალურად გამოიყენება როგორც მიწა, ასევე წარმოებაში დაბანდებული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რის გამოც მიღწეულია ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომია და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მაგრამ ყოველთვის მიღებული მოგება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოების მართვა ეფექტიანად მიმდინარეობს.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იქნეს აგრეთვე რენტაბელობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდების

მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფონდუკუგებას. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფონდაღჭურვის პარალელურად, რამდენადაც ის ზრდის პროდუქციის წარმოების მოცულობას, მაგრამ აქ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ფონდუკუგების გადიდება არ მიუთითებს წარმოების ეფექტიანობის მაღალ დონეზე. თუ საწარმოებში ფონდაღჭურვის, ე. ი. ტექნიკის გამოყენების დონე დაბალია მიწის განსაზღვრული ფართობიდან, პროდუქციის ნაკლები გამოსავლიანობის დროსაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ფონდუკუგების ზრდა.

საქვეყნოდ ცნობილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომელიც მან სკკპ XXV ყრილობაზე გააკეთა: „სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს, რომ მრავალ კონკრეტულ ამოცანაზე მუშაობისას ყურადღება დავუთმოთ და საბსრები მოვახმაროთ იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მნიშვნელოვან უკუგებას“[1].

გასულ ხუთწლედში, — როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფონდაღჭურვის დაბალი დონის შედეგია. სოფლის მეურნეობაში დაბანდებული თითოეული მანეთი მხოლოდ 39 კაპიკ უკუგებას იძლეოდა.

„ფონდაღჭურვის, შრომის ნაყოფიერების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაბალი დონე განაპირობებს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის მაღალ თვითღირებულებას, ბევრი მეურნეობის ზარალიანობასა და მცირე რენტაბელობას“,—აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კპ XXV ყრილობაზე[2].

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცების საქმეში დიდ როლს შეასრულებს საფინანსო-საკრედიტო მექანიზმების შემდგომი სრულყოფა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ. 1976, გვ. 70.

[2] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, თბ., 1976, გვ. 46.

განვითარების ტემპების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და რეზერვების უფრო სრულყოფილად გამოყენების ხაზით.

1975 წელს დამთავრდა საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე. სწორედ სამეურნეო რეფორმის ეფექტიანი გამოყენებით მიღწეული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა განხორციელება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესყიდვის ფასების გადიდებამ სახელმწიფო ბიუჯეტის შეღოსავალ-გასავლის სტრუქტურაში არსებული ცვლილებანი გამოიწვია, კერძოდ: გაიზარდა ასიგნებანი ხორცის, რძის, ბოსტნეულის, კარტოფილის საანგარიშსწორებო და საბითუმო ფასებს შორის განსხვავების დასაფარავად. შემცირდა ბრუნვის გადასახადის ბიუჯეტში შემოსულობა პურ-პროდუქტების, შაქრის, ბამბისა და შალის ქსოვილებისაგან.

ამრიგად, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში პარტიის პოლიტიკის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესყიდვის ფასების გადიდება ამ პროდუქტებზე საცალო ფასების უცვლელობის პირობებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა მატერიალურმა და ფინანსურმა რესურსებმა გამოიწვიეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება.

პარტიის აგრარული პოლიტიკა ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული შემოსავლის განაწილებისას პროპორციების შეცვლას სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ. თუ 1961—1965 წლებში სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ შეადგინა 48,6 მილიარდი მანეთი, ანუ მთელი კაპიტალურ დაბანდებათა 20 პროცენტი, შესაბამისად 1966—70 წლებში მიაღწია 82,2 მილიარდ მანეთს, ანუ 23 პროცენტს, ხოლო 1971—1975 წლებში გადააჭარბა 131 მილიარდ მანეთს, ანუ 26,2%[1], მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის შეიდ-

[1] См. «Курсом мартовского Пленума», М., 1975, стр. 19, 21, 293.

გომ განვითარებას მოხმარდეს 172 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც 41 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა 26,3 პროცენტს მიაღწევს[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული აგრარული პროგრამის შედეგად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სახელმწიფომ მე-8 და მე-9 ხუთწლედში სოფლის მეურნეობას მიაწოდა 3 მილიონი ცალი ტრაქტორი, 1,8 მილიონი სატვირთო ავტომანქანა, 900 ათასი ცალი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 492 მილიონი ტონა მინერალური სასუქი, გაორკეცდა ენერგეტიკული სიმძლავრეები, 1,6-ჯერ ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

გრანდიოზული სახსრები გამოიყო მიწების მელიორაციისათვის ბოლო ორი ხუთწლედის მანძილზე. ამ საქმეს მოხმარდა 40,4 მილიარდი მანეთი, რის შედეგადაც გაშვებულ იქნა ექსპლუატაციაში 6,4 მილიონი ჰა სარწყავი და 8 მილიონი ჰა-ზე მეტი დაშრობილი მიწები.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებითა და ინტენსიფიკაციის ამაღლებით, მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, სსრ კავშირში მე-9 ხუთწლედში მიღწეულ იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო წლიური ზრდა 13 პროცენტით, ხოლო საქართველოში — 18,4 პროცენტით. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მოგება და კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალი გაიზარდა 70 პროცენტით. შესამჩნევად გაიზარდა საზოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში.

ძირითადმა საწარმოო ფონდებმა 1976 წლის 1 იანვრისათვის შესადარ ფასებში მიაღწია 157 მილიარდ მანეთს, ხოლო ენერგეტიკული სიმძლავრეები გაიზარდა 1965—75 წლებში 1,8-ჯერ, გასულ 10 წელიწადში სოფლის მეურნეობაში შრომის ენერგოაღჭურვილობის ზრდის ტემპი 200%-ს აღემატებოდა, ხოლო მისი ფონდაღჭურვა — 250 პროცენტს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკის ფონდაღჭურვა შეადგენს 6,2 ათას მანეთს; მე-9 ხუთწლედში სოფლის მეურ-

---

[2] იხ. „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბილისი. 1976, გვ. 61, 167.

ნეობაში განახლდა ძირითადი საწარმოო ფონდების დაახლოებით 56 პროცენტი. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია სოფლად შრომის ფონდაღჭურვის 59 პროცენტით ამაღლება.

პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიუხედავად მეცხრე ხუთწლედის არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. „პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — სოფლის მეურნეობას შეუნელებელ ყურადღებას უთმობდნენ. ცხოვრებამ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ დაწყებული კურსის უდიდესი მნიშვნელობა. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ, სოფლად განხორციელებულმა დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ ხელი შეუწყვეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობას“[1].

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აგრარული პოლიტიკის მიზანი მკაფიოდ ჩამოაყალიბა პარტიის XXV ყრილობაზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობა გადავაქციოთ სახალხო მეურნეობის მაღალეფექტურ და დიდმწარმოებლურ დარგად, არსებითად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული ამინდის პირობებზე და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგათ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების შემდგომი დაახლოების საქმეში.

მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13 პროცენტით გაიზარდა წინა ხუთწლედთან შედარებით, მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი — 14 მილიონი ტონით, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება; დიდი წარმატებები იქნა მიღწეული მემცენარეობის სხვა კულტურების წარმოებაში.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1975 წელს 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 3,2-ჯერ. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი 49,5 მილიონიდან შემცირდა 28 მილიონ კაცამდე, ანუ 1,8-ჯერ. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 49—50.

სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 38 პროცენტი, ხოლო 23 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში[1].

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ უდიდესი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში, რაზედაც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მე-10 ცხრილი[2].

ცხრილი 10

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მეურნეობის ყველა კატეგორიაში (ც)

	მარცვლეული	შაქრის ჭარხალი	მზესუმზირა	კარტოფილი	ბოსტნეული
1946—1950 წწ. (საშუალო წლიური)	6,7	111	4,5	97	73
1951—1955 წწ.	8,0	154	6,2	81	82
1956—1960 წწ. „	10,1	184	9,1	94	101
1961—1965 წწ. „	10,2	165	11,2	94	116
1966—1970 წწ. „	13,7	228	13,2	115	132
1971—1975 წწ. „	14,7	217	13,2	113	138

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონეს.

სკკპ XXV ყრილობის მიერ მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში დასახული ამოცანების გრანდიოზულობაზე ნათლად მეტყველებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპები (ცხრილი 11)[3].

ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული კაპიტალურ დაბან-

---

[1] Журн. «Экономические науки», 1977, № 3, стр. 83.

[2] Там же, стр. 85.

[3] Семенов В. Н. Финансы сельского хозяйства в десятой пятилетке, журн. «Финансы СССР», № 6, 1977, стр. 20.

	საზომი ერთეული	წლებით					1976—1980 წწ. პროცენტულად 1971—1975 წწ.
		1956—1960	1961—1965	1966—1970	1971—1975	1976—1980	
სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1973 წ. ფასებში . . .	მილ. მ.	73.7	92.7	100.3	113.7	130—133	114—117
მარცვლეული კულტურები	მილ. ტონ	121.5	130.3	167.6	181.5	215—220	118—121
ხორცი დაკლული წონით .	„	7.9	9.3	11.6	14.0	15—15.6	107—111
რძე	„	57.2	64.7	80.6	87.4	94—96	107—110
კვერცხი .	მილ. ცალი	23.6	28.7	35.8	51.5	58—61	113—118
მატყლი	ათ. ტ.	317	362	398	442	473	107

დებათა ეფექტიანად გამოყენებაზე. 1977 წლიდან სხვა სახელმწიფოებრივი საწარმოების მსგავსად, საბჭოთა მეურნეობებში დაწესებულია კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მათი დაფინანსების წყაროების მიხედვით დაყოფის გარეშე. აღნიშნული ღონისძიების გატარებით მიღწეულ იქნა კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა-დაფინანსების გამარტივება და ფინანსური რესურსების გამოყენებაში ეფექტიანი მანევრირება. მეათე ხუთწლედში დაბალრენტაბელურ და ზარალიან საბჭოთა მეურნეობებში:

ა) საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯები დაიფარება საკუთარი სახსრებიდან, ხოლო მისი უკმარისობის შემთხვევაში — სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის მატება და ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯები დაიფარება საკუთარი საშუალებებიდან, ხოლო ამ წყაროს უკმარისობისას — ბანკის კრედიტით, რომელიც 2 წლით გაიცემა. თუ აღებული კრედიტი დაწესებულ ვადებში არ იქნება დაფარული საბჭოთა მეურნეობის მოგებით, გამოიყენება ბიუჯეტის სახსრებიც.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით სარგებლობენ ის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა რენტაბელობა არ აღემატება 10 პროცენტს.

§ 2. ფინანსური ურთიერთობანი სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკას.

როგორც წესი, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტემპები და პროპორციები განისაზღვრება იმ მატერიალური და ფინანსური რესურსებით, რომლებსაც სახელმწიფო მიმართავს მათი განვითარებისათვის. ამასთან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის პირობებში აუცილებელია იმ მექანიზმის ოპტიმალური გამოყენება, რომელიც საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უფრო ეფექტიანად განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი სრულყოფა-განვითარების საქმეში.

პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია ხუთწლედში გადიდდა 17 პროცენტით. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ. 1975 წელს — პირველად უკანასკნელ 20 წლიწადში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა გაუსწრო საშუალო საკავშირო დონეს. მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფოს გეგმის ზევით მიეყიდა მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ბოსტნეული, ციტრუსი, ხილი, ხორცი, რძე, სულ 220 მილიონი მანეთის ოდენობით.

მიღწეული წარმატებები განპირობებულია რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიური ზრუნვისა და კონკრეტული, მიზანსწრაფული ხელმძღვანელობის შედეგად. ამასთან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გაწეოიყო დიდი ოდენობით მატერიალური და ფინანსური რესურსები.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლებით ჩამორჩება საერთო საკავშირო მაჩვენებლებს.

საქართველოს კპ XXV ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბალია ფონდაღჭურვის დონე, ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს არსებული ფონდების გამოყენება, რის გამოც დაბალია ფონდუკუგება.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა ძირითადად ფონდაღჭურვის დაბალი დონის შედეგია. „მაგრამ მეორე უბედურება ის არის, — აღნიშნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, — რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად ვიყენებთ არსებულ ფონდებს. ამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა საბჭოთა კავშირში"[1].

ყოველივე ამის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი დიდმნიშვნელოვანი სახალხომეურნეობრივი მაჩვენებლები ჩამორჩება შესაბამის საშუალო-საკავშირო დონეს.

საწარმოო ფონდების არაეფექტიანად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის შედეგად მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაბალია, რაც განაპირობებს პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას, ზარალიანობასა და დაბალ რენტაბელობას.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზების გამოსწორების გზები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მოძველებული მეთოდები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დაბალი დონე, სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა ცუდი ხარისხი და მიწების ინტენსიურად გამოყენების უგულებელყოფა, სასუქების გამოყენების ცუდი ორგანიზაცია, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დაბალი დონე, დაბალი შრომის ანაზღაურების სისტემა და სხვ.

---

[1] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბ. 1976, გვ. 45—46.

მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობის ზრდა 1976—1980 წლებში 1971—1975 წლებთან შედარებით გათვალისწინებულია 29 პროცენტით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ასეთი მაღალი ტემპები მიღწეული იქნება მემინდვრეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდებითა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებით.

მეათე ხუთწლედში მარცვლეულის წარმოება მიაღწევს 780 ათას ტონას, ანუ 37,1 პროცენტამდე, სოიისა — 20 ათას ტონამდე, ანუ გადიდდება 4,6-ჯერ, ბოსტნეული კულტურებისა — 580 ათას ტონამდე, ანუ 47,9 პროცენტამდე, ხილისა — 650 ათას ტონამდე, ანუ 76,4 პროცენტამდე, ყურძნისა — 850 ათას ტონამდე, ანუ 51 პროცენტამდე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა ფართო პროგრამა დასახა მეცხოველეობის მაღალი ტემპებით განვითარების მიზნით. მეათე ხუთწლედში მეცხოველეობა გახდება სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებული დარგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებაში დასახული უდიდესი ღონისძიებანი განხორციელებული იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით.

1976—1980 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება 2 მილიარდ 220 მილიონი მანეთი, რაც გასული ხუთწლედის ფაქტიურ დონეს 45 პროცენტით აღემატება.

მეათე ხუთწლიან გეგმაში დასახულია ფართო პროგრამა სოფლის მეურნეობის ტექნიკური კვლავშეიარაღებისათვის. ეს დარგი მიიღებს ახალ თანამედროვე ტექნიკას, მინერალურ სასუქებს და სხვა აუცილებელ საშუალებებს.

დიდი სამუშაოები ჩატარდება მიწების მელიორაციისათვის. კოლხეთის დაბლობზე ამოშრობილი იქნება 40 ათასი ჰა მიწის ფარ-

თობები, მათ შორის 30 ათას ჰექტარზე ჩატარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა 71 ათას ჰა ფართობზე, არსებული სარწყავი სისტემების გადაკეთება 94,1 ათას ჰექტარზე.

მეათე ხუთწლედში დამთავრდება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, წნორის მეცხოველეობის კომპლექსისათვის ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობები.

ზემოთ აღნიშნული უდიდესი სახალხომეურნეობრივი მიზნების მისაღწევად საჭიროა სოფლის მეურნეობა გადავაქციოთ მაღალმწარმოებლურ დარგად, შევამციროთ ამ დარგის განვითარების დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. აუცილებელია ავაბაღლოთ საწარმოო ფონდების ეფექტიანობა, გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური რესურსები გამოვიყენოთ მაქსიმალური უკუგებით, რითაც მივაღწევთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არსებული რეზერვების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას.

მეათე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მთელი მატება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით. ამასთან პირადი დამხმარე მეურნეობები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს ქვეყნის წინსვლა-განვითარებას.

მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ძვრები მოხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში: გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტების ხვედრითი წონა, განსაკუთრებით ხორცისა და კვერცხის, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ბოსტნეულისა და ხილის წარმოება.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეული იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციით, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ამასთან დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება და სოფლის მეურნეობა გადავიყვანოთ სამრეწველო რელსებზე.

პარტია ახორციელებს რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი და თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის კურსს, სრულყოფს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რათა შრომისა და საშუალებების დანახარჯთა ეფექტიანობის ამაღლების გზით მიღწეულ იქნეს უკეთესი საბოლოო სახალხომეურნეობრივი შედეგები.

ამასთან მეტი ყურადღება მიექცევა ინტენსიფიკაციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას. მთავარია მიწის ფართობის ერთეულზე არა უბრალო დაბანდება, არამედ ახალი ტექნიკის, ჯასუქების გამოყენებით მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინჟინერ-ტექნიკური სამსახურების მუშაობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა მეურნეობებში სრული სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფას. კერძოდ, უნდა გაუმჯობესდეს საბჭოთა მეურნეობებზე არახელსაყრელი კლიმატური პირობებით მოყენებული ზარალის დაფარვის წესი. ვფიქრობთ დადგა დრო კოლმეურნეობების მსგავსად საბჭოთა მეურნეობებზეც გავრცელდეს ჭონების სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის სისტემა.

საბჭოთა მეურნეობებში ფონდების საფასურის ერთ-ერთი ჭარიტადი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოიანგარიშება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებიდან და გათვალისწინებული არ არის მეურნეობაზე მიმაგრებული მიწის რაოდენობა და ხარისხი. არ არის გაანგარიშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება, ამასთან იგი არ შედის ძირითადი საწარმოო ფონდების შემადგენლობაში. ფონდების საფასურით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელ სამრეწველო საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, მრავალწლიანი ნარგავები და პირუტყვი. ყოველივე ამის შედეგად ფონდების საფასური მცირე მოცულობისაა, ვერ მოქმედებს მასტიმულირებელი ფონდების მოცულობაზე და აქედან გამომდინარე, ხელს არ უწყობს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ეფექტიანად გამოყენებას.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადშიც არ არის გათვალისწინებული მასზე მიმაგრებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა და ხარისხი.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი, როგორც წმინდა შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადადის საერთო-სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გამოითვლება დიფერენცირებულად კოლმეურნეობების მიერ მიღწეული რენტაბელობის დონის გათვალისწინებით. მისგან გამოითიშება ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება 15 პროცენტამდე რენტაბელობის დონეს,

ასევე ის ნაწილი, რაც გადადის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული ფონდისა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ფონდში.

კოლმეურნეობათა შემოსავლების საშემოსავლო გადასახადით გადანაწილების მეთოდიც დამხმარე საშუალებაა. სახელმწიფოს მიერ ამოღებული საშემოსავლო გადასახადის მთლიანი მოცულობა საერთო-სახელმწიფოებრივ შემოსავლებში ძალზე მცირეა, მაგრამ იმისათვის, რომ კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლის სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით ამოღებამ რამდენადმე მაინც იმოქმედოს კოლმეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრებაზე, საჭიროა მისი სრულყოფა. ქვეყნის კოლმეურნეობათა 1975 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ მათი 22,2 პროცენტი არარენტაბელური იყო, ხოლო 5 პროცენტამდე რენტაბელობა გააჩნდა კოლმეურნეობათა 11,2 პროცენტს, 5-დან 15 პროცენტამდე — 20,2 პროცენტს; 15-დან 45 პროცენტამდე — 40,6 პროცენტს, ხოლო 45 პროცენტზე მეტი რენტაბელობა კოლმეურნეობათა მხოლოდ 5,8 პროცენტს.

კოლმეურნეობათა საგადასახადო პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმის შემცირებული ოდენობა, რომელიც შეესაბამება მხოლოდ 15-პროცენტიან რენტაბელობას. თუ გავითვალისწინებთ კოლმეურნეობათა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკური განვითარების დონეს, განსაკუთრებით დაბალრენტაბელობის და საშემოსავლო გადასახადზე მინიჭებულ როლსა და მნიშვნელობას, მიზანშეწონილი იქნება წმინდა შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმი გავავრცელოთ 25 პროცენტამდე რენტაბელობის მქონე კოლმეურნეობებზეც.

25 პროცენტზე მეტი რენტაბელობის მქონე კოლმეურნეობებში შრომის ფონდაღჭურვა დაახლოებით 2-ჯერ დაბალია სხვა მეურნეობებთან შედარებით, ხოლო შრომის ნაყოფიერება იზრდება მხოლოდ 2—3 პროცენტით, მაშინ, როდესაც ქვეყნის კოლმეურნეობებში საშუალო ზრდა 5 პროცენტამდეა, საერთო შემოსავლები 600 ათ. მანეთს არ აღემატება, რაც 2-ჯერ ნაკლებია სხვა კოლმეურნეობებთან შედარებით.

იმისათვის, რომ არ შემცირდეს კოლმეურნეობათა წილი საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული რესურსების ფონდ-

ში, მიზანშეწონილია გადასახადის განაკვეთი გაიზარდოს მაღალრენტაბელურ კოლმეურნეობებში.

ამრიგად, სახელმწიფოს კოლმეურნეობებთან ფინანსურ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ინტერესებიდან.

სახელმწიფოს კოლმეურნეობებთან საფინანსო ურთიერთობაში გადამწყვეტი როლი უკავია ფასწარმოქმნის საკითხებს. კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ფასები წესდება საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების მიხედვით, მაგრამ ამჟამად არსებული ზონალური ფასების ნაკლებად მოქნილობის გამო ამ მექანიზმის გამოყენებით ვერ ხერხდება სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში არსებულ კოლმეურნეობათა წარმოების დონის განვითარება, რაც დღის წესრიგში აყენებს სხვა ეკონომიკური ბერკეტის გამონახვას, რომელიც სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებთან დამყარებულ ფინანსურ ურთიერთობათა სისტემაში ყველაზე ეფექტიანია. ასეთ ეკონომიკურ მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლიდან ამოიღება სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ფონდში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეგმურ გადასახდელს, რომელიც მოგებიდან გაიღება, რენტა წარმოადგენს. რენტის შემოღება განპირობებული იყო საწარმოს კოლექტივის სტიმულირებისათვის ბუნებრივი რესურსების სრულად გამოყენების მიზნით. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სარენტო ურთიერთობის არსებული წესი ჯერჯერობით არ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, მისი მოცულობა სრულად არ გამოხატავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი საზოგადოების მოთხოვნილებებს. დღემდე არსებული სარენტო გადასახდელების გათანაბრებითი პრინციპი ამცირებს რენტის, როგორც მეურნეობრივი გაძღოლის ერთ-ერთი ეკონომიკური მექანიზმის როლსა და ავტორიტეტს. ვფიქრობთ, აუცილებელია არსებითად გარდაიქმნას რენტის მექანიზმი ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის კვალობაზე. ამასთან რენტა გამოიანგარიშება მოპოვებული პროდუქციიდან და არა რესურსების მოცულობიდან. გამოდის, რომ უგერგილოდ მომუშავე საწარმო (გაერთიანება), რომელიც ნაკლებ პროდუქციას მოიპოვებს, საზოგადოების სასარგებლოდ ნაკლები მო-

ცულობის რენტას გაიღებს. სავსებით მართებულად მიგვაჩნია ა. რუმიანცევისა და პ. ბუნიჩის მოსაზრება, რომ სარენტო ურთიერთობაში უკეთესია გამოყენებულ იქნას ფონდებზე საფასურის ამოღების არსებული წესი — წარმოებრივი ფონდების ღირებულებიდან დაწესებული განაკვეთის მიხედვით და არა მათი გამოყენების ეფექტიანობის დონით[1].

პარტიის XXV ყრილობაზე მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ნედლეულის საბადოების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხებს. „ჩვენს გეგმებში — აღნიშნა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, — როგორც წესი, გავითვალისწინებთ სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგის ზრდის უპირატეს ტემპს მის მოპოვებასთან შედარებით, რათა მუდამ საკმარის დონეზე იდგეს სასარგებლო წიაღისეულით წარმოების უზრუნველყოფის საქმე. ეს საშუალებას მოგვცემს კვლავაც დავიცვათ სახალხო მეურნეობა ენერგიისა და ნედლეულის უკმარისობისაგან, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული დისპროპორციებისაგან“[2]. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანებიდან გამომდინარე, მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამაღლდეს საძიებო და სადაზვევო სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტიანობა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მომზადების ხარისხი. სწორედ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია სარენტო მექანიზმის როლის ამაღლება და სრულყოფა.

სრულყოფა-გამარტივებას მოითხოვს საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების დაკრედიტების მექანიზმი.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ ბანკის კრედიტების მნიშვნელობის ამაღლება გამოიწვია. თანამედროვე პირობებში საკრედიტო რესურსების ეფექტიან გამოყენებას იმ საბჭოთა მეურნეობებში აქვს ადგილი, რომლებიც სრულად არ არიან უზრუნველყოფილი ძირითადი და საბრუნავი ფონდებით, ამასთან დაკრედიტების რიგისობაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საბჭოთა მეურნეობებს, რომლებშიც აღებული სესხის დაბრუნებითობა გარანტირებული იქნება, ე. ი. მიღწეული იქნება წარმოების მაღალი ეფექტიანობა.

---

1 См. «Совершенствование хозяйственного механизма». 1976, стр. 51.

2 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 168.

უფრო სრულყოფილი გახდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა კავშირურთიერთობა კოლმეურნეობებთან კაპიტალურ დაბანდებათა გრძელვადიანი დაკრედიტების დარგში. ამჟამად კოლმეურნეობებზე გაიცემა გრძელვადიანი კრედიტი იმ რაოდენობით, რომელსაც შეუძლია დაფაროს მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობასა და მისი საკუთარი სახსრებით დაფინანსების ოდენობას შორის სხვაობა. ამან გამოიწვია კოლმეურნეობათა დაინტერესების ზრდა წარმოების გაფართოების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ეკონომიკური დასაბუთება აკლია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გრძელვადიანი კრედიტების პრინციპებს. იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მიღწეულ იქნეს უმცირესი დანახარჯებით მაქსიმალური უკუგება, საჭიროა კრედიტის ეფექტიანი გამოყენება. გრძელვადიანი კრედიტი ორგანულად უნდა შეერწყას სოფლის მეურნეობის განვითარებას. მან მნიშვნელოვანი ზემოქმედება უნდა მოახდინოს კაპიტალურ დაბანდებათა ტემპებზე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთა საკუთარი და ნასესხები საშუალებების ეფექტიან გამოყენებაზე. გრძელვადიანი დაკრედიტების მეშვეობით შესამჩნევად უნდა გადიდდეს ძირითადი საწარმოო ფონდები, რაც უპირველესი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ[1].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასშტაბების ზრდა, საწარმოო ძალების ზრდა-განვითარება, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენება მოითხოვს სოფლის მეურნეობის მართვის შემდგომ სრულყოფას.

სკკპ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამის შემუშავებისას ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტის გავლენას, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსი.

სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური გეგმის უმ-

[1] გ. ხ ე ლ ა ი ა, კრედიტის როლი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თბ., 1974, გვ. 154—155.

ნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინდუსტრიალიზაცია, მისი ქიმიზაცია და მიწების მელიორაცია.

მეათე ხუთწლედში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობას გადაეცემა 1900 ათასი ტრაქტორი, 1350 ათასი სატვირთო ავტომობილი, 538 ათასი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 100 ათასი ექსკავატორი, 106,5 ათასი ბულდოზერი, 23 მილიარდი მანეთის ტექნიკა და მრავალი სხვა მატერიალური საშუალება.

1980 წლისათვის მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 143 მილიონ ტონამდე, მნიშვნელოვნად გადიდდება კონცენტრირებული და რთული სასუქების გამოშვება.

დიდი სახსრებია გამოყოფილი მიწების სამელიორაციო სამუშაოების განსახორციელებლად. მეათე ხუთწლედში სამეურნეო ბრუნვაში მოექცევა 4,6 მილიონი ჰა სარწყავი და 4,4 მლნ ჰა დაშრობილი მიწები.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ ზრდას ხელს შეუწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტიმულირების სისტემა. როგორც ცნობილია, პლენუმის გადაწყვეტილებით შემოღებულ იქნა დაგეგმვისა და მართვის ახალი წესი, რომელმაც გააფართოვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივი დამოუკიდებლობა, ხელი შეუწყო მათი ინიციატივის განვითარებას წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, მათი შემოსავლების განაწილების საქმეში.

განსაკუთრებით უდიდესი სახალხომეურნეობრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი სისტემის შემოღებას, რომელიც ითვალისწინებდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დამზადების სტაბილური გეგმების დაწესებას, პროდუქციაზე შესასყიდი ფასების გადიდებას, ისეთი ფასების დაწესებას, რომლებიც ასტიმულირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოზე ზეგეგმურ მიყიდვას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე კეთილისმყოფელად იმოქმედა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილებამ „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში კოლმეურნეთა მატერიალური

დაინტერესების ამაღლების შესახებ". კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნა შრომის გარანტირებული ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიის მუშაკების ხელფასის განაკვეთის დონეზე, ამასთან შრომის ანაზღაურების ნატურალური და ფულადი ფონდები გამოყენებული იქნება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით. შრომის გარანტირებული ანაზღაურების მიზნით ნებადართულ იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გაცემა.

როგორც აღინიშნა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა საბჭოთა მეურნეობების გადაყვანამ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რამაც ხელი შეუწყო წარმოების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მეურნეობის რენტაბელობის დონის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლებაზე შესამჩნევად იმოქმედა მეცხოველეობაში ეკონომიკური სტიმულირების მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებამ. 1970 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების შესყიდვის ფასები, დაწესდა სახელმწიფოზე გეგმის ზევით მიყიდული ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის ფასებზე 50 პროცენტი ფასწანამატი. აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობის პროდუქციაზე შესყიდვის ფასების მომატებას არ გამოუწვევია მათი საცალო ფასების ზრდა.

ჩამოთვლილი ღონისძიებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მიღწეული უმნიშვნელოვანესი წარმატებების მიუხედავად, მეათე ხუთწლედში დიდი ღონისძიებებია გასატარებელი ამ დარგის შემდგომი სრულყოფილი განვითარებისათვის. „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიის მიერ აღებული კურსის ფარგლებში, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე — მუშაობის ძირითად მიმართულებათა მთელი თანამომდევნობის მიუხედავად, თითოეულ ხუთწლედს აქვს გარკვეული თავისებურებანი. ახლა, იმის კვალობაზე, თუ როგორ მტკიცდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მთელი სიგრძე-სიგანით დგება ამოცანა — ავაბაღლოთ მისი ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი"[1].

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 69.

პარტიის აგრარული პოლიტიკის მიზანი, რომელიც პარტიის XXV ყრილობაზე ნათლად იყო მოცემული ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის გადაქცევას მაღალმწარმოებლურ დარგად, რითაც მიღწეული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფა, გაუმჯობესდება მათი ხარისხი, შემცირდება სოფლის მეურნეობის განვითარების დამოკიდებულება კლიმატურ პირობებზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური დოვლათის ერთადერთ წყაროს შრომა წარმოადგენს, საჭიროა სოფლის მეურნეობაში შემუშავდეს ეკონომიკური სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც მჭიდროდ დააკავშირებდა შრომის დანახარჯებს შრომის საბოლოო შედეგებთან, რომელზედაც დიდადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო და, საერთოდ, წარმოების ეფექტიანობა.

აქედან გამომდინარე, ახლებურად ისმის საკითხი მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის სტიმულირების შესახებ, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს მატერიალური წახალისებისას გათვალისწინებულ იქნეს მთავარი ხარისხობრივი მაჩვენებლები — პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერების ზრდა და რეხტაბელობა.

პარტიის XXIII და XXIV ყრილობების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შედეგად სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 13 პროცენტით. ხუთწლედის განმავლობაში საშუალოდ წლის მანძილზე მიაღწია მარცვლეულის წარმოებამ 181,6 მილიონ ტონას, ხორცისამ — 14 მილიონ ტონას, რძისამ — 87,4 მილიონ ტონას, ბამბისამ — 7,7 მილიონ ტონას[1].

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა ინტენსიფიკაციის გზას, საერთო პროდუქციის მთელი მატება ძირითადად მიღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზით.

პარტიის XXV ყრილობამ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახა

---

1 «Народное хозяйство СССР за 60 лет», М., 1977, стр. 273.

გრანდიოზული მნიშვნელობის ამოცანა — მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების ყოველმხრივი გადიდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საფუძველზე.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება მოასწავებს ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას. რაც უფრო ხარისხიანია პროდუქცია, მით უფრო ეფექტიანია საზოგადოებრივი წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება ნიშნავს არა მარტო მისი ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებას, არამედ პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებას.

საზოგადოებრივი წარმოების თანამედროვე ეტაპზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება უდიდეს სახალხომეურნეობრივ ეფექტს იძლევა. მაგალითად, შაქრის ჭარხალში შაქრის შემცველობის 1 პროცენტით გადიდება წელიწადში მოგვცემს ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების ხარჯების გაწევის გარეშე დამატებით 700 ათას ტონა შაქარს; რძის ცხიმიანობის 0,1 პროცენტით ზრდით დამატებით მივიღებთ 98 ათას ტონა კარაქს, ანუ 300 მილიონ მანეთს, მაშინ, როდესაც ასეთი ოდენობით კარაქის მისაღებად საჭიროა 1,1 მილიონი სული ძროხა; 1 ტონა 3-პროცენტიანი ცხიმიანობის რძიდან შეიძლება მივიღოთ 34 კგ კარაქი ან 83 კგ ყველი, რძის 4-პროცენტიანი ცხიმიანობისას კი შესაბამისად — 46 და 106 კგ, ხოლო რძის 5-პროცენტიანი ცხიმიანობისას 60 კგ კარაქი ან 130 კგ ყველი. აქედან დასკვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება საზოგადოებრივი შრომის ეკონომიის პირდაპირ პროპორციულია და წარმოების ეფექტიანობის ზრდის აუცილებელი პირობაა.

იმასთან დაკავშირებით, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხი ერთმანეთისაგან განსხვავდება განსაკუთრებული თვისებურებებით: ხორბალში — ცილების, რძეში — ცხიმების, შაქრის ჭარხალში — შაქრის შემცველობით, მისი ხარისხის ამაღლება მიიღწევა პროდუქტის კვებითი და გემოვნებითი ღირსების გაუმჯობესებით. ამასთან პროდუქციის ხარისხი უმჯობესდება მისი სასაქონლო მაჩვენებლების დონით — ერთგვაროვნებით, სისუფთავით, სიახლით, ფერით, სუნით და სხვა. რაც ურთიერთკავშირში იმ-

ყოფება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიასა და კულტურასთან, აგრეთვე პროდუქციის ტრანსპორტირების, მიღების, შენახვის, დამუშავებისა და მოხმარების პირობებთან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სელექციისა და მეთესლეობის განვითარება-სრულყოფა. „სპეციალისტთა შეფასებით, — აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — კარგად, თანამედროვეობის შესაბამისად ორგანიზებულ მეთესლეობას შეუძლია მოსავლიანობა სულ ცოტა 20 პროცენტით გაადიდოს. ეს კი დამატებით ათობით მილიონი ტონა მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციაა. იგივე ითქმის მერძეული და ხახორცე პირუტყვის, ფრინველის ახალი ჯიშების გამოყვანაზე. კარგი სანაშენე პირუტყვი — ეს არის არა მარტო მეცხოველეობის პროდუქციის გადიდება, არამედ საკვების უდიდესი ეკონომიაც, ეს არის შრომითი და მატერიალური დანახარჯების რეალური შემცირება სოფლის მეურნეობაში“[1].

მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და სრულყოფას განიცდის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ამასთან დიდი მუშაობა მიმდინარეობს ახალი მანქანებისა და აგრეგატების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში, რაც პროდუქციის ხარისხის ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე დიდად მოქმედებს მისი შესყიდვის ფასების შემდგომი სრულყოფა. თუ ხარისხი ფასწარმოქმნის პრობლემების გადაჭრისას წინა პლანზე არ იქნება წამოწეული, მივიღებთ არასასურველ შედეგს. პროდუქციის ხარისხის შესყიდვის ფასების დაწესებისას აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონე. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დაინტერესება ძირითადად ფასების მეშვეობით უნდა მოხდეს.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია გან-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 71.

ვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ მოვლენებთან, როგორიცაა: წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლება, წარმოების დაგეგმვისა და მართვის მატერიალური და მორალური სტიმულირების გაუმჯობესება-სრულყოფა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვა.

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული წარმოების ეფექტიანად გაძღოლის უზრუნველსაყოფად საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ამოცანების განხორციელება მოითხოვს სოფლის მეურნეობის მრეწველობასთან ურთიერთობისას ეკვივალენტობის პრობლემების შესწავლას. ამ ამოცანების გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსება, ბანკის სარგებლის განაკვეთი, ზოგიერთი პროდუქციის საცალო ფასები, რომლებიც ვერ ფარავენ გაწეულ დანახარჯებს და რომელიც იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა წესმა დღის წესრიგში დააყენა ფასწარმოქმნის საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომა. ეკონომიკურად დასაბუთებული ფასების დაწესება განპირობებულია იმით, რომ პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები გაფართოებული კვლავწარმოებისა და კოლექტივის წევრთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების წყაროა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულად დასაბუთებული ფასების პრობლემა მეტად რთულია. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დაწესებული რეალური შესყიდვის ფასები ხელს უწყობენ როგორც გაფართოებული კვლავწარმოების პროცესს, ასევე ნორმალური რენტაბელობის მიღწევას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმისა და პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში ნათლადაა ჩამოყალიბებული პარტიის აგრარული პროგრამა. სოფლის მეურნეობის განვითარება გამოცხადებულია საერთო-სახალხო საქმედ.

პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის მაღალი ტემპებით განვითარების აუცილებლობას. „სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება მო-

ითხოვს, — აღნიშნა მან, — რომ მრავალ კონკრეტულ ამოცანაზე მუშაობისას ყურადღება დავუთმოთ და სახსრები მოვახმაროთ იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მნიშვნელოვან უკუგებას"[1].

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების, მისი ნაყოფიერების ამაღლების, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მიღწევის, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გაღრმავების გზით მიღწეული უნდა იქნეს მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება და მათი თვითღირებულების შემცირება.

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა ამ დარგისათვის გამოყოფილი სახსრები გამოყენებულ იქნას იქ, სადაც მეტ უკუგებას, მეტ ეფექტს მოგვცემს. პარტიის XXV ყრილობამ ასეთ საერთო-სახალხო ამოცანებად წარმოადგინა: სელექციისა და მეთესლეობის განვითარება, მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ გამოყენების მიზნით სოფლის მეურნეობის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესება მრეწველობის იმ დარგებთან, რომლებიც მასთან არიან დაკავშირებული.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის დარგებისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეთანაწყობა საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობასთან იმის გარანტიაა, რომ წარმატებით იქნეს შესრულებული პარტიის მიერ დასახული ეკონომიკური ზრდის ამოცანები.

მეურნეობის გეგმიანად გაძღოლის შედეგად მიღებული წარმატებები იმით არის განპირობებული, რომ ქვეყნის მატერიალური და ფულადი რესურსების განაწილება ცენტრალიზებული წესით ხდება.

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები", თბ., 1976, გვ. 70.

მეათე ხუთწლედისათვის დასახულია სოფლის მეურნეობის განვითარების ვრცელი პროგრამა. „... თანამედროვე ეტაპზე — აღნიშნა სკკპ ცკ-ის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, არის მისი ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა ყველაზე ფართო თვალსაზრისით. საერთო ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: გონივრულად, ყაირათიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უზარმაზარი რესურსები, გავუფრთხილდეთ მიწას, მივაღწიოთ მაქსიმალურ უკუგებას ყოველ ჰექტარზე, ყოველ დაბანდებულ მანეთზე, ყოველ ტონა სასუქზე“[1]. პლენუმზე ხაზგასმულ იქნა, რომ სოფლის მეურნეობრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში დიდ როლს შეასრულებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარება.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლება შეიძლება არა შესყიდვის ფასების გადიდებით, არამედ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და ბიუჯეტიდან ფასთა სხვაობის გაცემით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაწესებულმა შესყიდვის ფასებმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის შექმნისათვის გაწეული საწარმოო ხარჯების დაფარვა და გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საჭირო დაგროვების მიღება. ამასთან შესყიდვის ფასები მაშინ არის ოპტიმალური, როდესაც ასტიმულირებს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. ყურად უნდა ვიღოთ ის გარემოებაც, რომ იმ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, რომლებსაც საშუალოზე უკეთეს პირობებში უხდებათ პროდუქციის წარმოება, თვითღირებულება დაბალია და რენტაბელობის დონე მაღალი.

ამრიგად, რენტაბელობის დონის გათანაბრების საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია შესყიდვის ფასების დიფერენციაციას. ამ საქმეში დიდი გამოცდილება დააგროვა ლიტვის სსრ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეო-

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, გვ. 19.

ბებმა. აქ მეცხოველეობის პროდუქციაზე გამოყენებულია შესყიდვის ფასების დიფერენციაცია საბჭოთა მეურნეობების, და არა რაიონების მიხედვით. ამასთან სწორად აღნიშნავს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. სემიონოვი, რომ „ლიტვის სსრ მოქმედი შესყიდვის ფასების სისტემა, ერთი მხრივ, საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტია, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიური ურთიერთობის მიხედვით კი შედარებით სადაო გამოცდილებაა. რესპუბლიკაში შესყიდვის ფასები დიფერენცირებულია მეურნეობათა ოთხ ჯგუფად საწარმოო პირობების ქულათა შეფასების საფუძველზე: მიწის ქულებით შეფასებიდან გამომდინარე ირკვევა მეურნეობის ძირითადი ფონდების უზრუნველყოფითობა, პროდუქციის თვითღირებულება, გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნები“[1].

საინტერესო ის არის, რომ ამ ოთხ ჯგუფს შორის შესყიდვის ფასების გადახრა შეადგენს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში — 20 პროცენტს, ღორში — 24 და რძეში — 9 პროცენტს.

ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დიფერენცირებული ფასების დაწესებისას გათვალისწინებულია მიწის კადასტრული შეფასება — ნაყოფიერება, რელიეფი, ნაკვეთის კონტურულობა, გასაღების ადგილმდებარეობასთან სიახლოვე და სხვა, აგრეთვე ისეთი საწარმოო-ეკონომიკური პირობები, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშა ხელით, ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის დონე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით წარმოებს მეურნეობათა სათანადო ჯგუფებში მიკუთვნება, შემდგომ კი ფასების მეშვეობით წმინდა შემოსავლის და ამონაგების გადანაწილება. საწარმოებს შორის გეგმით გადანაწილების დიაპაზონი მერყეობს ამონაგების 9-დან 24 პროცენტამდე.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართო გავრცელება პოვა შესყიდვის ფასების მეშვეობით პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების გადანაწილების სისტემამ. მაღალრენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებიდან ნაწილს რიცხავენ სსრ კავშირის სახბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე დაბალრენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ.

[1] Семенов В. Роль финансов и кредита в развитии сельского хозяйства, М., 1973, стр. 67.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მთაგორიანობის და განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ერთნაირი შრომისა და მატერიალური დანახარჯების პირობებში ერთნაირ სამეურნეო-საფინანსო შედეგებს ვერ იღებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის № 425 დადგენილებით „მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დროებით იქნა შემოღებული მაღალრენტაბელური პროდუქტების — ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის, ხილისა და დაფნის სახელმწიფო შესყიდვის ფასებიდან ფასდაკლება და ამ სახსრების ხარჯზე მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დოტაციის მიცემა იმ პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების შესაბამისად, რომელიც სახელმწიფოს მიეყიდება.

ფასდაკლება დაწესდა სახელმწიფოსათვის მიყიდული ყოველი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის, ხილის შესყიდვის ფასებიდან 20—20 მანეთი, დაფნის ფოთლისა — 500 მანეთი მთავრობის მიერ დამტკიცებული რაიონებისა და მეურნეობების მიხედვით. ამასთან დაწესდა დოტაციის მიცემა მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი, ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მათ მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგან მიღებული შემოსავლის შესაბამისად იმ პროცენტობით, რომელიც მთავრობის მიერაა დაწესებული.

საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ პროდუქციაზე ფასდაკლების შედეგად მიღებული სახსრები გამოიყენება არარენტაბელური საბჭოთა მეურნეობების დოტაციისათვის.

ფასების დიფერენციაციის მეშვეობით დიფერენციული რენტის ამოღებამ ხელი შეუწყო ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის დონის ამაღლებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.

1970—1975 წლებში შესყიდვის ფასების დიფერენციაციით

ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებს, ზარალიან და დაბალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებს გაეწიათ ფინანსური დახმარება 48.3 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან საყურადღებოა, რომ ხშირად დოტაცია არ ხმარდება უშუალოდ წარმოების განვითარებას, არამედ იფარება სხვადასხვა ხანდაზმული დავალიანებანი, რომელსაც საერთო არა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებასთან. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან სისტემატიური კონტროლი დააწესონ ამ სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესყიდვის ფასები, საჭიროა და აუცილებელი წმინდა შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში ეკონომიკური ღონისძიებების გატარებაც. შესყიდვის ფასების წარმოქმნა თუ არ იქნა დაკავშირებული მათ მასტიმულირებელ როლთან, შეიძლება მივიღოთ არასასურველი შედეგები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასები უშუალო კავშირშია პროდუქციის ხარისხთან. უკეთესი ხარისხის პროდუქციის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ უფრო მაღალი ფასებით წარმოებს. ამასთან პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

„სოფლის მეურნეობის სერიოზული პრობლემაა, — აღნიშნა, პარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, — პროდუქციის ხარისხის ამაღლება. სახელმწიფო რესურსებში ჯერ კიდევ მოდის დიდძალი მარცვლეული, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ რაიონებში შემცირდა ჭარხლის შაქრიანობა. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ ხუთწლიანი გეგმის პროექტში უნდა გაითვალისწინონ ეფექტიანი ღონისძიებანი ამ დარგში“[1].

ასევე სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ზეგეგმურ პროდუქციაზე უხდის უფრო მაღალ ფასებს.. მა-

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 196.

გალითად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოზე გეგმის ზევით მიყიდული მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხების, შაქრის ჭარხლის მოცულობაზე უნაზღაურდებათ შესყიდვის ფასებზე 50 პროცენტი ფასდანამატი.

მარტო სახელმწიფოზე ზეგეგმური პროდუქციის მიყიდვის სტიმულირებამ მეცხრე ხუთწლედში გამოიწვია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავლების 13 მილიარდი მანეთით გადიდება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებული ფასებით ანაზღაურება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მექანიზმია სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში, ამასთან აღნიშნული მეთოდი მოითხოვს. შემდგომ დამუშავება-სრულყოფას, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოზე მისაყიდი პროდუქციის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შედგენისაკენ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმების შემცირებას (ხელოვნურს) არ შეუძლია წარმოების სტიმულირების ამაღლება, პირიქით, ის ასუსტებს როგორც მატერიალურ სტიმულირებას, ასევე მატერიალურ პასუხისმგებლობას წარმოების საბოლოო სახალხო-მეურნეობრივი შედეგის მიღწევაში.

მეათე ხუთწლედში შემდგომ სრულყოფა-განვითარებას მიაღწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის საქმე. „სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებაში“ ჩაწერილია: „დავიცვათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის მტკიცე გეგმების პრინციპი და გადიდებული ფასების გამოყენებით წავახალისოთ მეურნეობანი. რათა გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ სახელმწიფოს ეს პროდუქტები, როგორც მტკიცე გეგმით, ისე გეგმის გადაჭარბებით შესყიდვის მოცულობა გავითვალისწინოთ კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში, რომლებსაც დამამზადებელი ორგანიზაციები დებენ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ხუთი წლის ვადით წლების მიხედვით. უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესაბამისად“[1].

მეათე ხუთწლედში და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 272—273.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასების მექანიზმის სრულყოფასა და მოქნილად გამოყენებას.

ფასების მექანიზმი წარმოების ეფექტიანობაზე ზემოქმედებს მაშინ, როდესაც მასში ცვალებადობის შეტანა სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე ფასების გავლენის გათვალისწინებით მოხდება. მაგალითად, თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასების მუდმივობის პირობებში მოიმატებს ფასები საწვავზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობებზე, სამშენებლო მასალებზე, შესაბამისად გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება და შემცირდება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შემოსავალი.

შესყიდვის ფასების დონის განსაზღვრისას უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს წმინდა შემოსავლის მოცულობა, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოების იმ ტემპებში განხორციელებას, რაც სავსებით შეესაბამება გარკვეულ პერიოდში საზოგადოების მოთხოვნებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, აგრეთვე ცალკეული პროდუქციის რენტაბელობის დონეც.

შესყიდვის ფასების სრულყოფა უნდა მოვახდინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად. ამასთან უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაუმჯობესდეს ცალკეული საქონლის ფასების დონის შესაბამისობა წარმოების სასაქონლო ზონის ფასების დონესთან, რისთვისაც ფასწარმოქმნისას გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ერთობლივი წმინდა შემოსავლის მოცულობა.

თითოეული პროდუქტის შესყიდვის ფასში გათვალისწინებულმა წმინდა შემოსავლის დონემ უნდა უზრუნველყოს საწარმოო ფონდების მატებით მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ფონდების, სახელმწიფო გადასახდელების დასაფარავი დაგროვების მოცულობის მიღება.

შესყიდვის ფასების სრულყოფისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ფასების სტრუქტურული შემადგენლობის ფორმულას:

ფ = თ + წშ = თ + (წშ$_1$ + წშ$_2$ + წშ$_3$ + წშ$_4$), სადაც;

ფ—შესყიდვის ფასია;

თ—თვითღირებულება;

წშ—მთლიანი წმინდა შემოსავალი, რომელთაგან წმინდა შემოსავალი მიმართულია:

წშ$_1$—საწარმოო ფონდების გაფართოებისათვის;

წშ$_2$—მატერიალური სტიმულირებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებისათვის;

წშ$_3$—სადაზღვევო ფონდების შესაქმნელად:

წშ$_4$—სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ფონდში ჩასარიცხავად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შესყიდვის ფასების დაგეგმვისას თანდათანობით უნდა გადავიდეთ ნორმატიული თვითღირებულების გამოყენებაზე, რომელშიც ოპტიმალურად იქნება განსაზღვრული მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ხარჯვის ნორმები, აგრეთვე რენტაბელობის ნორმატივის გათვალისწინებაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტისა და ბანკის სარგებლის გადასახდელებით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნა, მეურნეობის მიერ განსახორციელებელი სოციალური ხასიათის ღონისძიებათა დაფინანსება.

შესყიდვის ფასების არსებული სისტემა სავსებით უგულებელყოფს ფასების მასტიმულირებელ როლს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების დროს, რამდენადაც ფასწარმოქმნის ბეჭანიზმი დაკავშირებული არ არის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ინტერესებთან. მომავალში აუცილებელია შეიცვალოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესყიდვის ფასები და გათვალისწინებულ იქნეს არასტანდარტულ პროდუქციაზე დათმობის უფრო მაღალი პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმამდე საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც ამ პლენუმზე სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაცია მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. იმის გამო, რომ უშუალოდ სახელმწიფო უყოფს საბჭოთა მეურნეობებს კაპიტალურ დაბანდებებს, განსაზღვრავს პროდუქციის ჩაბარების მოცულობასა და ფასებს, ხელფასის ფონდს და ფარავს

მიღებულ ზარალს, სამეურნეო ანგარიშის პრინციპები თავიდანვე დარღვეულია. პლენუმმა გადაწყვიტა საბჭოთა მეურნეობების თანდათანობით სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, რაც სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღებული შემოსავლებით გაწეული წარმოების ხარჯების დაფარვას, გაფართოებული კვლავწარმოებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელ დაგროვებას.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანით ძირფესვიანად იცვლება მათი ეკონომიკური ურთიერთობა სახელმწიფოსთან.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისათვის უმნიშვნელოვანესია მეცნიერულად დასაბუთებული პროდუქციის ჩაბარების ფასების დაწესების საკითხი, მით უმეტეს, ერთ მეურნეობაში შეიძლება მეცხოველეობის პროდუქტები ზარალიანი იყოს, ხოლო მემცენარეობის პროდუქტები რენტაბელური და პირიქით. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასების ისეთი დონე გვქონდეს, რომლებიც უზრუნველყოფენ რენტაბელობის ისეთი საშუალო დონის მიღწევას, რაც დაფარავს გაწეულ საწარმოო ხარჯებს და მეურნეობის გაფართოების მოთხოვნებს, ამასთან ამ საკითხის გადაწყვეტა მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, სახელდობრ:

1. სოფლის მეურნეობაში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, მიუხედავად იმისა, რომ მათი განსაზოგადოების დონე სხვადასხვაა, სახელმწიფო იძულებულია სახელმწიფოს ჩაბარების ფასების პარალელურად დაწესოს კოლმეურნეობების პროდუქციის შესყიდვის ფასები;

2. აქედან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებული პროდუქციის ჩაბარების ფასების ცვლილებები გამოიწვევს შესყიდვის ფასების ცვლილებებს, ეს კი საანგარიშსწორებო ფასების შემოღებას და მათ საბიუჯეტო რეგულირებას;

3. შესყიდვის ფასების ცვალებადობა გამოიწვევს მეურნეობათა მიერ ცალკეული პროდუქციის წარმოებაზე დაინტერესებას. მით უმეტეს ფასების საბიუჯეტო რეგულირება თუ საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე არ იმოქმედებს, კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურება შეიცვლება, რაც ყურადსაღებ შეუსაბამობას გამოიწვევს და შესაბამისად უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე.

პარტია და საბჭოთა მთავრობა თანამედროვე აგრარული პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შესყიდვის ფასების სრულყოფას, რომელიც შემდეგი ძირითადი პირობებით წარიმართება: ა) კიდევ უფრო გაღრმავდება ზოგიერთი პროდუქციის ფასების ზონალური დიფერენციაცია, გახსაკუთრებით იმ პროდუქტებზე, რომლებიც მათზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო უნდა ვაწარმოოთ ყველა ნაკვეთზე და ყველა პირობებში, სწორედ ფასების მეშვეობით უნდა ამოვიღოთ უკეთეს პირობებზე მომუშავე მეურნეობათაგან დიფერენციული რენტა და გადავცეთ პროდუქციის უარეს პირობებში მწარმოებელ საწარმოებს. შესყიდვის ფასების დიფერენცირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი მასტიმულირებელი ბერკეტია;

ბ) შემდგომ სრულყოფას ექვემდებარება შესყიდვის ფასების დიფერენცირება რეალიზებული პროდუქციის ხარისხის გათვალისწინებით. ყველასათვის ნათელია, რომ პროდუქციის წარმოებისას ხარისხის გაუმჯობესება — ამაღლება იწვევს დამატებით ხარჯებს და თუ არ იქნება გათვალისწინებული ეს, მეურნეობებს არ ექნებათ სტიმული გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად იმოქმედებს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე;

გ) შესყიდვის ფასები ოპტიმალურ შესაბამისობაში უნდა იყოს სამრეწველო პროდუქციის საბითუმო და საცალო ფასებთან, რომლის მიხედვითაც ხდება პროდუქციის მომხმარებლებზე საბოლოო რეალიზაცია;

დ) მიღწეული უნდა იქნეს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რენტაბელობის ერთნაირი დონე, რათა სხვადასხვა პირობებში მომუშავე მეურნეობებს ერთი და იგივე პროდუქციის წარმოება დაახლოებით ერთნაირ შემოსავლებს აძლევდეს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, სრული სამეურნეო ანგარიში მიმართულია საბჭოთა მეურნეობების უფლებების გასაფართოებლად.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ საბჭოთა მეურნეობებს შეუმცირდათ გეგმური მაჩვენებლების რაოდენობა, რომლებიც ზემდგომი ორგანოების მიერ მტკიცდება, მაგალითად, სახელმწიფოზე მისასყიდი უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქცია

ნატურალური გამოსახულებით, ხოლო სპეციალიზირებულ მეურნეობებს, ამის გარდა, შესაბამისი სახის პროდუქციის სახელმწიფოზე მიყიდვის მოცულობა, როგორიცაა თესლი, სარგავი მასალა, ჯიშიანი მოზარდეული პირუტყვი და ა. შ., ხელფასის საერთო ფონდი: ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ზღვრული ასიგნების ლიმიტი: მოგების მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება; საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების საფასური; სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა; კაპიტალური დაბანდებებით შექმნილი ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში გაშვების ვადა ფულადი გამოსახულებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტექნიკის, სამშენებლო მასალების, მოწყობილობის, სასუქების მიწოდების მოცულობანი.

ყველა დანარჩენი მაჩვენებელი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, პროდუქციის თვითღირებულება, შრომის ნაყოფიერება, მუშაკთა რიცხოვნობა, მეურნეობაში შექმნილი ფონდებით ასაშენებელი ობიექტები წესდება უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების მიერ ზემდგომ ორგანიზაციებში განხილვის გარეშე.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საბჭოთა მეურნეობები თვითონ წყვეტენ საწარმოო-სამეურნეო ხასიათის უმნიშვნელოვანეს საკითხებს — აწესებენ საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივს, წარმოების მართვის სტრუქტურას, განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-სამმართველო დარგის მუშაკების რაოდენობას ტიპური საშტატო ნორმატივების გათვალისწინებით, ამასთან მათი შესანახი ხარჯების ნუსხას; აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ოდენობას;

საბჭოთა მეურნეობებს უფლება მიეცათ ჭარბი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობანი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, თესლი, საკვები და სხვა მატერიალური ფასეულობანი გაყიდონ სხვა საწარმოებსა და კოლმეურნეობებზე, თუ ზემდგომი ორგანოები არ გადაანაწილებენ თავიანთი სისტემის საბჭოთა მეურნეობებზე.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობები ქმნიან სხვადასხვა წამახალისებელ და სხვა სპეციალური დანიშნულების ფონდებს. მათ შესაძლებლობა მიეცათ თვითონ განსაზღვრონ გაფართოებული კვლავწარმოების დანახარჯთა დაფინანსება საკუთარი წყაროებიდან, ეს

მაშინ, როდესაც სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას დაფინანსების ლიმიტირება ზემოდან ხდება.

მაღალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან საკუთარი წყაროებიდან დაფარონ ყველა სახის საწარმოო ხარჯები, შექმნან წამახალისებელი ფონდები, დაფარონ ბანკის სესხები და მისი სარგებელი, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მათი მოგების თავისუფალი ნაშთი გამოყენებულ იქნეს სხვა უფრო დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობები თუ საწარმოო დანიშნულების ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების დაფინანსებას ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი წყაროებით, დაფინანსებას ღებულობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასეთი საბჭოთა მეურნეობების სიას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. როგორც წესი, ასეთებს აკუთვნებენ იმ საბჭოთა მეურნეობებს, რომელთა რენტაბელობის დონე არ აღემატება 10 პროცენტს.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანით ძირფესვიანად იცვლება მათი ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტთან. მნიშვნელოვნად შეიკვეცა საბჭოთა მეურნეობების საბიუჯეტო დაფინანსება, ამასთან შეიცვალა დაფინანსების პრინციპებიც.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლად გატარებული სამეურნეო რეფორმის არსი ის არის, რომ საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიონ თვითდაფინანსებას, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დაიფაროს საწარმოო ხარჯები და მიღებულ იქნეს იმ მოცულობით დაგროვება, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებულ კვლავწარმოებას, ე. ი. უნდა შეიქმნას ეკონომიკური სტიმულირების და ბერკეტების ისეთი მწყობრი სისტემა, რომელიც ოპტიმალურად გაითვალისწინებს სახელმწიფოს, საწარმოს, კოლექტივისა და მისი თითოეული წევრის ინტერესებს.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების გაფართოებული კვლავწარმოების თვითდაფინანსება ნიშნავს,

საკუთარი სახსრებით დაიფაროს არა მარტო მიმდინარე საწარმოო ხარჯები, არამედ აწარმოოს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაც, ხოლო საკუთარი სახსრების უკმარისობის დროს გამოიყენოს ბანკის სესხები. მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების წესებში.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ საბიუჯეტო ასიგნებები ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების, საბრუნავი საშუალებების, ნორმატივების ზრდაზე აღებული ბანკის არაუზრუნველყოფილი სესხების, აგრეთვე ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯების დასაფარავად.

ბიუჯეტი აფინანსებს სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების სასათბურო კომბინატებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეთევზეობის წარმოების კოპლექსებს, რომელთა სატიტულე სიები დამტკიცებულია საკავშირო და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

იმისათვის, რომ მიწების გაკულტურების საკითხი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საქმეა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მნიშვნელოვანი ოდენობის სახსრები. ბიუჯეტი აფინანსებს მთლიანად ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: ტორფის მოპოვება, ტრანსპორტირება და გამოყენება, ნიადაგის მოთაბაშირება და მოკირიანება, მიწების ტექნიკური ღონისძიებები — ჯაგნარისა და ქვაღორღისაგან გაწმენდა, ქარსაცავი ზოლების გაშენება, საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები და ა. შ.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს ბიუჯეტში შეაქვთ არა მთელი მოგება, რომელიც რჩება ფონდების შექმნისა და გაფართოებული კვლავწარმოების ხარჯების დაფარვის შემდეგ, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდების საფასური მათი საშუალო წლიური ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით.

საბჭოთა მეურნეობა, რომლის რენტაბელობის დონე (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან) 25 პროცენტზე დაბალია, ფონდების საფასურისაგან განთავისუფლებულია.

საწარმოო ფონდების საფასურის ნორმატივის 1 პროცენტით

განსაზღვრა განპირობებულია საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის არასაკმარისი დონით და 25 პროცენტამდე რენტაბელობის დონის მქონე საბჭოთა მეურნეობების ფონდების საფასურის გადასახადისაგან განთავისუფლება ასუსტებს ამ სამეურნეო მექანიზმის ქმედითობას. პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმული იყო, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ფონდუკუგების ზრდას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნეობით გამოყენებას. საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკურად განმტკიცებამ, მათი მოგების ზრდამ მომავალში უნდა გააძლიეროს ფონდების საფასურის როლი და მნიშვნელობა, როგორც საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების ეკონომიკური ბერკეტისა.

ბიუჯეტში არ ამოიღება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი ძირითადი საწარმოო ფონდების საფასური:

ა) იმ შენობებისა, რომლებიც მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდით არის აშენებული, მისი ექსპლუატაციაში გაშვებიდან 2 წლის განმავლობაში;

ბ) ბანკის სესხებით აშენებული ობიექტი, სანამ მთლიანად არ დაიფარება ეს სესხები;

გ) საცდელ წარმოებაზე გამიზნული ძირითადი ფონდები;

დ) დიდი მოცულობის ღირებულების ძირითადი ფონდები, რომლებიც ხელახლა შედიან ექსპლუატაციაში (მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის კომპლექსები და ა. შ.), მათი სიმძლავრეების ათვისების პერიოდში;

ე) პროდუქტიული და მუშა პირუტყვის, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება.

საბჭოთა მეურნეობას ძირითადი ფონდების საფასური ბიუჯეტში შეაქვს ზემდგომი ორგანოს მიერ წლიური ბუღალტრული ანგარიშგების დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო საბჭოთა მეურნეობა ფონდების საფასურის დროულად გადაუხდელობაზე იხდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მათი ღირებულების 0,05 პროცენტს.

სავსებით გამართლებულია ის, რომ ფონდების საფასურს არ იხდიან ნორმირებული საბრუნავი საშუალებებიდან, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ პირუტყვის საკვებისა და თესლის გადიდების, გასასუქებელი პირუტყვის გაფართოების საშუალება სტიმულირე-

ბის შესუსტების გამო, არ მოხდებოდა. ასევე ფონდების საფასურისაგან პროდუქტიული და მუშა პირუტყვის, მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების გამორიცხვა ასტიმულირებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ძირითადი ჯოგის სულადობის ზრდასა და მრავალწლიანი ნარგავების გაფართოებას.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდების საფასურის დანიშნულებაა წარმოების საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესება. არსებული მდგომარეობის ანალიზიდან ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობაში ფონდების საფასური თავის როლს ჯერჯერობით ნაკლებ ეფექტიანად ასრულებს. წარმოების რენტაბელობაზე უარყოფითად მოქმედებს ფასწარმოქმნის სისტემის ნაკლოვანებები, რომელშიც ხშირად არ არის გათვალისწინებული ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების შრომატევადობა. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მებოსტნეობა ზარალიანი ან დაბალრენტაბელური დარგია, რაც იმით არის განპირობებული, რომ ხელით შრომის წილი მაღალია და ამ პროდუქტზე ფასები ოპტიმალურად არ შეესაბამება წარმოების დანახარჯებს, რის გამოც ისინი არ იხდიან ფონდების საფასურს და აქედან გამომდინარე მასტიმულირებელ როლს ვერ ასრულებენ ფონდების ეფექტიანად გამოყენების საქმეში.

მართებულად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. სემიონოვის მოსაზრება, რომ საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ფონდების საფასური დიფერენცირებულ იქნეს გამომდინარე მეურნეობის რენტაბელობის დონიდან და მიწის ნაკვეთის ერთეულზე წარმოების საშუალებების შეჯერებით. რაც უფრო მაღალი იქნება რენტაბელობის დონე და მიწის ნაკვეთის წარმოების საშუალებებით შეჯერება, მით მეტი უნდა იყოს ფონდის საფასური, რის შედეგადაც მიწის ნაყოფიერების ამაღლებითა და სახელმწიფოს მიერ მასზე დამატებითი დაბანდების გადიდებით მიღებული დიფერენციული რენტა ამოღებულ იქნეს და გადაეცეს საზოგადოების განკარგულებაში[1].

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საბჭოთა მეურნეობებში ფონდებზე საფასურის არსებული წესი. ის ვერ ასრულებს იმ

[1] Семенов В. Н. Роль финансов и кредита в развитии сельского хозяйства, М., 1973, стр. 127.

მასტიმულირებელ როლს, რომელიც მას აკისრია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ მრეწველობის ფონდებზე საფასურის მსგავსად სოფლის მეურნეობრივი საწარმოები იხდიან პირველ რიგში მოგებიდან, რომლის შემდეგ ხდება მისი განაწილება წარმოებრივ ფონდებში, ამიტომ საწარმო დაინტერესებული უნდა იყოს მოგების მასის ზრდაში, რაც სამწუხაროდ არ ხდება სოფლის მეურნეობაში. ფონდებზე საფასური გამოიანგარიშება სოფლის მეურნეობრივი დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებიდან. არ არის გათვალისწინებული საბჭოთა მეურნეობებზე მიმაგრებული მიწების ხარისხი და რაოდენობა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება არ არის განსაზღვრული და არ შედის ფონდების შემადგენლობაში. გადასახდელებით არ იბეგრება პირუტყვი და მრავალწლიანი ნარგავები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოო ფონდები;

ყოველივე ამის გამო ფონდებზე საფასური უმნიშვნელოა და შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობაზე და საბოლოო ჯამში ხელს არ უწყობს ამ ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. სემიონოვის გაანგარიშებით, 1971 წლისათვის საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ფონდების საფასურის სახით ბიუჯეტში შეტანილ იქნა 72 მილიონი მანეთი, რაც ამ ფონდების ღირებულების 0,4 პროცენტს შეადგენდა და მოგების თანხის 3,2 პროცენტს. ამასთან საბჭოთა მეურნეობათა 44 პროცენტი განთავისუფლებული იყო ამ საფასურის გადასახდელისაგან.

სოფლის მეურნეობრივ საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას ხელს არ უწყობს მათზე გასაყიდი მანქანების, ტრანსპორტის, სასუქების, კომბინირებული საკვების ფასთა სხვაობის დაფარვა ბიუჯეტიდან.

§ 8. მოგების როლი საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში

საბჭოთა მეურნეობებში მოგების მოცულობა დამოკიდებულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, მოგება განსაზღვრავს მეურნეობის ეფექტიანად გაძ-

ღოლის ხარისხს, რაც საშუალებას იძლევა იგი მიჩნეულ იქნეს ძირითად მაჩვენებლად და მის ბაზაზე დაწესდეს მანეთით კოხტროლი საბჭოთა მეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე.

მოგების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში თავს იყრის წარმოების ყველა ფაქტორი ფულად გამოსახულებაში.

ამრიგად, მოგება ასრულებს გაფართოებული კვლავწარმოების ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის, სხვადასხვა არასაწარმოო დანიშნულების ხარჯების დაფარვის, წარმოების განვითარების მატერიალური სტიმულირებისა და მეურნეობების საქმიანობაზე მანეთით კონტროლის ფუნქციებს.

საბჭოთა მეურნეობებში არჩევენ სამი სახის მოგებას: რეალიზაციიდან, საერთო (საბალანსო) და გასანაწილებელს, რომლებიც შეიძლება იყოს გეგმური, ფაქტიური და ზეგეგმური.

გეგმური მოგება ეს არის საბჭოთა მეურნეობაზე მოცემული გარკვეული მოცულობის წმინდა შემოსავლის მიღების დავალება, რომელიც გაითვალისწინება საბჭოთა მეურნეობის გეგმაში.

ფაქტიური მოგება არის საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღებული საფინანსო შედეგი, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს წლიურ, კვარტალურ და თვიურ ანგარიშებში.

ზეგეგმური მოგება გეგმურზე ზევით მიღებული მოგების ფაქტიური მოცულობაა.

რეალიზაციიდან მოგება წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციიდან ამონაგებსა და რეალიზებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებას შორის.

საერთო (საბალანსო) მოგება ყველა სახის პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან მიღებული საბოლოო საფინანსო შედეგია.

გასანაწილებელი მოგება წარმოადგენს სხვაობას მოგების საერთო თანხასა და ბიუჯეტში საბჭოთა მეურნეობის მოგებიდან სავალდებულო გადასახდელებს შორის.

საბჭოთა მეურნეობებში, მსგავსად სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები იქმნება იმისათვის, რომ ამაღლდეს მუშაკების დაინტერესება თავიანთი საქმიანობის საბოლოო შედეგებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში გამოხატულებას პოულობს მეურნეობრივი მართვის პირობებში ყველა სახის

ინტერესთა ჰარმონიული განვითარება: სახელმწიფოსა და კოლექტივს, კოლექტივსა და მის თითოეულ წევრსა, სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრებს შორის.

როგორც წესი, ეკონომიკური სტიმულირების ფონდში გადასარიცხი მოგების მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია წარმოების ეფექტიანობასთან.

საბჭოთა მეურნეობებში იქმნება შემდეგი სახის ფონდები:

მატერიალური წახალისების;

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის;

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების.

იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნული ფონდების როლი საბჭოთა მეურნეობაში არაერთგვაროვანია, ასევე არაერთგვაროვანია მისი წარმოშობისა და ხარჯვის წესიც.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ და კეთილმყოფელად მოქმედებენ წარმოების შემდგომ სრულყოფა-განვითარებაზე. თუ მატერიალური წახალისების ფონდი მიიმართება საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ინდივიდუალური პრემირებისათვის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები ძირითადად გამოიყენება მთელი კოლექტივის ინტერესებისათვის კულტ-საყოფაცხოვრებო ქსელის განვითარებისა და საბინაო ფონდის გასაფართოებლად.

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი ასრულებს ორ ფუნქციას — საბჭოთა მეურნეობა ამ ფონდის მეშვეობით ქმნის ფინანსურ რესურსებს ახალი ტექნიკის დასანერგავად და მისი ძირითადი ფონდების აღსადგენად, რითაც იზრდება წარმოების ეფექტიანობა.

იმის გამო, რომ საბჭოთა მეურნეობებში ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ძირითადი წყაროა მოგება, საჭიროა გავარკვიოთ მასზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც გულისხმობს მატერიალურ-ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ, ბუნებრივ და სხვა პირობებს.

მოგების მოცულობაზე გავლენას ახდენს რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება და ფასები.

მოქმედი ფასების პირობებში მოგების ზრდა პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება რეალიზებული პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და სრულ თვითღირებულებაზე. რაც უფრო მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია იყიდება დაბალი თვითღირებულებით, მით მეტი მოგება მიიღება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი და თვითღირებულება პირდაპირ კავშირშია წარმოების განვითარების დონესთან.

წარმოების გაუმჯობესებისა და მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება არის პროდუქციის რაოდენობის გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირებისა და აქედან გამომდინარე, მოგების გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეიძლება რეალიზებულ იქნეს შესასყიდ ან საცალო ფასებში, იშვიათ შემთხვევაში კი გეგმური თვითღირებულებით.

საბჭოთა მეურნეობების მოგების განაწილება. მას შემდეგ, რაც მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება ძირითადი საწარმოო ფონდების საფასური, მისგან დარჩენილი ნაწილი მიეკუთვნება გასანაწილებელ მოგებას, რომელიც მიიმართება შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად:

ა) ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური ფონდების შესაქმნელად (დაახლოებით 60 პროცენტამდე); ბ) სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა პრემირებისათვის; საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის მატებისა და კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის აღებული სესხებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ზარალების დასაფარავად; ახალი ტექნიკის, მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციაზე და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებაზე აღებული ბანკის სესხების დასაფარავად, სესხების სარგებლის გასასტუმრებლად.

მოგების თავისუფალი ნაშთის 90 პროცენტი ამოიღება ზემდ-

გომი ორგანოების მიერ შემდეგი წლის კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად სხვა საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისათვის, ხოლო თავისუფალი ნაშთის 10 პროცენტი რჩება საბჭოთა მეურნეობის განკარგულებაში, რათა ეს სახსრები მიმართულ იქნეს დამატებითი წამახალისებელი ფონდების შესავსებად.

მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონდში ჩაირიცხება გეგმური მოგების 15 პროცენტი, ხოლო ზეგეგმური მოგებიდან გადარიცხვის ეს ნორმა მცირდება 50 პროცენტამდე, იმის გათვალისწინებით, რომ შენატანების საერთო თანხამ არ უნდა გადააჭარბოს საბჭოთა მეურნეობის მთელი პერსონალის წლიური ხელფასის ფონდის 12 პროცენტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილებით ზარალიან საბჭოთა მეურნეობაში მატერიალური წახალისების ფონდი იქმნება 15 პროცენტის ოდენობით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ზარალის საშუალო წლიური შემცირებიდან მიღებული თანხით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში ჩაირიცხება მოგების მოცულობის 10 პროცენტი: წარმოების განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში 12 პროცენტი, სადაზღვევო ფონდში 20 პროცენტი, ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების პრემირებისათვის — 2,5 პროცენტი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემდგომ ორგანოს (სამინისტროს, გაერთიანებას, ტრესტს) უფლება აქვს საბჭოთა მეურნეობებს მატერიალური წახალისების ფონდში მოგებიდან გადასახდელის ნორმა დიფერენციულად დაუწესოს.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობის მოგების თავისუფალი ნაშთი, რომელიც დარჩა დადგენილი წესით ჩამოთვლილ ღონისძიებათა ხარჯების დაფარვის შემდეგ, ზემდგომმა ორგანომ შეიძლება გამოიყენოს არარენტაბელური ან ზარალიანი საბჭოთა მეურნეობის განვითარებისათვის.

მოგების განაწილების ახალმა წესმა დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ეფექტიანობას. მათ უფლება მიეცათ საკუთარი წყაროებისა და ბანკის კრედიტის მეშვეობით ფართოდ განახორციელონ წარმოების განვითარებისა და კოლექტივის

წევრთა სოციალურ-კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებანი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საერთო შემოსავლის განაწილების წესი კოლმეურნეობებში. მათი საერთო შემოსავალი მიიმართება შრომის ანაზღაურებისათვის, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ ფონდში და დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს წმინდა შემოსავალს — მოგების სახით. კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალი (მოგება) მიიმართება: სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით, რომლითაც კოლმეურნეობათა შემოსავლები იბეგრება; წარმოების გასაფართოებლად (კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის ფონდში, საკუთარი საბრუნავი საშუალებების შესავსებად); კოლმეურნეობათა სპეციალური ფონდების შესაქმნელად.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ ხელი შეუწყო მუშაკთა მატერიალურ წახალისებას. ახალ პირობებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობების ანალიზიდან ირკვევა, რომ წარმატებებს ის მეურნეობები აღწევენ, რომლებსაც კარგად აქვთ გამოყენებული ეკონომიკური სტიმულირების მთელი სისტემა.

მატერიალური წახალისების ფონდის საშუალებები წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ზევით ფულადი შემოსავლების დამატებით წყაროს. ეს ფონდი იხარჯება მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებმაც მაღალხარისხოვნად და დაწესებულ ვადებში შეასრულეს ცალკეული მნიშვნელოვანი საწარმოო დანიშნულების სამუშაოები; საბჭოთა მეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების მიხედვით შიდა საწარმოო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივთა და ცალკეულ წევრთა პრემირებისათვის; მეურნეობის მუშაკთა ერდროული დახმარების გასაცემად;

მატერიალური წახალისების ფონდიდან მუშაკთა პრემირება უნდა მოხდეს თითოეული მათგანის საზოგადოებრივი წარმოების წარმატებებში მიღებული მონაწილეობის მიხედვით.

წლის განმავლობაში მატერიალური წახალისების ფონდის გამოუყენებელი ნაშთი გადადის შემდგომი წლის ფონდში და მისი ამოღება კანონით აკრძალულია, ხოლო ამ ფონდის გადახარჯვის შემთხვევაში გადახარჯვის თანხა რჩება საბჭოთა მეურნეობის ბა-

ლანსზე და უნდა დაიფაროს შემდგომი წლის მატერიალური წახალისების ფონდიდან.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდიდან სახსრები მიიმართება: სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად — ამ ფონდიდან შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდეს დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების საგზურების ღირებულება, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში, პიონერულ ბანაკებში, ბავშვთა კვების გასაუმჯობესებლად, მედიკამენტების შესაძენად; სასადილოსა და კულტ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად; სპორტულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად და ა. შ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდიდან სახსრები მიიმართება კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, რომელიც გამოყენებული იქნება საცხოვრებელი სახლების, დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად.

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდიდან წარმოებს საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება, მოწყობილობის მოდერნიზაციის, განახლებისა და კაპიტალური რემონტის დამატებითი დანახარჯების დაფინანსება, აგრეთვე ძირითადი ჯოგის ფორმირებისა და სხვა ისეთ ღონისძიებათა დაფინანსება, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის.

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრები მიიმართება აგრეთვე მეცხოველეობის შენობების მშენებლობა-გადაკეთებისათვის, მატერიალურ ფასეულობათა საწყობების, ხიდების, გზების, წყალმომარაგების, ჰების, ელექტრიფიკაციისა და ტელეფონიზაციის სამუშაოების ჩასატარებლად და სხვადასხვა მოწყობილობათა შეძენისათვის.

1971 წლიდან საბჭოთა მეურნეობებს უფლება მიეცათ ამ ფონდიდან ააშენონ საცხოვრებელი სახლები, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები, კლუბები, საყოფაცხოვრებო-კომუნალური დანიშნულების ობიექტები და ა. შ.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემდეგ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სახელმწიფო ბანკის სესხების გამოყენების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკისა და ფინანსების ყოველმხრივ განმტკიცებამ მოითხოვა სერიოზული ცვლილებების შეტანა მათი დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების მექანიზმში. უკანასკნელ წლებში წარმოების ხარჯებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კრედიტის ხვედრითი წონა.

საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ ისარგებლონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი სესხებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე საბჭოთა მეურნეობები წლის ცალკეულ პერიოდებში საჭიროებენ დამატებით საბრუნავ საშუალებებს, რომელიც უნდა დაიფაროს ბანკის მოკლევადიანი სესხებით, მაგალითად:

წარმოების სეზონურ ზენორმატიულ ხარჯებსა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგზე;

წლის განმავლობაში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საკუთარი საშუალებების ნაკლებობაზე. საკუთარი საბრუნაო საშუალებების ნორმატივის მატებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის დანახარჯთა დასაფარავად;

ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯებზე;

დროებით საჭიროებისათვის, რომელიც გამოწვეულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პირობებით.

საბჭოთა მეურნეობებისათვის გასაცემი ბანკის სესხების მოცულობა გათვალისწინებული უნდა იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო გეგმაში.

ის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ვერ ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, სარგებლობენ ბანკის სესხებით საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით შევსებაზე. ამასთან ისინი ვალდებული არიან შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა თანდათან შეავსონ საკუთარ საბრუნავ საშუალებებში დანაკლისი და დაფარონ 2 წლის განმავლობაში ბანკის სესხები.

საბჭოთა მეურნეობები ბანკის მოკლევადიან სესხებზე იხდიან

3 პროცენტს, ხოლო ვადაგადაცილებულ სესხებზე 5 პროცენტს ბანკის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებამ და ეკონომიკური სტიმულირების განვითარებამ ძირფესვიანად შეცვალა საკრედიტო ურთიერთობანი მოკლევადიანი კრედიტების ხაზით. თუ 1961 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე (კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე) გაცემული მოკლევადიანი კრედიტი არ აღემატებოდა 3023 მილიონ მანეთს და მთელს სახალხო მეურნეობაში დაბანდებული მოკლევადიანი კრედიტის მხოლოდ 7,5 პროცენტს უდრიდა, 1976 წლის პირველი იანვრისათვის მიაღწია 26400 მილიონ მანეთს და შეადგინა მთელი მოკლევადიანი კრედიტის მოცულობის 17,8 პროცენტი. უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოკლევადიანი კრედიტის ზრდის ტემპი (ცხრილი 12)[1].

ცხრილი 12

	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
სახალხო მეურნეობა სულ . .	100	107,2	115,7	128,9	142,5	153,1
მათ შორის:						
მრეწველობა	100	105,8	113,7	122,9	132,7	146,3
ტრანსპორტი . . .	100	105,1	116,9	119,0	136,2	158,5
მშენებლობა	100	108,6	130,9	164,4	187,1	202,5
ვაჭრობა	100	110,2	111,7	118,7	124,9	129,3
სოფლის მეურნეობა . . .	100	124,9	162,2	196,9	257,1	301,3
მათ შორის: კოლმეურნეობები .	100	127,7	204,7	258,0	333,2	410,9

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა მოკლევადიანი კრედიტი, ხოლო კოლმეურნეობებში 4-ჯერ და მეტად, მაშინ, როდესაც მთელს სახალხო მეურნეობაში ზრდის ტემპმა ხუთწლედში მხოლოდ 53,1 პროცენტი შეადგინა, ხოლო სახალხო მეურნეობის

[1] Барковский Н. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма, М., 1976, стр. 168—169.

ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა მრეწველობა — 46,3 პროცენტი, ვაჭრობაში კი, სადაც საკრედიტო დაბანდება ძალზე მაღალია, ზრდის ტემპი მხოლოდ 29,3 პროცენტია.

საბჭოთა მეურნეობებს ფართო უფლებები მიეცათ გრძელვადიანი კრედიტების გამოყენებაში. მაღალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებზე გაიცემა კაპიტალურ დაბანდებათა გრძელვადიანი კრედიტი. სესხის დაფარვის ვადები წესდება ობიექტის მშენებლობის ვადისა და ღირებულებიდან გამომდინარე.

საბჭოთა მეურნეობებს კაპიტალურ მშენებლობაზე გრძელვადიანი სესხები ეძლევათ ადრე აღებული კრედიტების ანგარიშსწორების მიუხედავად. როგორც წესი, გრძელვადიანი კრედიტი გაიცემა ობიექტის მთლიან ღირებულებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთარი სახსრები გამოყენებულ იქნეს სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მეცხოველეობის ფერმების, სარემონტო სახელოსნოების, სასათბურო მეურნეობების და სხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მათთვის მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების მიზნით გაცემული სესხის დაფარვის ზღვრული ვადაა 20 წელი, ხოლო გზების, ხიდების, დამბების მშენებლობაზე გაცემული სესხისა — 15 წელი; ტრაქტორების და კომბაინების შეძენაზე გაცემული სესხისა — 8 წელი; ბაღების, ვაზის, ტყის ზოლების გაშენებაზე გაცემული სესხებისა — 12 წელი და ა. შ.

გრძელვადიანი კრედიტების გამოყენებაზე საბჭოთა მეურნეობები იხდიან 0,75 პროცენტს, ხოლო ვადაგადაცილებულ სესხზე — 3 პროცენტს. აუცილებელია ამ სესხებისა და მათი სარგებლის დაფარვა გათვალისწინებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობების საფინანსო გეგმებში.

სამრეწველო საწარმოების მსგავსად საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ ისარგებლონ სესხებით ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ინტენსიფიკაციის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის ღონისძიებებზე, რომლებიც გაიცემა 6 წლის ვადით და იფარება კრედიტით განხორციელებული ღონისძიების შედეგად მიღებული მოგებით (ეკონომიით).

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებში შეტანილი

კორექტივების შედეგად საბიუჯეტო ასიგნებათა ადგილს თანდათანობით ბანკის კრედიტი იკავებს, თუმცა ჯერ კიდევ მან თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაიჭირა. სოფლის მეურნეობაში საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის შედეგად მნიშვნელოვანწილად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე კრედიტის გავლენა.

მე-13 ცხრილი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ როგორია საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროების სტრუქტურა[1]:

ცხრილი 13

1975 წლისათვის

	თანხებში (მილიონი მანეთი)	%
საბიუჯეტო ასიგნებანი .	4637	46,4
საკუთარი წყაროები .	2965	29,7
ბანკის კრედიტები სულ .	1609	16,1
მათ შორის:		
ა) ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებაზე .	339	3,4
ბ) ახალი ტექნიკის დანერგვასა და პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე . .	1270	12,7
გ) მეურნეობათა განმტკიცებისა და გაფართოების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდები და სხვა წყაროები . .	774	7,8
ს უ ლ .	9985	100,0

მართალია კაპიტალურ დაბანდებაზე დაფინანსების წყაროებში ბანკის კრედიტის ხვედრითი წონა 16 პროცენტს არ აღემატება, მაგრამ რამდენიმე წლის უკან ეს წყარო იშვიათად გამოიყენებოდა და მისი ხვედრითი წონა 1—1,5 პროცენტს არ აღემატებოდა. ბანკის კრედიტების კაპიტალურ დაბანდებათა წყაროდ გამოყენების დაბალი დონე განპირობებულია იმითაც, რომ სუსტად არის დაკავშირებული ერთმანეთთან აღებული კრედიტების დაფარვისა და მშენებლობის ვადები, დიდია დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. ამიტომ ვფიქრობთ, გადასასინჯია კრედიტის ანაზღაურების

[1] Барковский Н. Проблемы кредита и денежного оборота в условиях развитого социализма. М., 1976, стр. 126.

ვადები, რომელიც 6 წლით არის განსაზღვრული. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილის რენტაბელობის დონე არ იძლევა კრედიტის ამ ვადებში დაფარვის საშუალებას.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ფართო განვითარებას პოულობს წარმოების ტექნიკურ სრულყოფაზე აღებული ბანკის კრედიტები, როგორიცაა ახალი ტექნიკის დანერგვაზე და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებაზე. თუ 1961—1970 წლებში ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებმა ისარგებლეს ამ სახის სესხებით 2455,7 მილიონი მანეთის ოდენობით, მეცხრე ხუთწლედში მისი მოცულობა გაიზარდა 3379 მილიონ მანეთამდე. წარმოების ტექნიკურ სრულყოფაზე გაცემული სესხები ხელს უწყობს მის გაუჯობესებას, რაც თავის მხრივ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და ადიდებს მოგების მოცულობას.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა სახელმწიფო ბანკის კრედიტების როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. გაცემული სესხების მწარმოებლურად გამოყენებით იზრდება საბჭოთა მეურნეობის წმინდა შემოსავალი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ აღებული კრედიტები დაიფაროს იმ მოგებით, რომელიც მიიღება ამ კრედიტებით განხორციელებული ღონისძიებებისაგან.

საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის ამაღლება დამოკიდებულია ძირითადი ფონდებით აღჭურვის დონეზე. 1976 წლისათვის ქვეყნის საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდების ღირებულებამ 93,4 მილიარდ მანეთს მიაღწია, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებისა — 69,6 მილიარდ მანეთს. საბჭოთა მეურნეობების წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება მოითხოვს გრანდიოზულ კაპიტალურ დაბანდებებს.

საბჭოთა მეურნეობების ფონდების ფორმირების სისტემა გულისხმობს დაგეგმვის, დაფინანსებისა და დაკრედიტების ეტაპებსაც. ამჟამად საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისას, როგორც წესი, ითვალისწინებენ მოსალოდნელ კაპიტალურ

დაბანდებათა უკუგებას და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა შესაქმნელად ნიადაგის მომზადებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის დადგენილებით „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“ გათვალისწინებულმა წესმა საბჭოთა მეურნეობებისათვის დააწესა ცენტრალიზებული კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, ხოლო არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები საკუთარი წყაროებითა და ბანკის სესხებით განხორციელებამ გამოიწვია ცალკეულ მეურნეობათა არათანაბარი განვითარება. მაშინ, როდესაც მაღალ რენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებს დიდი რესურსები გააჩნდა ძირითადი საწარმოო ფონდების გასადიდებლად, დაბალ რენტაბელურ და ზარალიან მეურნეობებში ფონდაღჭურვის დონე ძალზე არადამაკმაყოფილებელი დარჩა, რაც საბოლოო ჯამში წარმოების ეფექტიანობის დაცემაზა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების უთანაბრობას იწვევს.

სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით მეცხრე და მეათე ხუთწლედებში სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, რომელიც ხორციელდება როგორც ცენტრალიზებული, ასევე არაცენტრალიზებული წყაროებით. აღნიშნული წესი ცალკეულ საბჭოთა მეურნეობების უფლებებს რამდენადმე ზღუდავს, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების პირობების გათანაბრების ინტერესები სწორედ ამას მოითხოვს. ამასთან მათ უფლება მიეცათ თვითონ განიხილონ და დამოუკიდებლად დაამტკიცონ შიდასამეურნეო მშენებლობების სატიტულე სიები, რაც გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენების ერთ-ერთი საწინდარია.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა მეურნეობებისათვის განკუთვნილმა მთელმა კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვამ გამოიწვია მატერიალური და ფინანსური რესურსების ბალანსირების აუცილებლობა. არსებული დაგეგმვის პირობებში როგორც ცენტრალიზებულ, ასევე არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად გამოყენებული იყო ერთი და იგივე წყაროები, რაც უარყოფითად მოქმედებდა წარმოების ეფექტიანობაზე.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმურ წყაროებად ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და ბანკის კრედიტების დატოვების დროს მათი გამოყენების პირობები უცვლელი დარჩა, რის გამოც შეიქმნა შეუსაბამობა კაპიტალური დაბანდებების ცენტრალიზაციასა, რომლებიც იქმნებიან ფონდების საშუალებებით და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან სახსრების დეცენტრალიზებულად გამოყენებას შორის. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. სემიონოვის გაანგარიშებით, 1966—1975 წლებში არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა წყაროების ფორმირება მოცემულია მე-14 ცხრილში[1].

ცხრილი 14

წყაროები	1966 წ.	1970 წ.	1975 წ.
მეურნეობის განმტკიცების და გაფართოების ფონდი	41,2	32,1	29,5
სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი	3,8	6,7	6,6
ბიუჯეტიდან ასიგნება	7,5	3,6	1,6
ბანკის გრძელვადიანი კრედიტი	47,5	57,6	59,3
დანარჩენი წყაროები	—	—	3,0

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მეურნეობებზე გაცემული ბანკის გრძელვადიანი კრედიტების დიდი ნაწილი მოდიოდა ახალი ტექნიკის, წარმოების ორგანიზაციისა და გაფართოების ღონისძიებათა დასაფინანსებლად, არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი თავიანთ ძირითად მიზანს ვერ აღწევდნენ.

კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის, დაფინანსებისა და დაკრედიტების შემდგომი სრულყოფისა და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების გამოყენების საქმეში საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით 1976 წლიდან შემოღებულ იქნა ძირითადი ფონდების ფორმირების ახალი წესი — საბჭოთა მეურნეობებისათვის წლიურ სახალხომეურნეობრივ გეგმებში სხვა მაჩვენებლებთან ერთად დამტკიცებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა. აქვე გამოყოფილია ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა სიდიდე და სახელმწიფო კაპიტალური დაბან-

[1] Журн. «Экономика сельского хозяйства», 1977, № 1, стр. 55.

დებებით შექმნილი ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში გაშვება გამოსახული ფულადი ფორმით. ამასთან შენარჩუნებულია საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობა კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის საქმეში.

კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და დაფინანსების ახალი წესი ითვალისწინებს ფინანსური რესურსების ცენტრალიზაციას, რომელიც შემდეგნაირად ხორციელდება:

1. ყველა საბჭოთა მეურნეობაში ახალი საწარმოების, რძის სამრეწველო საწყისებზე წარმოების კომპლექსების, სასათბურო კომბინატების მშენებლობა, ხოლო დაბალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებში ხორცის სამრეწველო საწყისებზე წარმოების კომპლექსების მშენებლობა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და ტექნიკის შესაძენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინა წლის თავისუფალი მოგება და საამორტიზაციო ანარიცხები.

2. საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნაგებობათა, სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა და მიწის მელიორაცია ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით;

3. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობის, ტრანსპორტის შეძენა და საწარმოო დანიშნულების ობიექტების, ხორცის წარმოების კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა ხორციელდება საბჭოთა მეურნეობების მოგებისა და საამორტიზაციო ანარიცხებიდან, რომლებიც მიმართულია ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის და სხვა საკუთარი სახსრებით. საკუთარი ფულადი საშუალებების უკმარისობის პირობებში გამოიყენება ბანკის გრძელვადიანი კრედიტები.

უკვე მეორე წელია არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ხორციელდება მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების, აგრეთვე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდებიდან.

დაფინანსების წყაროების შეცვლის შედეგად ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები შემცირდა 59 პროცენტით, ხოლო არაცენტრალიზებულის წილი გაიზარდა 13 პროცენტით. 30 პროცენტით შემცირებულ იქნა საბიუჯეტო ასიგნებანი და გაიზარდა

ბანკის კრედიტის მოცულობა. სახელმწიფო ბიუჯეტის გამოთავისუფლებული სახსრები მიმართულ იქნა დაბალრენტაბელური და ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ახალი წესი ხელს უწყობს მაღალრენტაბელურ მეურნეობებში საკრედიტო ზემოქმედების გაძლიერებას და დაბალრენტაბელურ, ზარალიან მეურნეობებზე ფინანსური დახმარების გაძლიერებას.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობებში გაფართოებული კვლავწარმოების დაგეგმვისა და დაფინანსების ახალი წესი ხელს შეუწყობს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა ფორმირების წესი უკვე სრულყოფილია და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათი მუშაობის ეკონომიკური პირობების გათანაბრების მიღწევისათვის ბრძოლას. უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა საბჭოთა მეურნეობათა დიფერენციაცია ფონდაჭურვის—მიწის ფართობის ერთეულიდან პროდუქციის გამოსავლიანობისა და რენტაბელობის დონის გათვალისწინებით. ფონდაჭურვისა და რენტაბელობის დონის ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა წარმოების კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ, შესყიდვის ფასების მასტიმულირებელი როლის ამაღლებამ.

საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური პირობების გათანაბრების მისაღწევად მთავარია პირველ რიგში ზემოქმედება მოვახდინოთ ძირითად საწარმოო ფაქტორებზე, რომლებზედაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული შემოსავლების გადიდება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. პარტია და მთავრობა უდიდეს სახსრებს ხარჯავს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომლითაც მიღწეული უნდა იქნეს ძირითადი და საბრუნავი ფონდების, შრომის ენერგო და ფონდაჭურვის მოცულობის გადიდება, წარმოების მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა იმ ოდენობით, რომ მოცემულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მიღწეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური ეფექტიანობა. ერთი სიტყვით, ეს ის ფაქტორებია, რომ-

ლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ეკონომიკური პირობების გათანაბრებაში. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ფაქტორების სწორად გაანალიზებას, როგორიცაა რენტაბელობა, პროდუქციის რეალიზაცია, შესყიდვის ფასების დონე, მოგების განაწილების პირობები, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ წარმოების შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრება იმასაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა, ცუდი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე მეურნეობებს მიეცეთ საშუალება თანდათანობით მიიღონ ისეთი შემოსავალი, რომელსაც ღებულობენ უკეთეს პირობებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობები. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფო ბანკის კრედიტმა.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ეკონომიკური პირობების გათანაბრების მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს ისეთები, რომლებიც პრაქტიკულადაც გამოცდილია. ასეთებია:

1. შესყიდვის ფასების დიფერენციაცია რესპუბლიკასა და რეგიონს შიგნით (ლიტვის სსრ გამოცდილება);

2. მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გადანაწილება დაბალრენტაბელური ან ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სასარგებლოდ (საქართველოს სსრ გამოცდილება);

3. წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე (მოლდავეთის სსრ, რსფსრ და საქართველოს სსრ გამოცდილება);

4. საბჭოთა მეურნეობებს შორის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმური მოცულობის დიფერენციული განაწილება (ძირითადი ფონდების შეჯერების მისაღწევად);

5. სახელმწიფოზე მისაყიდი ძირითად სახეობათა პროდუქციის რეალური, ოპტიმალური გეგმების თითოეულ საბჭოთა მეურნეობამდე დაყვანა;

6. მატერიალური და ფულადი რესურსების დიფერენციული განაწილება (კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის განაწილების მსგავსად);

7. ჭარბი საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოგების თავისუფალი ნაშთის, კაპიტალურ რემონტზე საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვის გადანაწილება ზემდგომი ორგანოების მიერ;

8. ცენტრალიზებული სადაზღვევო ფონდის ეფექტიანი გამოყენება საბრუნავი საშუალებების დანაკლისისა და სახბანკის ვადადამდგარი სესხების დასაფარავად.

აღნიშნული მეთოდების მოშველიებით სავსებით შესაძლებელია საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ეკონომიკური პირობების გათანაბრება შედარებით მოკლე პერიოდში.

სკკპ, საბჭოთა სახელმწიფო და მთელი საბჭოთა ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საიმედო და მყარი განვითარება, რომელშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ დარგში წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, მის გადაყვანას ინდუსტრიულ საწყისებზე.

„სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების, ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტაში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარება“[1].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის განვითარებაში პარტია ხედავს წარმოების მოცულობის ზრდის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების მოცულობის გადიდების უზარმაზარ რეზერვებს, რომელთა სამეურნეო ბრუნვაში მოქცევით წარმატებით განხორციელდება პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მაღალი ტემპებით განვითარების უზრუნველსაყოფად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების მისაღწევად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ იქნება დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს პარტიის აგრარული პოლიტი-

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წ. 26 ოქტომბერი.

კის განხორციელებას და მას ექნება უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა.

წარმოების სპეციალიზაცია-კონცენტრაციამ ნაკლები დანახარჯებით უველაზე მაღალი ეფექტი უნდა მოგვცეს, შექმნას რეალური პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი გადიდებისა და მათი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება ობიექტურად მოითხოვს პრინციპულად ახალ მიდგომას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის საქმეში. იმისათვის, რომ წარმოებაში დაინერგოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები და უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა, მუშახელი, ტექნიკა და ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორები, აუცილებელია ფართო გზა გაეხსნას წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვლის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ფართო კოოპერირების ბაზაზე და მისი გადაყვანა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მაგისტრალურ ხაზს, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების ახალ ეტაპს განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

ამასთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებულია, რომ მიუხედავად ამ საქმეში მიღწეული დიდი წარმატებებისა და იმ დიდი ძვრებისა, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში გვაქვს, მისი დონე, ეკონომიკური მაჩვენებლები და ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნებს და არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს.

სწორედ ამიტომ არის დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა, რომლის განხორციელების მთავარი გზაა წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი გადაყვანა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიაპყრო ამ საკითხებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას და მის ეტაპებად განხორციელებას. სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეცი-

ალიზაცია-კოოპერაციის დროს წინა პლანზე წამოწეული უნდა იქნეს ნებაყოფლობისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, განსაკუთრებით ისეთი კარდინალური საკითხების გადაწყვეტისას, როგორიცაა გაერთიანებათა საწარმოო საქმიანობის მართვის ორგანიზაცია, მეურნეობრივი დამოუკიდებლობისა და მატერიალური დაინტერესების ორგანიზაციული ფორმებისა და მიმართულებების შერჩევისადმი მეცნიერული მიდგომა; კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების დაინტერესება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ყველა გააფრთხილა, რომ არ დაუშვან გადაჭარბება ამ საქმეში. „ამაზე ლაპარაკი იმიტომ გვიხდება, რომ ზოგან თავს იჩენს ფაქტები, როცა ამხანაგები ადგილებზე, თუმცა ახალი არაფერი შეუქმნიათ, ჩქარობენ დაანგრიონ ძველი — სპეციალიზებულ საწარმოებს ჯერ მხოლოდ აშენებენ, ფერმები კი მეურნეობებში უკვე გააუქმეს. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას“[1].

აღნიშნულ საკითხებს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა საკავშირო პროფკავშირთა XVI ყრილობაზე.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ სკკპ აგრარული პოლიტიკიდან გამომდინარე, კონკრეტული გზები დასახა რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის სწორად გატარებისათვის, მისდამი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის უზრუნველყოფისათვის. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ყრილობაზე აღნიშნა, რომ „აქ არ შეიძლება აჩქარება, ეტაპებზე გადახტომა და უკიდურესობაში გადავარდნა, მაგრამ ამავე დროს არამც და არამც არ უნდა შევაკავოთ პროცესის განვითარება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ... შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ზუსტი, გრძელვადიანი პროგრამა, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, აგრეთვე აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის მთავარი მიმართულებებისა და პარამეტ-

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წლის 26 ოქტომბერი.

რების, ვადებისა და ეტაპების განსაზღვრა ძირითადად წლეულსვე, 1976 წელსვე უნდა დავამთავროთ“[1].

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია-კონცენტრაციის დაჩქარებული პროცესით განვითარების პარალელურად სოფლის მეურნეობის მართვის ფორმების შესაბამის სრულყოფას, რათა ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობა ორგანულად იქნეს შეხამებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობას, ინიციატივას.

მეათე ხუთწლედში ფართოდ განვითარდება საკოლმეურნეობათაშორისო საკოლმეურნეო-საბჭოთა მეურნეობრივი და სახელმწიფო-კოოპერაციული გაერთიანებები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო კომპლექსები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ჩამოაყალიბა რესპუბლიკაში წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროგრამა.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ ძირეულად შეცვალა სახელმწიფოსთან მათი ეკონომიკური ურთიერთობა. სოფლად გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად საბიუჯეტო ასიგნებებიც მცირდება და იზრდება საკუთარი საშუალებების ხვედრითი წონა. ამასთან შენარჩუნებულია მეცხოველეობის კომპლექსების, სასათბურო მეურნეობებისა და სამელიორაციო ნაგებობათა საბიუჯეტო დაფინანსება. ზარალიან და დაბალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება საკუთარი წყაროების უკმარისობისას ხორციელდება საბიუჯეტო ასიგნებებით, რის გამოც დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე ვადაყვანილ საბჭოთა მეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში დიდი ხვედრითი წონა უკავია საბიუჯეტო სახსრებს. ასეთი საბჭოთა მეურნეობების ჩამონათვალი ყოველწლიურად მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

---

[1] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კპ XXV ყრილობას, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976, გვ. 48—49.

1966—1975 წლებში საბჭოთა მეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროები (%-ში) მოცემულია მე-15 ცხრილში[1].

ცხრილი 15

წლები	საკუთარი წყაროები	ბანკის კრედიტი	საბიუჯეტო ასიგნებები
1966	39,2	3,6	57,2
1970	54,1	20,0	25,9
1975	37,6	16,0	46,4

საბჭოთა მეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებში საბიუჯეტო ასიგნებების მაღალმა ხვედრითმა წონამ, რომელიც შედარებით დაბალმა რენტაბელობამ განაპირობა, ხელი უნდა შეუწყოს მათი ეკონომიკის განმტკიცებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას. რენტაბელობის დონის ზრდის კვალობაზე მოხდება საბჭოთა მეურნეობების თვითდაფინანსებაზე გადასვლა.

მეათე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას მოხმარდება საბიუჯეტო ასიგნებები 107 მილიარდი მანეთის ოდენობით, ხოლო კოლმეურნეობები მიიღებენ 20,2 მილიარდი მანეთის გრძელვადიან სესხებს. ამასთან სახელმწიფოზე მიყიდული ხორცისა და რძის ფასთა სხვაობის დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ გაიღებს 100 მილიარდ მანეთს.

საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა კეთილისმყოფელად მოქმედებს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებში გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წონის გადიდებაზე. ეს უკანასკნელი საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ტემპებისა და პროპორციების რეგულატორის როლშიც გვევლინება. 1975 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში გრძელვადიანი კრედიტის წილი გაიზარდა და მიაღწია 25 პროცენტს.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა ბანკის კრედიტის ფართო გამოყენებით ხელს უწყობს საკრედიტო

[1] См. журн. «Финансы СССР», 1977, № 11, стр. 25.

დაწესებულებების მიერ მანეთით კონტროლის განხორციელების გაუმჯობესებას. კაპიტალურ დაბანდებათა წყაროებში გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წონის ზრდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აიძულებს საკუთარი და მოზიდული სახსრები რაციონალურად გამოიყენონ და ამით უზრუნველყონ ძირითადი ფონდების ფონდუკუგების ზრდა.

§ 5. ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება სოფლის მეურნეობაში

სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ უფრო სრულად იქნეს გამოყენებული ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონები. ამ პირობებში იქმნება იმის რეალური წანამძღვრები, რომ სრულყოთ იმ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მასტიმულირებელია.

პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა, რომ „ახლა, როცა შევიძინეთ საკმაო გამოცდილება, როცა უკეთ გამოიკვეთა მიმართულებანი, რომლებითაც წინ უნდა ვიაროთ, შეგვიძლია და კიდევაც უხდა დაკაჩქაროთ სამეურნეო მექანიზმის გაოდაქმნა. ასეთია საერთო ამოცანა. იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ იგი, უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ერთიანი სისტემა ღონისძიებებისა, რომლებიც მეურნეობის ხელმძღვანელობის ძირითად მხარეებს მოიცავენ“[1].

დაგეგმვის სრულყოფასა და საგეგმო დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სამეურნეო ანგარიშის, ფინანსებისა და კრედიტის ზემოქმედების გაძლიერების, არასაწარმოო ხარჯებისა და დანაკარგების შემცირება და სახელმწიფოს შემოსავლების გადიდება. სწორედ სამეურნეო ანგარიში ის ელემენტია, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მომჭირნეობის რეჟიმი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის ბრძოლა ხელს უწყობს მეურნეობის მთელი რეზერვების მობილიზაციას და შიდასაწარმოო დაგროვების მასის გადიდებას. უმცირესი დანახარჯებით შედარებით მეტი შედე-

---

[1] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 79—80.

გების მიღწევის პრინციპი განსაზღვრავს საწარმოთა გეგმიანი ხელმძღვანელობის ეფექტიანობას;

სამეურნეო ანგარიშის დროს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ფინანსები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიხახსები ხელს უწყობს წარმოების ზრდის, თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების ზრდის რეზერვების გამოვლენას, რომლებიც საბოლოო ჯამში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. საფინანსო ბერკეტების გამოყენებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ავლენენ და მოქმედებაში მოყავთ შიდასამეურნეო რეზერვები და განსაზღვრავენ იმ ღონისძიებათა ეფექტიანობას, რომლებიც მიმართულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ამაღლების მისაღწევად.

სოფლის მეურნეობაში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობანი სისტემატურად იხვეწება და სრულყოფილი ხდება, რაც პარტიის აგრარულ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ამაღლების პროგრამის განხორციელება მოითხოვს დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის სწორი თანაფარდობის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბიუჯეტთან ურთიერთობის საკითხების ოპტიმალურად გადაწყვეტას. ამიტომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა საკუთარი საშუალებების როლი და მნიშვნელობა გაფართოებული კვლავწარმოებისა უზრუნველყოფაში.

ყოველივე ეს მიმართულია მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „ამ პლენუმზე მინდა კვლავ აღვნიშნო, რომ თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, — ეს არის მისი ეფექტიანობის პრობლემა; ყველაზე ფართო თვალსაზრისით. ზოგადი ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: გონივრულად, ყაირათიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უზარმაზარი რესურსები, გავუფრთხილდეთ მიწას, მივაღწიოთ მაქსიმალურ უკუგებას ყოველ

ჰექტარზე, ყოველ დაბანდებულ მანეთზე, ყოველ ტონა სასუქზე"[1].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინდუსტრიალიზაციის, მისი ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, აგრარული და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსებისა და გაერთიანებების შექმნა უშუალოდ არის დაკავშირებული მყარ ეკონომიკურ პირობებზე. ეს არის თანამედროვე პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. საკითხი ეხება წარმოების მართვის იმ ეფექტური გზების გამონახვას, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალურ თანაფარდობას სოფლის მეურნეობრივი პროდუქციის წარმოების დანახარჯებსა და შემოსავლებს შორის, რომელიც განსაზღვრავს დაგროვებისა და მოხმარების ფონდების შექმნას.

ეკონომიკური პირობების სიმყარის დონე დაგროვებისა და მოხმარების ფონდების წყაროების სიმყარეზეა დამოკიდებული, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელი სახსრების რეგულარულად შემოსვლის და ამ ფონდების დროულ მატერიალიზაციას ნივთობრივი რესურსებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მყარ ეკონომიკურ პირობებად მიიჩნევენ შემდეგ მომენტებს: მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფას, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი, კოლექტიური და პირადი ინტერესები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებით დაიფაროს არა მარტო პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯები, არამედ შეიქმნას იმდენი წმინდა შემოსავალი, რომელიც დააკმაყოფილებს დაგროვების ფონდების შექმნას; დაგროვების ფონდები არის თუ არა თავისდროულად მატერიალიზებული: მატერიალური სტიმულირებისა და შრომის ანაზღაურების სისტემები უზრუნველყოფს თუ არა მუშაკთა დაინტერესებას წარმოების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში; ფასების ეკვივალენტობის პრინციპის უზრუნველყოფას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ გამოყენებული პროდუქციის საბითუმო ფასების სწორ დაგეგმვაზე დამოკიდებულია სა-

[1] გაზეთი „კომუნისტი", 1976 წ. 26 ოქტომბერი.

სოფლო-სამეურნეო წარმოების როგორც შემოსავლიანობა, ასევე მათი ხარჯებიც.

ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს საფინანსო-საკრედიტო ბერკეტებმა, ბიუჯეტში და სახელმწიფო დაზღვევაში გადასახდელების სისტემამ და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსები, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ფინანსები, წარმოადგენს სსრ კავშირის ერთიანი საფინანსო სისტემის ორგანულ ნაწილს, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში. სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული საფინანსო პოლიტიკა მიმართულია ამ მეტად უმნიშვნელოვანესი სახალხომეურნეობრივი დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის განსამტკიცებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ორგანიზაციის პრინციპები ერთიანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, თავისებურებებით ხასიათდება სოფლის მეურნეობის საწარმოთა დაფინანსება, რომლებიც გამომდინარეობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებიდან და საკუთრების ფორმათა სხვადასხვაობიდან.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წარმოების დროსა და სამუშაო პერიოდს შორის დიდი დაშორიშორება, რაც იწვევს საწარმოო ციკლის მნიშვნელოვან ხანგრძლივობასა და ნათლად გამოკვეთილ სეზონურობას, ადგილი აქვს სახსრების წრებრუნვის თავისებურებებს, კერძოდ, ბრუნვადობის შენელებას, განსაკუთრებით საწარმოო სტადიაზე, ხოლო წრებრუნვის დამთავრებისას სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოთავისუფლებას.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საბრუნავ საშუალებებში დიდი ხვედრითი წონა უკავია მოზარდ და სუქებაზე დაყენებულ პირუტყვს, დაუმთავრებელ წარმოებას, თესლსა და ნერგებს. ყოველივე ეს განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაფინანსების, ძირითადი საბრუნავი საშუალებების ფორმირების და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმირების თავისებურებებს.

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები თავიანთ საწარ-

მოო დანახარჯებს საკუთარი შემოსავლებით ფარავენ. ამასთან მათ საანგარიშგებო წლის განმავლობაში წარმოექმნებათ დიდი გარღვევა გაწეულ ხარჯებსა და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს შორის. აღნიშნული გარღვევები იფარება ბანკის მოკლევადიანი სესხების გამოყენებით.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ქვეყნის მასშტაბით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების საბრუნავი საშუალებების წყაროს მესამედს შეადგენს სახელმწიფო ბანკის სესხები.

აქედან გამომდინარე, უდიდესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნასესხები საშუალებებით უზრუნველყოფას, ეს ხელს შეუწყობს წარმოების შემდგომ განვითარება-სრულყოფას.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო წელი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, რომლის ფარგლებშიც იგეგმება წარმოება და გამოიყვანება საბოლოო ფინანსური შედეგი, ამიტომ თავისებურებებით ხასიათდება პროდუქციის თვითღირებულებისა და ფინანსური მაჩვენებლების გამოანგარიშების მეთოდიკა.

მაგალითად მოგება გამოიანგარიშება მხოლოდ წლიური ანგარიშგების შედგენისას, რომლის საბოლოო განაწილება წლის ბოლოს წარმოებს, ხოლო მოგებიდან შექმნილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდები ძირითადად გამოიყენება შემდგომ წელს.

ყველასათვის ცნობილი თავისებურებებით ხასიათდება კოლმეურნეობათა საქმიანობა. საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით წარმოებისა და შრომის საშუალებების განსაზოგადოების დაბალი დონე განსაზღვრავს სამეურნეო ანგარიშის, ფინანსებისა და კრედიტის ორგანიზაციის თავისებურებებს.

კოლმეურნეობები არ ღებულობენ ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ამასთან კოლმეურნეობებზე საფინანსო დახმარება და მათი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მრავალი გზით წარმოებს (კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ფასებისა და კოლმეურნეობებზე მისასყიდი წარმოების საშუალებების ფასების დაწესებით, ბიუჯეტში გადასახდელების განსაზღვრით, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიცემით და სხვ.).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოებს კოლმეურნეობების მთე-

ლი რიგი ღონისძიებების დაფინანსება, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: საირიგაციო და სამელიორაციო ქსელის მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მიწაზე კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, მემცენარეობის მავნებლებთან და ცხოველების დაავადებებთან ბრძოლა.

სახელმწიფოს მიერ დიდი სახსრები გაიღება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მოსავლიანობის გადიდებას (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, „სოფლტექნიკის“, ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, საკვებმომპოვებელი და სხვა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად).

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგია; საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე მთავრობის საფინანსო პოლიტიკა მიმართული იყო სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მხარდასაჭერად და სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებისათვის კეთილისმყოფელი პირობების შესაქმნელად.

სოფლის მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებაში დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო ბიუჯეტი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა, რომ „ჩვენ რეალისტები ვართ და კარგად ვიცით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვისებრივი გარდაქმნა მოითხოვს დროს, შრომას, უდიდეს დაბანდებას. მით უმეტეს, რომ მთელი რიგი მიზეზების, ძირითადად ობიექტურ-ისტორიული ხასიათის მიზეზების გამო, მხოლოდ უკანასკნელ ხანს დავიწყეთ ამ დარგისათვის დიდი სახსრების გამოყოფა. 320 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდებიდან, რომელიც სოფლის მეურნეობამ მიიღო საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე, 213 ორ ბოლო ხუთწლედზე მოდის“[1].

ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების სტრუქტურა 1966—1970 წლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პირდაპირი ასიგნებანი (კაპიტალური დაბანდებანი), საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის მატება, დანახარჯები მიწების ძირეულად გაუმჯობესებაზე, პირ-

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 67.

უტყვის ავადმყოფობისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებთან ბრძოლა, სახელმწიფო ვეტერინარიის, აგრონომიული და ზოოტექნიკური დაწესებულებების შენახვა შეადგენდა ბიუჯეტიდან ასიგნების 47 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასთა სხვაობის დაფარვა — 42,8 პროცენტს, კომბინირებული საკვებისა და პურპროდუქტების ფასთა სხვაობის დაფარვა — 2 პროცენტს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქების ფასთა სხვაობის დაფარვა — 2,7 პროცენტს; კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დანახარჯები — 2,6 პროცენტს; სახელმწიფო ბანკის დაკრედიტების გრძელვადიანი ფონდის გამაგრება — 2,9 პროცენტს.

მე-9 ხუთწლედში სოფლის მეურნეობას მოხმარდა 131 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდება, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი მთელი კაპდაბანდების მეოთხედს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობების საკუთარი საბრუნავი საშუალებების მატების შესავსებად, ძირითადი ჯოგის ფორმირებაზე, მიწათმოწყობისა და სხვათა მიზნებისათვის გამოყოფილ იქნა 73 მილიარდი მანეთი.

მე-9 ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდა ბიუჯეტიდან:

კაპიტალური დაბანდებანი — 748,4 მილიონი მანეთი;

კაპიტალური რემონტი — 18,6 მილიონი მანეთი;

საოპერაციო ხარჯები — 249,5 მილიონი მანეთი.

მათ შორის:

ა) კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებზე — 13,2 მილიონი მანეთი;

ბ) ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის — 41,9 მილიონი მან;

გ) მევენახეობის განვითარებისათვის 3%-იანი ანარიცხები — 27,3 მილიონი მანეთი;

დ) ტორფის შესყიდვა, ტრანსპორტირების ხარჯები — 0,8 მილიონი მანეთი.

ამასთან რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საბეურნეო საწარმოების უდიდეს ნაკლოვანებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ 1971—1975 წლებში გამოუყენებელი დარჩა ზემოალ-

ნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებიდან 53,4 მილიონი მანეთი, რომელთაგან მარტო 3-პროცენტიანი ანარიცხები ვერ აითვისეს 25,7 მილიონი მანეთის ოდენობით, ასეთივე ცუდი მდგომარეობაა კაპიტალური დაბანდებების ათვისებაში (აუთვისებელი დარჩა 10 მილიონი მანეთი), ხოლო საოპერაციო ხარჯებში ვერ აითვისეს 15,4 მილიონი მანეთი.

ცნობილია, რომ სახელმწიფო დიდ მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევს ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მარტო მე-9 ხუთწლედში საქართველოს კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ 43,0 მილიონი მანეთი მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები, 180 კოლმეურნეობა გადაკეთდა საბჭოთა მეურნეობებად, რომელთა მატერიალურ-ფინანსურ უზრუნველყოფას მთლიანად აწარმოებს სახელმწიფო.

მეათე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილია 1,6 მილიარდი მანეთი, რომელიც 25 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედში გამოყოფილ სახსრებს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა თავისთავად არ ნიშნავს სოფლის მეურნეობის აღმავალი ხაზით განვითარებას, ამასთან საჭიროა წარმოების ეფექტურად გაძღოლა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად გაძღოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვას. იმის გამო, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მოითხოვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოცულობის კოლოსალურად გადიდება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი მომჭირნეობით და დიდი უკუგებით გამოყენებას.

ამრიგად, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება მოითხოვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებით უნდა იქნეს მიღწეული.

შინაარსი

შესავალი . . . . . .

თავი I საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მისი ამაღლებას მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის 7

§ 1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება მეათე ხუთწლედში 7

§ 2. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის არსი . . 15

§ 3. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში . . 24

§ 4. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მისი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა 32

§ 5. წარმოების საზოგადოებრივი ეფექტიანობა და სახალხო მეურნეობის მართვის არსი 51

§ 6. მმართველობითი შრომის ეფექტიანობის საკითხისათვის 64

§ 7. სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფა სკკპ აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა . . . 70

თავი II. სამეურნეო ანგარიში — სოციალისტური მართვის ძირითადი მეთოდი 79

§ 1. სამეურნეო რეფორმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში . . . 79

§ 2. სამეურნეო ანგარიში — სოციალისტური საწარმოს მართვის ძირითადი მეთოდი 90

§ 3. სამეურნეო ანგარიში და საბითუმო ფასების სისტემა მრეწველობაში 118

§ 4. სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა 126

§ 5. ხელფასის როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში . 141

თავი III. ფინანსები და კრედიტი განვითარებული სოციალიზმის პერიოდში 150

§ 1. სასაქონლო — ფულადი ურთიერთობანი და ფინანსები 150

§ 2. სამეურნეო რეფორმა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის საკითხები 165

თავი IV. მოგება სოციალისტურ გაფართოებულ კვლავწარმოებაში 214

§ 1. მოგების არსი და მისი როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში 214

§ 2. მოგების განაწილების სისტემის გავლენა კვლავწარმოების პროპორციებსა და ტემპებზე 230

§ 3. წარმოების ეკონომიკური სტიმულირება და მოგება 244

თავი V. საფინანსო საკრედიტო ურთიერთობათა გაუმჯობესების გზები სოფლის მეურნეობაში 265

§ 1. ახალ ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში 265

§ 2. ფინანსური ურთიერთობანი სოფლის მეურნეობაში 279

§ 3. მოგების როლი საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში 309

§ 4. კრედიტის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში 316

§ 5. ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება სოფლის მეურნეობაში 331

КАКУЛИЯ РЕВАЗ ШАЛВОВИЧ

ФИНАНСОВЫЕ МЕТОДЫ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1978

რედაქტორი ჯ. ნანუკაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი თ. ტურიაშვილი
გამომშვები ი. შაიშმელაშვილი

ს. ბ. № 1288

გადაეცა წარმოებას 20/I-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-78 წ
საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,2.
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,53.
უე 06907. ტირაჟი 1000. შეკვ. № 188.
ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „გამსახკომის"
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4 „Госкомиздата" Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, 11 корп.